საქართველოს კულტურის სამინისტრო
ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ავთანდილ ფაილოძე

მატიანე ხონისა

ნაწილი მეორე

გამომცემლობა „ალიონი"
ბათუმი - 2003

ავტორი მადლობას უხდის დემოკრატიული ალორძინების კავშირის თავმჯდომარეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ბატონ ასლან აბაშიძეს, მხარდაჭერისა და წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის.

© გამომცემლობა „ალიონი" - 2003
ISBN - 999 28 - 43 - 82 - 9

რედაქტორთაგან

ავთან_ილ ფაილოძე ჩვენთვის კარგად ცნობილი პიროვნებაა. ორ ათეულ წ_ ზე მეტია ნაყოფიერად მუშაობს საქართველოსა და ხონის რაიონის ისტორიული წარსულის შესასწავლად. ამაზე ნათლად მეტყველებს მისი პუბლიკაციები, ცალკეული მეცნიერული სტატიები თუ სოლიდური მონოგრაფია ("მატიანე ხონისა" 1998 წ, "ხონის თეატრალური ქრონიკები", 2000 წ.)

განსაკუთრებით აღსანიშნავია ავთანდილ ფაილოძის დამსახურება ხონის განთქმული წმიდა გიორგის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესწავლის საქმეში. სწორედ ამ თემას ეძღვნება ნაშრომის ძირითადი ნაწილი ამ წიგნში.

ხონის ეკლესიის წარწერების შესახებ ყურადღება გამახვილებული აქვს ბევრ ქართველ და უცხოელ ისტორიკოსს. მათ აღრიცხეს წარწერების ნაწილი, მაგრამ გაშიფვრა სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდიათ.

ბატონმა ავთანდილ ფაილოძემ, თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, შეისწავლა არა მარტო ის წარწერები, რაც ქვემოდან ჩანდა, არამედ სპეციალური ამწეს საშუალებით თუ მაღალი კიბეების დახმარებით, და რაც მთავარია, არა ერთჯერადი დათვალიერებით, არამედ ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, დეტალურად შეისწავლა ნაგებობის ყოველი გოჯი, გადმოიღო ყველა წარწერა და სხვაგვარად წაიკითხა ზოგი ცნობილი წარწერა და შემოგვთავაზა, ჩვენი აზრით, საკმაოდ არგუმენტირებული დასკვნა, რომ ტაძარი მერვე საუკუნეშია აგებული. ეს სერიოზული მეცნიერული სიახლეა და აუცილებელია მას სპეციალისტები და ფართო საზოგადოებრიობა გაეცნოს. ნაშრომში სხვა ბევრი ანგარიშგასაწევი მოსაზრებაა გამოთქმული, რაზედაც სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ავტორის სურვილია, რაიონის და საერთოდ, ვაკე-იმერეთის ისტორია მკითხველს გააცნოს ლაკონური ფორმით, მოიმარჯვოს და გამოიყენოს საარქივო, პუბლიცისტური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები, წარმოადგინოს ტაძრის ისტორია. ამ საქმეში იგი იყენებს ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურას და ზოგჯერ გვთავაზობს ჩვენი აზრით საფუძვლიან, გაბედულ მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხზე. ვფიქრობთ მეცნიერთა მსჯელობის

საგანი უნდა გახდეს ჰონოგურის - უნაგირასა და მოხირის - მუხურისის ლოკალიზაციის ავტორისეული ვერსია. ამ პირველ საკითხს ავტორი განიხილავს წინამდებარე წიგნში. საკითხთა განხილვა ეფუძვნება ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურას.

ავტორი განიხილავს რა ხონში გავრცელებული გვარების წარმომავლობას, უმეტეს შემთხვევაში სწორი დასკვნები გამოაქვს. ამიტომ ავტორის თხრობა იმსახურებს ნდობას, დასკვნები საიმედობას და ყურადღებას.

ავტორს საგანგებოდ შეუსწავლია ქვემო იმერეთის სოფლის მეურნეობა, საგადასახადო სისტემა, სამონასტრო, საკათალიკოსო და სამეფო გლეხთა რაოდენობა და ზომა-წონის ერთეულები საგადასახადო სისტემაში, რაც უმდიდრეს ფაქტებს შეიცავს მხარის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესახებ.

წიგნი თხუთმეტი თავისაგან შედგება და თან ყოველ გვერდს ახლავს სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა.

უთუოდ მადლობის ღირსია ბატონი ავთანდილი, რომელიც აგერ უკვე 25 წელია სწავლობს იმერეთის ისტორიულ წარსულს, იკვლევს და იცავს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, მონაწილეობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებაში და კვლავაც დიდის ენერგიით ეწევა სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობას.

რაც შეეხება წვრილმან ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, ავტორს პირადად ვესაუბრეთ მათ შესახებ და წიგნის საგამომცემლო სრულყოფისას ის გასწორებული იქნება. ამასთან, უმნიშვნელო ხარვეზები სულაც არ ამცირებს ნაშრომის სამეცნიერო მნიშვნელობას.

ამრიგად, ავთანდილ ფაილოძის "მატიანე ხონისა", მეორე ნაწილი სერიოზული გამოკვლევაა და მისი გამოცემა სასარგებლო და საჭირო საქმეა.

გივი ელიავა - მარტვილის ეროვნული მუზეუმის დირექტორი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ეროვნული და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრი, აკადემიკოსი.

პეტრე ვაჭრიძე - ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი.

2001 წლის თებერვალი.

ავტორისაგან

წიგნში ვრცლადაა საუბარი ხონის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ძირითად საკითხებზე.

იმერეთის ეპისკოპოსმა სოფრონიოსმა, 1835 წელს ქუთაისში გადაატანინა ხონის საყდრის წერილობითი ძეგლები და მთავარეპისკოპოს ანტონ ჩიჯავაძის ბიბლიოთეკა.

ამ ხელნაწერთა უმეტესობა დღეისათვის შესწავლილი და გამოცემულია. მაგრამ ზოგიერთი მათგანი შეიცავს ძვირფას მინაწერებს სამონასტრო ცხოვრების შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ ზოგიერთი მთავარეპისკოპოსის, კალიგრაფის და მონასტრის სწავლული ბერის მოღვაწეობის თარიღები. ეს საკითხიც მეცნიერული სიახლეა.

წიგნი იმითაც არის აქტუალური, რომ ხონის საყდრის სამწიგნობრო ტრადიციები ამ კუთხით მთლიანად არ არის შესწავლილი.

დოცენტმა პეტრე ვაჭრიძემ ხონის ისტორიას მიუძღვნა სამი მონოგრაფია, პირველი 1977 წელს ("ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან"), მეორე 1998 წელს ("ხონის ისტორიიდან"), მესამე 2001 წელს ("ხონის სამასწავლებლო სემინარია").

მეორე ნაშრომში ფეოდალური ხონის ისტორიას მიეძღვნა სულ 50 გვერდი.

ავტორმა საარქივო და პუბლიცისტურ მასალებზე დაყრდნობით, დაწვრილებით წარმოადგინა მთელი მეცხრამეტე საუკუნე, მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედი და უფრო მოკლედ დანარჩენი დრო.

ამასთან, ავტორს თავს მოახვიეს ზოგიერთი უხეირო დამატება "ხონური მოზაიკის" სახით.

პირადად მე, 1984 წელს ხონის შესახებ გამოვაქვეყნე მცირე მონოგრაფია - "წულუკიძის რაიონის ისტორიიდან", 1998 წელს ხონი-სამტრედიის ეპისკოპოსის, მეუფე საბას დახმარებით და ლოცვა-კურთხევით გამოვეცით ნაშრომი "მატიანე ხონისა", პირველი ნაწილი, რომელშიც ხონის ისტორიის ამსახველი ექვსი თავი შევიტანეთ.

2002 წელს , ხონის პატრიოტის, ბატონ ჯემალ უგულავას დახმარე-

ბით, გამოვეცით "ხონის თეატრალური ქრონიკები", რაც მკითხველმა გულწრფელად მიიღო.

გამოუქვეყნებელი დაგვრჩა ქალაქ ხონის ისტორიის ძირითადი - ფეოდალური პერიოდი. ეს წიგნი მიზნად ისახავს ამ ხარვეზის შევსებას.

წინამდებარე ნაშრომი "ქართლის ცხოვრების", "ქართული საისტორიო საბუთების", "ქართული საეკლესიო საბუთების", აგრეთვე უცხოური სპეციალური ლიტერატურიდან ამოკრებილი ცნობების მოშველიება-მომარჯვებით არის შედგენილი. ვცდილობთ გავაშუქოთ "მცირე ქალაქის" - საეკლესიო და სავაჭრო ცენტრის - ხონის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის, განათლებისა და კულტურის საკითხები. ის იწყება მეექვსე საუკუნიდან და მთავრდება 1820 წლის ამბებით. მეფის რუსეთისაგან იმერეთის სახალხო ამბოხების დათრგუნვით, რაც არ გახლავთ შემთხვევითი. ამ პერიოდიდან, დოცენტ პეტრე ვაჭრიძის ნაშრომი საუკეთესო მასალებს შეიცავს, მე-20 სააუკუნის მეორე მეოთხედამდე. ამიტომ ჩვენ ყურადღება არ გავამახვილეთ ამ საკითხებზე.

რაც შეეხება იმერეთის ისტორიის მეოცე საუკუნის ხარვეზს, ჩვენ მის გასრულებას ვანდობთ ახალგაზრდა სპეციალისტებს.

ამრიგად, წინამდებარე წიგნში საუბარია ხონის ისტორიაზე - მეექვსე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნის მეორე ოცწლეულამდე.

გვწამს ის გულთბილად იქნება მიღებული.

ა. ფაილოძე

ავთანდილ ფაილოძე

ავთანდილ ფაილოძე დაიბადა 1951 წლის 27 მაისს, მარტვილის რაიონის სოფელ ზედა ხუნწში, პედაგოგთა ოჯახში.

მამამისი, გიგო ფაილოძე წლების განმავლობაში მუშაობდა ხონის რაიონის სოფელ სუხჩის რვაწლიანი სკოლის ისტორიის მასწავლებლად, ბოლოს კი დირექტორად.

დედა - თინათინი, მათხოჯელ ძიძიგურთა შთამომავალი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სუხჩის სკოლაში.

ამჟამად ისინი პენსიონერებია.

წიგნისადმი სიყვარული და მიდრეკილება ოჯახში, მშობლებმა გაუღვიძეს. 1966 წელს ა. ფაილოძემ დაამთავრა ზედა ხუნწის რვაწლიანი სკოლა, 1968 წელს კი მათხოჯის საშუალო სკოლა. გამოირჩეოდა ჰუმანიტარული საგნებისადმი მიდრეკილებით, რაც კიდევ უფრო გაუღვივეს პედაგოგებმა: ავერიონ ბობოხიძემ, მიტუშა ფირცხალავამ, შოთა მელაძემ.

1969-70 წლებში ა. ფაილოძე რიგით კოლმეურნედ მუშაობდა ხუნწის კოლმეურნეობაში , ხოლო 1970 წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, დაუსწრებელ განყოფილებაზე, რის გამოც სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს - არხანგელსკის ოლქის კონოშის რაიონში დისლოცირებულ შინაგანი სამსახურის ჯარებში. ის ჩვეული სიბეჯითით ეკიდებოდა სამხედრო საქმეს, რის გამოც მრავალი მადლობით და წარჩინებული სამსახურის სამკერდე ნიშნით იქნა დაჯილდოვებული.

1977 წელს ა. ფაილოძემ წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი (ახლა უნივერსიტეტი). მისი პედაგოგები იყვნენ: ლევან სანიკიძე, დავით ჯანელიძე, არკადი გოგუაძე, პეტრე ვაჭრიძე, გივი ელიავა და სხვები.

1973 წლებში ასწავლიდა ისტორიას სუხჩის რვაწლიან სკოლაში, საიდანაც რაიონის ხელმძღვანელობამ გადმოიყვანა ქალაქ ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერმუშაკად (დირექტორის მოადგილედ).

აქაც ჩვეული სიბეჯითე გამოიჩინა. მისი ხემძღვანელობით მუზეუ-

მის მუშაკები ხშირად აწყობდნენ სამეცნიერო და შემგროვებლობითი ხასიათის ექსპედიციებს ქვემო იმერეთში. გროვდებოდა ტოპონიმები, ჰიდრონიმები და ონომასტიკონი. ივსებოდა შესაბამისი სოფლების რუქები. ფოტოზე გადადიოდა ბუნების და მატერიალური კულტურის ძეგლები. გროვდებოდა ფოლკლორის, ოქრომჭედლობისა და ეთნოგრაფიის ბრწყინვალე ნიმუშები. 1979-80 წლებში იმავე მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზეა. ათასობით იზრდება ექსპონატთა და დოკუმენტთა რაოდენობა.

მუზეუმში საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სესიების, მოძრავი გამოფენების, ვიქტორინა-კონკურსების ჩატარების პრაქტიკას.

ა.კუთარი ინიციატივით უტარებდა მოსწავლე-ახალგაზრდობას ლექციებს.

ამ საქმიანობაში მის გვერდით იდგნენ: მანანა ჯოხიძე, ჯულიეტა ბახტაძე, თემურ ბახტაძე, მანანა ცაგარეიშვილი, ადელი მესხი. მათი დახმარებით საჯარო ბიბლიოთეკებში ნაპოვნი და ამოწერილი იქნა ასობით საინტერესო მასალა იმერეთის ისტორიის შესახებ.

1981 წელს ა. ფაილოძე გადაყვანილ იქნა პარტიის ხონის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორად. სათავეში უდგა წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების რაიონულ გამგეობას, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოება "ცოდნის" რაიონული გამგეობის მუშაობაში, მეთოდურად ეხმარებოდა რაიკომის ლექტორთა ჯგუფს, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის რაიონულ ორგანიზაციას. დიდი ენერგია შეალია საეკლესიო ნივთების და ეკლესიების დაცვისა და რესტავრაციისათვის საბუთების მომზადებას.

1976 წელს გამოაქვეყნა პირველი პუბლიცისტური წერილი და ამის შემდეგ აქტიურ პუბლიცისტად ყალიბდება. აქვეყნებს სტატიებს რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. 1981 წელს გამოსცა რაიონის მეგზური რუსულ-ქართულ ენებზე. 1984 წელს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის, ბატონ ჯუმბერ კალანდაძის დახმარებით გამოსცა პირველი სერიოზული მონოგრაფია - "ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან". ეს ნაშრომი უსასყიდლოდ იქნა გავრცელებული რაიონის მოსახლეობაში.

1983-86 წლებში ბატონი ა. ფაილოძე მსახურობდა ხონის ჩაის

მეურნეობის პარტიული კომიტეტის განთავისუფლებულ მდივნად.

1986 წელს, რაიონის ხელმძღვანელობის თხოვნით, უსასყიდლოდ მონაწილეობდა სახელოვანი დრამატურგის პოლიკარპე კაკაბაძის სახლმუზეუმის ექსპოზიციის მოწყობაში.

1987 წელს კულტურის განყოფილების გამგის ანტონ კიკნაძისა და ქალბატონ ნორა მამფორიას დახმარებით, აგრეთვე, სრულიად უსასყიდლოდ, არაფრისაგან შექმნა ცნობილი სოციალ-დემოკრატი პუბლიცისტის, ალექსანდრე წულუკიძის სახლმუზეუმი სოფელ ივანდიდში.

1987 წელს ავთანდილ ფაილოძემ საკუთარი ხარჯით გამოსცა ბროშურა "ივანე შარაშიძე", რასაც ზედ დაერთო ფულის ინფლაცია. ამიტომ ავტორმა გაავრცელა რა სამი ათასი ცალი, უარი განაცხადა კუთვნილი გასამრჯელოს მიღებაზე.

1987-90 წლებში, რაიონის ხელმძღვანელობამ მას მიანდო ხონის "დოსააფის" რაიკომის თავმჯდომარის თანამდებობა.

1991-94 წლებში მსახურობდა ხონის რაიონული გამგეობის კანცელარიის გამგედ, არჩეული იყო ქალაქის საკრებულოს დეპუტატად.

1995 და 1999 წლებში, ორჯერ, ბატონ ანტონ კიკნაძესთან ერთად სრულიად უფასოდ განაახლა დრამატურგ პოლიკარპე კაკაბაძის სახლმუზეუმი. შეავსო ის ახალი ფოტომასალით და მწერლის პირადი ნივთებით.

1998 წელს მიზერული ანაზღაურების მიღებით, რაიონის ხელმძღვანელობის თხოვნით გახსნა პოეტი-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის სახლმუზეუმი ხონში, რომლის დირექტორად მსახურობს ამჟამადაც.

1995-96 წლებიდან ბატონი ავთანდილი ქალაქის მეორე, შემდეგ პირველი საშუალო სკოლების ისტორიისა და სამხედრო საქმის მასწავლებელია. მიენიჭა უმაღლესი კატეგორია. ეხმარება მოსწავლე ახალგაზრდობას და სტუდენტებს. ყოველწლიურად გაჰყავს მოსწავლეები ზონალურ და რესპუბლიკურ სამეცნიერო-შემოქმედებით კონფერენციებზე, რის გამოც რამდენჯერმე დაჯილდოვდა. ხშირად მიმართავენ თხოვნით კონსულტაციისათვის, და ყველას შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარება.

1998 წელს ხონი-სამტრედიის ეპარქიის ეპისკოპოსის, მეუფე საბას

დახმარებითა და ლოცვა კურთხევით გამოსცა წიგნი "მატიანე ხონისა"- პირველი ნაწილი.

2000 წელს ხონელი პატრიოტის - ბატონ ჯემალ უგულავას დახმარებით გამოსცა ახალი მონოგრაფია - "ხონის თეატრალური ქრონიკები".

ბატონი ავთანდილი ამჟამადაც მხნედ ეწევა სამეცნიერო, პუბლიცისტურ და პედაგოგიურ საქმიანობას. აქტიურად მონაწილეობს რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საიუბილეო ღონისძიებებში, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრებში, ახალი წიგნების პრეზენტაციაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში წარდგენილი აქვს სამეცნიერო მინიმუმი და სადისერტაციო ნაშრომი. ძველი ენთუზიაზმით ილრმავებს ცოდნას რუსულ და მეგრულ ენებში, რაც სამეცნიერო მუშაობისათვის აუცილებელ პირობად მიაჩნია.

გასული 25 წლის განმავლობაში მას ურთიერთობა ჰქონდა რაიონის მრავალ გამოჩენილ ადამიანთან, მონაწილეობდა მათ იუბილეებში.

ა. ფაილოძე არის კარგი მეოჯახე, მასპინძელი და თამადა, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მისი მეუღლე - მანანა ჯოხაძე ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორია. მან დაღუპვასა და დატაცებას გადაარჩინა ქართული ხელოვნების რამდენიმე საინტერესო ძეგლი...

ა. ფაილოძეს ჰყავს ორი ქალიშვილი, რომელთაგან უფროსი ამთავრებს უნივერსიტეტის და მამას ეხმარება წიგნების კორექტურაში.

ამჟამად ბატონ ავთანდილს დაბადებიდან 52 წელი უსრულდება.

ვუსურვოთ ჯანმრთელობა, ოჯახური ბედნიერება და წარმატებები საზოგადოებრივ და სამეცნიერო საქმიანობაში.

მეგობრები

თავი პირველი

ხონის მიდამოთა ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა

ხონის რაიონის ტერიტორია მდინარე ცხენისწყლის ხეობაში და მის აღმოსავლეთ მხარეზეა გაშლილი. ცხენისწყალი შუაზე ყოფს რაიონის მთიან ზონას. დასავლეთით რჩება კინჩხა, გორდი, ნოღა, ღვედი, დიდღვაბუნა, ხოლო აღმოსავლეთ მხარეზე სოფლები: ძეძილეთი, ორაგვეთი, გვაშტიბი, გელავერი და ღვედის ნაწილი. რაიონს დასავლეთიდან ესაზღვრება მარტვილის, სამხრეთ-დასავლეთით აბაშის, სამხრეთით სამტრედიის, აღმოსავლეთით წყალტუბოს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ცაგერის რაიონები.

წულუკიძის რაიონის ტერიტორია 428,5 კვ. კმ-ია და გეოგრაფიულად მოქცეულია აღმოსავლეთ განედის 42-^{0} 22-^{1} და 342^{0} და 37^{1}-სა და ჩრდილო განედის 42^{0} 14^{1} და 42-^{0} 35^{1} შორის.

მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობის გამო რაიონის ტერიტორია ხასიათდება მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატურ-ნიადაგობრივი თავისებურებებით. გამოირჩევა ბარის, მთის წინა და მთის ზონები. მთის ზონა წარმოდგენილია რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში, მთის წინა - რაიონის ტერიტორიის ცენტრში: ჩუნეშში, ბესიაურში, სუხჩასა, ხიდსა, ახალბედისეულსა და მათხოჯში. ბარის ზონა კი - რაიონის სამხრეთში და წარმოადგენს კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ გაგრძელებას, რაიონის ტერიტორიის 58% მთაგორიანია. ყველაზე დაბალი ადგილი სოფელი ქუტირი ზღვის დონიდან 62 მ-ზე მდებარეობს, ხოლო ყველაზე მაღალი მწვერვალი ასხის პლატოზე კი - 2436, 7 მ-ია. მთიანეთიდან ყველაზე შორს ბარისაკენ წამოზრდილია ობოდირის ქედი (მათხოჯში), რაიონის ჩრდილო-დასავლეთის მთიანეთი დიდღვაბუნა, ნოღა, თურჩუს და სუხჩის მთები ეგრისის ქედის სამხრეთი კალთებია. მთის ზონა ფოთლოვანი ტყეებითა და ბუჩქნარებითაა დაფარული, სადაც იზრდება: რცხილა, თელა, წაბლი, ველური მსხალი, კაკალი, წიფელი,

ფიჭვი, მუხა, თხმელა, აკაცია და სხვა. ტყეების ფართობი 16000 ჰა-ს აღემატება, სახნავ-სათესი 5900 ჰა-ზე მეტია, მრავალწლიანი ნარგავები 2093, ხოლო საძოვრები დაახლოებით 1360 ჰა-ს უდრის. ასხის ალპურ საძოვრებზე ზაფხულში უძველესი დროიდან დგას ჯოგი.

გორდი, კინჩხა და ღვედი თავისი თვალწარმტაცი ბუნებით, ანკარა წყაროებით, ხასხასა მდელოებით და ჯანსაღი ჰაერით დასასვენებელი ადგილებია. ლამაზ ბუნებას აღტაცებაში მოუყვანია რუსეთის მეფის მოხელე ბოროზდინი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში კინჩხას ასე აგვიწერს: "ბუნება საუცხოოა, აქ ფიჭვი და ნაძვი იზრდება და უზარმაზარებიც, ერთი ვერსის მანძილზე სოფლამდე ძალაუნებურად ჩერდები და თვალი ვერ მოგიწყვეტია კალმით დახატული სანახაობისათვის. დაახლოებით ასი საჟენი ღრედან, რომელიც გადმოსცქერის ფართო მინდორს ჩამოქუხს მთის მდინარე ოკაცე, ზევით ფართე ბაფთის მსგავსი წყალი ჩამოშვების დროს თანდათან ვიწროვდება და ბოლოს აურაცხელ წინწკლებად იბნევა... შვეიცარიაში ასეთი კუთხე როდესაც გამოჩნდება სადმე, მაშინვე მთელი ქალაქი გაშენდება ტურისტების ფულებით, მაგრამ კავკასია ჯერ-ჯერობით მიუწვდომლად მალავს თავის მშვენიერ ადგილებს". (აქ ბოროზდინს ნაბეჩოს წყალი ოკაცედ მიუღია).

შესანიშნავი ბუნებრივ-ისტორიული ძეგლია კიბულა. მასიური ბუნებრივი პიტალო კლდით შემოზღუდული დიდი, დამრეცი ველი, რომელსაც გვირგვინად ეკვრის დასავლეთიდან ნაბეჩოს ას საჟენიანი ჩანჩქერი და სამი მხრიდან კი კლდეები. ეს უნდა იყოს ადრეფეოდალური ხანის ეგრისის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია, რაზედაც მიუთითებს მისი გრანდიოზული მასშტაბი და ტოპონიმები: "ნადარბაზევი", "ციხისკარი". აქვე ნაპოვნია სპილენძის ზოდები, ბრინჯაოს ვერძი, გრიფონი, ძვ. წ. აღ.-ით მესამე საუკუნის ეგრისის მეფის აკეს მონეტა სტატერი. მის ქვევით ორას ნაბიჯზე ქრისტიანული ხანის ადრეული პერიოდის აკლდამებია ამოშენებული, ზედ კლდის ქიმზე ნაპოვნია თამარ მეფის და რუსუდანის სპილენძის მონეტები.

თვალწარმტაცი სანახავია მდინარეების ცხენისწყლისა და ოკაცეს ხეობები.

"ხონის ქვეყანას" აღმოსავლეთიდან საზღვრავს მდინარე გუბის-

წყალი, ორი პატარა მდინარის - სემისა და ყუმის შეერთების ნაყოფი.

ბარის ზონის სოფლები გაშლილია 62-200 მ-ზე ზღვის დონიდან, მთის წინა ზონის - 200-დან 500 მ-მდე, ხოლო მთის ზონის - 500-დან 1000 მ-ზე. რაიონი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 42 კილომეტრზე გრძელდება, მისი მაქსიმალური განი სამხრეთშია და 17 კმ-ს უდრის, მინიმალური სივიწროვე რაიონის ჩრდილოეთია და 7 კმ. უდრის. სასარგებლო წიაღისეულიდან ღვედში უხვად მოიპოვება ბარიტი, სპილენძი და ცემენტი მოიპოვება კინჩხაში.

ჩრდილო მხარეს, ასხის მთაზე, მდინარე ტობის აუზში მდებაროებს "არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმე". იგი სოფელ ბალდიდან (მარტვილის რაიონი) 4-5 კმ-ზეა. ასხის კარსტული პლატოს სამხრეთ სექტორში მღვიმე 850 მ-ზე იკეტება სიფონური ტბით, აქვს განშტოებები. ჯმური სიგრძე 1150 მ-ია, დამშვენებულია ულამაზესი სტალაქტიდებით, ფირფიტისებრი, ნეკნისებრი და სხვა ფორმის სტალაგმიტებით და სვეტებით, გაედინება მინისქვეშა ნაკადი.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ჭირკარის მღვიმე მათხოჯში, სათევზიის - ძეძილეთში, ბოგას - გორდში, წმიდალიანის და ღვალბაჯანის - კინჩხაში, ქვაბიკარის ღვედში. წმიდალიანთან შეიმჩნევა უძველესი მეტალურგიის კერა. ეს გამოქვაბული ხალხში ცნობილია, როგორც ბოროტი სულების სამყოფელი. ხოჩოლსა და ეკლესუანის მიდამოებში (კინჩხა) ნაპოვნია ნეოლითის ხანის ადამიანის საცხოვრისი ინვენტარი. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები მიკვლეულია პატარა ჯიხაიშის, ქუტირის, გუბის და კუხის გორა-სამარხებთან, აგრეთვე კინჩხაში - ხოჩოლთან. კინჩხაში ტარეშის ეკვდერთან დღესაც ამაყად დგანან წარმართული ხანის ათასწლოვანი ურთხელები, ბომონები, რომლებსაც ხალხი ეხლაც რიდით და პატივისცემით ექცევა.

რაიონის ტერიტორია დიდი ისტორიული და ისტორიულ-რევოლუციური წარსულის მხარეა. დღესაც შემორჩენილი ბუმბუას ხიდის ძველი ბურჯი ცხენისწყალზე, ადასტურებს, რომ ძვ. წ. აღ.-ით 65 წელს აქ გაუვლია რომაელ სარდალს გნეიუს პომპეუსს და გაუდია ასაწევი ხიდი, რომლის ბურჯები ახლაც ჩანს. ეს გზა აღმოსავლეთ ეგრისს დასავლეთთან აკავშირებდა.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ძველად გორდი და გოსტიბე (გვაშტიბი) ერთმანეთთან დაკავშირებული ყოფილა ბონდის ხიდით. ეს

ჩვენი რაიონის მთიანეთს ერთმანეთთან აერთებდა. გზა მდინარე ცხენისწყლის ხეობით ისტორიულ კოლხეთს რაჭა-ლეჩხუმთან და სვანეთთან აკავშირებდა.

პირველ ათასწლეულში ჩვენს ერამდე ოლქი კოლხეთის ეკონომიურად დაწინაურებული მხარე ყოფილა, რასაც ადასტურებს კოლხური თეთრის აღმოჩენის მასიური ხასიათი (1270 ცალი), სხვა არქეოლოგიური მასალები და ისტორიული წყაროები.

ტოპონიმ "ხონის" შესახებ მეცნიერები სხვადასხვა შეხედულებების არიან, რაზედაც ქვევით შევჩერდებით...

შ. მესხია ხონს იმ ქალაქთა რიცხვს აკუთვნებდა, რომელიც სარელიგიო ცენტრებთან აღმოცენდა, ხოლო თეიმურაზ ბაგრატიონი მიიჩნევდა, რომ ხონი ძველ დროსაც ქალაქი ყოფილა და მოსე ხონელი კი აქაური. ამაზე "ვეფხისტყაოსანის" ეპილოგიც მიგვანიშნებს: "ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა"-ო.

ქალაქი ზღვის დონიდან 115 მ-ზე მდებარეობს, მოსახლეობა 11 ათასია. მისი ისტორია დაკავშირებულია ისტორიულ ძეგლთან, "წმიდა გიორგის" ეკლესიასთან, რომლის აგებას საისტორიო ტრადიცია გიორგი პირველს (XI საუკუნე) მიაწერს. ის ძალზე მდიდარია ეპიგრაფიკულად. ეკლესიის ეზო-გალავნის კომპლექსში შედის გალავანი და კოხტა სამრეკლო, რომელიც XIX საუკუნეში სამსართულიანი ყოფილა და რესტავრაციის შემდეგ, 1976 წელს აღუდგენიათ მხოლოდ ორი სართული.

აღტაცებას იწვევს ეკლესიის კედლის მხატვრობა. საკურთხევლის კონქში გამოსახულია ქრისტე, მარცხნივ იოანე ნათლისცემელი და გაბრიელ მთავარანგელოზი. მარჯვენა მხარეს ფრესკები გადაშლილია. უფრო ქვემოთ წინასწარმეტყველთა მედალიონებისაგან შემდგარი სარტყელია. სულ ქვევით კი ზიარების სცენა... ძირითადი ნაწილი ფრესკებისა XVI - XVII საუკუნისაა. მასზე აღმოჩენილია არაბული წარწერებიც.

ტაძარი განთქმული ყოფილა მთელ საქართველოში, მისთვის XIV საუკუნეში შეუწირავთ დიდი ვერცხლის ხატი წარწერით "მოიჭედა ხატი ესე წმინდისა გიორგისი ხონელთა აზნაურთა მიერ"-ო... 1529 წელს, იმერეთის მეფე ბაგრატ მესამემ ხონში საეპისკოპოსო კათედრა

داااررსა. "აქ ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ვაკისა"-ო - წერს ვახუშტი. პირველი ეპისკოპოსი იყო მანოველ მჩხეტისძე (ჩხეიძე).

1570 წელს იმერთა მეფე, გიორგი მეორემ რაჭველ თავად დავით წულუკიძეს, უბოძა ბატონიშვილ "ხოსროსეული სასახლე და გლეხები" ხონში.

XVII საუკუნის დასაწყისში შეუდგენიათ ხონის საეკლესიო გლეხების დავთარი, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი სოციალური ურთიერთობისა და მეურნეობის შესახებ.

1634 წელს ლევან მეორე დადიანს ეკლესიისათვის "წმინდა გიორგის" მეორე ხატი შეუწირავს, რომლის ჩარჩო დაცულია ქუთაისის სახლმწიფო მუზეუმში. ხონის ეპისკოპოსს ზაქარიას, სხვებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიუღია ტყვეთა სყიდვასა და სხვა უკუღმართობის წინააღმდეგ გამართულ საეკლესიო კრებაში, რომელიც XVI საუკუნეში გაიმართა.

იმერეთის მეფეები ხშირად აჯილდოებდნენ ეკლესიას ყმებით, მამულით, თუ სხვა პრივილეგიებით.

1789 წელს სოფელ მათხოჯში სატიკი ომი მოხდა ტახტის პრეტენდენტებს - დავით გიორგის ძესა და დავით არჩილის ძეს შორის. 1794 წელს მეორე ომიც მოხდა. გაიმარჯვა დავით არჩილის ძემ. შინა ომებს ბოლო მოუღო რუსეთის მთავარსარდალმა კავკასიაში პ. ციციანოვმა და 1804 წელს ქუთაისსა და ხონში რაზმი ჩააყენა, ხოლო 1810 წელს რუსებმა საბოლოოდ გააძევეს იმერეთის მეფე ("აქა რუსთა დაიპყრეს იმერეთი").

1821 წელს საქართველოს ეგზარხოსმა ხონის სასულიერო ეპარქია გააუქმა.

შუა საუკუნეებში ხონის ეკლესია წარმოადგენდა სწავლა-განათლების მნიშვნელოვან კერას ქვემო იმერეთში. მოქმედებდა სამონასტრო სკოლა, მუშაობდა მანუსკრიფტ-კალიგრაფთა მთელი შტატი. ეკლესიის ეზოში განისვენებდნენ ცნობილი განმანათლებელი სიმონ კუტი (ფირცხალავა), იესე და მათე ბახტაძეები, ვასილ ქუთათელაძე, საშა წულუკიძის დედა ოლიმპიადა, პუბლიცისტი ილია ბახტაძე (ხონელი) და საზოგადო მოღვაწეები: სოფიო წულუკიძე, არისტო ქუთათელაძე, პოლიკარპე ჩხიკვიშვილი და სხვები.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს სამეგრელოს სამთავრო კარზე დაწინაურდა წარმოშობით გორდელი აზნაური კაცია ჩიქოვანი. მისმა შვილმა გიორგი ლიპარტიანმა დადიანები ამოწყვიტა, ზოგი გააძევა და თავისი შვილი კაცია 1704 წელს, ოდიშის მთავრად (დადიანად) გამოაცხადა. გორდი დადიანთა საზაფხულო რეზიდენციად იქცა. XIX საუკუნეში ალექსანდრე ჭავჭავაძის რჩევით დავით დადიანმა ააგო მშვენიერი სასახლე წყاროებითა და პარკით.

რაიონის ტერიტორია მდიდარია ისტორიული ძეგლებით. მათ შორის უნიკალურია უძლოურის ეკლესია (XIV საუკუნე), დადიანთა გორდის ეკლესია (XIX საუკუნე), მათხოჯის მონასტერი და ეკლესია (XIX საუკუნე), ქუტირის ეკლესია (XIX საუკუნე), ტარეშის ეკვდერი (V-VI I I საუკუნეები), პატარა ჯიხაიშის ეკლესიები (XIX საუკუნე), გელავერის ეკლესია (VI I I საუკუნე). ციხეებიდან აღსანიშნავია: კიბულა (VI-VI I I საუკუნე), მათხოჯის ციხე (VI საუკუნე), გვაშტიბის ციხე (XVI საუკუნე), ღვედის ციხე-კოშკი (XVI I საუკუნე), ნამაშევის ციხე (V-VI საუკუნე), ველის ციხე, ნოღის ციხე (V საუკუნე), დიდღვაბუნის ციხე და სხვა.

1856 წელს კინჩხაში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ, რომელიც მიმართული იყო დადიანის სამთავრო კარის წინააღმდეგ. აჯანყება სწრაფად იქნა ჩახშობილი. ასევე სამხედრო ძალით იქნა დათრგუნვილი სოფელ ქუტირის 1851 წლის აჯანყება.

მხარე ძალზე დაწინაურდა XIX საუკუნეში. ხონი იმერეთის ერთ-ერთი ძლიერი ეკონომიკური და კულტურული ცენტრი გახდა და მეტოქეობას უწევდა ქუთაისს.

უძველესი სამონასტრო სკოლის გაუქმების შემდეგ, 1870 წელს ხონში გაიხსნა პირველი სახელმწიფო ორკლასიანი სკოლა, 1881 წელს კი სამასწავლებლო სემინარია. სასწავლებლის დაარსებაში დიდი ღვაწლი მიუძღვნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ივანე შარაშიძეს, მისი ინიციატივით 1898 წელს დაბაში გაიხსნა სახელოსნო სასწავლებელი (ეხლა № 8 საშ. პ/ტ სასწ.), გაიხსნა აგრეთვე სხვადასხვა სკოლები, პროგიმნაზიები და გიმნაზიები. 1900 წელს გაზეთ "კვალი" №14-ში წერდა: "დიდი ხანია, რაც ხონი მიხვდა სწვლა სინათლეა, უსწავლელობა კი სიბნელე" -ო. ხონის სემინარიაში მასწავლებლობდნენ ალექსი ჭიჭინაძე, არისტო ქუთათელაძე, პოლიკარპე ჩხიკვიშვილი, ტრიფონ

თაბუკაშვილი და სხვები. სასწავლებელმა აღზარდა ათობით გამოჩენილი ადამიანი.

ხონში პირველი თეატრალური წარმოდგენა გამართულა 1865 წელს, დაუდგამთ გიორგი ერისთავის კომედია "გაყრა", 1873 წელს კი "საქალებო სკოლის სასარგებლოდ ყველიერის კვირაში ქართული წარმოდგეხა ყოფილა", - წერდა გაზეთი "დროება" (1873 წლის № 13). 1901 წლის 9 აგვისტოს ხონის თეატრის შესახებ გაზეთ "ივერიაში" წერდა აკაკი წერეთელიც: 1900 წლიდან თეატრი სტაბილური გახდა, რაზედაც გამოცემულია ჩვენი მონოგრაფია "ხონის თეატრალური ქრონიკები". 1890 წელს შეიქმნა და დღემდე წარმატებით მონაწილეობს მუსიკალურ ფესტივალებში ხონის ცნობილი სასულე ორკესტრი, რომელსაც ვაჟა ჩიხლაძის სახელი მიენიჭა.

1884 წელს ხონში 18 ფაიტონი და ორი დილიჟანსი ყოფილა. 1911 წელს ხონმა იხილა სამგზავრო ავტომანქანა, 1913 წელს კი - თვითმფრინავი. 1893 წელს მათხოჯი-ხონის გავლით ნიკო ნიკოლაძემ და ივანე შარაშიძემ გახსნეს მთელ დასავლეთ საქართველოში პირველი სარწყავი არხი, რომელმაც გვალვიანი მ-ნები უხმოსავლიანი გახადა.

მოუწესრიგებელი იყო რაიონის გზები და ხიდები. 1901 წლის № 99 გაზეთი "კვალი" წერდა: "მდინარე ცხენისწყალზე ხიდის გადების საქმე მეტად მნიშვნელოვანია"-ო.

1890 წელს ცნობილმა ხალხოსანმა ნესტორ წერეთელმა სოფელ კუხში პირველი აბრეშუმის ძაფის ამოსაღები დაზგა დადგა. მალე მათი რიცხვი გაიზარდა. ხონის მკვიდრმა მ. სანიძემ კი ააგო ხონში პირველი საწარმო-ძაფსაღები ფაბრიკა. მალე გაიხსნა საფეიქრო სკოლაც. რაიონი აბრეშუმის პარკის და ძაფის დამზადების მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა და წარმატებით მონაწილეობდა ამიერკავკასიისა და მსოფლიო გამოფენებში.

1911 წელს ხონში დროებით ცხოვრობდა ცნობილი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა (ახლა ბახტაძის ქუჩა №5). აქ დაწერა მან დრამატული პოემა "ადვოკატი მარტიანი". იგი მოხიბლული იყო დაბა ხონის ბუნებით. აქვე კარგხანს ცხოვრობდა რუსი მხატვარი სტეფანე უვაროვი.

1893 წლის დეკემბერში პირველი გაფიცვა მოეწყო ხონის სამასწავლებლო სემინარიაში. მას მიბაძეს სხვა სასწავლებლებმაც.

პირველი რევოლუციის დროს გაფიცვები და დემონსტრაციები მასობრივ ხასიათს ატარებს, ხონის ბაღში იკრიბებიან მეზობელი სოფლებისა და მაზრების გლეხკაცობა რევოლუციური ლოზუნგებით, მათ წინაშე გამოდიან ორატორები. 1905 წლის ოქტომბერში მოხდა ხონის საყოველთავო გაფიცვა, ნოემბერში კი ხონელებმა შექმნეს წითელი რაზმი. აჯანყება მოხდა სოფლებში: ძეძილებში, კინჩხაში, გორდში, კუხში და გუბში. მათხოჯელმა და ახალბედისეულელმა სოციალდემოკრატებმა ბოყოურაში, სახალხო კრებაზე, დახვრიტეს ნიკოლოზ მეორეს სურათი. ამ დროს ხონში ჩამოყალიბებას იწყებს (საქართველოში პირველად) მასწავლებელთა კავშირი.

იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი 1904-1905 წლებში რაიონის ტერიტორიაზე აწყობს მთელ რიგ დისკუსიებს სოციალდემოკრატებს შორის: კუხის ორკლასიან სკოლაში, დ. ქაცარავას, პ. კიკალიშვილის, ე. კაკაბაძის, მ. სანოძის, ალ. წულუკიძის სახლებში, სადაც სიტყვით გამოდიან: ი. სტალინი, ა. წულუკიძე, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, პ. ჯაფარიძე, მ. წერეთელი, ა. ჩხენკელი, ბ. მდივანი, შ. ლეჟავა, კ. ქაცარავა, პ. კიკალიშვილი და სხვები.

გრანდიოზულ დემონსტრაციად გადაიქცა ალექსანდრე წულუკიძის გამოსვენება ქუთაისიდან ხონში 1905 წლის 12 ივნისს. ცხედარს 10 ათასამდე კაცი მიაცილებდა. სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ ი. ჯუღაშვილი და შ. ნუცუბიძე.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელმა რაზმმა რაიონის რამდენიმე სოფელი ააწიოკა.

ხონში თანაბრად ძლიერი ფრთა ჰგონდათ სოციალდემოკრატ მენშევიკებს და ბოლშევიკებს. ეს უკანასკნელი უფრო ექსტრემისტულად იყო განწყობილი და შემდგომში დიდი თავგამოდებით ებრძოდა თავისუფალი საქართველოს დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას. ამ საქმეში მათ ჩააბეს "სპარტაკელები" (კომკავშირელები). 1918 წლის გაზაფხულზე საბჭოთა რუსეთისაგან ინსპირირებული სამეგრელოსა და აფხაზეთის ბოლშევიკთა დასახმარებლად ხონის კომიტეტმა მიავლინა პარტიული მებრძოლები: ვალია ბახტაძე, ნიკოლოზ ბახტაძე და წითელი პარტიზანები.

1918 წელს რუსეთიდან დავალებით ჩამოსულმა საშა გეგეჭკორმა

სამეგრელო არია, რაზმი შეადგინა და შემდეგ გორდში გადავიდა. მოაჯანყეების რაზმში ჩაენერა რენეგატებისაგან მოტყუებული ათობით გაუნათლებელი მოქალაქე. რაზმის ერთი მთავარი მეთაური კონსტანტინე ჭავჭანიძე იყო. მაშინ დაიწყო "კლასობრივი მტრის" დადიანთა ქონების დატაცება და გაბნევა. მთავრობის ჯართან შეტაკებები მოხდა: ლი, ძგორიასთან, ნაგრიმებთან და ბუმბუას ხიდთან. რაზმი კინჩხიდან ლეჩხუმისაკენ დაიძრა, სადაც მთავრობის ჯარმა დარტყმა მიაყენა (გორმაღალთან).

ძირს უთხრიდა რა სამშობლოს თავისუფლებას, ხონის ბოლშევიკური კომიტეტი მთავრობამ მალე დააპატიმრა, მაგრამ მან და მისმა წევრებმა მაინც მიიღეს მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ 1919 წლის ოქტომბრის ამბოხებაში, თუმცა მალე დამარცხდნენ.

1921 წლის მარტში რუსი დამპყრობლები, რომლებსაც ამჯერად "კომუნისტ-ინტერნაციონალისტის" ნიღაბი ეკეთათ და წინ მიუძღვოდნენ ქართველი რენეგატები, ხონშიც შემოვიდნენ და დაიწყეს ბოლშევიკური "წმენდა", რაც თავად მათსავე ნაწილს შემდეგში სავალალოდ გაუხდა...

შეიქმნა ნაძალადევი "რევკომი" დიქტატორული უფლებით.

დაიწყო ბოლშევიზაცია.

1922 წელს ბოლშევიკებმა მეორე სარწყავი არხი გახსნეს, 1923 წელს ხონის რაიონს შეუერთეს ცხენისწყლის ხეობის სოფლები: სუხჩა, ხიდი, ჟუშკი, დიდღვაბუნა, ნოღა, გორდი და კინჩხა. ამ სოფლებს ძველთაგანვე მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული კავშირი ჰქონდათ ხონთან.

1924 წელს ქალაქის უძველესი თეატრის დასი დაშალეს და ბოლშევიკთა წინააღმდეგ აჯანყების მონაწილე მსახიობები დახვრიტეს, მათ მიაყოლეს ინტელიგენციის და თავადაზნაურობის ზოგი წარმომადგენელი.

1928 წელს დაიწყო ნაძალადევი კოლექტივიზაცია, რასაც შედეგად მოჰყვა შეძლებულ გლეხთა (ბოლშევიკთა შეხედულობით "კულაკთა") ფიზიკური განადგურება.

1932 წელს კოლექტივებში 2403 კომლი გააერთიანეს, მეორე მსოფლიო ომის წინ კი მათში ირიცხებოდა რაიონის მოსახლეობის 97,3%.

1933 წელს მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად, ხონის ინდუსტრიული ტექნიკუმი გადაკეთდა მექანიზაციის ტექნიკუმად. პირველ და მეორე ხუთწლედებში ძირითადად დამთავრდა ჩაის პლანტაციების გაშენება.

1924-26 წლებში ყოფილ მეპატრონეებს ჩამოერთვათ ძაფსაღები ფაბრიკა, ავეჯის საამქრო, ხე-ტყის და აგურ-კრამიტის საწარმოები.1928 წელს კი ამუშავდა ახალი ძაფსაღები ფაბრიკა, რომლის დირექტორად დაინიშნა ცნობილი ინჟინერი სპირიდონ ჩომახიძე. მასვე გაამართვინეს სამტრედიისა და ოზურგეთის ფაბრიკები, მერე კი გაახსენდათ, თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკის დროს, ხონის კომისარი რომ იყო, ამიტომ ფიზიკურად გაანადგურეს. ეს ფაბრიკები ამჟამად გაუქმებულია.

1934 წელს აიგო ხონის, ხოლო 1952 წელს გუბის ჩაის ფაბრიკები, აგურ-კრამიტის ახალი საამქროც ამუშავდა, მყობრში ჩადგა კირის გამოსაწვავი საამქრო. 1935 წელს სოფელ კინჩხაში პედაგოგ ავერიონ ქაროსანიძის ინიციატივით და ინჟინერ კოპაძის პროექტით ამუშავდა ჰიდროელექტრო სადგური "ოკაცჰესი".

1943-44 წლებში ჟუშკის და დიდღვაბუნას მოსახლეობა ადიგენსა და ახალციხეში გადაასახლეს.

1962 წელს ხონში დაარსდა საკავშირო მნიშვნელობის ქიმიური ქარხანა, რომელიც უშვებდა სარქველიან და ბრტყელ ტომრებს, მინის ტარის ხუფებს, პოლიეთილენის მილებს, ნაქსოვ ბადეებს და სხვა. მარაგდებოდა ფინეთიდან და სუმგაიტიდან. უცხოეთზე უკულმართად გადაჯაჭვული საწარმო ამჟამად გაუქმებულია.

ხონის ნედლეულის ბაზაზე ამჟამად მუშაობს სამი დიდი, სამი მცირე ჩაის ფაბრიკა და არასრული დატვირთვით ამზადებს იმის მეათედ პროდუქციას, რასაც უშვებდა ამ 15 წლის წინ.

საკმაო სიმძლავრით მუშაობს ხონის სააგურე ქარხანა.

1921 წელს დაბა ხონში 29 სხვადასხვა ტიპის სასწავლებელი იყო. სწავლობდა 3885 ბავშვი. მათ სწავლა-აღზრდას ემსახურებოდა 179 მასწავლებელი. ამავე წელს ძველი სამასწავლებლო სემინარია პედაგოგიურ სასწავლებლად გადაკეთდა, 1959 წელს კი სულ გააუქმეს.

1932 წელს ხონის ცხრაწლედი გადაკეთდა ქალაქის პირველ საშუა-

ლო სკოლად.

1926-27 წლების სეზონზე აღსდგა ხონის თეატრი, 1936 წელს დაარსდა სამუსიკო ტექნიკუმი.

მეორე მსოფლიო ომამდე ძირითადად დამთავრდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ღონისძიებანი. რაიონის 47 სკოლაში 8800 მოსწავლე სწავლობდა და მათ აღზრდას ემსახურებოდა 370 პედაგოგი.

XX საუკუნის სამოცდაათიან წლებში ქალაქის ტერიტორიაზე და სოფლებში: ნახახულევში, ქუტირში, ძეძილეთში, გორდში, კინჩხაში აიგო დიდი ზომის საშუალო სკოლების ახალი კორპუსები.

ამჟამად ქალაქში მოქმედებს 4 საშუალო სკოლა, ერთი მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის კოლეჯი, ხელოვნების კოლეჯი, სამი კერძო დაფინანსების გიმნაზია, ერთი პროფტექნიკური სასწავლებელი. სულ რაიონში 4000-ზე მეტი მოსწავლეა. მათ აღზრდა-სწავლებას ემსახურება 700-ზე მეტი პედაგოგი.

1932 წლიდან გამოსვლას იწყებს რაიონის გაზეთი "დამკვრელი", რომელსაც ერთხანს "კომუნიზმის გზით", ახლა კი "ხონი" ჰქვია.

1953 წელს ხონში გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც დიდ და საინტერესო მუშაობას აწარმოებს იმერეთის ისტორიის, კულტურის და ეთნოგრაფიის შესასწავლად. მისი არქივის ბაზაზე უკვე რამდენიმე წიგნია გამოცემული. მუზეუმში თავმოყრილია 12000-მდე ექსპონანტი.

1986 წელს ხონის სიახლოვეს, სოფელ პატარა კუხში გაიხსნა სახელოვანი დრამატურგის პოლიკარპე კაკაბაძის სახლმუზეუმი. 1998 წელს კი თვით ხონში გავხსენით პოეტი - აკადემიკოსის - ირაკლი აბაშიძის სახლმუზეუმი. 1983 წლიდან რაიონში მოქმედებს მშვენიერი საბრძოლო და შრომითი დიდების მუზეუმი. 1961 წელს ხონი დაამშვენა ახალმა სარაიონო კულტურის სახლმა, რომელშიც 1967 წლიდან მოქმედებს სახალხო თეატრი.

რაიონის სამ ძირითად ბიბლიოთეკაში თავმოყრილია 200 ათასი წიგნი. 30 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულია 140 სპეციალისტი.

1969 წელს ქალაქში გაშენდა ახალი დიდი საავადმყოფო-პოლიკლი-

ნიკით. 1978 წლის ზაფხულში ამოქმედდა ქუტირის რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფო. რაიონს ამჟამად ემსახურება ასამდე ექიმი და 300-ზე მეტი მედიცინის და.

1929-30 წლებში გაიდო ხიდი მდინარე გუბის წყალზე.

1960 წლის 14 მაისს, ბორანი მდინარე ცხენისწყალზე დიდმა, ახალმა ხიდმა შეცვალა მათხოჯი - ხუნწის მონაკვეთზე.

1976 წელს ახალი (დანელიას) ხიდი გაიდო ცხენისწყალზე ხონი-ლეხაინდრაოს მონაკვეთზე, რომლის სიგრძე 110 მეტრია. 1984-85 წლებში ხიდები გაიდო სუხჩასთან და ხიდზე.

ა. წულუკიძის დაბადებიდან 60 წლის თავზე სსრ კავშირის ცენტრა-ლურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1936 წლის 25 აპრილს მიიღო დადგენილება ქალაქ ხონისა და ხონის რაიონისათვის მისი სახელის მიკუთვნების თაობაზე, მაგრამ 1989 წელს ხალხის მოთხოვნით მას დაუბრუნდა ისტორიული სახელი.

პირველ მსოფლიო ომში თავი ისახელა კაპიტანმა ტარასი ვაშაკიძემ "შაითან კაპიტანი".

5757 მებრძოლი გაგზავნა ხონის რაიონმა მეორე მსოფლიო ომში, რამდენიმე ასეული კი იხდიდა სამსახურის ვადას. 3181 კაცი ომში დაიღუპა. გმირის მაღალი წოდება მიენიჭა მეზღვაურ ნოე ადამიას, ოფიცრებს: აკაკი ტერელაძეს და გიორგი ბახტაძეს, გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ჯანჯღავას. თავი ისახელა გენერალმა გიორგი ყუფარაძემ და პარტიზანმა გოგონამ - ზოია რუხაძემ.

ამჟამად მოსახლეობის დიდი ნაწილი კერძო სახლებში, ნაწილი კეთილმოწყობილ ბინებში ცხოვრობს. შეინიშნება მკაფიო მიგრაცია და მოსახლეობის კლების ტენდენცია, 600-ზე მეტ ოჯახს აწერია "იყიდება სახლი".

რაიონს ჰყავს 1500-ზე მეტი უმაღლესდამთავრებული და ასობით გამოჩენილი პიროვნება.

თავი მეორე

ხონის სახელწოდების შესახებ

სახელწოდება "ხონი", ერთი იმ გავრცელებულ ტოპონიმთაგანია, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ტომთა განსახლების არეალში, ამ ენათა ჯგუფის მატარებელი ეთნოსის მიერ არის დამკვიდრებული.

სახელი "ხონი"-ს მაწარმოებელია "ონ" სუფიქსი, რაც ზედსართავი სახელების ჩვეულებრივ წარმომქმნელს წარმოადგენს.

ქვეყნად იყო და არის ბევრი "ხონი".

ქალაქი "ხიხონი" ესპანეთშია, კუნძული "ხონსიუ" იაპონიაში, "ბარხონი" სოფელია ინდოეთში.

თამარის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მეფეთა მეფეს სძღვნიდნენ "ჰინდონი და ხონელნი" ("ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ქართული პროზა, ტ. 3,1982 წელი, გვ. 177).

მეცხრე-საუკუნეში, მცირე აზიაში სამიტროპოლიტო ცენტრი იყო "ხონე"- ძველი კოლოსე (სიმონ ყაუხჩიშვილი - "გეორგიკა", ტ. 2, 1965 წელი, გვ. 223).

იუსტინიანე კეისარს ლაზეთში აუგია ციხესიმაგრე "ლოსოხიონი".

ამავე პერიოდის ბიზანტიური წყაროები იცნობენ ჭანეთის ციხესიმაგრეებს: "სკამალინიხონს", "ბარხონს", "ჰორონონს" (სიმონ ყაუხჩიშვილი - "გეორგიკა" ტ. 6. გვ. 124).

XIX საუკუნის მკვლევარი, ნ. გამრეკელი, ხონს მიიჩნევდა კოლხეთის მეფის აიეტის სატახტო ქალაქად. ასკვნიდა, რომ ის დააარსა ეგვიპტის ფარაონმა რამზეს მეორემ კოლხეთში ლაშქრობისას. სახელი "ხონი" მან ეგვიპტის მთავრის ღვთაება "ხონსუ"-ს დაუკავშირა (პ. ვაჭრიძე - "ქალაქ ნულუციძის ისტორიიდან", 1977 წ. გვ. 8).

ვფიქრობთ, ეს ვერსია მომდინარეობს ჰეროდოტეს ცნობილი შეხედულებიდან კოლხების და ეგვიპტელების იგივეობის შესახებ, თუმცა საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხონში წარმართულ ეპოქაში მთვარის დიდი სალოცავი უნდა არსებულიყო, რაზედაც ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებშივე აღმოცენებულა წმიდა გიორგის - თეთრი გიორგის კულტი. თებეს დედაქალაქობისას, ახალი ეგვიპტის

ძლიერების ხანაში (XVI-XII საუკუნეები ძვ. წ. აღ-ით) ქვეყნის მოსახლეობის ღვთაებათა უმაღლეს ტრიადას შეადგენდნენ ამონი (მზის ღვთაება), მუთი (დედა ღვთაება) და ხონსუ (მთვარის ღვთაება). ეს პანთეონი რამზესის ეპოქას ემთხვევა, ხოლო მთვარის ღვთაება "ხონსუ"-ს სახელწოდებაში გამოიყოფა ფუძე "ხონ". ეგვიპტელთა რწმენით, ხონხუ ძლიერებით მესამე ღვთაება იყო და მას შიშველი ყრმის სახით გამოსახავდნენ, რომელსაც ახალი მთვარის ემბლემა უმკობდა თავს..ეს სახელი დაკავშირებული იყო დროის და წლების აღრიცხვასთან, ამიტომაც "დროის მბრძანებელს" უწოდებდნენ.

ეგვიპტეშიც იყო ღმერთი თოთი - მისი სახელის შედარება "თუთასთან" და ხონხუს-ხონთან, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, მეცნიერებისათვის საინტერესოა და ამ ფონზე გამრეკელის ჰიპოთეზა არც ისე ფანტასტიკური და უსაფუძვლო გვეჩვენება.

იოსებ ორბელმა ერთმანეთს დაუკავშირა "ხონი" და სვანთა ძველი სახელწოდება "ჰონი" - (ბერძნული "ჰენიოხი"). მისგან წარმოებულად მიიჩნია "ონი"-ს და "პატარა ონი"-ს სახელწოდებები, რადგან დაწყებითი სპირანტის "ჰაე"-ს "ხან"-ად გარდაქმნას ხშირად აქვს ადგილი, თან "ჰაე" ხანდახან იკარგება ჩვენს ტოპონიმიაში.

პროფესორი იოსებ ყიფშიძე "მეგრულ-ქართულ" ლექსიკონში აღნიშნავს, რომ "ხონუა", მეგრულად "ხვნას" ნიშნავს, "მახონალი" - "მხვნელს", "ნახონალი" - "დახნულს", "ოხონალი" - "სახნავს". ზმნა "ხონი" ბრძანებითი ფორმაა "ხონუა"-სი და ნიშნავს "დახანი" (პ. ვაჭრიძე).

ეს მოსაზრება გარეგნულ-შინაარსობრივად თითქოს მისაღები, გრამატიკულად ნაკლებ დამაჯერებელია. თუმცა ზედმიწევნით გაიზიარა მკვლევარმა მიხეილ ალავიძემ (გაზეთი "კომუნიზმის გზით", 1979 წლის 20 დეკემბერი).

პროფესორ ამირან ცამციშვილს მიაჩნია, რომ ტერმინის საწყისი ფორმაა "ხონ"-"ხორ". ის ენათესავება-ეიგივება იმავე ფუძისაგან "ჰარ" - "ხარ" - "ყარ" "კან" საწყისიან სახელწოდებებს (ავტორის არქივში დაცულია ა. ცამციშვილის ხელნაწერიდან).

სხვათა შორის "ხორუა" მეგრულად სახლია, "ყონა" - ყანაა. "ყონას" "ხონად" ასიმილაციაც ადვილი შესაძლებელია.

ზოგმა მკლევარმა სცადა ხონისა და მეექვსე საუკუნის ციხე-ქალაქ "ჰონოგურისის" იდენტურობის დამტკიცება, მაგრამ აქაც

სახელწოდების ფუძეთა მხოლოდ გარეგნულ მსგავსებასთან გვაქვს საქმე. "ჰონოგურისის" სახელწოდება, ბერძნებს მიღებული აქვთ ქართული მთის, "უნაგირას"-გან, როგორც ამას შემდგომ თავში დავინახავთ.

დღევანდელ საქართველოში რამდენიმე ხონია.

ხონი და ხონის ჭალა იმერეთში.

სოფელი ხონი აჭარისწყლის ხეობაში. ექვთიმე თაყაიშვილის დაკვირვებით, ცეკვის სახელწოდება "ხორუმი" "ხონურიდან" უნდა მომდინარეობდეს (ექვთიმე თაყაიშვილი, "რჩეული ნაწერები", ტ. 1. 1968 წელი, გვ. 386).

ხონი - ხარაგაულის რაიონში წყალაფორეთის საკრებულოში.

ხონი, ხონის მთა, ხონის ჭალა დუშეთის რაიონში, რასაც ადასტურებს თავის ჩანაწერებში სერგი მაკალათია.

ხონი რქმევია ძველ დროში ბორჯომის რაიონის სოფელ ტაბისყურს (წითელსაყდარი).

ხონ-ჭიორი რაჭაში - ნამანევის საკრებულო.

ხორხონისი - ლეჩხუმში - იქაც წმიდა გიორგის სალოცავია.

ხონა და მეორე ხონა მესხეთში.

არხონკი - ოსეთში - საქართველოს საზღვრებს გარეთ. მასზე პრეფიქს-სუფიქსის ჩამოცილებით რჩება ხონი.

პროფესორი დავით ჩუბინაშვილი, ქართულ განმარებით "ლექსიკონში "ხონი" - "ხონჩას" განმარტავს, როგორც დიდ ტაბაკს, ე. ი. სეფილას. "ხონდაკი" "სამზარეულოა" და მას სპარსულიდან შემოსულად მიიჩნევს.

სულხან-საბას განმარტებით, "ხონი" დიდი, ფართო ტაბაკია, ხოლო "ხონჩა" სხუათა ენაა, ქართულად კი სიფილა და ტაბაკია (სულხან-საბა ორბელიანი - "თხზულებანი ოთხ ტომად", ტ. 2, 1966 წ. გვ. 425).

ასევე განმარტავს "ხონჩა"-ს და "ტაბაკ"-ს ქართული ლექსიკის საუკეთესო მცოდნე კონსტანტინე გამსახურდია.

შესაძლებელია სახელწოდება "ხონი", ხეთურ-მცირეაზიულ ამინდის (ტარროსის) ღვთაება ტარხუს დავუკავშიროთ ამგვარი ფონეტიკური სახეცვლილებით და ბგერათა მეტათეზისით: ტარო - ტარსონ - ტარხონ. მით უმეტეს, რომ ხონის რაიონში კინჩხაში, დღემდე შემორჩენილია ამ ღვთაების წარმართული წალკოტის ნაშთი.

ამგვარად, ხონის სახელწოდების შესახებ სახეზე გვაქვს რამდენიმე მოსაზრება.

მეგრული "ხონი" - "დახანიდან" მისი სახელწოდების მიღების შესახებ.

სვანთა სახელ "ჰონი"-დან მისი მომავლობის თაობაზე.

"ხონი" - "ხონჩი"-დან ამ სახელის წარმოშობის შესახებ.

ეგვიპტური "ხონსუ"-დან მისი მიღების შესახებ.

"ტარხონი"-დან მისი მიღების თაობაზე.

"ჰონოგურისთან" ხონის იგივეობის შესახებ.

ჩვენ, უფრო მისაღებად მიგვაჩნია "ხონი" - "ხონჩიდან" ხონის სახელწოდების დამკვიდრება. ამ შემთხვევაში, ის, ფართო, გადატანითი მნიშვნელობით, დიდ დასახლებას უნდა აღნიშნავდეს.

ტერმინი, მეექვსე საუკუნეზე ახალი არ უნდა იყოს. ალბათ ხონი მაშინაც ვრცელი დასახლება იყო.

ყოველ შემთხვევაში, ეს სახელი ერქვა ქალაქს საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე 1936 წლის 25 აპრილს, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, მას ალექსანდრე წულუკიძის სახელის უკვდავსაყოფად ქალაქი წულუკიძე და წულუკიძის რაიონი არ დაერქვა.

მწერალმა თენგიზ ბუაჩიძემ, პროფესორებმა: ლევან სანიკიძემ, ვასილ კიკნაძემ და ზურაბ ჭუმბურიძემ ქართულ პრესაში ყურადღება გაამახვილეს ძირძველი ტოპონიმების ხელოვნურად შეცვლის მანკიერ პრაქტიკაზე.

ხონის საზოგადოებრიობის კრებამ 1989 წლის მაისში, თხოვნით მიმართა რესპუბლიკის მთავრობას, მისთვის ისტორიული სახელის დაბრუნების თაობაზე, რაც დადებითად გადაწყდა.

თავი მესამე

ხონისა და ჰონოგურისის სხვადასხვაობის შესახებ

ხონის აღმოსავლეთით, მოხირისის შუაგულში მდებარეობდა ამავე სახელწოდების "შესანიშნავი ქალაქი მოხირისი", ის ამაყად გადასცქეროდა გუბის წყლის მარჯვენა პლატოდან კოლხეთის ვრცელ ვაკეს და მეხუთე-მეექვსე საუკუნეებში მთავარი ადმინისტრაციული ცენტრი იყო რიონ-ცხენისწყლის ქვემო, შუა მდინარეთში მოქცეული ვრცელი დასახლებებისა.

მემატიანე, პროკოფი კესარიელი "მოხირისის მხარეს" ეგრისის ყველაზე მდიდარ.ოლქად მიიჩნევდა (ს. ყაუხჩიშვილი "გეორგიკა", 1965 წელი, ტ. 2, გვ. 195).

ახლა ხონის ჰონოგურისთან მიმართების შესახებ.

ზოგმა მკვლევარმა დაუშვა მოსაზრება, რომ ხონი ეგრისში ბატონობისათვის ბიზანტიასა და ირანს შორის წარმოებული ხანგრძლივი ომების დროს (542-562 წ.) წარმოშობილი ციხექალაქი ჰონოგურისია.

აგათიას სქოლასტიკოსი აღნიშნავს, რომ ძველ დროში, ჰუნთა ტომი - ჰონოგურები შემოსევიან ეგრისს, ქართველებს მტერი დაუმარცხებია და გამარჯვების ადგილას დაუარსებიათ "ჰონოგურისი", გმირულად დაღუპულ წმინდა სტეფანეს სახელზე კი მისი სახელობის ეკლესია აუგიათ (სიმონ ყაუხჩიშვილი "გეორგიკა", ტ. 3, გვ. 52, 1936 წ.).

აღნიშნული ლეგენდა სარწმუნოდ მიიჩნიეს: ანდრეი მურავიოვმა (А. Муравёв, "Грузия и Армения", 1848 г. Ст. 236), მიხეილ სიმონიამ, გიორგი გოზალიშვილმა, თუმცა პროფესორმა პარმენ ზაქარაიამ "ჰონოგურის"-ს ნოქალაქევის ჩრდილო აღმოსავლეთით 15 კილომეტზე მიაკვლია, ხოლო მკლევარმა ზურაბ წიტაიშვილმა, ის მათხოჯის ციხესთან გააიგივა.

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ მეცნიერთა მოსაზრებები უფრო სურვილს ეფუძვნება, ვიდრე საისტორიო ფაქტებს და ადგილის გეოგრაფიას.

აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა სცადა ჰონოგურისის ლოკალიზაცია და აღნიშნა: "...უფრო სადღაც მარტვილის მახლობლად არის

საძიებელი... მაგრამ რას იზამ, "ვოლგით" უნაგირას ძებნა ძნელია. ბანძა ამ პუნქტად მისაღებად ეჩვენებოდა, სახელი "ონოღია" კი "ჰონოგურისს" დაუკავშირა.

ნიკო ბერძენიშვილმა, ტერმინი "ჰონოგურისი", "უნაგირადან" წარმოშობილად მიიჩნია.

აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი იზიარებდა მოსაზრებას, რომ ბერძნული "ჰონოგურისი", ქართულ "უნაგირას" შესაბამება და აგათიას ცნობების შეჯერებით ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიულ მონაცემებთან მიაჩნია, რომ ის მდებარეობდა მარტვილისა და ხონის რაიონების საზღვარზე აღმართულ უნაგირას მთაზე. მაგრამ მან ვერ შეძლო იქ ასვლა და ადგილის შესწავლა.

გავეცნოთ ისტორიულ ფაქტებს:

550 წელს, არქეოპოლისთან მარცხის შემდეგ, სპარსთა სარდალმა მერმეროემ მდინარე იპისის (ცხენისწყლის) მარჯვენა ნაპირზე, ოდნავ მოშორებით ააგო თხრილსიმაგრე. აქედან მოხირისის მხარე გადაჭიმული იყო ცხენისწყლიდან რიონამდე (ს. ყაუხჩიშვილი, "გეორგიკა", ტ. 2, გვ. 111, 119).

პროკოფი კესარიელი წერს, რომ მანამდე, სპარსელები მოხირისსა და ქუთაისში იყვნენ გამაგრებული.

552 წელს სპარსელებს გაუმაგრებიათ ცხენისწყლის დასავლეთით მდებარე სიმაგრე (სადაც ძველადაც არსებულა ბასტიონი) და შიგ რაზმიც ჩაუყენებიათ. ამ პუნქტს აგათია ჰონოგურისს უწოდებს ("გეორგიკა" ტ. 3. გვ. 60).

ეგრისელი დიდკაცის, თეოფობის ღალატის შედეგად, სპარსთა ხელში გადავიდა უქემერიონის ძლიერი ციხე, რომელიც კეტავდა ლეჩხუმ-სვანეთისაკენ მიმავალ სტრატეგიულ მაგისტრალს. ამრიგად, ქართველებს და ბიზანტიელებს ხელიდან გამოეცალათ ეს მხარე.

ე.ი. უქიმერიონი ცხენისწყლის ხეობაშია, სადღაც იქვეა ჰონოგურისი. მდინარისაგან ოდნავ მოშორებით, აღმოსავლეთ და დასავლეთ ეგრისის საზღვარზე.

553 წელს ტელეფისთან ბიზანტიელების დამარცხების შემდეგ, მერმეროემ ჰონოგურისი დაიჭირა და მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გამაგრდა, გაიჩინა პლაცდარმი და დაემუქრა არქეოპოლისს.

აგათიას გადმოცემით, ბიზანტიელებს რცხვენოდათ ჰონოგურისის

დაკარგვის გამო და 554 წელს სტრატეგ მარტინეს წაქეზებით, მასზე გაილაშქრეს.

სპარსულ გარნიზონს საფრთხე დაემუქრა, მაშინ ქუთაისიდან და მოხირისიდან მათ დასახმარებლად გამოეშურა რჩეულ ცხენოსანთა რაზმი. გამხნევებულმა მეციხოვნეებმა იერიში მიიტანეს ბიზანტიელებზე და "მოიპოვეს არამარტო ბრწყინვალე და საამაყო, არამედ შემოსავლიანი გამარჯვებაც".

ბიზანტიის 50 ათასიანი არმია პანიკამ მოიცვა, რის გამოც "კათარის წყლის" გადალახვისას მტერმა მეტად დააზარალა.

მკლევართა აზრით, "კათარის წყალი", მდინარე აბაშაა.

სპარსთა გარნიზონები იგზავნება მოხირისიდან და ქუთაისიდან. ე.ი. ჰონოგურისი მოხირისის გარეთაა. უკან დახეულმა ბიზანტიელებმა გადალახეს მდინარე აბაშა.

ჰონოგურისი რომ ცხენისწყლის აღმოსავლეთით მდებარე პუნქტი იყოს, აგათიას არ გამორჩებოდა, რომ ბიზანტიის ჯარმა, უკან დახევისას გადალახა ცხენისწყალი, რადგან ის სიდიდით აღემატება აბაშას.

აგათია ამ პუნქტს გულისხმობს ეგრისის არა იმ ნაწილში, რომელიც სპარსელებს უჭირავს (ე.ი. აღმ. ეგრისს), არამედ მის გარეთ, ცხენისწყლის დასავლეთ ნაწილში, მაგრამ არა დიდად დაშორებით.

აგათია მნიშვნელოვან პუნქტად მიიჩნევს ჰონოგურისს, ხოლო პროკოფი საერთოდ არ ახსენებს. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ პროკოფის დროს, ჰონოგურისთან ომი არ წარმოებდა, ხოლო უქიმერიონის ხშირი ხსენება განპირობებულია მისი სტრატეგიული მნიშვნელობით. ის და ჰონოგურისი ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებდნენ.

პროფესორ იური სიხარულიძის აზრით, ქვედა გორდის ციტადელი უქიმერიონის ციხესიმაგრეა (ი. სიხარულიძე, უქიმერიონის ადგილმდებარეობა "ძეგლის მეგობარი", 1970 წელი, №21, გვ. 39-41).

ამ მოსაზრებას ჩვენც ვეთანხმებით.

ჰონოგურისი რომ ცხენისწყლის დასავლეთ სექტორში მდებარეობდა, ამას ადასტურებს ბიზანტიელი სარდლების: იოანეს და რუსტიკეს სიტყვები:

"სპარსელებს ეჭირათ ჰონოგურისის ციხე, ჩამოგლეჯილი არქეოპოლისის მიდამოებიდან".

აქედან ცხადი ხდება, რომ ის მოთავსებულია მოხირისს გარეთ, იმ ოლქში, რომლის ცენტრია არქეოპოლისი. მისი დათმობა ბიზანტიელებისათვის მოასწავებს მათ აწინდელ სამფლობელოში (ცხენისწყლის დას, ეგრისი) მტრის შემოშვებას, ხოლო სპარსელებისათვის მისი შენარჩუნება ნიშნავს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ფეხის მოკიდებას. ე.ი. ის საზღვრის სიახლოვესაა, დასავლეთ ეგრისში, ოღონდ ცხენისწყლის სანაპირო ზოლში (ს. ყაუხჩიშვილი, "გეორგიკა", ტ. 3, გვ. 60).

საინტერესოა გავიხსენოთ ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვები იმერეთის საზღვრების შესახებ: "სიგრძე იმერეთისა არს ლიხის მთის თხემიდან უნაგირას გორამდე ძველად და აწ ქართლის საზღვრიდან ცხენისწყალამდე". სხვაგან მეცნიერი წერს: "ამ მთას თვლიდნენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად" (ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 777).

უნაგირას ქედი მართლაც იმერეთის საზღვართან, მათხოჯის პირისპირ, ცხენისწყლის გაღმა სოფელ ზედა ხუნწის გორაკებით იწყება.

ე.ი. ჰონოგურის-უნაგირა, ისტორიული მოხირისის გარეთაა და მისი აგათიასეული აღწერილობა ზუსტად შეესაბამება სოფელ ქვედა-ხუნწის მონაკვეთზე, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდგარ უნაგირას მთას. ის ნაპირიდან 600-700 ნაბიჯზეა, ზღვის დონიდან კი 246 მ სიმაღლეზე.

ჩვენს ამ მოსაზრებას მკვიდრ ნიადაგზე აყენებს არა მარტო ბიზანტიელ ავტორთა ცნობები, არამედ მიდამოს გეოგრაფია, ტოპონიმია, ნაციხვარის მასშტაბი და სხვა გარემოებანი.

ადგილობრივნი, ამ მთას, დღესაც "ნაჯიხუს" (ე.ი. ნაციხარს ა.ფ.) ეძახიან (გივი ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონის ტოპონიმიკა, 1977 წ. გვ. 112).

წლების განმავლობაში სამეცნიერო ექსპედიციებში მონაწილეობამ, ჰონოგურისის შესახებ, მოღწეული ცნობების დეტალურმა ანალიზმა, ცხენისწყლის ხეობის შესწავლამ ღვედიდან მაიდნამდე დაგვარწმუნა, რომ ჰონოგურისი ხუნწში მდებარე უნაგირა გორაა.

სწორედ ასეთი პუნქტი იქნებოდა არქეოპოლისსა და ქუთაისს შორის შუა გზაზე, ამავე სახელწოდების მთაზე.

გორაკის ვიზუალური დათვალიერებითაც ცხადი ხდება, რომ ის

უძველესი ნაციხვარია. მთის დასავლეთის კეხზე ჯერაც ჩანს ციხე-ქალაქის ნანგრევთა კონტურები, გალავნის ნაშთები, შენობათა ნანგრევები და ბრტყელი კრამიტი.

ჰონოგურისი თავისი მდებარეობით, რამდენიმე ფუნქციას ასრულებდა. კეტავდა ყველაზე მარჯვე ფონს მდინარის მათხოჯი-ხუნწის მონაკვეთზე, დარაჯობდა სატრანზიტო გზას აღმოსავლეთ ეგრისიდან დასავლეთის მიმართულებით, კეტავდა ლეჩხუმ-სვანეთისაკენ ცხენისწყლის ხეობით მიმავალ მაგისტრალს და ამავე დროს, უცილობლად, ბატონობდა როგორც ქვემო იმერეთზე, ისე სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილზე. აქედან ხელისგულივით ჩანს ქუთაისი (35კმ-ზე), ხონი 10 კმ-ზე, წყალტუბოს მაღლობები - 27 კმ-ზე, სამტრედია - 27 კმ-ზე. მასთან ერთი კილომეტრითაა დაშორებული მათხოჯის ანტიკური ხანის ციხე, 17 კილომეტრით მოხირისის (ნამაშევის) ციხე, ათით - გვაშტიბის, ოცით ბანძის, ცხრით უქიმერიონის ციხე-სიმაგრე.

უქიმერიონი და ჰონოგურისი, ერთ სექტორში მდებარეობენ, როგორც ვარაუდობდა განსვენებული სიმონ ყაუხჩიშვილი.

ჰონოგურისს მტერი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ვერ მოუვლიდა ხშირი ტყეებისა და გორაკების გამო. აგრეთვე აღმა ცხენისწყალი უფრო წყალმარჩხია და ძნელად გადასალახი, ბუმბუას ხიდს კი დარაჯი ეყოლებოდა.

1996 წლის ზაფხულში, მეგობრებთან ერთად დეტალურად მოვჩხრიკეთ უნაგირას გორაკები და მის დასავლეთ კეხზე გავზომეთ და ავგეგმეთ დაახლოებით 1 ჰა სიდიდის ნაციხვარი. ალაგ-ალაგ კარგად შემონახული ქვითკირის კედლების ნაშთები. გალავნის ზოგიერთი მონაკვეთი მეწყერს ღრმა ხევში ჩაუტანია.

უნაგირას კეხის უმაღლეს კონცხზე, რომელსაც შედარებით სწორი ფორმა აქვს, ჯერაც შეინიშნება ორი უზარმაზარი შენობის ნაშთები. დარბაზთა იატაკი, ნაპირის დამეწყვრის გამო ჩანს და მოპირკეთებული ყოფილა თიხის, გამომწვარი სადა ზოლებიანი ფილებით. კედლები ნაგებია ადგილობრივი (ბაბუშერის) თეთრი ქვით. შენობები გადახურული ყოფილა ბრტყელი ფორმის, კიდეებაზნექილი ქართული კრამიტით, რომელთა ზომებია 25X35, ხოლო იატაკის ფილებისა 20X35 სანტიმეტრზე.

სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლებთან შეინიშნება კარიბჭის ნანგრევები.

ეს უზარმაზარი ნაშთები, სწორედ ჰონოგურისია და არავითარი კავშირი არა აქვს ხონთან.

ხონი ცხენისწყლის აღმოსავლეთ ვაკეზეა და არა უნაგირისმაგვარ მთაზე. ის არც სტრატეგიული პუნქტია, და არც ლეჩხუმ-სვანეთისაკენ გზის ჩამკეტავად ივარგებდა, რადგან მტერს შეეძლო, მისთვის მოეარა ყველა მხრიდან, სივაკისა და დაბრკოლებების არარსებობის გამო.

ამიტომ, ზემოხსენებულ ავტორთა მოსაზრებები, ხონისა და ჰონოგურისის იგივეობის შესახებ, არადამაჯერებელია და მოკლებულია არგუმენტაციას.

თავი მეოთხე

ხონი ფეოდალურ ხანაში

ბიზანტიასა და ირანს შორის ომები, ეგრისის დასასაკუთრებლად, უშუალოდ ხონის შორიახლო, ცხენისწყლის ხეობაში მიმდინარეობდა. ამიტომ ლოგიკური იქნება ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობა დიდად შემცირდებოდა.

ქვემო იმერეთი, დიდად დაზარალებულა დასავლეთ საქართველოში მურვან ყრუს გამანადგურებელი ლაშქრობისას (736-738 წწ.).

ერთი ზეპირი გადმოცემით, რომელიც ქუტირ-გვაზაურის საზღვარზე ჩავიწერე (ინფორმატორი ე. რუხაძე) - "-აქ ისეთი მჭიდრო დასახლება ყოფილა, რომ თხა, ბანიდან ბანზე ხტებოდა და მოსახლეობა მურვან ყრუს გაუჟლეტია". მიუთითებენ ჭალიკუთხის ეკლესიის ნაშთზე, რომელიც არაბებს დაუნგრევია (ისევე, როგორც "ობუჯის" და "ტარეშის" ეკლესიები ხიდზე და კინჩხაში).

უკეთესი დღე არც ხონს დაადგებოდა.

ვახუშტის ცნობის თანახმად, არაბთა ლაშქრობისას დარქმევია ცხენისწყალს და აბაშას ეს სახელები, რადგან პირველს აბაშთა (ეთიოპელები) ტომი დაუხრჩია, მეორეს არაბთა ცხენ-კაცი (ვახუშტი ბაგრატიონი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 751).

მაგრამ როგორც დავინახეთ, ცხენისწყალს ეს სახელი რქმევია ანტიკურ ხანაში.

მირისა და არჩილ ერისმთავრის დაღუპვის შემდეგ, ამ უკანასკნელის შვილების: ჯუანშერისა და იოანეს დროს უნდა იყოს აგებული ხონის წმიდა გიორგის საყდარი.

სარგებლობდა რა, აგათიასეული ლეგენდით, ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი აღნიშნავდა, რომ ჰონოგურისი - "Это безъ сомнения нынышнии Хони".

თუმცა მეცნიერი იქვე ვარდება წინააღმდეგობაში, როცა წერს: - "ხონი დაუარსებია აფხაზთა მეფეს თეოდოსის 812 წელს და დაუნგრევიათ თურქებს" (П. Иоселианы - "Города существовавшие и Сущест-

вующие в Грузий", Тиф, 1850 г, ст. 70-71, თარგმანი ფაილოძისა).

კლასიკურ შუა საუკუნეებში, ცნობილ "მოხირისს", ცვლის ტერმინი "სამოქალაქო".

თ. ბერაძის დაკვირვებით, "სამოქალაქო" ეგრისის მეფეთა ადგილას მჯდომთა საპატრონო ქვეყანაა. XII საუკუნის ბოლოს, ვარდან დადიანი იჯდა ერისთავ-ერისთავად და სამოქალაქოც მის დაქვემდებარებაში იყო (თ. ბერაძე - "ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან", "საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", წიგნი 3, 1967 წელი, გვ. 159).

ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ქუთაისის სანახების აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი "სამოქალაქო" (მ. გაბაშვილი "საქართველოს ქალაქები XI - XII საუკუნეებში", 1981 წ. გვ. 48).

შუა საუკუნეებში, ადგილობრივი მოსახლეობის გადანაცვლება-მიგრაციისა და ქართულ-მესხური ეთნოკულტურის გაბატონების გამო, ტერმინი "მოხირისი" დავიწყებას მიეცა და მისი ადგილი, ახალმა სახელმა "სამოქალაქომ" დაიჭირა.

ბაგრატ მეოთხის დროინდელ წყაროებში მოიხსენიება - "ქუთაისის სამოქალაქოს ლაშქარი".

"მატიანე ქართლისაი" გვაუწყებს, რომ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად თურქთა მარბიელ ლაშქარს სამოქალაქოც აუოხრებია:

"ხოლო დღესა ივანობასა... არგვეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქთა, მოსრნეს და ტყუე იქმნა ამის ქვეყნის მკვიდრნი ყოველი" ("მატიანე ქართლისაი", "ქართლის ცხოვრება", ტ. 1, 1955 წ. გვ. 254).

დავით აღმაშენებლის დროს (1089-1125 წწ.), ხონი მოზრდილი და მნიშვნელოვანი დასახლება ყოფილა, რადგანაც ის საქართველოს კათალიკოსისათვის დაუქვემდებარებიათ ("ხონი მცხეთის მთავარეპისკოპოსის იყო" - ვახუშტი).

ნ. ბერძენიშვილს საეჭვოდ არ მიაჩნდა ეს ცნობა და განმარტავდა, რომ ბედიელ-ალავერდელის და სამოქალაქო ერისთავის ინსტიტუტი, სამთავნელ-მაწყვერელ-ჭყონდიდელის სახელოთა გაერთიანება ხონის დამორჩილება ქართლის კათალიკოსისადმი იმის მოწმობა იყო, რომ ახალი, ბატონყმური, ცენტრალიზებულად გაერთიანებული სახელმწიფო, მყარ ნიადაგზე დამყარებას ლამობდა (ნ. ბერძენიშვილი, "საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. 7, 1974 წ. გვ. 23-30, 90).

ხონის შესახებ ვახუშტის ცნობა, სარწმუნოდ მიაჩნია მეუფე ანანია ჯაფარიძეს და აღნიშნავს, რომ ხონის საეპისკოპოსო კათალიკოსს ექვემდებარებოდა და სომხურ წყაროთა თანახმად, მცხეთელი კათალიკოსი კირიონი "წინანდელ წესთა თანახმად" ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო (ანანია ჯაფარიძე - "ჟამთა აღმწერლობა ჭეშმარიტ ის მეტყველება არს", "სახალხო განათლება", 1990 წ. 17 მარტი, გვ. 13).

ხონის საყდრის აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილია წარწერა, რომელშიც თამარი და მისი შვილი გიორგია მოხსენებული, მათი ამ საყდრისადმი გაწეული ღვაწლის გამო. ამ წარწერამ მარი ბროსეს, ანდრეი მურავიოვს, დიმიტრი ბაქრაძეს, ექვთიმე თაყაიშვილს აფიქრებინა, რომ ტაძარი თამარის დროს არის აგებული. ახლახან ფასადზე აღმოჩნდა თამარის მემკვიდრის გიორგი IV წარწერა.

თუ "ამირანდარეჯანიანის" ავტორი ხონიდან იყო, მაშინ ის განათლებისა და კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა, თუმცა მოსეს "ხონელობა" არა გვგონია მხოლოდ სადაურობას აღნიშნავდეს, ის შეიძლება "სახელოც" იყოს.

მოსეს "ხონელობას" კიდეკ დავუბრუნდებით, მთავარია ჩვენთვის იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონების, ე. თაყაიშვილის და ზ. ჭიჭინაძის აზრი - "ხონი ძველ ჟამშიც ქალაქი ყოფილა"-ო.

აღსანიშნავია წარწერა ხონის წმიდა გიორგის დიდ ხატზე, რომლიდანაც ირკვევა, რომ ხონელი აზნაურები მძლავრი და ანგარიშგასაწევი ძალა ყოფილა. ისინი დიდ შეწირულობებს უბოძებდნენ ხოლმე ეკლესიას.

ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ხონის ეკლესია გადაუკეთებიათ ვამიყ დადიანის დროს (1384-96 წწ.) მისი ხელმძღვანელობით და სახსრებით.

საამისო საბუთები არ შემონახულა და ეს ცნობა უფრო ფოლკლორს ეფუძნება. სხვა ადგილას კი სახელოვანი მეცნიერი წერს, რომ ხონის საყდარი XI საუკუნეში არის აგებულიო.

ბაგრატ მესამე იმერთა მეფე და ხონი

ხონი დავალებულია იმერთა მეფის, ბაგრატ მესამის მიმართ კეთილი ხსოვნით. ბაგრატს (1510-48 წწ.) ხონში გარკვეული საამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებია. მის მიერ არის აგებული ხონის საყდრის ორსართულიანი, ოთხკუთხა ფორმის, მონუმენტური სამრეკლო, რომელიც აკადემიკოსს ვახტანგ ბერიძის დაკვირვებით სწორედ XVI საუკუნის ძეგლია.

1510 წელს თურქ-ოსმალთა ჯარებმა იმერეთი ააოხრა და გადასწვა ეკლესია-მონასტრები.

ბაგრატმა სამცხის გასათავისუფლებლად ხანგრძლივი ომები აწარმოა, ქართლის მეფე ლუარსაბ პირველთან (1527-56 წწ.) ერთად. მართალია ქარაღალთან და მურჯახეთთან ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ სოხოისტასთან (1545 წ.) დამარცხდნენ.

დამარცხებულმა იმერთა მეფემ, წმიდა რელიქვიები სამცხიდან იმერეთში ჩამოასვენა. XVI საუკუნის ხონურ საბუთებში უკვე მოიხსენიება "ანჩის ხატი", რომელიც ანჩის საკათედრო ტაძრიდან ხონში ბაგრატის მიერ უნდა იყოს გადმოტანილი.

ბაგრატმა დააწინაურა ჩხეიძეთა გვარი. მის დროს ხონელი ეპისკოპოსი მანოველი, ქუთათელი გერმანე, ბედიელი გერასიმე, ჯუმათელი სვიმონი, სამეფო სახლთუხუცესი ხოფილანდრე და აფხაზეთის კათალიკოს ევდემონი ამ საგვარეულოს ეკუთვნოდნენ.

ბაგრატს, საგარეო პირობების გართულებასთან ერთად, არც ოჯახში ქონდა მშვიდობა. თავის 1510-24 წლების ერთ სიგელში ასახელებს თავის ძმებს: ვახტანგს და დავითს.

სწორედ მომდევნო ძმა ვახტანგ ბატონიშვილი განუდგა მეფეს. მათ შორის ომი მოხდა მოხისთან, მეფემ გაიმარჯვა და შეირიგა გამდგარი ძმა.

თეიმურაზ ბატონიშვილმა 1525-50 წლებში ბიჭვინთის საკათალიკოსო საყდარს შესწირა ხონელი და კუხელი 20 კომლი გლეხი.

უფლისწულის მიერ ათობით გლეხის გადაცემა საკათალიკოსო საყდრისადმი, გვაფიქრებინებს, რომ იმერეთის სამეფოში, საუფლისწულოებს უკვე ჩაყრილი ჰქონდათ საფუძველი.

თვით ბაგრატ მეფემ 1529 წლის საეკლესიო რეფორმით ხონის

სასულიერო ეპარქია დააარსა და მას გადასცა 50 კომლი სამეფო გლეხი.

ბაგრატ მესამის დროს, იმერეთის სამეფოს საბოლოოდ გამოეყო ოდიშის სამთავრო. ამის მიზეზი გახლდა მეფის სურვილი, დაესაჯა ლევან დადიანი, რომელიც სოხიოსტას ომში ჯარით არ მიეშველა.

"ახალი ქართლის ცხოვრება" გვაუწყებს, რომ "აწვია (მეფემ ა.ფ.) დადიანი ლევან ჭალასა ხონისასა, უღალატა და შეიპყრა დადიანი ლევან ამის მიზეზისათვის, რომ მაშინ ურუმზედ დადიანმან არ ულაშქრა".

ვახუშტი ბაგრატიონი მართალია დადიანის შეპყრობის ადგილს არ ასახელებს, მაგრამ წერს: "მოუწოდა მეფემან ბაგრატ ლევან დადიანსა, რეცა დარბაზობად და შეიპყრა იგი ზაკვით".

ამ მოვლენას მემატიანე 1546 წლით ათარიღებს.

ტყვე-მთავარი, გელათის მონასტრის სამრეკვლოდან გააპარა სამცხის ათაბაგისაგან მოსყიდულმა ხოფილანდრე ჩხეიძემ. ის გაიქცა და მშვიდობით დაუბრუნდა თავის სამთავროს.

ლევან დადიანმა სულთანს ძვირფასი ლალი მიართვა და მოურიგდა (1558 წ.).

იმერეთის მეფეც იძულებული გახდა თურქთა ბატონობა ეცნო, ყოველწლიური ხარკის გადახდის პირობით.

ვფიქრობთ ცდებიან ჩვენი ისტორიკოსები, როდესაც ბაგრატ მეფის გარდაცვალების თარიღად 1565 წელს ვარაუდობენ.

საგარეო და საშინაო პოლიტიკაში სასტიკ მარცხს, ვფიქრობთ, მისი ჯანმრთელობა უდროოდ უნდა გაეტეხა.

ამიტომაც სწორია ე. თაყაიშვილის მოსაზრება, რომ მეფე 1548 წელს გარდაცვლილა რასაც ასაბუთებს გიორგი მეორეს სიგელი წულუკიძეებისადმი.

ხონი გიორგი მეორის, იმერთა მეფის დროს (1548-1585 წლები)

ხონი, კონტუათი და მათხოჯის მეფის დომენში შედიოდა.

იმერეთის მეფის საკუთრებას წარმოადგენდა: ნამაშევის, გვაშტიბის და ხონის ციხესიმაგრეები.

"ხონის ციხესიმაგრე"- იგივე ეკლესიის მაღალი, ქონგურებიანი გალავანი იყო.

გიორგის მეფობისას კიდევ უფრო გართულდა საგარეო ურთიერთობა.

1555 წლის ამასიის ზავით, ირანმა და თურქეთმა ამიერკავკასია ორად გაიყვეს. იმერეთის სამეფო, გურია და ოდიში, იმიერ ტაოთი ოსმალეთს ერგო. მაგრამ ისინი თავიანთ წილს არ დასჯერდნენ და მთელი სამცხე დაიჭირეს, შემდეგ კაფა (თეოდოსია) აიღეს და დასავლეთ საქართველო პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში მოაქციეს. შეწყდა რკინისა და მარილის შემოტანა, დაკნინდა ქალაქები, ფულად-სასაქონლო ურთიერთობა, გამეფდა ნატურალური მეურნეობა და გაძვირდა ფული. სახსრების მოსაპოვებლად ჩვეულებრივი საქმე გახდა ტყვის სყიდვა, რასაც ყოველმხრივ ხელს უწყობდა თურქეთის მთავრობა. ამ უკურნებელ სენს დაემატა ეკლესიათა ძარცვა, ციხეთა დაქცევა, ყაჩაღობა, შინა ომები, მოარული სენი და შიმშილიანი წლები.

დაეცა ზნეობა, გაბატონდა ათასგვარი უზნეობა.

სწორედ უასახელებული უკულმართობათა ამოსაძირკვად, გიორგი მეფემ მოიწვია დიდი საეკლესიო კრება, რომლის მუშაობაში სხვებთან ერთად, ზაქარია ხონელი - მთავარეპისკოპოსიც მონაწილეობდა, თუმცა ამ ღონისძიებამ ქვეყანა ვერც განკურნა და ვერც დაიხსნა.

სცდება ვახუშტი ბაგრატიონი, როცა ამ კრებას XVI I საუკუნით ათარიღებს.

სარგის კაკაბაძემ გაარკვია, რომ ეს ღონისძიება XVI საუკუნის 50-იან წლებში ჩატარებულა.

მას დაეთანხმა პროფესორი დავით გვრიტიშვილიც.

მეფე გიორგიმ დაამკვიდრა ხონში რაჭველ თავადთა - წულუკიძეთა ერთი შტო.

ეს ამბავი მოჰყვა ერთ შეთქმულებას.

მეფემ ცხუნკური და მისი შემოგარენი, 1565-68 წლებში, უბოძა აზნაურ ბეჟან ნემსაძეს, რომელმაც წყალობას ღალატით უპასუხა და შეთქმულებს: დადიანს, ლიპარტიანს და ვარაზა ჭილაძეს აცნობა, მეფე იანეთში იმყოფებაო. ფეოდალებს ტახტზე ხოსრო ბატონიშვილის დასმა სურვებიათ, მაგრამ მეფეს ისინი დაუფანტავს და თვით მშვიდობით გარიდებია.

ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ 1568 წელს გიორგის უღალა-

ტა: "ვახტანგის ძის ძემ ხოსრომ (ე.ი. ბიძაშვილის შვილმაო ა.ფ.) თავს დაესხნენ მეფეს იანეთში, მაგრამ ვერა ავნეს რა".

XVIII საუკუნის ერთი კინკლოსის ცნობით "... გაურისხდა ღმერთი ხოსროსა, ვახტანგის შვილსა, უღალატა მეფეს გიორგის, ძესა ბაგრატისასა".

ამავე წელს, ისეთი შავი ჭირი მოსდებია იმერეთს, რომ იმავე კინკლოსის ცნობით, ათასობით ქრისტიანის სული უმსხვერპლია.

ხოსრო ბატონიშვილი, იმ ვახტანგის შვილიშვილია, მუდამ რომ ძმას, ბაგრატს ეკირთებოდა. მოხისის ომის შემდეგ, მეფემ მას ალბათ მამული უბოძა ხონთან, ხოლო მამის სიკვდილის შემდეგ მეპატრონე ხოსრო გახდა.

წყაროებში ბევრჯერაა ნახსენები ხონთან არსებული "მეფის სასახლე" და "ნასასახლარი". ეს ტოპონიმი 1570 და 1802 წლების "წყალობის წიგნებითაც" დასტურდება.

თავის ერთ ადრეულ ნაშრომში, მკვლევარმა ოლია სოსელიამ "ხოსრო" ბატონიშვილად კი არა იმერელ თავად ღოღობერიძედ მიიჩნია, თუმცა 1990 წელს ეს მოსაზრება ძირეულად გადასინჯა.

მკვლევარს მიაჩნია, რომ იმერეთში იანათის ბრძოლისას საუფლისწულო მამულები არ იყო, 1587 წელს გამოყვეს და ისიც ზემო იმერეთში.

ასეთი დასკვნა, ვფიქრობ ეწინააღმდეგება "ბიჭვინთის იადგარის", ვახუშტი ბაგრატიონის, ზემოთ დამოწმებული კინკლოსის და გიორგი მეფის 1570 წლის სიგელის შინაარსს, რომელსაც ეხლა გავეცნობით.

იანეთის ბრძოლის შემდეგ, ცხადია, ხოსრო ბატონიშვილი შერისხული იქნებოდა. ამიტომაც მისი სასახლე და გლეხები: სულათაძეები, ჯალაღანიები, ყირყიზელაშვილები, ბალავაძეები, სვანიძეები, თედორაშვილები, ჩირგაძეები, ჭავჭანიძეები, ყვინჩია, ჭანტურიშვილი და კიკალიშვილი მეფემ გადასცა დავით წულუკიძეს.

თავადს საძვალედ მიეცა ხონის საყდარი, გადაეცა წისქვილები, "სახასო სანადიროები და სასახუნდროები", საყანეები მდინარე წყალტუბომდე, მაღლაკის თავამდე და "ჩიჩიას ფონი კუხამდე" (შ. ბურჯანაძე - "ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურიაოდიშის სამთავროებისა 1466-1770 წლები", 1958 წელი, გვ. 18-19).

პროფესორი შ. ბურჯანაძე,. ამ სიგელს 1570 წლით ათარიღებს, რადგან მეფეს ის გაუცია თავისი მეფობის 22-ე ინდრიქტიონს, ანუ

1548 + 22 = 1570 წელს.

ამ საბუთით ცხადია, რომ გიორგი გამეფებულა 1548 წელს და არა 1565 წელს. ის რომ 1565 წელს გამეფებულიყო, მისი მეფობის 22-ე წელი 1587 წელზე მოვიდოდა, მაშინ კი მეფე გიორგი გარდაცვლილი იყო.

ამიტომ, არ უნდა იყოს სწორი, აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, რომელიც ამ საბუთს 1586 წლით ათარიღებს (ნ. ბერძენიშვილი - "საქართველოს ისტორიის საკითხები", 1964 წ. 1, გვ. 197).

ამრიგად, წულუკიძეები ხონში 1570 წელს დამკვიდრდნენ.

გიორგი მეფის მიერ მოჭრილი ქართულსიქიანი, უკანასკნელი მონეტები ხონთან ახლო, ჯიხაიშშია ნაპოვნი, რაზედაც ამ წიგნის პირველ ნაწილში ვისაუბრეთ.

ამავე პერიოდში, გიორგი დადიანმა (1572 წლის შემდგომ) ბიჭვინთის საკათალიკოსო საყდარს შესწირა - "მათხოჯის სასახლე და მონასტერი 40 კომლი გლეხით და 2 აზნაურიშვილი რატიანით, სანადიროთი, შემოსავალ-გასავლით" ("ქართული სამართლის ძეგლები", 1965 წ. ტ. 2).

ამავე სოფელში საქუთათლო ეპარქიას ეკუთვნოდა 50 კომლი გლეხი.

მთავრის მიერ, მათხოჯის ტერიტორიაზე სასახლის, მონასტრის, მამულის და გლეხების საკუთრებაში ყოლა, ჩვენის აზრით, იმ დროის მემკვიდრეობა უნდა იყოს, როცა დადიანები სამოქალაქოს ერისთავთ-ერისთავები იყვნენ და ამრიგად, იმერეთში დიდძალ მამულს ფლობდნენ.

გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ (1583 წელს), იმერეთის ტახტი დაიჭირა მისმა მცირეწლოვანმა შვილმა ლევანმა. მას კი როსტომ კონსტანტინეს ძემ დაუწყო კირთება.

1588 წელს, ქართლის მეფემ, სვიმონ პირველმა იმერეთი დალაშქრა, გოფანთოსთან ლევანი დაამარცხა და "ცხენისწყლის აქეთნი თავადნი ზოგნი მოუვიდნენ, ზოგნი არა".

მანუჩარ დადიანმა ლევან მეფის მტრობა იწყო, შეიპყრო და შხეფის ციხეში გამოკეტა, საიდანაც იმერეთის ახალგაზრდა მონარქი ცოცხალი ვეღარ გამოვიდა..

მისი ჯიბრით, იმერეთში ანარქიის აღკვეთის მიზნით, სვიმონ მეფემ 1590 წელს მეორედ გაილაშქრა იმერეთზე, თუმცა დადიანმა და როსტომმა ოფშკვითის ომში სასტიკად დაამარცხეს და მარტოდმარტო ილტვოდა ქართლისაკენ.

ჩაიშალა საქართველოს გაერთიანების ეს ცდაც.

გიორგი მესამის დროინდელი იმერეთი

იმერეთის მეფე როსტომი 1604 წელს გარდაიცვალა.

ტახტი ერგო მის ძმას - გიორგის, რომლის მმართველობის წლები (1605-39 წწ.) ემთხვევა ოდიშში მძლავრი, ჭკვიანი, ენერგიული და მიზანსწრაფული, მაგრამ ვერაგი, დაუნდობელი ლევან მეორის (1611-57 წწ.) მმართველობას.

1614 წლის 13 დეკემბერს ოსმალეთის მთავრობამ, ბათუმში, გურიელთან მოლაპარაკება გამართა და ხარკზე დაითანხმა.

1615 წლის თებერვალში, ასეთსავე პირობებზე მოურიგდნენ დადიანსაც. გიორგის მეფობის წლებში კათალიკოსის, ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი მთავარეპისკოპოსის სახელო, ერთდროულად ეჭირა მალაქია გურიელს, მაგრამ მისი ცდა მეფე - მთავართა შორის მშვიდობის დასამყარებლად ამაო იყო.

ლევან დადიანმა, დაიწყო ბრძოლა დასავლეთ საქართველოში პირველობისათვის. ამ მიზნით მუდამ იმერეთს და აფხაზეთს ლაშქრავდა.

1623 წლის 9 დეკემბერს, დადიანმა დიდძალი ჯარით ხონთან ცხენისწყალი გადალახა და იმერეთს შეესია, ქვემო იმერეთი ააოხრა და გოჭორაულთან სასტიკად დაამარცხა იმერეთის ჯარი. გამარჯვებულს დიდძალი ტყვე დარჩა და პაატა წულუკიძის რჩევით, ყველას ფულადი გამოსასყიდით დაახსნევინა თავი.

შინა ომებში ეს პირველი შემთხვევა იყო.

დადიანმა სვიმონ გურიელი ტახტიდან ჩამოაგდო, გურიის მთავრად მალაქია კათალიკოსი დასვა და ძალაუნებურად მისი ხელისშემყურე გახადა.

როსტომ ქართლის მეფემ, შაჰის დასტურით, 1634 წელს, კავშირი შეკრა ლევან დადიანთან და მის და მარიამზე იქორწინა, რაც იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ იზოლაციას მოასნავებდა.

გიორგი მეფემ რევანში გადაწყვიტა და მაყრიონებს გზა ჩაუკეტა

ბაღდადთან, ხანის წყლის ხეობაში. მას თან ახლდა თეიმურაზ პირველი დიდი ამალით.

მოვლენები იმერთა საზიანოდ განვითარდა. მეფე მაშინ დაატყვევეს, როცა ჯორზე ამხედრებული მოწინააღმდეგეთა ძალების დასაზვერვად გამოვიდა.

უმეფოდ დარჩენილი ჯარი ოდიშარებმა მალე გაფანტეს და ბევრი წარჩინებულიც დაატყვევეს. მათ შორის კახელი თავადი ბარძინ ვაჩნაძე, რომლის შთამომავლები ახლაც ცხოვრობენ გორდსა და ხონში.

მალაქია კათალიკოსის მაყრიონი, ექვსი თვე ისტუმრა როსტომ მეფემ ქართლში.

ამ ომის შესახებ მოგვითხრობს ხონის წმიდა გიორგის ხატის წარწერა, რაზედაც ჩვენ საუბარი უკვე გვქონდა. გამარჯვების სამადლობლად დადიანმა ხონის ეკლესიას შესწირა აგრეთვე ყმა-მამიკაცი სანოძე.

მეფის გამოსახსნელად, ალექსანდრე ბატონიშვილმა დადიანს დაუთმო იმერეთის სანაპირო ზოლი, ხონის ეპარქიის ნაწილი, სამიქელაო და საჭილაო, მისცა მრავალი ოქროსა და ვერცხლის ნივთი. ხარბი მთავარი ამას არ დასჯერდა და ჩხარში მოსახლე 50 კომლი სომეხი და ებრაელი ვაჭარი მოითხოვა. "რაც ჩხარში ვაჭრები ესახლნენ, სომეხნი, დადიანმან რუხის ქალაქი იამებით აღაშენა"- წერს ფარსადან გორგიჯანიძე (ს. კაკაბაძე - "ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია", "საისტორიო მოამბე", 2, გვ. 241).

იმდროინდელი ისტორიკოსები და მისიონერები, იმერეთისა და სამეგრელოს მტრობის წამქეზებლად ხონელ თავადს, პაატა წულუკიძეს მიიჩნევენ, რომელსაც გიორგი მეფემ მამულები ჩამოართვა და გააძევა. ის დადიანს ეახლა, მისი პირველი ვეზირი შეიქმნა და მუდამ იმერეთზე აქეზებდა.

დადიანს ნაქეზება რაში სჭირდებოდა, ძილში და ღვიძილში მუდამ იმერეთის ტახტ-გვირგვინი ეზმანებოდა.

ივ. ჯავახიშვილის, ს. კაკაბაძის და დ. გვრიტიშვილის მიხედვით, ომი ბაღდადთან 1634 წელს მომხდარა. ამას ადასტურებს ილორის წმიდა გიორგის (1651 წ.) და ხონის 1636 წლის ხატის წარწერები.

1639 წელს გიორგი მეფე გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა ალექსანდრე მესამე (1639-60 წწ.). ამავე წელს გარდაიცვალა მალაქია კათალიკოსი, რომელიც ერთგვარად აცხრობდა დადიანის ვნებებს.

ოდიშის მთავარმა სულ აიშვა თავი. ჩამოასხა 30-მდე ზარბაზანი, დაესხა ქუთაისს, სამეფო სასახლეები მიანგრ-მოანგრია, ქვეყანა დაათარეშა და ათასობით ტყვე წაასხა, იმერთა მეფემ მხოლოდ დამალვა "მოახერხა".

ყოველ საუფლო დღესასწაულზე დადიანი აოხრებდა იმერეთს, უხეირო ხელმწიფე კი თავისი დიდებულებით ქუთაისის ციხეში შეიხიზ-ნა და მიყუჩდა.

ერთ-ერთი ბრძოლისას, დადიანმა დაატყვევა მეფის ძმა მამუკა ბატონიშვილი, რომელიც ღვთის იმედით მამაცურად ებრძოდა ოდიშარ მაოხართ. მეფემ ვერ შეძლო ძმის გამოხსნა, თუმცა ტახტის მემკვიდრე მძევლად გაუგზავნა ზვიად მთავარს.

"-უჯერო არს განტევება მტრისა, რამეთუ მოიცემს რა ძალსა, კუალადმცა არს მტერი" (ვახუშტი, გვ. 831) - არწმუნებდა მთავარს ხონელი თავადი პაატა წუწკი.

გაბოროტებულმა დადიანმა ტყვეს თვალები დასთხარა. წამებული ბატონიშვილი 1654 წელს გარდაიცვალა. თვით დადიანის დამ, მარიამმა, სიძემ - როსტომ მეფემ, მთელ ერთან ერთად მწუხარებით დაიტირეს, უბედური ბატონიშვილი, ნამდვილი ფარი უსასოო იმერეთისა.

1645 წლის იანვარ-თებერვალში დადიანმა სამჯერ დალაშქრა იმერეთი, დასწვა გელათი და აჯამეთის სასახლე, მოარბია არგვეთი, ვაკე, ხონი და ათასობით ტყვე წაასხა.

მაშინ იმერეთის მეფის თხოვნით, თურქეთის სულთანმა, ექვსი საფაშოს ჯარი შეუსია სამეგრელოს. ქვეყანა გადასწვეს და დიდძალი ტყვე წაასხეს. აქამდე შაჰის მოიმედე მთავარი, ისევ სულტნის მოხარკე გახდა (ს. კაკაბაძე - "საქართველოს მოკლე ისტორია", გვ. 60).

ცნობილია, რომ მეფეზე ჩამტერებული დადიანი, განსაკუთრებული სისასტიკით არბევდა მის კუთვნილ დაბებს და სოფლებს, ხონს და მიმდებარე ვაკეს.

მთავარი დიახაც სწყალობდა ეკლესია-მონასტრებს, მაგრამ სასტიკ შინაომებში ძნელი გასარჩევი იქნებოდა სამეფო, საეკლესიო თუ თავადის კუთვნილი გლეხები.

მისიონერები დადიანის მაოხარ ლაშქრობებს პაატა წულუკიძის ინტრიგებით ხსნიან. მას ლამბერტი "პაპუნას", ხოლო ჯუდიჩე "პაპუა წულუკიას" ეძახისა.

ჩვენი მემატიანეების: გორგიჯანიძის, ეგნატაშვილის და ვახუშტი

ბაგრატიონის მიერ დასახელებული და ეს პიროვნებები ვფიქრობთ ერთი და იგივენი არიან, თუმცა მკვლევარი ოლია სოსელია ამას არ ეთანხმება (ო. სოსელია - დასახელებული წიგნი, გვ. 37).

ლევან დადიანის სიკვდილამდე, ეს თავადი დიდ პატივში იყო. მისი ვაჟიშვილია თავადი მერაბ წულუკიძე, რომელიც თავს მიიჩნევდა ლევან მეორის გაზრდილად და ოდიშის ვრცელ მამულებს ძმის, სვიმონის მეშვეობით მართავდა.

პაატა წუნკის ძმა უნდა ყოფილიყო თავადი ქაიხოსრო წულუკიძე, რომელსაც პალესტინის ქართული სავანეებისათვის დიდი სახსრები გაუღია. ორივე თავადის ფრესკული გამოსახულება ჯვრის მონასტერში უხილავს ტიმოთე გაბაშვილს.

მერაბ წულუკიძე, დიდი და გოროზი მებატონე იყო. მან ზაალ ფალავანდიშვილს "მოდინახე" ციხე წაართვა და წერეთელს მიჰყიდა. ჩამტერებულმა ზაალმა დააბეზღა და მეფეს სიკვდილით დაასჯევინა.

რაჭის ერთ ეკლესიის წარწერაში ქტიტორი მერაბი ბრძანებს:

"პირველ ოდიშსა დავიპყარ მამული მეტად ბევრია,

მერმე აქ (რაჭას ო.ს.) ჩემი სამკვიდრო, ყველგან მოვშალე მტერია,

ინროთას აქათ ხონამდის და ხონიც შიგან ერია".

რატომაც არა: რაჭაში სამი ციხესიმაგრე ჰქონდა (ხოტერი, ნაგორევი და პატარა), საძვალედ ნიკორწმინდისა და ხონის ტაძრები, სამეგრელოსა და ხონის სიახლოვეს მჭიდროდ დასახლებული დაბები. წულუკიძეთა სამფლობელოს ზუგდიდთან ეხლაც "ნაწულუკუს" ეძახიან.

თავადმა მერაბმა საკათალიკოსო საყდარს შესწირა გვიშტიბის სასახლე და გლეხები: შვანგირაძეები, ჩამჩიძეები, ნამგალაძე, დონაძე.

როცა შვილის სიკვდილისგან გულდამეხილმა დადიანმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, გამოძვრა სამალავიდან იმერეთის მეფე, გადალახა ცხენისწყალი ხონის ჭალასთან, დიდის რიხით მიუხდა ზუგდიდს, ტახტიდან გადააგდო ლიპარიტი და მთავრად ლევანის ბიძაშვილი, ვამიყ გიორგის ძე ლიპარტიანი დასვა. შემდეგ დადიანის მდიდარი საუნჯეები გაძარცვა და ქუთაისს მიაშურა.

1658 წელს, მეფემ და ვამიყ დადიანმა ბანძასთან ომში სასტიკად დაამარცხეს ლიპარიტის მომხრეები. დადიანი დაიღუპა. ამ ომში კულაშოს ბატონმა ოტია მიქელაძემ საკუთარი სიძე - ლევან აბაშიძე განგმირა. შემდეგ მეფეს დანებდა ცოდვით დამძიმებული, მან კი

მოღალატეს გახურებული ზუმპით გამოსთხარა თვალები.

მეფემ გურიის მთავრად სვიმონის ძმა - ნაბერალი დემეტრე დასვა.

ალექსანდრე მეფემ იოანე აგიაშვილს (ომათმადიძეს), 50 კომლი გლეხი უბოძა ვაკე-იმერეთში, რადგან თავადმა წარმოადგინა დავით აღმაშენებისეული სიგელი, რომლის თანახმადაც, მისი წინაპრები დასავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალები ყოფილან (ს. კაკაბაძე - "იმერეთის ციხისთავთა შესახებ XVII საუკუნეში", "საისტორიო მოამბე", 1925 წ. 1, გვ. 86-96).

იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამე 1660 წლის ერთ სიგელში ამბობს: "ხვანთქრის ხარაჯას იმერეთში მოკრეფდნენ, მოკითხული ვქენით და არ გარდახდათ ხონის წმიდა გიორგის ყმას და ხუთ კუამლს კაცს ილორის წმიდის გიორგის ყმას" ("საისტორიო მოამბე", 1925 წ. 1, გვ. 161).

ამ მამულს აგიაშვილებმა XVIII საუკუნის ბოლოს შეჰმატეს ხონელი მთავარეპისკოპოსისგან შესყიდული გლეხები და ხონში სასახლეც გაიჩინეს.

ლევან დადიანის მაოხარ ლაშქრობებს განსაკუთრებით ვაკე-იმერეთ-ხონის მიდამოებები გაუვერანებია. იმერეთის მეფემ, გაითვალისწინა ხონის საეპარქიო და ილორის წმიდა გიორგის ყმების გაჭირვებული მდგომარეობა და ისინი "ხვანთქრის ხარაჯისაგან" გაათავისუფლა (ს. კაკაბაძე - "საეკლესიო საბუთები" 11, 1921 წ. გვ. 173-174).

თავისი მძლავრობის წლებში, ლევან დადიანმა, ხონის საყდარს მრავალი შეწირულობა და ყმა-გლეხი უბოძა, რაზედაც გვქონდა საუბარი.

დიდი შინაომები დასავლეთ საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს

1660 წლის პირველ მარტს ალექსანდრე მეფე გარდაიცვალა.

გამეფდა მისი ძე ბაგრატ მეოთხე, რაც დიდად იწყინა მისმა დედინაცვალმა, თეიმურაზ პირველის ასულმა დარეჯანმა, ტახტიდან ჩამოაგდო და დააბრმავა გერი. ქმრად ვახტანგ ბაგრატიონი (ჭუჭუნაიშ-

ვილი) დაისვა და გამეფდნენ.

ვამიყ დადიანმა ჯარი შემოიკრიბა, ქუთაისი დაიჭირა, გაძარცვა იმერეთის მეფეთა მდიდარი საჭურჭლეები და მარტო განძი თორმეტი ურმით გაგზავნა ზუგდიდს.

საქმეში ვახტანგ მეხუთე (შაჰნავაზი) ჩაერია და ვამიყს შეუთანხმდა, რომ იმისი ქალი, არჩილ ბატონიშვილს შეერთო ცოლად, მაგრამ ოდიშის მთავარმა სიტყვა არ შეასრულა და ასული ჯიხაიშის ბატონს, ბეჟან ღოღობერიძეს მიათხოვა. განრისხებულმა ქართლის მეფემ, ღოღობერიძე მოაკვლევინა, ვამიყი იმერეთიდან განდევნა.

იმერეთში მეფედ დასვა არჩილ ბატონიშვილი, რომელმაც იმეფა მხოლოდ 1663 წლამდე.

ოდიშის მთავრად ლევან მეორის ძმისწული, შამადავლე იოსებისძე დაჯდა, ლევან მესამის სახელით (1661-1683 წწ.), მან ცოლად შეირთო ვახტანგ მეფის ძმისწული - თამარ ბაგრატიონი, რომელიც დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა ცილობის საგანი გახდა მთელი 22 წლის მანძილზე (თამარ ცბიერი).

შესანიშნავი პოეტი და სუსტი პოლიტიკოსი არჩილი, ხუთჯერ გამეფდა იმერეთში და ხუთჯერვე ხანმოკლე დროით.

მან შესწირა ხონის საყდარს ვაჭარაძეები და სვანიძეები.

1668 წელს, ბაგრატის მეფობისას, დარეჯან დედოფლის მიერ მოწვეულმა თურქთა ჯარმა სასტიკად ააოხრა იმერეთი - "მოსრნეს, მოსტყუევნეს იმერეთი, შემუსრნეს მრავალნი ხატნი და ჯვარნი, მოსწუნეს ქუეყანანი და ეკლესიანი".

კვლავ გაამეფეს დარეჯანი და ვახტანგი, ოღონ ხანმოკლე დროით...

1666 წელს ბაგრატ მეფის ჯიბრით, სამეფოს სახლთუხუცესმა სეხნია ჩხეიძემ ქუთაისის ციხეში ოსმალეთის ჯარი ჩააყენა.

ქუთაისის მოურავმა, გვაშტიბ - ძეძილეთ უძლოურის ბატონმა, პატრიოტმა ბეჟან ლორთქიფანიძემ გაანთავისუფლა ციტადელი, მაგრამ 1669 წელს თურქები უკვე ხანგრძლივი დროით ჩასაგრდნენ ქუთაისის ციხეში.

1681 წელს ბაგრატ მეფე გარდაიცვალა.

გურიელი ქუთაისს დაეცა, ცოლი განუტევა, სიდედრზე დაქორწინდა და იმერეთის მეფედ დაბრძანდა. მას, თავის მხრივ, თავისი ნაცოლარი დადიანმა წაართვა.

1682 წელს თამარ დედოფალი მშობიარობას გადაჰყვა, თორემ კიდევ

მრავალი უბედურების მიზეზი გახდებოდა. ვახუშტი აღნიშნავს: რომ თამარი "მიდგომილ იყო და შობასა შინა შუა ცეცხლი და მოკვდა".

1683 წელს ლევანი დადიანიც გარდაიცვალა.

იმერეთის ტახტზე დაბრძანდა ბაგრატ მეოთხის უკანონო შვილი ალექსანდრე მეოთხე. ის თავისი დროის ღვიძლი შვილი გახლდათ, უშიშარი რაინდი და ნიჭიერი სარდალი, მაგრამ გარყვნილი, ფუქსავატი, ფიცისგამტეხი: "ცუნდრუკი" და "ვერცხლისმოყვარე".

რიკოთის ომში ალექსანდრემ მრავალი თავაშვებული ფეოდალი დახოცა და დაატყვევა. შემდეგ ყველა ვერცხლზე დაჰყიდა.

პროფესორი დარეჯან მეგრელაძე ფიქრობს, რომ სწორედ მის მიერ არის შეწირული ხონის საყდრისადმი გლეხი დათვია ჩხენკელი.

ალექსანდრე მეოთხემ სამჯერ დაამარცხა და გააძევა იმერეთიდან არჩილი.

ერთი მარცხის მიზეზი შეიქნა გიორგი ჩიქოვან-ლიპარტიანის ღალატი.

გათამამებული თურქები ციხესიმაგრიდან გამოიჭრნენ და ბაგრატის ტაძარი დაანგრიეს.

საკუთარმა თავადებმა შეიპყრეს უღირსი მეფე ალექსანდრე IV და ქართლში გიორგი მეთერთმეტეს (არჩილის ძმა) გადასცეს, მან დაახ-რჩობინა (1695 წ.) და რუისის საყდარში დაამარხვინა.

ქმარმოკლულმა თამარ აბაშიძემ გიორგი-გოჩიაზე იქორწინა და ტახტზე დასკუპდნენ. შემდეგ გიორგი დადიანს მეორე ცოლი გააშვებინა და სამეგრელოს დედოფალი გახდა.

1698 წელს არჩილი მეხუთედ გამეფდა იმერეთში, მაგრამ ისევ გააძევეს.

ტახტი დაიჭირა სვიმონ ალექსანდრესძემ, რომელიც 1701 წელს მამია გურიელმა მოაკვლევინა.

შემდეგ გიორგი აბაშიძე გამეფდა (1701-1703 წწ.), ის სვიმონის ძმამ, გიორგი მეექვსემ შეცვალა.

1707-1720 წლებში, გიორგი მეფე ტახტიდან რამდენჯერმე ჩამოაგდეს, გიორგი აბაშიძემ და გურიელმა. მეფემ დაამარცხა ბეჟან დადიანი და მდგომარეობის გამტკიცება იწყო. ამ ომში ის ოსმალთა მხარდაჭერით სარგებლობდა, რის გამოც თურქები იმერეთს აოხრებდ-ნენ და ტყვეები მიჰყავდათ. 1720 წელს თავადებმა მეფე თხმელისციხეში ისტუმრეს და მოჰკლეს.

მეფე ალექსანდრე მეხუთე (1720-1749 წწ.)

გიორგი მეექვსის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი უფროსი შვილი, ალექსანდრე მეხუთე. ის ცდილობდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებას, თავგასული ფეოდალების ალაგმვას, თუმცა ამ საქმეში ძირეულ გარდატეხას ვერ მიაღწია.

იმერეთის მოსახლეობა კატასტროფულად კლებულობდა.

მთავარი ბეჟან დადიანი (1715-1728 წწ.) როგორც იმერთა, ისე თურქთა ხელისუფლების მიმართ ურჩობას იჩენდა, ამიტომ ახალციხის ფაშის - ისაყის შვილმა იუსუფმა და მეფემ მოიწვიეს ვარციხის სასახლეში, ვითომც "მოსალაპარაკებლად", შემდეგ კი ვერაგულად მოჰკლეს.

1730 წელს თურქთა სერასკირმა ალექსანდრე მეფეს ოდიშ-აფხაზეთში მასთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობა მოსთხოვა. ოტია დადიანი კი თავიდანვე უარზე იყო და მეფეს არწმუნებდა:

"არა კეთილ არს მათგან დაპყრობა ზღვის კიდისა ჩვენთვის" (ვახუშტი, გვ. 887-888).

მეფემ ყურად არ იღო ჭკვიანი დადიანის რჩევა და თურქთა ლაშქართან ერთად ოდიში დაარბია. დადიანმა პარტიზანული ომი გაუმართა მაოხარს. თურქებმა და იმერლებმა სამურზაყანოს მიაშურეს, გაძარცვეს სოფლები, დასწვეს ეკლესიები, თუმცა ხალხს ილორის საყდრის რელიქვიების გადამალვა უკვე მოესწრო.

შერვაშიძებმა ომი მიიღეს და თურქთა მორჩილება არც უფიქრიათ.

მიხვდა მეფე თავის შეცდომას, თურქებს გამოექცა და ადიდებულ ენგურს მოადგა. აქ თურქთა მდევარმა დიდი ზარალი მიაყენა. იმერლებმა ენგური გადმოლახეს და ოდიშის მთავარს მძევლები მისცეს. მან გზა გაუხსნა გზააბნეულ მოძმეებს და იმერთა ჯარი მშვიდობით ჩავიდა სამშობლოში (ს. კაკაბაძე - "ცნობები ილორის ყმათა შესახებ ხონს და კუხს", "საისტორიო მოამბე", 1925 წ. 1,გვ. 162, 177).

აფხაზეთს რომ თურქები გაუნადგურებიათ, ეს ილორის წმიდა გიორგის სასწაულად მიუჩნევიათ და მეფეს ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდად მისი ტაძრისათვის შეუწირია პატარა კუხული "ხუთი კარგი გლეხი კაკაბაძე" - სარგის, დავით, არტემ, და პოლიკარპე კაკაბაძეთა წინაპრები.

ამას გარდა, ილორის წმინდა გიორგის ხონში, მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს, უკვე ჰყავდა 5 კომლი ჭავჭანიძე, ისინი პირველად

1660 წლის სიგელში მოიხსენიება. 1793 წელს მათი რიცხვი ისევ 16 -ია, ხოლო კაკაბაძეები 6 კომლი.

ილორის საყდრის ყრმათა მფლობელობა ხონსა და კუხში თავიანთი სიგელები ო დაამტკიცეს სოლომონ პირველმა (1760 წ.), დავით მეფემ (1785 წ.) ‹ ‹ ა სოლომონ მეორემ (1793 წ.).

ხონელ^ ^ ა მთავარეპისკოპოსმა, ანტონ ჩიჯავაძემ, ეს სიგელები ხონის საყდარში განაახლებინა მწიგნობარ ოსე გაბაშვილს.

ალექსანდრეს არ ღირსებია სვებედნიერი მეფობა. არც ოჯახში ჰქონდა სიმშვიდე. ძმები მუდამ ტახტს ეცილებოდნენ.

1734 წელს ჩიხორთან ომში მეფემ დაამარცხა შეთქმულები: ოტია დადიანი, გრიგოლ რაჭის ერისთავი და დავით აბაშიძე. მისი დროშის ქვეშ იბრძოდნენ ოდიშარი ბატონიშვილი კაცო, ბარის ერისთავი გედევანი, მამია გურიელი, ხონელი და რაჭველი წულუკიძეები.

მეფემ შეიპყრო ოტია დადიანი, საჭილაო-სამიქელაო ჩამოართვა და თავის ძმას, მამუკას გადასცა საუფლისწულოდ. ბატონიშვილმა ეს არ იკმარა და საჩიჯავაძოც დაიჭირა, ხონის დასაკუთრებასაც ლამობდა.

1749 წელს ალექსანდრე მეფე გარდაიცვალა. ნიკო დადიანი გადმოგვცემს, რომ ფულის მოსაპოვებლად ხახულის ხატი გაუძარცვავს, "თვალები წამოსცეენია და მომკვდარა".

მეფე სოლომონ პირველი დიდი (1749-1784 წწ.)

ალექსანდრე მეფის გარდაცვალების შემდეგ, სოლომონი გამეფდა, მაგრამ ნებისყოფიანი, ამაყი და მტრებთან უკომპრომისო ახალგაზრდა მონარქის წინააღმდეგ გამოვიდნენ მისივე ოჯახის წევრები: დედა - თამარი, ბაბუა - ლევან აბაშიძე, ბიძები გიორგი და მამუკა, ბიძაშვილი თეიმურაზი.

მცირე ხნით განდევნის შემდეგ, მეფე ოტია დადიანს დაუმოყვრდა, ახალციხის საფაშოს ჯარი მოიშველია და მდგომარეობა გაიმტკიცა.

ახალგაზრდა მეფეს გულში ამოცანად ამოეჭრა თურქთა განდევნა, თავნებ^ ^ ფეოდალთა ალაგმვა და ტყვის სყიდვის აკრძალვა. მან დიდი ღონისძიება გააატარა სასულიერო ეპარქიების მეურნეობათა და

მდგომარეობის განსამტკიცებლად. 1754 და 1768 წლებში, მეფემ ხონის მოსახლეობას ამოუკვეთა სახელმწიფო გადასახადები "საური" და "საუდიერო".

ის სიგელში ბრძანებს:

"მეფე სოლომონ გიბრძანებთ, სულ ერთობით ხონელებო, ღმერთი მომიცია თავდებათ, თუ დიდი ხონთქრის ძალი და გადასახადი არ მომდგეს, წრეულს იქით, ჩემთვის საური, თითო მარჩილის მეტი არ გადაგახდევინოთ".

1757 წელს, ხრესილის ომში, მეფის მხარდამხარ იბრძოდნენ ხონელი წულუკიძეები, ხონის ეპარქიის - ფიცის კაცი - ლორთქიფანიძეთა სარდლობით და ჯიხაიშელი ღოღობერიძეები.

ქვემო იმერელმა მიქელაძეებმა სასტიკად დაამარცხეს თურქთა მაშველი რაზმი ეკალ-მუხურთან.

1758 წელს ახალციხის ფაშამ - ჰაჯი აჰმადმა, სოლომონ მეფე ქუთაისიდან გააძევა, 1765 წელს სოლომონი მეორედ გააძევეს ქუთაისიდან. მან თავი საწერეთლოს შეაფარა. მეფის ბიძაშვილმა, მამუკამ, დრო იხელთა და მიითვისა ბევრი ხონელი გლეხი, რომლებიც დედოფლის, მონარქისა და თავადთა კუთვნილება იყო, რასაც კაცია წულუკიძე აღნიშნავს ერთ სიგელში.

ირკვევა, რომ თურქთა მძლავრობისას ხონი ხელიდან ხელში გადადიოდა: ხან მეფისა იყო, ხან ბესარიონ კათალიკოსისა, ბატონიშვილის და ასე შემდეგ.

თურქთა გარეკვის, ტყვის სყიდვის აღკვეთის, რაჭის დაქვემდებარებისათვის, საეკლესიო საქმეთა მოწესრიგების შემდეგ, მეფემ გურიელი ალაგმა, მაგრამ არ მოხერხდა ოდიშის მთავრის დაქვემდებარება.

დაიწყო ხანგრძლივი შინა ომები.

1769 წლის 17 და 28 აგვისტოს, ხონის ცაზე "კუდიანი ვარსკვლავი" დალანდეს - "სიგრძით სამი მხარი".

ცრუმორწმუნე მოსახლეობაში ავმა წინათგრძნობამ დაისადგურა.

მეფის ძმა - არჩილ ბატონიშვილი, იმერთა და ლეკთა ჯარით ხონში ჩამოვიდა, ცხენისწყალი გადალახა, ოდიშს შეესია ცეცხლით და მახვილით. მტერიც და მოყვარეც ისე დაჯაბნა ლეკის შიშმა, რომ ქვემო იმერეთის მოსახლეობა ტყეებს შეეხიზნა, ხონელები ოდიშართა

საპასუხო ლაშქრობის შიშით ქვიტირისკენ გაიქცნენ.

5 ოქტომბერს დადიანმა ცხენისწყალი გადმოლახა და ხონის ახლო სოფლები ერთიანად დაათარეშა. სოლომონმა ჯარი შეკრიბა და დასავლეთის მიმართულებით დაიძრა. დადიანი დაფრთხა და ოდიშს მიაშურა ეფე კი ნამაშევში (გუბთან) დაბანაკდა.

1769 წლის 16 ოქტომბერს, არჩილ ბატონიშვილი იმერეთის ჯარით შეება ხონის ახლო ივანდიდთან ოდიშარ მაოხარს და დაამარცხა. იმერლებმა "მრავალი იშოვეს".

17 ოქტომბერს, სოლომონ მეფე მათხოჯთან წაენია გაქცეულ დადიანს, ისევ დაამარცხა და მრავალი დამხმარე აფხაზი დაუხოცა ("მესხურ-იმერული ქრონიკები", ა. იოსელიანის რედაქციით, 1984 წ. გვ. 253).

1770 წლის ივლისში, მეფის ჯარმა, გენერალ ტოტლებენის დახმარებით, ქუთაისის ციხიდან განდევნა ოსმალთა გარნიზონი. სექტემბერში რუს-ქართველთა ჯარი უკვე ხონში იდგა.

ცნობილია, რომ ხონში უძველესი დროიდან კომპაქტურად ცხოვრობდნენ ებრაელები. მეფემ ისინი აჰყარა და ქუთაისში გადაასახლა ვაჭრობის აღორძინების მიზნით (ვ. გრიგალაშვილი - "ოსთა წინაპრები და შავრაზმელი ვოსტორგოვი", "ლიტერატურული საქართველო", 1984 წ. გვ. 7, ? დეკემბერი).

რუსებმა ცხენისწყალი გადალახეს და დადიანს დაეხმარნენ თურქთაგან რუხისა და ანაკლიის განთავისუფლებაში, მათი ერთი ბატალიონი, სურამიდან გადასული ხონში დაბანაკდა.

მეფე სოლომონმა ლეჩხუმიდან შეუტია სადადიანოს, არჩილ ბატონიშვილმა კი ქვემო სამეგრელო დაათარეშა, მაგრამ მთავარი ზავს არ ითხოვდა.

1771 წელს სოლომონს გურია დაემორჩილა.

იმავე წელს, 6 ივლისს, მეფის ძმა იოსებ კათალიკოსი ხონში ჩამოვიდა და ამაოდ ელოდა დადიანის შემორიგებას შემდეგ ქუთაისში გაბრუნდა. სოლომონ მეფე გენერალ სუხოტინთან შეთანხმებით 25 ივლისს ხონში ჩავიდა, მაგრამ დადიანი არც იქ გამოცხადდა.

1772 წლის 12 მარტს, მეფემ ჯარით გაიარა ხონი, მათხოჯი, ზედა ხუნწთან ცხენისწყალი გადალახა და მდინარის მარჯვენა ნაპირის აყოლებით გორდზე გაილაშქრა, თუმცა 17 მარტს ისევ უკან გამობ-

რუნდა.

1773 წლის 14 აპრილს მეფემ ხონთან ცხენისწყალი მეორედ გადალახა, ქვემო სამეგრელო გადასწვა, გააძარცვინა და 17 მარტს" დიდის ნაშოვრით" გამობრუნდა უკან.

1773 წელი ამაო მოლაპარაკებებში გაილია.

1774 წლის 20 თებერვალს, განრისხებულმა ხელმწიფემ, სამეფოს პირველ სადროშოს - ვაკე - იმერეთის ჯარი, ხონელ წულუკიძეთა სარდლობით ბანძას შეუსია და "მოთხარეს" დადიანის ერთგული გაბუნიები, თვით სოლომონი ხონში ჩამობრძანდა ოდიშარებთან დასაზავებლად.

1775 წელიც მოლაპარაკებებში გაილია.

1776 წლის 27 იანვარს, მეფე ჯარით დადგა ხონს, მერე მათხოჯთან ცხენისწყლის ფონი გადალახა და გორდისკენ გაილაშქრა, ჩრდილო მხრიდან ("მეფის ნაბარგიდან"), შემოადგა გორდის ციხეს და 3 თებერვალს "გაირიგა", შემდეგ ბანძისაკენ გაილაშქრა და ფაღავების ციხე "თალგამეული" აიღო, ოდიში დაარბია, 24 თებერვალს ხუნწი-მათხოჯის ფონით იმერეთში დაბრუნდა და ნამაშევში, ნიჟარაძის მამულში დაბანაკდა.

აქ ეახლა ოდიშის ზვიადი მთავარი სოლომონს, მორიგდნენ და შერიგდნენ.

"ძალა ერთობაშია" - უთქვამს ჩვენს წინაპრებს.

1780 წელსვე გურიის, სამეგრელოს და იმერეთის ლაშქარმა, რუხის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა აფხაზთა მხედრიონი და შეაჩერა მისი წინსვლა აღმოსავლეთისკენ, სამეგრელოში.

მეფემ მარიამ დედოფლის სიკვდილის შემდეგ ბერის და გულქანი (ქაჯაიას ნაცოლარი) შეირთო.

სოლომონ დიდმა გაამხნევა ერი, ხმალი შეაბა, გადააგდო ტყვის სყიდვა და არც ხონთქარს მისცა ხარკის სახით იმერელი გოგო-ბიჭები.

მეფის ცოლის ძმამ, ხონელმა თავადმა, ბერი წულუკიძემ 1771 წელს ხიდის აგება დაიწყო მდინარე რიონზე. ის ხომ ქუთაისის სარდალ-მოურავი იყო.

წულუკიძე მაშინ უფრო განდიდა, როცა მეფემ, მემკვიდრე ალექსანდრე, ევგენი აბაშიძის ასულს გაჰყარა და ბერის ასული დარეჯანი შერთო. სამეფო სასახლეში აღზრდილმა ბერის ოჯახმა,

როსტომ ერისთავის დამხობის შემდეგ, რაჭის მამულებიც დაიბრუნა.

ბერი წულუკიძე, სამეფოს პირველი თავადი გახდა. 800 კომლი გლეხი და აზნაური ჰყავდა, სამი ციხესიმაგრე და ათობით სოფელი ჰქონდა. მის ხელში იყო (1761 წ.) ქარჩხაბი, მამული ქუტირში, გვიშტიბში, და სხვაგან.

ბერის მეტისმეტი განდიდების გამო, მეფესა და მაქსიმე კათალიკოსს (1776-1795 წწ.) შორის უთანხმოებამ იჩინა თავი, რის გამოც მღვდელთ-მთავარი, ერთხანს ქართლში გადაიხვეწა (ო. სოსელია, "ნარკვევები ფეოდალური ხანის", 1966 წ. 1, გვ. 187-188).

თავისი მეფობის ბოლო წლებში, სოლომონი ამბობდა: "მეფე მე კი არა, ბერი წულუკიძე არისო."

თანამედროვეთა გადმოცემით, ბერი წულუკიძე იყო კაცი ძლიერი, სასტიკი და მესისხლე, ისე ამპარტავანი, რომ მეფესაც არ უხრიდა ქედს. ქარჩხაბში მისი სახლის წინ, არავის აძლევდა უფლებას ამხედრებულს გაევლო. იქ ჭადრებიან, ცაცხვებიან და მაგნოლებიან ვეებერთელა კარმიდამოში დიდი, ხისგან ნაგები სასახლე ჰქონდა.

ერთხელ, ბერის მხლებლებს, სათანადო პატივით არ შეხვედრია აზნაური ცქიტიშვილი. ზვიად ფეოდალს ბოღმა ჩაუდია გულში და როცა, ერთ შეხვედრაზე, ის თაყვანისცემად მიახლოვებია, თოფი უკრია და მოუკლავს (ს. კაკაბაძე "პატარა წერილები და შენიშვნები" - "საისტორიო მოამბე", 1925 წ. 4. გვ. 251).

ცხადია, პასუხის მოთხოვნა ვერავინ შეჰბედა მძლავრ მტარვალს.

ბერი წულუკიძე, ნაჭიშკრევის ომში მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მან კიდევ დიდხანს იცოცხლა. მისი შვილის, სვიმონის ძე იყო კონსტანტინე, იმის შვილი თავადი გიგო (გრიგოლი), ამისი ვაჟი კი რევოლუციონერი და პუბლიცისტი ალექსანდრე წულუკიძე.

ბერი წულუკიძეს, ხონის საყდრისათვის შეუწირავს რამდენიმე გირვანქის წონის ვერცხლის საცეცხლური - ღირებული 140 ვერცხლად, ყოველწლიურად ფქვილი სასეფისკვერედ და ერთი კომლი გლეხი.

სოლომონ პირველი გარდაიცვალა 1784 წლის 22 აპრილს ქუთაისში, როცა ცხენზე ამხედრებას აპირებდა ხონს, გიორგობაზე გასამგზავ-რებლად.

დავით მეფე (1784-1795 წწ.)

ტახტი დაიჭირა გარდაცვლილი მეფის ბიძაშვილმა, დავით გიორგის ძემ, რომელსაც ბერი წულუკიძემ კადნიერად განუცხადა: "მეფე მე ვარო და შენ უფლისწულად დაგადგინეო" (ოლია სოსელია - "ნარკვევები დას. საქართველოზე..." 2, 1981 წ. გვ. 60).

დავით მეფემ დაიახლოვა სოლომონ მეფის სიძე - ქსნის ერისთავის ძე, რითაც იმერელი თავადები გაანაწყენა. მალე საჭილაო და სამიქელაო დადიანს დაუთმო, სიდედრი გურიელს მიათხოვა და მზითვად საჯავახო უფეშქაშა.

უკმაყოფილო თავადებმა ბერი წულუკიძემ და პაპუნა წერეთელმა ტახტზე წამოსწიეს სოლომონ პირველის ძმისწულის დავით არჩილის ძის კანდიდატურა, რომელიც დედის მხრივ ერეკლეს შვილიშვილი იყო და თბილისის სასახლეში იზრდებოდა.

დავით მეფემ, შემწედ დადიანს მოუხმო. ოდიშარნი მოულოდნელად შემოიჭრნენ ხონში, მოსახლეობა დააწიოკეს და გაძარცვეს, ცეცხლს მისცეს ქარჩხაბი და ბერი წულუკიძის კარმიდამო, მისი ყმები შეიპყრეს და წაასხეს.

წულუკიძემ და წერეთელმა გაქცევით უშველეს თავს.

ახლა მეტის მონდომებით დაიწყეს მეფის დამხობის მცდელობა, მეფის დავალებით, კაცია დადიანი ლეჩხუმიდან ცდილობდა საწერეთლოს და სანულუკიძოს დაკავებას.

1786 წელს, წულუკიძემ და წერეთელმა, ერეკლეს თანხმობით, ქართლიდან გადმოიყვანეს დავით ბატონიშვილი, რომელსაც თან ახლდა 1000 თურქი, 500 ლეკი და ბორჩალოელ თათართა რაზმი, თუმცა იმერეთის მეფემ და დადიანმა, ისინი ადვილად დაამარცხეს.

1788 წელს, კაცია დადიანი გარდაიცვალა. დავით მეფე სამეგრელოში შეიჭრა და მისი შემოერთება სცადა. განაწყენებული გრიგოლ კაციას ძე, დავით ბატონიშვილს მიემხრო, თავისი და ცოლად შერთო, თვით კი ერეკლეს შვილიშვილზე - ნინო გიორგის ასულზე დაქორწინდა.

ერეკლემ დავით ბატონიშვილი (გიორგის ძე) გამოგზავნა, შვილიშვილის დასახმარებლად. ოდიშის, ლეჩხუმის და ქართლ-კახეთის ჯარი, ხუნწის ვრცელ ჭალაში დაბანაკდა.

პრეტენდენტის ჯარი შეფიქრიანდა, რადგან იმერთა მეფეს მოზრდილი ლაშქარი შეეკრიბა.

მეფე ბაქიაობდა - "მრცხვენის მათ ყრმათა მიმართ ომიო".

დავით ბატონიშვილი, გამოცდილი მეომარი იყო. ხუნწში სამხედრო მანევრებს მიმართა, თითქო მდინარის გადალახვა სურდა, რითაც ჩრდილო-აღმოსავლეთით იმერთა ყურადღება მოადუნა.

სამეგრელოს სახლთუხუცესმა, გორდელმა თავადმა, გიორგი ჩიქოვანმა, ოდიშის ლაშქრის ძირითადი ფეხოსანი ნაწილი აიყოლია, ზედა ხუნწი-სუხჩა-ოჭირეთ-ბუმბუას ხიდით, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და მოულოდნელად იმერეთის ჯარის სიახლოვეს, მათხოჯში დაბანაკდა.

გრიგოლ დადიანი და ორივე ბატონიშვილი, ცხენებით გადაეშვნენ ადიდებულ ცხენისწყალში და კუნძულთა ფონებით, ბრძოლით გადალახეს მდინარე.

1789 წლის 11 იანვარს, მამაცური თავგამეტებით დაეძგერნენ ქართველები ერთმანეთს. გამარჯვება ტახტის პრეტენდენტს დარჩა.

თედო ჟორდანია აღნიშნავს, რომ დავით მეფე დამარცხდა (თ. ჟორდანია - "ქრონიკები", 1967 წ. ტომი 3, გვ. 404).

ეს ბრძოლა მათხოჯის ომის სახელწოდებით არის ცნობილი. თუმცა დავით და ბაგრატ ბატონიშვილები აღნიშნავენ, რომ ომი ხუნწში მოხდა (დავით და ბაგრატ ბატონიშვილები - "ახალი ისტორია", 1941 წ. გვ. 22).

ომის წინ, დადიანს და დავით არჩილის ძეს პირობა შეუკრავთ, რომ ჯარისათვის საძარცვავად არ დაეთმოთ სოფლები, ხოლო მეომრები სასტიკად გაუფრთხილებია, რაზედაც მიუთითებს მთავრის სათანადო განჩინება ("ქართული სამართლის ძეგლები", 1965 წ. ტ 2, გვ. 228).

თეიმურაზ ბაგრატიონი, ბრძოლის ადგილად ხუნწს ასახელებს, მის მთავარ გმირად დავით ბატონიშვილს მიიჩნევს (თეიმურაზ ბაგრატიონი - "ახალი ისტორია", 1983 . გვ. 61).

ხონელი წულუკიძეები დავით არჩილის ძის მხარეზე იბრძოდნენ, ვის ემხრობოდნენ ხონელი აგიაშვილი და პაატა მიქელაძე, ამის დადგენა წყაროების სიმწირის გამო, ძნელდება. არც ის ვიცით, ვის მიაშველა თავისი რაზმი ხონელმა მთავარეპისკოპოსმა, ალბათ იმერეთის მეფეს.

1789 წლის 11 ივლისს, დავით ბატონიშვილი, მეფედ ეკურთხა სოლომონ მეორის სახელით, მაგრამ თურქთა ჯარით შემოიჭრა დავით მეფე და სოლომონი დაამარცხა, მან თავი შეაფარა საწერეთლოს.

პროგრესულად მოაზროვნე იმერელმა თავადებმა: სეხნია წულუკი-

ძემ, პაატა მიქელაძემ, ლორთქიფანიძემ და სხვებმა მეფე ერეკლეს სთხოვეს იმერეთის შეერთება, მაგრამ როგორც ცნობილია, ეს დიადი ჩანაფიქრი ჩაშალეს: დარეჯან დედოფალმა, იოანე მუხრან ბატონმა და მეფის უპრინციპობამ.

ერეკლემ, სამი ზარბაზნით და რაზმით სოლომონის დასახმარებლად გამოგზავნა იოანე ბატონიშვილი. ლომსიათხევში დავით მეფე დაამარცხეს, მაგრამ განდევნა არ მოხერხდა.

ერეკლემ უკვე მესამედ, სოლომონ მეფის დასახმარებლად ალექსანდრე ბატონიშვილი გამოგზავნა ქართლ-კახეთის ჯარით. სოლომონი და მანუჩარ დადიანი მას შეუერთდნენ.

დავით მეფის დროშასთან დადგნენ გრიოგოლ დადიანი და აფხაზთა მთავარი ქელაიშ ახმედ ბეგ შარვაშიძე.

1794 წლის ოქტომბრის დასაწყისში, ომი მოხდა სოფელ მათხოჯთან.

დადიანი და შარვაშიძე შეაძრწუნა მოწინააღმდეგეთა ზარბაზნების გრიალმა და ნაადრევად გაეცალნენ ბრძოლის ველს. დავით ნამეფარი საბოლოოდ დამარცხდა.

1795 წლის იანვარში, დავით მეფე, ახალციხეში "ყვავილმა" იმსხვერპლა, ხოლო სოლომონ მეორე უმეტოქეოდ განაგებდა ქვეყანას.

მათხოჯის ბოლო ბრძოლის შესახებ დაცულია ცნობა "ქრონიკებში". მასში ვკითხულობთ, რომ 1794 წელს, ოქტომბერში მოხდა მათხოჯის ბრძოლა, როცა ერეკლემ სოლომონის საშველად გამოგზავნა ალექსანდრე ბატონიშვილი და დაამარცხეს დავით მეფის ოსმალთა და ლეკთა ჯარი, 16 საათი სროლა იყო. ლეკები სოლომონს მიემხრნენ ("მესხურ-იმერული ქრონიკები...", გვ. 186).

სხვათა შორის, ჩვენს მიერ დასახელებულ მათხოჯის ორ ბრძოლას, ზოგი მკლევარი ერთმანეთში ურევს.

სოლომონი ლეჩხუმის შემომტკიცებას შეუდგა.

დადიანთა აპოლოგეტი ისტორიკოსი ნიკო დადიანი წერს: რომ ამ მიზნით მეფემ გორდში მოაკლევინა ჩინებული თავადი, ლეჩხუმის თავი ქაიხოსრო გელოვანი.

სარგის კაკაბაძე უფრო სწორი უნდა იყოს, როცა აღნიშნავს, რომ მეფე ეცადა გელოვანის თავისკენ მიმხრობას, დადიანმა კი დაასწრო და მოაკვლევინა.

მეფემ სცადა ოდიშის დამორჩილება, მაგრამ გრიგოლ დადიანი არ თმობდა სეპარატისტულ პოლიტიკას. მაშინ სოლომონი, ხონიდან

ოდიშში შეიჭრა და მთავრად დასვა ბატონიშვილი მანუჩარი, შემდეგ ლეჩხუმში შეიჭრა და უსახელოსთან დაამარცხა მეტოქე.

შევიწროებულმა დადიანმა, დახმარება შარვაშიძეს სთხოვა, თან მძევლად მისცა თავისი მცირეწლოვანი შვილი ლევანი.

1802 წელს, ოციათასიანი ჯარით შერვაშიძე აბედათთან დაბანაკდა. მას შეუერთდა მთავარი გრიგოლიც.

სოლომონ მეორე ხონში ჩამოვიდა მოზრდილი ჯარით და ივანდიდის ჭალაში დადგა.

შარვაშიძე დაფრთხა და უკან დაიხია.

მეფემ ცხენისწყალი გადალახა და ჯარი შეუსია ოდიშს.

გრიგოლ დადიანი კორდისა და მურის ციხეებში გამაგრდა (ს. კაკაბაძე - "საქართველოს მოკლე ისტორია", გვ. 168).

მეფემ აიღო თამაკონის ციხე და გორდის ციხეს მიადგა "მეფისნაბარგიდან", მაგრამ იერიშით მისი აღება ვერ შეძლო, ვინაიდან "მტკიცედ იდგნენ და მამაცურად იბრძოდნენ ოდიშის სახლთუხუცესის გიორგი ჩიქოვანის ძენი: დავით, მიქელა და ოტია" (ნ. დადიანი, დასახელებული წიგნი, გვ. 192).

მეფემ იმერეთს მიაშურა.

გათამამებულმა ჯოლორია დგებუაძემ თამაკონის ციხე ისევ გრიგოლს გადასცა.

დადიანი შერიგებას ევედრა მეფეს.

მან არ უსმინა.

მთავარმა "სხვა გამოსავალი" რომ ვერ ნახა, ბაგრატიონთა მბრძანებლობას უცხოურ უღელში თავის გაყოფა ამჯობინა. მან გორდი-კინჩხაასხი-ლენტეხის გზით რუსეთის მოხელეს, პავლე ციციანოვს ელჩები გაუგზავნა და 1804 წლის 4 დეკემბერს ხელი მოაწერა ვასალურ ხელშეკრულებას რუსეთთან.

სოლომონი მეორე წელსვე იძულებული გახდა ეცნო რუსეთის სიუზერენობა და ხელი აეღო პრეტენზიაზე ოდიშის მიმართ.

სოლომონ მეორის დროს, ხონის მოურავი და პირველი სადროშოს სარდალი საწულუკიძოს ბატონი, სეხნია წულუკიძეა. ის არის აგრეთვე სამეფოს ერთი მდივანბეგთაგანი.

თავი მეხუთე

იმერეთის სამეფოს გაუქმება
და ხონი

1804 წლის 20 აპრილს, იმერეთის მეფეზე განრისხებულმა ციციანოვმა, ჯარები დასძრა სოლომონ მეორის წინააღმდეგ. მეფემ რუსეთთან მოსალაპარაკებლად ქაიხოსრო და ზურაბ წერეთლები, სეხნია წულუკიძე გაგზავნა, განჯის აღება მიულოცა, ხოლო 25 აპრილს, ხელი მოაწერა "საფიცარ დაპირებას", რითაც იმერეთის ხელისუფალი რუსეთის მსახურად და მისი პოლიტიკის აღმასრულებლად გამოდიოდა. საბუთს ხელი მოაწერეს იმერეთის დიდებულებმაც.

1804 წელს, რუსეთის ხელისუფლებამ თურქეთის მთავრობისგან ყრუ დასტური მიიღო სამეგრელოს სამთავროს თავის მფარველობაში მიღების შესახებ.

რუსეთის გემები გენერალ რიკჰოფის მეთაურობით ზღვიდან მიადგა სამეგრელოს. "ამ ფაქტმა, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. გრიგოლ დადიანს მიიჩნევდნენ მთავარ მიზეზად, რუსეთის დასავლეთ საქართველოში შემოსვლისა" (ს. კაკაბაძე - "საქართველოს მოკლე ისტორია", 1920 წ. გვ. 168).

რიკჰოფმა, გარდაცვლილი გრიგოლის ნაცვლად დადიანად, ლევან მეხუთე დაადგინა. ამის შემდეგ იმერეთში გადმოვიდა და რუსეთის მთავარ ნაწილებს შეუერთდა.

მეფე ვასალურ დამოკიდებულებას, ქუთაისიდან რუსთა ჯარის გაყვანას და სამოკავშირო ხელშეკრულების მუხლების შედგენაში მონაწილეობის მიღების უფლებას მოითხოვდა (ა. კიკვიძე. - "საქართველოს ისტორია", (XIX საუკუნე), 1954 წ. გვ. 55).

ლევან დადიანს, იმპერატორისგან მდიდრული საჩუქრები მოუვიდა: ვლანქერნის ღვთისმშობლის ხატი, გენერალ-მაიორის ჩინი, ხმალი, დროშა, წმიდა ანნას პირველი ხარისხის ორდენი და ძვირფასი ბეჭედი. მის სრულწლოვანებამდე სამთავრო დედამისს, დედოფალ ნინოს უნდა ემართა. დაჯილდოვდა ისიც და ნიკო დადიანიც. ხატის დასასვენებლად

ახალი ეკლესია უნდა აგებულიყო, რომლის ხარჯს იმპერატორის ხაზინა გაიღებდა (ნ. დადიანი, "ქართველთა ცხოვრება", 1962 წ. გვ. 206).

სამწუხაროდ, ღალატი მუდამ ჯილდოვდებოდა მტრისგან.

გაძლიერებულმა დადიანმა, ლეჩხუმი დაიჭირა და მეფის მეციხოვნენი ამოხოცა, შემდეგ საჭილაოს 350 კომლიანი სათავადო დაისაკუთრა.

ხონი ამ დროს მეფეს ერთგულებს, თუმცა ზოგიერთი თავადი, მეფეს რუსებთან საერთო ენის გამონახვას ურჩევს. მეფის საბჭოში 5 წულუკიძე, 3 აგიაშვილი, 4 წერეთელი, 3 აბაშიძე, 2 ავალიშვილი, 2 მიქელაძე, 2 ლორთქიფანიძე და 1 აბულაძეა. იმერეთი 6 ოლქისგან შედგება. მათ შორის, მოსახლეობის რიცხვით ვაკე პირველობს. ხონის მოურავები, ჩვეულებრივ, აბულაძეთა გვარიდან ინიშნებოდნენ, თუმცა სოლომონ მეორის დროს ეს სახელო სეხნია წულუკიძეს ეჭირა, მათხოჯის მოურავად ბეჟან წულუკიძე იყო, კონტუათის მოურავი წყაროებში არ ჩანს. ვაკის ოლქის სარდალი იყო ქარჩხაბის ბატონი სვიმონ ბერის ძე წულუკიძე, მას თავისი დროშით გამოჰყავდა პირველი სადროშოს რაზმი.

მეფე თითქმის შინა პატიმრობაში ჰყავდათ რუსებს ქუთაისში. მისი სასახლე ყაზარმად იქცა.

სოლომონი ტყვეობიდან გაიქცა და თავი შეაფარა ტყაჩირს - აგიაშვილის მამულს. მაშინ ლევან დადიანი, თავისი ჯარით მტრის სამსახურში ჩადგა. სამეფოს სახლთუხუცესმა ზურაბ წერეთელმაც ღალატიანი გზა აირჩია. შენიღბულად მტრის სამსახურში ჩადგა ხონის მოურავი თავისი ძმებით.

ციციანოვი იმპერატორს სწერდა: "იმერეთში შესვლის წინ საჭიროდ ვსცანი წინასწარ გამეგზავნა ოქრო-ვერცხლის ავანგარდი" (მ. გონიკაშვილი - "იმერეთის სამეფო XVIII -XIX საუკუნის მიჯნაზე", 1979 წ. გვ. 53):

მეფე რამდენჯერმე გზავნის მთავარმართებელთან თავის ელჩებს: იმერელ მიტროპოლიტებს, ზურაბ წერეთელს და სეხნია წულუკიძეს, ცდილობს მიაღწიოს ვასალიტეტის მისაღებ პირობებს.

სეხნია წულუკიძის "დასაჯილდოვებლად", ციციანოვს ოქროს პორტსიგარი გამოუთხოვია, მაგრამ არ გადაუცია, რადგან ეჭვი შეპარვია მის ერთგულებაში (ო. სოსელია - "ნარკვევები ფეოდალური

ხანის დას. საქართველოს სოც. პოლიტიკური ისტორიიდან" (სათავადოები), 1981 წ. გვ. 59, (წიგნი 2), გვ. 62).

ლიტვინოვი აღნიშნავდა - "სანამ მეფე იმერეთშია, იქ არ შეიძლება იყოს სიმშვიდე". ციციანოვის დაღუპვის შემდეგ, მთავარმართებელი გუდოვიჩი გახდა. მან გენერალ დიმიტრი ორბელიანს დაავალა მეფის გაძევება იმერეთიდან, რაც შეიძლება ნაკლები სისხლის ღვრით.

1809 წლის გაზაფხულზე მთავარმართებლის თანამდებობაზე ტორმასოვი დაინიშნა.

მეფემ ახლა მის სახელზე შეადგინა სათხოვარი პუნქტები, რასაც სხვა დიდებულებთან ერთად ხელი მოაწერა ანტონ ხონელმა მთავარეპისკოპოსმა, დავით, სვიმონ, ოტია, სეხნია წულუკიძეებმა, მიქელაძეებმა, ლორთქიფანიძეებმა, ჩიჯავაძემ.

მეფე რუსეთისაგან მოითხოვს დაუბრუნონ ლეჩხუმი, რომელიც დადიანმა მიისაკუთრა, გაიყვანონ ჯარი ქუთაისიდან, დასაჯონ მისი სიძის, წულუკიძის შეურაცხმყოფელი რუსები, უბოძონ სამეფო ნიშნები და მისი წარმომადგენელი მიავლინონ საიმპერატორო კარზე.

ზურაბ წერეთელი ანვდიდა რა საჭირო ინფორმაციებს რუსებს, აღნიშნავდა: "თქვენი ერთგულებისათვის არ ვიცი როდის მომკლავენო". მეორე წერილში აღნიშნავდა: "დადის როტა ჩვენს სოფლებში საფიცრად, რომელნიმე, ვგონებ, კიდეც შეიფიცეს. გებოძათ დურაქისათვის ჯოხნი დიაღ კარგნი და ვგონებ არ დაიკრან სრულიად ჯოხნი და მხოლოდ ხილვითა მოჭკუვიანდნენ" (ს. კაკაბაძე, "იმერეთის სამეფოს გაუქმება", 1956 წ. გვ. 381-382, 417).

რუსთა ერთგულებაზე ვინც არ დაიფიცებს, გაჯოხავენ. ასეთია რეცეპტი და ამას მიესალმება სამეფოს პირველი მინისტრი.

ცინიზმისა და ღალატის ასეთი ნაზავი, გაკვირვებას იწვევს.

1810 წლის 21 იანვარს, ტორმასოვმა გამოაქვეყნა მეფის საწინააღმდეგო წერილი, რასაც რუსებისათვის მოულოდნელი შედეგი მოჰყვა. ხალხმა მეფეს არ შეაქცია ზურგი.

ზურაბ წერეთელი რუსებს ატყობინებდა:

"გამოცხადდა მანიფესტი თქვენი ქუთაისის ეკლესიაშიდ და ხონს და მაღლაკს მყოფი მხედრობა ერთად შეიყარნენ და დადგნენ მახლობელ მეფისა".

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს რაზმები მეფის მოწინააღმდეგე ფეო-

დალთა ჯარია.

მეფის დიპლომატები, რომელთა შორის სეხნია წულუკიძეც არის, ტორმასოვთან ცხადდებიან.

ჯიხაიშიდან პოლკოვნიკი სიმონოვიჩი ვარციხისაკენ გაიჭრა და მეფის ჯარს შეუტია. მეფემ ბაღდადისაკენ დაიხია, სიმონოვიჩმა 40 დღეში მთელი იმერეთი დაიჭირა, ხონსა და ჯიხაიშში ჯარი ჩადგა.

11 მარტს, მეფე ალყაში მოექცა და დაჰყარა იარაღი. მასთან გამოცხადდა სიმონოვიჩი და საჯაროდ შეჰფიცა, რომ არ დაატყვეებდ-ნენ.

1810 წლის 28 მარტს, მეფე ვარიანში შეხვდა ტორმასოვს. იმან სიმონოვიჩის ფიცი არაფრად მიიჩნია, დირბში მეფე დააპატიმრა და თბილისში ჩაიყვანა. იმერეთის განმგებლობა მიენდო სიმონოვიჩს და წერეთელს.

აპრილის თვეში, ხონელი თავადები რუსებმა ერთგულებაზე შეიფიცეს, მაგრამ საფიცარს ხელი არ მოაწერა ანტონ ხონელმა მთავარეპისკოპოსმა.

10-11 მაისს, ღამით მეფე ტყვეობიდან გაიპარა და ახალციხეში ჩავიდა. მას თან ახლდა ერთგულ თავადთა მცირე რაზმი. სოლომონ II იმერეთში გამოგზავნა პროკლამაცია, რომელშიც ამხილა "ერთმორწ-მუნე" და "მფარველის" ნიღბით შემოსილი რუსეთის იმპერიული ზრახვები. დოკუმენტი, მეფის გულმხურვალე პატრიოტიზმის ეს მიმართვა ხანძრის გასაღვივებლად ზედმისწრება იყო.

მეფე წერდა:

"... მერე, როდესაც გული დავაჯერე, რომ რუსეთს მისტუმრებდნენ, თქვენის მოშორვებისა და იმერეთის საუკუნოდ დატოვების ცეცხლი ჩემს გულს მოეგზნა, ცას ქვეშეთს დიდებას თქვენთან ყოფნა, თქვენთან სახელი, თქვენთან სიცოცხლე და სიკვდილი ვარჩიე... ყოველი თქვენი მოკიდებული ოჯახი დააჯერეთ, რომ საქართველოსათვის (ქართლ-კახეთივით ა. ფ.) არ დაილუპებით. პირველად ისინიც ფიცით, ოქროთი და ტკბილის სიტყვებით მოატყუეს... და რომელნიც დღეს ოქროს იძლევიან, ხვალ თქვენის სახლის საცხოვრებელსაც წაგართმევენ... წმინდათ შენახულს ცოლშვილს ნამუსს და პატიოსნებას უპატიოდ გახდიან... მე თუ რამ სამსახური დამიკლია თქვენთვის, ეს კი ყველამ იცით, რომ თქვენის პატივისა და სიყვარულისაგან ჩემი გული არ

გამძღარა... იმერეთის გულისათვის ჩემი სიცოცხლე უნდა დავასრულო" (ი. ხოჯაშვილი - "მესხურ-იმერული ქრონიკები", 1980 წ. გვ. 359-360).

მთელი სამეფო ფეხზე დადგა. ყველა წოდება რუსთა წინააღმდეგ დაირაზმა.

მეფე ჩამოვიდა ახალციხიდან და სათავეში ჩაუდგა განმათავისუფლებელ ომს. იმერეთის აჯანყება იყო ფართო და მასობრივი მოძრაობა. ხალხის გაერთიანება გამოიწვია მდგომარეობის დამძიმებამ.

სიმონოვიჩი მოზრდილი ჯარით ჯიხაიშში იდგა და ვაკის სოფლებს "ამშვიდებდა".

ასანბეგ შერვაშიძე, თავისი ჯარით სამეგრელოს დაემუქრა, რათა დადიანი რუსებს არ მიშველებოდა, მაგრამ რუსთა დესანტმა სოხუმი აიღო და შერვაშიძემ უკან დაიხია. დადიანმა ცხენისწყალი გადალახა. მისი ჯარი ორად გაიყო. დადიანი 3000 კაცით სიმონოვიჩს შეუერთდა ჯიხაიშში, მეორე რაზმმა, ქობულეთის გზა ჩაჰკეტა, რომ მეფეს თურქების ჯარი არ მიშველებოდა. სიმონოვიჩს პოლკოვნიკმა ბელევსკიმ სამი ასეული შეჰმატა.

ლეჩხუმის ბატონმა, გელოვანმა მეფის ერთგული რაჭველი წულუკიძეები და ოკრიბელი აგიაშვილები დაიმორჩილა. მეფის ჯარები დამარცხდნენ ჩხერთან და სიმონეთთან, მაგრამ მაღლაკში მეფეს შეუერთდნენ. სოლომონი დაეძგერა ჯიხაიშში მდგარ სიმონოვიჩს, მისი ჯარი გაჰფანტა, მაგრამ დამარცხებულმა დადიანმა ქუთაისს მიაშურა და ისევ რუსთა მთავარ ჯარს შეუერთდა.

სასტიკი ბრძოლები გაიმართა ზემო იმერეთში. ასობით გლეხი და თავადაზნაური შეეწირა სიმონოვიჩის, დიმიტრი ორბელიანის, დადიანის და ზურაბ წერეთლის დამსჯელ რაზმებს. საქარასთან, რიონთან, ნაგორევთან, ცხრაწყაროსთან რუსეთის რეგულარულმა, კარგად შეიარაღებულმა ჯარებმა დაამარცხეს დაქსაქსული პატრიოტები. მტერს ქართველები მოუძღოდნენ აჯანყებულებზე. მაგალითად, ბაღდათთან ომში, მაღალატეებმა: ვახუშტი ჩიჯავაძემ, ქაიხოსრო ჩხეიძემ, დავით ერისთავმა, იასე იაშვილმა 600 მებრძოლი მიაშველეს რუსებს.

29 ივლისს, რუსებმა დამხმარე რაზმიც მიიღეს. დამარცხებული მეფე ხანისწყლის ხეობაში დაბანაკდა, 25 სექტემბერს (ძველი სტილით) ახალციხეში გადავიდა.

"1810 წელი, აქა რუსთა დაიპყრეს იმერეთი" - მშრალად გვაუწყებს მემატიანე (ჯ. ოდიშელი - "მცირე ქრონიკები - კინკლოსების ისტორიული მინაწერები", 1968 წ. გვ. 60).

პრორუსული ორიენტაციის ნიკო დადიანიც ვერ ფარავდა რუსთა ავ საქმეებს:

"შეუდგნენ იმერეთის დამშვიდებას, მრავალი მოკლეს, მრავალი შეიპყრეს და ძელთა ზედა დაჰკიდეს" - წერს ის (ნ. დადიანი - "ქართველთა ცხოვრება", გვ. 208).

ჯარი უფასოდ ართმევდა ხალხს ხორბალს, ფურაჟს, სურსათს.

ქვეყნის და მეფის მოღალატეებს დაუფასდათ სამსახური: საწულუკიძოს მფლობელმა სეხნიამ პოლკოვნიკის მუნდირი მოიპოვა, ჯიხაიშის ბატონმა ღოღობერიძემ მაიორის ჩინი.

დიდი გასავალი ჰქონდა ქვეყნის ღალატს რუსთა თვალში.

სამაგიეროდ, პატრიოტებს შავი დღე გაუთენდათ. ისინი სამაგალითოდ დაისაჯნენ.

დავით ბატონიშვილი წერს: "ოდიშართა მოსწყვიტეს სრულიად ვაკეი, და მოსტყუევნეს და სახლიც აგიაშვილისა, ყოველთა იმერთა შორის წარჩინებულისა დაწვეს" (დავით ბატონიშვილი - "ახალი ისტორია", 1941 წ. გვ. 36-37).

აგიაშვილის მამული ხონში იყო, ქარჩხაბში. ხონში და მის სიახლოვეს თავადს 75 კომლი ყმა გლეხი და მამული გააჩნდა.

წულუკიძის მამულებს ასაკლებლად არავინ შეხებია. სამაგიეროდ მეფის საკუთრება და მისი სოფლები გაავერანეს.

პოლკოვნიკი მოგილევსკი ტორმასოვს წერდა, რომ მეფე თურქეთში გადაიხვეწა, 5 თავადი და 40 აზნაური წაჰყვა. ისინიც მალე მიატოვებენო.

1810 წლის ნოემბერში, ტორმასოვმა ახალციხეზე გაილაშქრა იმერეთის დამხმარე ჯარით, მაგრამ დამარცხდა, მისმა დამხმარე იმერლებმა კი სამარცხვინოდ დაჰკარგეს დავით აღმაშენებლისეული სეფედროშა (ბაგრატ ბატონიშვილი - "ახალი მოთხრობა", 1941 წელი, გვ. 114).

გაუქმდა იმერეთის სამეფო. 1811 წელს გამოიცა დებულება - "იმერეთის დროებითი მმართველობის შესახებ". იმპერატორის საბჭომ, 1814 წელს, ეს დებულება დაამტკიცა. იმერეთი ოთხ ოლქად დაიყო.

ვაკის ცენტრი ჯერ ხონი, შემდეგ მარანი იყო. იმერეთის პირველი მმართველი გახდა გენერალი სიმონოვიჩი.

სოლომონ მეორის 1804-10 წლების განმათავისუფლებელი ბრძოლები, იმ დროის ისტორიული სიტუაციისა, რუსული სამხედრო მანქანის ძლიერების და თვით მოღალატეთა გამო, განწირული იყო დასამარცხებლად, მაგრამ ის მაინც გმირული ფურცელია ჩვენი სამშობლოს ისტორიისა. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ამ ბრძოლების ისტორიული მნიშვნელობის შეფასებაში ბატონებს: ს. კაკაბაძეს, ა. კიკვიძეს, მ. რეხვიაშვილს და მ. გონიკაშვილს.

თავი მეექვსე

ხონის მონაწილეობა იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყებაში

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811 წ.), 1815 წელს შეიქმნა "საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა", რომელმაც ქართული ეკლესია რუსეთის "წმიდა სინოდს" დაუქვემდებარა.

საქართველოს ეგზარქოსმა, ვარლამ ერისთავმა, დაიწყო სარელიგიო რეფორმა, მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდა და რუსეთში გაიწვიეს.

საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა რიაზანის ეპისკოპოსი, თეოფილაქტე რუსანოვი. 1818 წელს, მან ქუთაისში მოიწვია სამეფოს 4 ეპისკოპოსი, რომელთაგან სამი ძალზე მოხუცი იყო და შეჰპირდა, რომ მათ სიცოცხლეში ეპარქიებს არ გააუქმებდა.

მიუხედავად ამისა, ეგზარქოსმა, 1819 წელს დაიწყო რეფორმის გატარება და ეპარქიათა აღწერა.

დასავლეთ საქართველოში, რვის ნაცვლად, სამი ეპარქია რჩებოდა. გაუქმებულ სამწყსოთა გლეხები, სახაზინო უწყებაში გადადიოდნენ. ტრადიციული შესაწირავ-გადასახადთა ნაცვლად, სასულიერო პირებს, ხელფასები ენიშნებოდა. ყმათა ყოლის ნება ერთმეოდა პატარა ეკლესიებს და საეკლესიო აზნაურებს. ისინიც სახაზინო უწყებაში ირიცხებოდნენ. ათობით ეკლესია უქმდებოდა და მღვდელ-დიაკონთა შტატი უსახსროდ რჩებოდა. გლეხთა პროდუქტული რენტა, სამმაგად გადიდებული ფულადი გადასახადით იცვლებოდა.

ტრადიციულ, ფეოდალურ სასამართლოს ცვლიდა რუსული "ზაკონები", როზგი და აბუჩად აგდება. რუსი მოხელეები ეწეოდნენ: გამოძალვას, ძალდატანებას, ლოთობას და აბუჩად იგდებდნენ ქართულ ენას. რუსულის უცოდინარ ქართველებს უჭირდათ სამართლის პოვნა.

რეფორმა საზიანო იყო თავადაზნაურებისათვის, რადგან ისინი კარგავდნენ თავიანთ უფლებებს მშრომელ ქვედაფენებზე.

ხონელის სამწყსო აერთიანებდა 42 ეკლესიას (თავადთა კარის ეკლესიების გარდა). ხონში სამი ეკლესია იყო თითო მღვდლითა და ოთხი დიაკონით. ეპარქიაში 49 მღვდელი და 10 დიაკონი იყო. რეფორმა ტოვებდა 25 მოქმედ ეკლესიას 23 მღვდელთმსახურით (Н. Махарадзе - "Восстание в Имеретий", 1819-1820 гг, "მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", 1942 წ. ტ. 3, გვ. 55). ესე იგი ეკლესიიდან იძულებით გამოჰყავდათ 36 ღვთის მსახური.

1819 წლის რეფორმამდე, ხონის საყდრის 64 კომლი (სარგის კაკაბაძის ცნობით 74), იხდიდა 180 მარჩილს, მას შემდეგ დაუწესდა 350 მანეთი.

შესაბამისად ივანდიდელ, კონტუათელ, ნახახულევერ 18 კომლ საეკლესიო გლეხს, 40 მანეთი პროდუქტული რენტის ნაცვლად, 85 მანეთი ფულადი გადასახადი დაეკისრა. მათხოჯელ 29 კომლ საეკლესიო გლეხს, 94 მანეთის ნაცვლად, 168 მანეთის რენტა.

მეფის დომენში (ხონი, მათხოჯი, კონტუათი) მცხოვრები ყველა საეკლესიო და სამეფო გლეხი, სახაზინო უწყებაში გადადიოდა. ეპისკოპოსი კარგავდა ტრადიციულ ბაჟის აკრეფის უფლებას. მისი კუთვნილი 12 კომლი აზნაური თავისი 13 კომლით, ასევე ხაზინის განკარგულებაში ირიცხებოდა.

მათხოჯში მცხოვრები 50 კომლი საკათალიკოსო საყდრის და 30 კომლი საქუთათლო საყდრის გლეხი, ამიერიდან სახაზინო საკუთრება იყო და სამმაგი გადასახადი უნდა ეხადათ, ისე როგორც ხონის შორიახლო მცხოვრებ 102 კომლ კათალიკოსის გლეხებს.

სოფელ უძლოურში მცხოვრებ 11 საგაენათლო გლეხს, რეფორმით განესაზღვრათ 27 მანეთი და 50 კაპიკი გადასახადი.

მათხოჯის საკათალიკოსო გლეხებს დაეკისრათ 204 მანეთის რენტა. 1825 წელს 50 მათხოჯელის გადასახადმა 280 მანეთი შეადგინა.

ხონის სიახლოვეს მცხოვრები საეკლესიო გლეხები, რეფორმის ხანაში იხდიდნენ 5719 ფუთ ღვინოს, ხონელი 107 კომლი, ფულად 519 მანეთს. ეპისკოპოსს 1820 წლისათვის დარჩენია 170 კომლი სამონასტრო გლეხი. ისინი იხდიდნენ 869 მანეთს. მთლიანად გადარიცხულ-გადაურიცხავი (207 კომლი), იხდის 953 მანეთს.

ილორის საყდრის ხონელი საყმო, ჭავჭანიძეები, თუ რეფორმამდე ერთ რქიან პირუტყვს და ორ ცხვარს იხდიდნენ, ახლა მათ 70 მანეთი

ფულადი რენტა დაეკისრათ.

XIX საუკუნის დასაწყისში, ხონის მონასტერს ჰყავდა 218 კომლი გლეხი. ეპარქიაში 843 კომლი გლეხი მოხელეთა კუთვნილება იყო. მათ გარდა სა ეპარქიო 30 სოფელში 1224 კომლი ირიცხებოდა. აქვე ცხოვრობდა სამეფო ოჯახის ათობით გლეხი და აზნაური, ახლა უკვე სახაზინო წყების კუთვნილება. მოხელეებს მათგან ეკრძალებოდა გადასახადთა აკრეფა. ესეც დარტყმა იყო მათზე, რადგან ხონის მოურავი და მდივანბეგი სეხნია წულუკიძე, კომლიდან კრეფდა თავისთვის ბათმან ღომს, 4 ქათამს და ორ თუნგ ღვინოს.

და მაინც აჯანყების ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო, რომ ბევრს გული შესტკიოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო.

ზოგ თავადს ვალის პრობლემა აწუხებდა.

მაგალითად მფლანგველ თავად გიორგი წულუკიძეს 2922 მანეთი ვალი დასდებია, სეხნიას ძმის ხოსიასი, სეხნიას ვაჟის ვახტანგის და აზნაურ ქორქაშვილისა. მარტო ვალის პროცენტი წელიწადში 330 მანეთს და 47,5 კაპიკს შეადგენდა. ეკონომიკურ გასაჭირში მყოფი დიდებული ქვეყნის გადაბრუნებას ელოდა ვალის "ჩამოსაწერად". თვით იმერეთის მმართველ მოხელეებს, ხალხის დამშვიდების ნაცვლად, აღელვება უფრო ეხერხებოდათ. ისინი ვერ მალავდნენ, რომ: "დაკისრებული ფულადი პასუხისმგებლობა აჭარბებდა მათი (იმერლების ა.ფ.) შესაძლებლობას, მაგრამ იმერლებს სურდათ ესარგებლათ შემთხვევით და აერჩიათ საკუთარი მეფე" (ნ. მახარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 37, 62, 67).

აჯანყებაში მონაწილეობდა ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენა. საბოლოო მიზანი კი იყო სამშობლოს დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

აჯანყების მომსწრე ნიკო დადიანი აღნიშნავდა: "რეფორმა დიდად იუცხოეს იმერთა, ვინაიდან არ იყვნენ ჩვეულნი ესე ვითარხა დაწყობილობათა და განკარგვათა, არა ინებეს და ქმნეს ბუნტი, აღრეულობა და განდგნენ რუსთაგან" (ა. ბენდიანიშვილი, "ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1821 წწ.", 1980 წ. გვ. 123).

აჯანყება ხონიდან დაიწყო, თუმცა ყველაზე შეუპოვარი, საბრძოლო ხასიათი ზემო იმერეთში მიიღო. ხანძრის ასანთებად საკმაო იყო ერთი ასანთის ღერი და ისიც ხონელ მთავარეპისკოპოსს - ანტონ ჩიჯავაძეს

გაულვივებია.

ხონის ეპარქიის არქიმანდრიტად და აღმწერად ნიკოლოზ ჩხეიძე მოუვლინებიათ. მას ჩამოჰყოლია მოხელეები და საქმეს შესდგომია.

ხონის ეპისკოპოსს პროტესტი განუცხადებია, არ დამორჩილებია ეგზარქოსის მოხელეებს და ხალხისათვის დახმარების თხოვნით მიუმართავს.

დაკითხვის ოქმში 1819 წლის 8 სექტემბერს რომ შეადგინა გენერალ-მა სისოევმა აღნიშნულია: "არქიეპისკოპოსი ანტონი იყო პირველი მიზეზი ხალხის შეკრებისა ვაკის ოლქში. მან უარი თქვა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ხონიდან გააგდო ეპარქიის მმართველი არქიმანდრიტი ნიკოლოზი, იმიტომ რომ მან შეასრულა ეგზარქოსის მინდობილობა, ხონის ეპარქიის აღწერის თაობაზე".

ანტონ არქიეპისკოპოსი აჯანყების პირველი მეთაური იყო.

მთავარეპისკოპოსის მოწოდებისთანავე ხონში, ეკლესიასთან შეიკრებულები რაზმებით გამოცხადებულან ივანე ოტიას ძე და ლევან სეხნიას ძე წულუკიძეები.

მუქარით განუცხადებიათ არქიმანდრიტისათვის შეეწყვიტა აღწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იქნებოდა ცუდი შედეგები.

მათ გვერდით ამოსდგომიან მთავარეპისკოპოსის მებაჟეები და მოურავნი: აზნაურები - მიქელ ქუთათელაძე და სვიმონ თუთბერიძე (ბერიძე). ხონში მოჭრილან კულაშელი თავადები დავით, ჯამბულ მიქელაძენი, დავით ლორთქიფანიძე და კოხტა იოსელიანი.

არქიმანდრიტი, მისი მოხელეებით, ხონიდან გაუძევებიათ.

გამოძიების დასკვნით ოქმში ნათქვამია, რომ თავიდან აჯანყებულ-თა შორის ყოფილან ხონელი თავადები: სეხნია და ლევან წულუკიძეები, დავით, ქაიხოსრო, ჯამბულ და ქუთუმ მიქელაძეები.

შეკრებილ თავადებს, შეუდგენიათ თხოვნა, მაზრის უფროს ოსტროუხოვის სახელზე - მისი მთავარი ლაიტმოტივია - შეწყდეს აღწერა. საბუთს ხელს აწერენ: ლევან წულუკიძე, დავით ლორთქიფა-ნიძე, ქაიხოსრო და ზურაბ მიქელაძეები, კოხტა იოსელიანი (ნ. მახარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 139-140, 145-146, 150).

აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ აჯანყება, სწორედ ხონიდან დაიწყო, "თუმცა საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" ეს არაა ხაზგასმით ნათქვამი.



მაზრის უფროს ოსტროუხოვისადმი მიმართვის ასლი

[illegible]

[illegible]

[illegible]

მთავრობა უკმაყოფილო იყო არქიმანდრიტისა, რომელმაც დროზე ვერ მოახერა აღწერის ჩატარება და არ შეადგინა "ბუნტოვჩიკთა" სიები.

გამოძიებამ დაადასტურა, რომ ქაიხოსრო დავითაძე და ზურაბ ბუჭუს ძე მიქელაძენი, აგრეთვე კოხტა იოსელიანი იყვნენ "... მთავარი ამრევები ვაკის ოლქისა, რომლებმაც აიყოლიეს ხალხის ბრბოები და დაადებინეს ერთგანზრახვის არაკეთილგონივრული ფიცი".

იმერეთის მმართველი კურნატოვსკი, აღშფოთებული ყოფილა, რადგან აჯანყებულებს წამოუყენებიათ ლოზუნგი - "სამშობლოს განთავისუფლება".

საბუთებში აღნიშნულია, რომ ბევრი ცდილობდა რუსებისათვის თავი ერთგულად მოეჩვენებინა, მაგრამ ეს ასე არ იყო. ყველა წოდება ეროვნულ-კოლონიალური ჩაგვრის მოსპობას მოითხოვდა.

მთავრობა სასწრაფოდ გადავიდა შეტევაზე. გენერალ ველიამინოვის ჯარმა სასწრაფოდ დაიჭირა ხონი, კულაში, ჯიხაიში, საჩინო და სოფლებს ეგზეკუცია ჩაუყენეს. გენერალმა გორჩაკოვმა ზემო იმერეთის გამაგრებული სოფლები დაიკავა. მთიანი პირობებისა და მოაჯანყეთა შეუპოვრობის გამო, იქ სასტიკი ბრძოლები გაიმართა. რუსებს მხარს უჭერდა ლევან დადიანი, მაგრამ ხალხის ერთსულოვნების გამო, თვით რუსები მას სრულ ნდობას არ უცხადებდნენ.

გაგულისებული რუსის მხედრობა ჩვეულებრივ, მისთვის დამახასიათებლად მოქმედებდა: ჟლეტდნენ, ოჯახებს აწიოკებდნენ, ნაგებნაშენებს ანგრევდნენ და წვავდნენ.

ვაკის ოლქში, აჯანყების მონაწილე ყველა თავადაზნაურის ოჯახი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ ცეცხლი შეუგზნეს. თუმცა დავით მიქელაძის გათხოვილი ქალიშვილების ოჯახებს არ შეხებიან.

პროფესორი მამია დუმბაძე აღნიშნავს, რომ რუსები "ქვას ქვაზე არ სტოვებდნენ, ანგრევდნენ ნაგებობებს, ჩეხდნენ ბაღ-ვენახებს" (მ. დუმბაძე - "დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში", 1957 წ. გვ. 235).

როგორი დასჯა იცოდნენ რუსის გენერლებმა, ამის წარმოდგენა შესაძლებელია შატილის, ხაშმის, ხალდეს ტრაგედიების გახსენებით.

რუსთა რეგულარულმა ნაწილებმა დაამარცხეს მოაჯანყე მოხალისეთა რაზმები.

1821 წელს იმერეთი "დაწყნარებული იყო".

დამარცხებულებმა, გამარჯვებულებს დახოცილ-დაკარგულთა სიები მოსთხოვეს. ამ თხოვნამ რამდენიმე მაღალი ჩინის მოხელის ხელში გაიარა და ბოლოს უპასუხეს - "ასეთები არ არიან".

პირდაპირ დაცინვა იყო დამარცხებული ხალხისადმი.

ბევრი იმერელი თავადი მოხვდა რეპრესიებში. მაგალითად, თავადი სეხნია წულუკიძე სიმბირსკში გადაასახლეს. მასთან ერთად გაუგზავნიათ დავით მიქელაძე, იმერელი მიტროპოლიტები: დოსითეოსი და ექვთიმე, აგრეთვე დარეჯან ბატონიშვილი. მათგან ნაცემი დოსითეოს ქუთათელი გზაში გარდაიცვალა. ხონელი მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე საჩინოში გააძევეს, სადაც 1822 წელს გარდაიცვალა.

თედო ჟორდანია სეხნიას განთავისუფლების თარიღად 1823 წელს, მიქელაძის ჩამოსვლის თარიღად 1830 წელს დებს.

იმერეთის ეპარქიები 1921 წლის 19 ნოემბერს გააუქმეს.

ახლაც დაუფასდათ ამაგი სამშობლოს და მოყვასის მოღალატეებს.

თედო ჟორდანია აღნიშნავს: "თავადთა და აზნაურთა მიიღეს ჯილდო თვივისა სახურებისათვის ამა შემთხვევასა შინა ხელმწიფე იმპერატორისაგან, რომელთამე ჩინი, რომელთამე ორდენი, რომელთამე პენციანი" (თ. ჟორდანია - "ქრონიკები", გვ. 643).

ამას ადასტურებს კავალერი გამბაც. როცა ჯიხაიშს ეწვია წერს: "სოფელი რუსეთის ერთგული სამი იმერელი თავადის ვრცელ მამულს წარმოადგენს. ჯარში ნამსახურევ ამ თავადებს სამხედრო წოდებები აქვთ. ერთი მათგანი მაიორია და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისაგან ჯილდოდ მიღებული აქვს ოქროს ვადიანი ხმალი, 1820 წლის აჯანყების დროს გამოჩენილი მამაცობისა და ერთგულებისათვის" ("გამბას მოგზაურობა ამიერკვაკასიაში", 1987 წ. გვ. 149).

ამ დროს ხონის მაზრის უფროსის მოვალეობას ასრულებდა თავადი ჩიჯავაძე, ასევე წარჩინებული რუსთა სამსახურში.

თავი მეშვიდე

არქიეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე
სამონასტრო და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელი

სწავლა-აღზრდისა და მწიგნობრობის ცენტრებს, შუა საუკუნეებში ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ და მათთან არსებულ სკოლებში, ჩვეულებრივ, დიდებულთა ოჯახებიდან გამოსული ბავშვები და სასულიერო პირები იზრდებოდნენ.

ქვემო იმერეთში ასეთი მძლავრი კერა ხონის მონასტერი იყო, რომელშიც გვიან შუა საუკუნეებში მძლავრი სამეურნეო და კულტურული ცხოვრება ჩქეფდა. პირველი ცნობა ხონელ მწიგნობართა შესახებ დაცულია "ვეფხისტყაოსანში".

"ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა".

ქართულ საისტორიო ტრადიციას, ამ ძეგლის ავტორი ქვემო იმერეთის, ხონის მკვიდრად მიაჩნია.

თუ სახელოვანი მწერალი, თავისი ეპოქის გამოჩენილი მწიგნობარი ხონიდან იყო, ცხადია იქ სათანადო ბაზაც არსებულა.

თეიმურაზ ბაგრატიონი, 1843 წელს ერთ პირად წერილში მარი ბროსეს განუმარტავდა, რომ მოსე ხონელი, სწორედ ქვემო იმერეთის ხონიდან იყო (ნ. ბერძენიშვილი - "საქართველოს ისტორიის საკითხები", ტ. 7, 1974 წ. გვ. 30, 38).

აკადემიკოსი ე. თაყაიშვილი კომენტარს უკეთებდა რა ამ ტექსტს, მოჰყავდა თ. ბაგრატიონისეული არგუმენტი: "მოსე ხონელი მდივან-მწიგნობარი ყოფილა თამარ მეფისა (ხონი ქვემო ივერიაში ე.ი. ქვემო საქართველოში, იმერეთში არის) უწინარეს ჟამთა, ხონი ქალაქი ყოფილა. ახლა მუნ ეკლესია არის და სოფელი დაბა. მოსე ხონელს დაუწერია ამირანდარეჯანიანის წიგნი, დიაღ მშვენიერნი ზღაპარნი სავაჟკაცო, გმირთა და ძლიერთა, მამაცთა ბრძოლებში, რომელიც განიყოფების ათორმეტ თავად" (ე. თაყაიშვილი - "რჩეული ნაწერები", ტ. 1, 1968 წ. გვ. 29, მისივე ძველი საქართველო, 1909 წ., ამონაწერი "კალმა-

სობიდან").

ამ მოსაზრებას ავტორიტეტული დამცველები გამოუჩნდნენ: იოანე ბაგრატიონი, მოსე ჯანაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ნიკო მარი, კორნელი კეკელიძე, ნიკო ბერძენიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, სარგის კაკაბაძე.

"ამირანდარეჯანიანი" პოპულარული ნაწარმოები ყოფილა შუა საუკუნეებში.

ამას ადასტურებს სვანეთის სოფელ ლაშთხევის ეკლესიის გარემოხატულობა, ამირანის მტრებთან ბრძოლის სიუჟეტებით. მახვილით გამოსახული ამირანის სიახლოვეს დგანან: ბადრი, სეფედავლე და უსუპი. პერსონაჟებს ქართული წარწერები აქვს. ფოლკლორით სეფედავლე ცნობილი არაა. ის მხოლოდ "ამირანდარეჯანიანშია". ამიტომ ეს ნახატი "ამირანდარეჯანიანის" ჩვენამდე მოღწეული პირველი ილუსტრაციაა (შ. ამირანაშვილი - "ქართული ხელოვნების ისტორია", 1971 წ. გვ. 389).

XVII საუკუნის ბოლოს გიორგი XI ბრძანებით ძმებს: სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილებს გაულექსავთ "ამირანდარეჯანიანი".

ხონელ მწიგნობართა შესახებ კონკრეტული საბუთები გაგვაჩნია XVI საუკუნიდან, როცა შეადგინეს "ხონის საყდრის დავთარი".

ხონშივე უნდა იყოს შედგენილი XII-XIII საუკუნეების ზოგიერთი ძეგლი. ამ პერიოდში, ხონის სამწყსო მცხეთის კათალიკოსის სახელოში შედიოდა, რასაც წერს ვახუშტი ბაგრატიონი. ("ქართლის ცხოვრება", ტომი 4, გვ. 750-751).

ნიკო ბერძენიშვილს ეს ცნობა სარწმუნოდ მიაჩნდა (ნ. ბერძენიშვილი - "საქართველოს ისტორიის საკითხები", ტ. 7, გვ. 23, 30, 90).

ხონის მონასტერში დამზადებული XVII-XVIII საუკუნეების ძეგლები იმდროინდელი საუკეთესო ნიმუშების დონეზეა შესრულებული. ნაწილი ტყავზე, ნაწილი კი ქაღალდზეა ნაწერი. ერთი ნაწილი დაცულია აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, დანარჩენი კი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

თედო ჟორდანია თავის "ქრონიკებში" განიხილავს თბილისში დაცულ 14 ნუსხას.

ამ ძეგლების პირველი აღწერილობა შეუდგენია დეკანოზს ვასილ ქუთათელაძეს (1822 წ.), მეორე კი - მის შვილს არისტო ქუთათელაძეს



ხონის მონასტრის ხელნაწერთა აღწერილობა 1893 წ.
ვასილ ქუთათელაძის მიერ შედგენილი

(1893 ნ.), რომლითაც უსარგებლია ე. თაყაიშვილს 1911-12 ნლებში, რის გამოც წერდა: "ჩვენ 21 ხელნაწერი აღვწერეთ, მერე ვნახეთ არისტო ქუთათელაძის მიერ აღწერილი ჩვენზე ადრე საკმაოდ სრული და ვსარგებლობთ მისგან. აღწერილობა შედგენილი ყოფილა 1893 ნლის ივნისში".

გავეცნოთ ძირითად ხელნაწერებს და მათ ისტორიულ მინაწერებს:

1. "სახარების" თარგმანი 278 ფურცლად, უძველესი ნაწილი შესრულებულია ტყავზე, განეკეუთვნება XII-XIII საუკუნეებს, ბოლო 16 გვერდი XVIII საუკუნეს.

2. "დავითნის" და "სახარების" თარგმანი 605 ფურცლად, შესრულებული ქაღალდზე XVII საუკუნებში. ახლავს ხონელი მთავარეპისკოპოს ანტონ ჩიჯავაძის (1771-1821 ნწ.) თანამედროვის, ხონის ტაძრის დიაკონის, მიტროფანე გრიგოლაშვილის ვრცელი მინაწერი, რომელშიც აღნიშნულია მთავარეპისკოპოს ჩიჯავაძის ღვაწლი. მწერალი დასძენს: "ღმერთო აცხოვნე ამ წიგნის დამწერი მიტროფანე მწერალი, ვინც ამ წიგნის იკითხვიდეთ ღ-თის გულისათვის შენდობას გვიბრძანებდეთ". წიგნის 46-ე გვერდზე დასმულია დას. საქართველოს კათალიკოსის, იოსების ასომთავრული მინაწერი: "ქ-ე შ-ე მ-ნა შ-ნი იოსებ".

აქვეა სხვა მინაწერი: "ქ. მე ფრიად ცოდვილმა და ყოველთა უნარჩევესმა ელენე, ღირს ვიქმენ წმიდის ამისა სულთა განათლებულისა წიგნისა ამის ხილვად და ვიქმენ მხიარულ ორკერძოვე სულითა და ხორცითა მხიარულებითა დიდითა და იქმნა პირსა ჩემსა ვითარცა თაფლი".

3. მამათ-ცხოვრება, შესრულებული ქაღალდზე ნუსხა-ხუცურით. შეიცავს 313 ფურცელს. ახლავს მხატვრობა და გიორგი ერისთავის შვილის, ხონელი მთავარეპისკოპოსის რომანოზის მინაწერი, განეკუთვნება XVIII საუკუნეს. სხვა წყაროებით ეს პირი უცნობია და ამ მინაწერით ვიგებთ მის ვინაობას.

4. გულანი ანუ თთვენი, შესრულებული 1805 წელს ნუსხა-ხუცურით, მინაწერში მიტროფანე გრიგოლაშვილი აღნიშნავს მთავარეპისკოპოსს ანტონ ჩიჯავაძის ღვაწლს: "ადიდოს უ-ნ მრჩობლისავე ცხოვრებითა მთავარეპისკოპოსი ანტონი, რომლისა ბრძანებითა და საფასითა დაიწერა ოთხნი ესე თთუენი ს-დ შემკობილნი ტვიბიკონით, რომელთ მე ყ-დ ულირსმან მიტროფანე გრიგოლაშვილმან დასაბამითგან წელთა

(რიცხვი არ აწერია, იანვრის თვის ბოლოში დედანის ხელით აწერია) აღიწერა ხელითა მიტროფანე გრიგოლაშვილისათა" (ე. თაყაიშვილი, დამონმებული წიგნი, გვ. 285). თითქმის ყველა თავის ბოლოში მისი ხელრთვაა, სხვა თავზე გადამწერ ივანიკას და არქიდიაკონ მათე ბახტაძის ხელმოწერები. მას ასეთი მინაწერიც აქვს: "საჭიროა რიცხვი რომ ეწეროს ამ წიგნზედ თუ რომელ წელშიდ არის გადაწერილი ეს თთვენი, მაგრამ არსად არ სწერია და როგორც მე ნამდვილად ვფიქრობ და ვიცი, ეს უნდა იყოს დაწერილი 1776 წელშიდ, რადგან მიტროფანე გრიგოლაშვილი აქ, ხონშიდ, მაშინ ყოფილა მთავარეპისკოპოს ანტონისა თანა. ეს დაინახება იოანე კიბის აღმწერელის წიგნში, რომელიც დაცულია ხონის სობოროს წიგნთსაცავში და რადგანაც ისიც, მას, გრიგოლაშვილს გადაუწერია და რიცხვიც არის შუა გულში ამ წიგნის. მ. ბახტაძე 1900 წ." (პ. ვაჭრიძე, დამონმებული წიგნი, გვ. 176).

5. კრებული ხის შავ ტყავგადაკრულ ყდაში. იწყება იოანე დამასკელის წანამძღვრით, შექმნილია XVIII საუკუნეში, მთავარ დიაკონ მიტროფანე გრიგოლაშვილის ხელით. მასზედაც არის მინაწერი:

"ესე არს სწავლა შვიდისა საიდუმლოსი შემოკრებილად თქმული. გლოცავ მე გლახაკი მიტროფანე დიაკონი, ყრმანო ახლად მოსწავლენო, რათა იკითხვიდეთ და ზეპირად დაისწავლიდეთ. ამისთვის დავწერე საეროსა და სოფლური სიტყვითა, რომ სიადვილისათვის მსწრაფლ ზედმოიწივნეთ და მტკიცედ დაიდევით გონებასა და ჩემ ცოდვილი-სათვის შენდობას იტყოდეთ" (ე. თაყაიშვილი, გვ. 288).

აქ უკვე მიტროფანე გრიგოლაშვილი პედაგოგიურ და მეთოდურ ცოდნასაც ამჟღავნებს.

6. "მეტაფრასი" სქელ ქაღალდზე, ხის ტყავგადაკრულ ყდაში, 142 ფურცლად, რომლის მინაწერში ვკითხულობთ:

"საწადელითა ძლევითა ძლეულმან... ტრფიალმან წერილისამან და მსგავსად ფუტკრისა შემკრებელმან ყვავილთა მასთამან, სქესით ვ-მე ჩიჯავაძემან, ხოლო პატივით მთავარეპისკოპოსმან, ყ-დ სამღდელომან, მეუფემან ანტონიოს მიბრძანა წიგნისა ამის ვერ სრულებისა წერით გასრულებაი კმაითაი სასყიდელითა, რომელიცა იყოს დიდისა ხუთშაბათამდე დაწერილ, კეთილხელოვნისა ვისგანმე, დავიწყე მეოცდამეორე რვეულით... უცალოებათა ჩემთა მიზეზად მექმნა უმრავალჯერეს ღამით წერაი, გარნაცა არცა ეს არს საზიზღ. იოანე

ოსეს ძე იკონომოს-დეკანოზი. დაიწერა ტფილისსა შ-ნა სიონისა, თვესს იულისსა წელსა ჩ ღ ჲ" (1795) (ე. თაყაიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 289, ჟორდანია, "ქრონიკები", გვ. 433).

იმერეთის სამეფოში გადმოხვეწილი მღვდლის, ზაქარია გაბაშვილის ოჯახი ანტონ მთავარეპისკოპოსთან დაახლოებული ყოფილა. ოსე გაბაშვილი და მისი შვილი იოანე დიდხანს მოღვაწეოდნენ ხონის მონასტერში. მათ ანტონ ხონელის დავალებით გადაუწერიათ ათობით სამართლის ძეგლი, ხელნაწერი და საგადასახადო დავთარი.

ამ ხელნაწერის აღწერილობაში თედო ჟორდანია აღნიშნავს ანტონ მთავარეპისკოპოსის ღვაწლს და მისი გარდაცვალების თარიღს 1822 წელს. შეუტყვია, რომ ამ მოღვაწის ვრცელი ბიოგრაფია დაცული ყოფილა ხონში, ერთ ოჯახში, მაგრამ მას ის ვერ უპოვია.

7. კონდაკი სამღვდელთმთავრო, 171 ფურცლად, განეკუთვნება XVII საუკუნეს. თავში აქვს მერმინდელი მინაწერი ანტონ მთავარეპისკოპოსისა თავად კაცია წულუკიძისადმი, ჯოხტაბერიძეთა მამულის შესყიდვის თაობაზე.

"ჩვენ, ყოვლად სამღვდელომ მთავარეპისკოპოსმა ანტონიმ განგიცხადე თქვენ, წულუკიძეს კაციას ჯოხტაბერიძის ადგილის ყიდვის დასტური და თქვენ ნება დაგრთეთ და მათ მოგყიდეს სამოსახლო და ვენახნი... აწ ეპისკოპოსნო შ-დ ჩემსა გიბარებთ და დეკანოზთა გიბრძანებთ, რათა არა უგულებელსყოთ განსწესება ესე ჩემი ა-დ მარადის მოხსენებასა ყოფდეთ ესრეთ ვითარცა აღგვიწერია კონდაკსა ამას შინა. მოიხსენე უფალო წულუკიძე კაცია მეუღლით და ძეებითურთ სასუფეველსა შენს..." (ე. თაყაიშვილი. გვ. 290).

კაცია წულუკიძეს ქარჩხაბის ზვიადი მებატონე გახლდათ, თავად ბერი წულუკიძის მამა.

XIX საუკუნის დასაწყისში, მწიგნობარ ოსე გაბაშვილს მთავარეპისკოპოს ა. ჩიჯავაძის დავალებით გადაუწერია საგადასახადო ნუსხები, 1814 წელს გადაუწერია სამღვდელთმთავრო კონდაკი და მისთვის შემდეგი მინაწერი გაუკეთებია:

"მათმან ყოვლად სამღვდელომან, მთავარეპისკოპოსმან ანტონ, ტომით ჩიჯავაძემან აღმაწერინა წიგნი ესე სამღვდელთმთავრო... მე მდაბალსა და ყოვლად უღირსსა ხუცესს, გაბაონსა ოსეს, ძესა ზაქარია მოძღვრისა". გადამწერი ანტონ ხონელის შესახებ ამბობს: რომელსაც

"სურდა შეკრება საღმრთოთა წერილთა ვითარცა სურთ ფუტკართ შეკრებად გლოლისა" (პ. ვაჭრიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 177).

ასე აფასებდნენ თანამედროვენი მთავარეპისკოპოსის ღვაწლს.

8. "მეტაფრასი", რომელიც იწყება 8 სექტემბრით და მთავრდება 15 აგვისტოთი. 117-ე გვერდზე კი აწერია:

"აღიწერა წ-ა ესე მეტაფრასი ბრძანებითა და წარსაგებელითა ჩიჯავაძის მთავარეპისკოპოსის ანტონისათა ქალაქსა ხონს. პალატსა წ-ის მთავარმოწამის გიორგისათა თ-ა ს-კდემბერსა ით ხ-ლითა ცოდვილისა ქართველის ლაზარესითა ქ-ს აქეთ მოა" (1771 წელს).

9. "ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარისა ანდრიასი", 23 რვეულად და ექვს ფურცლად. ნაწერია ნუსხა-ხუცური, სქელ ქაღალდზე XVIII საუკუნეში.

10. "კლემაქსი" ანუ "კიბე იოანე სინელისა", ნაწერი ნუსხა ხუცურით, თეთრ სქელ ქაღალდზე 50 რვეულად, რაც 400 ფურცელს შეიცავს. 37-ე რვეულს აქვს მიტროფანე დიაკონის მინაწერი, რომლის თარიღია 1776 წელი. ეს ის დროა, როცა მღვდელთმთავრის მიწვევით ეს მწერალი ხონში მოღვაწეობს. ამრიგად, ძეგლი შექმნილია ეპისკოპოსის შეკვეთით. გადამწერი ლოცავს წიგნის მეორე შემკვეთს და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს, მეფის ძეს იოსებს. თარიღად დასმულია 1771 წელი.

11. "ამონიოს ერმისის წიგნი", 32 რვეულად და 256 ფურცლად. ნაწერია ნუსხა-ხუცურით. შეიცავს 11 რვეულს და 48 ფურცელს გადაწერილია მიტროფანე გრიგოლაშვილის მიერ.

12. "ანტონ დიდის ცხოვრება", ნუსხა-ხუცური ხელნაწერი 11 რვეულად და 4 ფურცლად, გადაწერილი მიტროფანე გრიგოლაშვილის მიერ.

13. "კურთხევა ეკლესიისა", რომელიც ვახტანგ მეექვსის ძის, ბაქარის გამეფებისას (1716 წელი) დომენტი კათალიკოსის დაკვეთით, სამთავნელ ეპისკოპოსს კიპრიანეს გადაუწერია და დაუბეჭდია ქართველ ბერს გაბრიელ გარსევანყოფილს. სტამბური ნაბეჭდი წიგნი ხონელი მთავარეპისკოპოსისათვის 1772 წელს გადაუწერია თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზს ნიკოლოზს.

14. იგივე წიგნი გადაწერილი ნათლისმცემლის უდაბნოში.

15. "დოღმატიკა" ანტონ მთავარეპისკოპოსის შესახებ მინაწერით:

"ადიდოს ღმერთმან ორთავე სუფევასა შინა მღვდელთ-მთავართ მთავარეპისკოპოსი ანტონი, რომლისა ბრძანებითა დაიწერა წ-ი ესე

უზაკველი და ყ-თუთ უნაკლული საფილასოფოსო წიგნი. დღეგრძე-დობით, ყ-ნივე ცოდვანი მისნი შეუნდოს ღმერთმან ა-ნ. და მე მონამან, მიტროფანე დიაკონმან დავწერე. ან გევედრებით ყ-თავე რაიცა მიემთხ-ვივნეთ წიგნსა ამას რ-ა მერე მომიხსენოთ შენდობით" (ე. თაყაიშვილი - დამონმებული წიგნი, გვ. 290).

16. "ეფრემ ასურის წიგნი" ლავსაიკონითურთ, ნაწერია ქაღალდზე ნუსხა-ხუცურით, თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზის ნიკოლოზის მიერ, მანგლელი ეპისკოპოსის არქიმანდრიტის გერმანეს შეკვეთით, 1757 წელს.

17. იგივე წიგნი, გადაწერილი ნათლისმცემლის უდაბნოში.

18. "ეფრემ ასურის" ეპისტოლე იოანე მონაზვნის მიმართ, ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში, ნაწერია ნუსხა-ხუცურით. განეკუთვნება XVIII საუკუნეს.

19. მიტროფანე გრიგოლაშვილის შესრულებული ერთი ხელნაწერი.

20. "სამღვდელმთავრო კონდაკი" შესრულებული ნუსხა-ხუცურით, ზის ტყავგადაკრულ ხის ყდაში. წიგნის ბოლოს წარწერაა:

"მათმან ყოვლად უსამღვდელოესობამ, მთავარეპისკოპოსმან ანტო-ნი, ტომით ჩიჯავაძემან აღმაწერინა წიგნი ესე საამღვდელთმთავრო მე მდაბალსა, ყოვლად უღირსსა ხუცესს, გაბაონსა ოსეს, ძესა ზაქარია მოძღვრისას..." ეს წიგნი მწერალს გაუსრულებია 1814 წელს.

21. "უწყბა მასალისა წმიდა ტრაპეზის ზედ დასასხმელისა", დაწერილი XVIII საუკუნეში ნუსხა-ხუცურით.

22. "მსოფლიო საეკლესიო კრების სჯულის კანონი", გადაწერილია მიტროფანე გრიგოლაშვილის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში (ე. თაყაიშვილი - დასახელებული წიგნი, გვ. 294).

23. "სადღესასწაულო შობისა და ნათლისღებისა", გადაწერილი მიტროფანე გრიგოლაშვილის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში.

როგორც ვხედავთ, დასახელებული წიგნების უმეტესობა ანტონ ჩიჯავაძის შეკვეთით არის გადაწერილი და განახლებული, ისე როგორც წყალობის, შეწირულების, საგადასახადო ნუსხები და სხვა სამართლის ძეგლები, მაგრამ ამით როდი ამოიწურება ანტონ მთავარეპისკოპოსის ღვაწლი.

ქალაქ ხონისა და მისი ეპარქიის ისტორიაში მეტად მონუმენტური და ნათელი ფიგურაა გამოჩენილი მღვდელთმთავარი და საზოგადო

მოღვაწე ანტონ ლომკაცის ძე ჩიჯავაძე, რომელსაც თითქმის 50 წელი ეჭირა საეპისკოპოსო კათედრა (1771-1821 წწ.) და დიდი ამაგი დასდო ქვემო იმერეთის მოსახლეობას.

ის გარდაცვლილა ღრმად მოხუცი 1822 წელს.

მთავარეპისკოპოსი ანტონი მოესწრო სოლომონ პირველს, დავით გიორგის ძის და სოლომონ მეორის მმართველობას იმერეთის სამეფოში. იყო მონაწილე და თანამედროვე იმერეთის დროებითი სტაბილიზაციისა და მასში გამეფებული შინაომებისა, რაც მოჰყვა სოლომონ პირველის გარდაცვალებას და იმერეთის ორი მეფის განუწყვეტელ შინაომებს, ბოლოს კი რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ 1810 და 1819-20 წლების აჯანყებებს. მოესწრო ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას (1811 წ.) და სიცოცხლის მომსვრელ ჟამიანობას (1811-12 წწ.), რომელმაც დიდძალი ხალხი შეინირა.

მთავარეპისკოპოსი ანტონი იყო იმერეთის 1819-20 წლების სახალხო ამბოხების ერთი პირველი წამქეზებელი და მოძრაობის დამწყები, რაც მიზნად ისახავდა ქართული, ტრადიციული საეკლესიო ცხოვრების ხელმყოფთა ალაგმვას.

ამრიგად, მოხუცი არქიეპისკოპოსი გამოდის, როგორც აქტიური მებრძოლი ეროვნული თავისუფლებისათვის, ეკლესიაში რუსული წირვა-ლოცვისა და საგადასახადო სისტემის შეცვლის მოწინააღმდეგე.

მთავარეპისკოპოსი ანტონი ჩიჯავაძეთა ბრწყინვალე საგვარეულოს ეკუთვნოდა. საჩინო-ვანი-შუამთის მიდამოებში ამ სათავადოს 16 სოფელი, 3 ციხესიმაგრე (სებეკა და ციხე სულორი საპაიჭაო), 600 კომლი გლეხი და აზნაურთა 12 გვარი ეკუთვნოდა (ო. სოსელია - დასახელებული წიგნი, გვ. 12-15).

მომავალ მღვდელთმთავარს თავადიშვილის შესაფერისი აღზრდა-განათლება მიუღია. საფუძვლიანად შეუსწავლია ქართული მწერლობა, ფეოდალური სამართალი, საქართველოს ისტორია, გრამატიკა და საღვთოს სჯული...

სიჭაბუკის წლებიდან ბერად აღკვეცილ ანტონს, თავის უმთავრეს მიზნად დაუსახავს ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის.

ხონელ მთავარეპისკოპოსად ის მეფის ძმამ, იოსებ კათალიკოსმა აკურთხა. მოყოლებული 1771 წლიდან, ის დღენიადაგ ზრუნავდა

სამონასტრო ქონების დაცვა-გამრავლებისათვის, სახალხო განათ-ლებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის, ქართულ ხელნაწერ წიგნთა გადაწერა-განახლებისათვის.

დიდი ენერგია შეალია მღვდელთმთავარმა მტაცებელი ფეოდალების ხელისგან სამონასტრო გლეხების და მამულების გამოწირვის საქმეს, საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას, იმერეთში ზნეობის ნორმათა დაცვას, ტყვეთა სყიდვის აღმოფხვრას, უმინაწყლო გლეხებისათვის ახალი სამოსახლოების გამოყოფას. ის ყოფილა გასაოცრად მხნე, პრინციპული და მიზანსწრაფული საეკლესიო ქონების მიმთვისებელთა მიმართ, ამავე დროს გამოირჩეოდა უაღრესი კრისტალურობით და უანგარობით. თითქმის მთელი თავისი პირადი ქონება სამონასტრო ცხოვრებას შეალია.

ამ თვისებათა გამო ანტონ ხონელს, განსაკუთრებულ პატივს სცემდ-ნენ: იმერეთის მეფეები, საქართველოს ორივე ნაწილის კათალიკოსები, სამეგრელოსა და გურიის მთავრები, სამეფოთა ბატონიშვილები.

მისი ღვაწლის განსაკუთრებით მადლიერი უნდა ყოფილიყო ქვემო იმერეთის გლეხკაცობა. მათი ნაწილი, რომლებიც მცირემიწიანთა კატეგორიაში ირიცხებოდნენ, მთავარეპისკოპოსმა რიონის აღმოსავ-ლეთ მხარის სოფლებში ჩაასახლა და შეუნარჩუნა მონასტერს.

მთავარეპისკოპოსად მეუფე ანტონის კურთხევამდე, ხონის მონასტრის მეურნეობაში სრული ანარქია იყო, რაც საბოლოოდ ვერ გამოასწორა თვით მეფე სოლომონ პირველის ენერგიულმა ჩარევამ, მათ შორის შეუფერებელი დეკანოზის ადგილზე აზნაურ მიქელ ქუთათელაძის დანიშვნამ.

მეფე წყალობის წიგნში ბრძანებს:

"...გიბოძე... შენ წმიდის გიორგის ყმას ქუთათელაძეს მიქელს, მღვდელს, მთავარეპისკოპოსის იოსების შუამდგომლობით, ასე რომე შენს სახლისკაცს ჰქონდა დეკანოზობა, მაგრამ წმიდას გიორგის და მის ეკლესიას რომ ეკადრებოდა, ისე განკრძალვით ეკლესიის სამსახურს და რიგს არ ათავებდა, სხვას რაგინდარას საქმეში იყო"... (შ. ბურჯანაძე - "ისტორიული საბუთები იმერეთის სამეფოსა..." 1, გვ. 110).

საბუთი განეკუთვნება 1758 წელს.

ახლა თვალი მივადევნოთ 1761 წლის ერთ საბუთს:

"შემოვკრბით მადლის მიცემად ღვთისა... და დავაყენეთ (ხონელ ა.ფ.) მთავარეპისკოპოსად ერისთავის ძე მროველყოფილი იოსებ. მოვიკითხეთ და ეკლესიის გუჯარი ვერ ვნახეთ, ჟამთა ვითარებისაგან დაკარგულიყო, არც სამრეველოსი შემოსავლის, არც ნიშნის. არც სახუცო, არც ერთი წიგნი აღარ იყო"-ო - ბრძანებს მეფე.

მთავარეპისკოპოსმა დიდი მუშაობა გასწია ეპარქიის საშემოსავლო ნუსხების მოსაწესრიგელად. გადააწერინა და აღადგინა ჟამთა ვითარებისაგან შერყვნილი და ფურცელნაკლული საბუთები, განაახლა წყალობის, შეწირულებისა და სხვა სიგელ-გუჯრები. თავადებს და აზნაურებს ჩამოართვა მიტაცებული ყმა-მამული და ისევ მონასტერს დაუმკვიდრდა.

XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში მღვდელთმთავარმა საყდრის დეკანოზ ვასილ ქუთათელაძესთან ერთად ააგო იმდროისათვის უზარმაზარი, ასადგილიანი საავადმყოფო, რომელსაც ხონელები "სასაპყრეს" ეძახდნენ. ჩვეულებრივ, მასში ათავსებდნენ ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებს და მათ სამონასტრო სკოლაშიც ასწავლიდნენ... სკოლა საავადმყოფო ეპარქიის შემოსავლებიდან ფინანსდებოდა.

გაეცნო რა, ამ დაწესებულებას, იოანე ბაგრატიონი, სამაგალითოდ მიიჩნია. ამის გამო ანტონ ხონელის შესახებ წერდა:

"მთავარეპისკოპოსი ჩიჯავაძე, კაცი ღმერთ-შემოსილი და სიწმიდითა სრული, რომელიც ყოველთვის ჰზრდის გლახაკთა ხონის ქალაქსა შინა სხვადასხვა სენითაგან შეპყრობილთა, ვიდრე ასისა სულისა უმეტეს" (ი. ბაგრატიონი, "კალმასობა", "ქართული პროზა", 1984 წელი, ტ. 6. გვ. 17).

ამ სკოლა-საავადმყოფოს შესახებ წერდა პროფესორი ვუკოლ ბერიძე და აღნიშნავდა, რომ ეს დაწესებულება ერთადერთი იყო მთელს იმერეთში.

სკოლისა და საავადმყოფოს მოვლა-პატრონობის საქმეში მთავარეპისკოპოსს გვერდით ედგა დეკანოზი ვასილ ქუთათელაძე, დიაკონი იასე ბახტაძე და სხვა პედაგოგები. ისინი წვრთნიდნენ ინვალიდ ბავშვებს და ბევრი მათგანი შესანიშნავი კალიგრაფი და პედაგოგი გახდა.

ამ დროს ხონის მონასტერში რამდენიმე მღვდელი, დიაკონი, გადამწერი და პედაგოგი, მეფსალმუნე, კანდელაკი, ბერმონაზონი და

მანუსკრიფტ-კალიგრაფთა მთელი შტატი მოქმედებდა. ამის გამო 1882 წლის 2 დოკუმენტში ეს დაწესებულება მონასტრის სახელით არის მოხსენებული.

მეფე ს ·ლომონ II აფასებდა რა მთავარეპისკოპოსის ღვაწლს ასე მიმართავ,და მას:

"კაცი ,თისა პატიოსანი, ანგელოზთა ცხოვრებისა მობაძავი, მოსახელისა თვისისა კუალსა შედგომილი" (ს. კაკაბაძე - "დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები", წიგნი 1, 1921 წ, გვ. 144).

სამწიგნობრო მუშაობაში მთავარეპისკოპოსის მარჯვენა ხელი იყო გადამწერი მიტროფანე გრიგოლაშვილი, რომელიც 1776-78 წლებში არქიელის მიწვევით ხონში მოღვაწეობდა და როგორც ზევით დავრწმუნდით მისი მრავალი შეკვეთა განასრულა. სამცხეში, წმიდა საბას ლავრაში დამკვიდრების შემდეგ მთავარეპისკოპოსს მასთან კავშირი არ გაუწყვეტია და იქაც რამდენიმე შეკვეთა შეასრულა. მისი ნამუშევრები ფაქიზი შესრულებით გამოირჩევა და იმდროინდელი საუკეთესო ნიმუშების დონეზეა. ამავე დროს მ. გრიგოლაშვილს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის რამდენიმე შეკვეთა შეუსრულებია.

ანტონ ხონელის მოღვაწეობა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ასადგილიანი საავადმყოფოს შენახვა, მოზდილი სამრევლო სკოლის დაფინანსება, ეპარქიაში შემავალი ათობით სოფლის მოძღვართა მიმართ დახმარების გაწევა, რამდენიმე სათავადოსადმი ყურისგდება, ბრძოლა უზნეობათა არცთუ იშვიათი გამოვლინებებისა და მტაცებელი ფეოდალების წინააღმდეგ. გაქცეულ გლეხთა ახალ სამკვიდროზე დაფუძვნება ახალ ფინანსებს მოითხოვდა, მაგრამ ქვეყანა გაჩანაგებული იყო და არც მეფე - მთავართა დახმარება იყო წინანდებურად ეფექტური.

ამიტომ მთავარეპისკოპოსმა ოსე გაბაშვილის ხელით რამდენიმე ნუსხა ხელახლა გადაწერა და ათობით გლეხს ფულადი გადასახადი სანთლის გამოსაღებით შეუცვალა. ეკონომიურ გასაჭირში ჩავარდნილი მთავარეპისკოპოსი ხშირ შემთხვევაში იძულებული იყო სესხად აეღო ფული ერთ შემთხვევაში ცუცხვათელი თათრისაგან 917 მარჩილი, მეორედ 131 მარჩილი კათოლიკე მღვდელისაგან ("საქართველოს ისტორიის ქრონიკები", 1980 წ. გვ. 264).

თათრის ვალი მთავარეპისკოპოსს დროულად ვერ გაუსტუმრებია და მისი ბატონის, აგიაშვილისათვის ხონში სამონასტრო მიწები და გლეხები დაუთმია.

"გაურჯულებას მამულის გაყიდვა ვარჩიეთ"-ო - წერს მღვდელთ-მთავარი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ერთ საბუთში (პ. ვაჭრიძე - "ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან", 1977 წელი, გვ. 17).

მესამე შემთხვევაში მონასტრის კუთვნილი ფული უსესხებია და გირაოდ რამდენიმე ძვირფასი ნივთი: ხატი, ლოცვანი და სახარება დაუდევს (ს. კაკაბაძე, "დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები", ნაწილი 1, გვ. 79).

თუ არისტოკრატიის უმაღლესს საფეხურზე მდგომი მთავარეპისკოპოსი ამ დღეში იყო, ადვილი წარმოსადგენია სოციალურად დაუცველი გლეხობის მდგომარეობა.

სხვადასხვა დროს არქიელს ხონის საკათედრო საყდრისათვის შეუწირავს ასობით მარჩილი ფულად, პატარა ხატი, საეპისკოპოსო ბისონი, "დაბადება", "ზადიკი", "სწავლანი" და სხვა.

მღვდელთმთავარი ა. ჩიჯავაძე იმერეთში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგაც იბრძოდა სამონასტრო მიწების და გლეხობის შესანარჩუნებლად. "იმერეთის დროებითი მმართველობის" "დივანში" 1816 წლის აპრილ-მაისში განუხილავთ საკითხი, რომელიც არქიეპის-კოპოსს წარუდგენია - "დაუბრუნდეს წმიდა გიორგის მონასტერს მისი ყოფილი მიწები, რომელიც სხვებს აქვს მიტაცებული".

დივანს დაევალა ამ თხოვნასთან დაკავშირებული გარემოების გარკვევა და იმერეთის მმართველობისათვის შეტყობინება (გ. ვაჭრიძე - "იმერეთის დროებითი მმართველობა 1810-1840 წლებში", 1999 წ. გვ. 146).

ნაძალადევად ჩატარებული საეკლესიო რეფორმის შემდეგ (1821 წ.) იმერეთში დარჩა მხოლოდ ერთი ეპარქია, რომლის ეპისკოპოსად სოფრონიოს წულუკიძე აკურთხეს. მისი წერილობითი ბრძანების შესაბამისად, ხონის საყდრის დეკანოზმა ვასილ ქუთათელაძემ ზემოთ-დასახელებული წიგნები და ხელნაწერები აღწერა, 1835 წელს კი ქუთაისში გადაგზავნა.

მთავარეპისკოპოსის ქონების 1819 წლის აღწერაში ეგზარქოსის მოხელეებმა რომ ჩაატარეს, პირად საკუთრებაში დასახელებულია 34

წიგნი. მათ შორის სვინაქსარი, ბიბლია, ორი ცალი სამღვდელო წიგნი, ევანგელიე, სამოციქულო, სამარხვო, თთვენი, ოთხი ლოცვანი ვასილი დიდის, იოანე ოქროპირის და გრიგოლ ღვთისმეტყველის წიგნთა ხელნაწერ ები, საეკლესიო კანონთა კრებული, მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები, მთავარანგელოზ მიქაელის და სხვა კეთილ ძა ა სახელები, ქრისტეს შობის სასამსახურო და ბასილი დიდის გამოცხადება, სახალისო ევანგელიე, მარკოზის და ლუკას სახარებათა ხელნაწერები, ვახტაგ მეექვსის კანონთა ამონაწერები და ორი სკივრი წიგნების შესანახად (Д. Гордеев, "Матеряли к обследованию Хонских древностей", ჟურნალი "საისტორიო მოამბე", 1924 წ. წიგნი 1, გვ. 206-207).

მკვლევარ პეტრე ვაჭრიძეს, თავის ახალ წიგნში მოაქვს მთავარეპისკოპოს ანტონის ბიბლიოთეკის საკმაოდ ვრცელი აღწერილობა და ჩამოთვლის მის წიგნებს: დავითნი, თთუენის ჟამნი, სახარება, სამოციქულო, პარაკლიტონი, მარხუანი, ზადიკი, ნლის თთუენი (მხედრული ნაწერი მიხეილ თბილელისა), სვინაქსარი, სადღესასწაულო მეტაფრასი, დიდი მარხვის და ზადიკის მეტაფრასი, ახალი ლოცვანი, წირვის ტიბიკონი (მხედრული ნაწერი), საყდარში საკითხავი, მოძღვარ-მონაფის წიგნი, აღსარების წიგნი, ბოვშების სასწავლებელი ანბანი, ნლის ტიბიკონი, იოანეს სახარების თარგმანი, მაქსიმე აღმსარებლის წიგნი, დიონისე არეოპაგელის წიგნი (რუსული), მწმიდა ბასილის ითიკა, ეფრემ ასურის წიგნი და ლავსაიკონი სიონის, საყდრის დეკანოზის ნიკოლოზის მიერ გადანაწერი, იოანე კლემაქსის წიგნი, მამათ ცხოვრება, ამონიოსის წიგნი, ბესარიონ კათალიკოსის მიერ თქმული გურდემიტის წიგნი (რუსული), მამა ანტონის და სვიმონ მესუეტის ცხოვრება, კითხვა მიგების წიგნი (რუსული), სადღესასწაულო (სტამბური რუსული), ხრონოღრაფი, ახალი გრამატიკა, რიტორიკა, ლოღიკა, ფისიკა, ღვთისმეტყველების წიგნი ანტონ კათალიკოსისა და სხვა (პ. ვაჭრიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 177).

როგორც ვხედავთ მეუფე ანტონის პირად ბიბლიოთეკაში ყოფილა: ეთიკა, ლოგიკა, ფისიკა, რიტორიკა, "მოძღვარ-მონაფის წიგნი", "ბოვშების სასწავლებელი ანბანი", "ახალი გრამატიკა", "ღვთის მეტყველება" და სხვა, რაც ასე საჭირო იყო სამონასტრო სკოლისათვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მონასტრის სამრევლოს სკოლის პედა-

გოგთა ღვაწლი ვაკე იმერეთის მოსახლეობის განათლების საქმეში.

პროფესორმა ვუკოლ ბერიძემ გაარკვია, რომ ხონის მონასტრის სკოლა ერთი უძველესთაგანი იყო იმერეთში და ძირითადად სასულიერო პირებს ამზადებდა.

მასში ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, კატეხიზმოს, გალობას, ნუსხა-ხუცურ და მხედრულ წერა-კათხვას ძველ ისტორიას, ვახტანგ VI-ის სამართალს, არაბულ ციფრებს, ქართულ ენას, არითმეტიკას, გრამატიკას, ეთიკას, ფილოსოფიას, ასტრონომიას, ფიზიკას, კალიგრაფიულ წერას, წიგნის ყდის დამზადებას, მის აკინძვას და შეკვრას.

სკოლიდან საუკეთესო მწიგნობრები გამოდიოდნენ. სკოლის ზედამხედველი და სწავლებაში გეზის მიმცემი თვით მთავარეპისკოპოსი ანტონი იყო. მის გვერდით მდგარა გაბაშვილთა მწიგნობრული ოჯახი, ქუთათელაძეები და ბახტაძეები, თბილისის სიონის საყდრისა და სამცხის საბას ლავრის განთქმული მწიგნობრები. აგრეთვე ხონის მონასტრის ბერმონაზვნები: "ლაზარე გადამწერი" და "ივანიკა მწერალი", სვიმონ ფირცხალავა.

საერთოდ ზაქარია გაბაშვილის ოჯახი ხონელ არქიეპისკოპოსთან დაახლოებული ყოფილა.

ხონის მონასტრის მწიგნობრები არამარტო გადასწერდნენ, არამედ თარგმნიდნენ კიდეც, ამკობდნენ წიგნებს შესანიშნავი მინიატურებით, უკეთებდნენ შენიშვნებს, მინაწერებს, ქრონიკულ და ასტრონომიულ დაკვირვებებს (პ. ვაჭრიძე - დასახელებული წიგნი, გვ. 50).

ხონში დამზადებულ ერთ-ერთ წიგნზე ს. ფირცხალავას მეტად საინტერესო ასტრონომიული მინაწერია გაკეთებული, რაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ სწავლული ბერის ერუდიციის მასშტაბზე. მან მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ხონის სამონასტრო ცხოვრებას და სამრევლო სკოლას მოიახმარა.

სვიმონ ფირცხალავა მათხოჯელი იყო. ის სამრევლოს სკოლას სათავეში ჩაუდგა მეცხრამეტე საუკუნის 20-იან წლებში, ე.ი. ანტონი ხონელისა და ვასილ დეკანოზის მოღვაწეობის ბოლო წლებში.

მოძღვარი სვიმონი დაბადებიდან კუტი, საპყარი იყო, ორივე ქვედა კიდური განუვითარებელი ჰქონდა. არც ხელები ჰქონდა საღი. მარჯვენაზე სამი თითი აკლდა, მარცხენაზე ორი. მოკლედ საპყარი იყო. აღიზარდა რა ხონის სასაპყრეში იმ დროის განათლებული კაცი

ოიყო. ნერაც შესანიშნავი იცოდა. შემუშავებული ჰქონდა სნავლების !საკუთარი მეთოდები და საკმაო ეფექტურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. იყო მკაცრი, მომთხოვნი და სამართლიანი. ამის გამო ყველა რიდით და პატივისცემით ექცეოდა. გარდაიცვალა ღრმად მოხუცი 1870 წელს. ამის გამო დაიხურა სამონასტრო სკოლა.

ხონის მონასტერში დამზადებულ ერთ წიგნზე ქრონიკათა მსგავსი ცნობებია მიწერილი, ის მოძღვარს სვიმონს ან'მღვდელ მათე ბახტაძეს უნდა ეკუთვნოდეს.

ხონის ეკლესიასთან შექმნილი ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები ძვირფას მასალებს შეიცავენ ჩვენი სამშობლოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის, ფეოდალური სამართლის, სოფლის მეურნეობის, ზომა-წონის საწყაოების, ფეოდალური მცირე ქალაქის ხონისა და ყმათა მფლობელობის შესახებ. ამ ძეგლების უმეტესობა დღეისათვის გამოცემულია.

ხონში რომ სამონასტრო ცხოვრება იყო გაჩაღებული, ამის შესახებ თავიანთ ნაწერებში აღნიშნავენ: იმერეთის ეპისკოპოსი სოფრონიოსი, ნიკოდიმე კონდაკოვი, ანდრეი მურავიოვი, ფრანგი კონსული კავალერი გამბა.

სამწუხაროდ ხონის სამონასტრო სკოლას თავიანთ ნაწერებში არც ახსენებენ ჩვენი ისტორიის მკვლევარნი: ლევან მენაბდე (ლ. მენაბდე - "ძველი ქართული მწერლობის ძეგლები", 1962 წ. 1, გვ. 43), მ. ქიქოძე და ქ. ჩხატარაშვილი ("საქართველოს ისტორიის ნარკვევები ", 1973 წ. ტ. 4. გვ. 778, 784).

მონასტერს გააჩნდა რამდენიმე სენაკი, ეპისკოპოსის სასახლე, სამრევლო სკოლა, საჯინიბო და ვეებერთელა საბძელი. 1981 წელს სტადიონის მშენებლობისას აღმოჩნდა დიდი მარანის ნაშთი, რაც დაახლოებით 10-12 ტონა ღვინის შესანახად იყო განკუთვნილი. XIX საუკუნის 20-იან წლებში ეპისკოპოსი სოფრონიოსი ხონის საყდრის დეკანოზს ჩვეულებრივ, "ხონის საეპარქიო მონასტრის გამგეს" უწოდებდა.

ცოტა ისევ ანტონ ხონელის შესახებ. ის მთავარეპისკოპოსად, როგორც აღვნიშნეთ, იოსებ კათალიკოსმა აკურთხა. მას ზოგი უცნაური ჩვევა და ახირება ჰქონია. არც ადვილად უხრიდა თავს იმერეთის მეფეს, რომელიც უცერემონიოდ ერეოდა საეკლესიო

საქმეებში.

ერთხელ მას სოლომონ I შეეკითხა - "განმარტოს თავისი განსაკვირვებელი ცხოვრება", არქიეპისკოპოსმა მას პირდაპირ უპასუხა: "მეფეო, თქვენ არ გეხელმწიფების შეხვიდეთ მსჯელობასა შინა ჩემი ცხოვრებისა".

ე.ი. მეფეს არა აქვს უფლება ჩაერიოს ეპისკოპოსის საქმეშიო. არა და ეს ბაგრატ კურაპალატის კანონებით (X ს.) მართლაც ასე იყო...

განრისხებულმა სოლომონ პირველმა მას სამწყსო ჩამოართვა.

გადაყენებული მღვდელთმთავარი თბილისში ჩავიდა (1782 წ.), სადაც პატივით მიიღო მეფე ერეკლემ. ანტონ ჩიჯავაძე თბილისში დარჩა სოლომონ პირველის გარდაცვალებამდე, სოლომონ II კი ერეკლეს შუამდგომლობით ისევ დაუბრუნა კათედრა. ანტონი ხონელი, თბილისში გასცნობია სიონის საყდრის სწავლულ მოღვაწეებს და შემდგომში მათთვის რამდენიმე შეკვეთაც მიუცია.

ანტონ ხონელს დაუწერია ცნობილი ანდერძი, გამოცემული ფურცელაძისაგან. ამ ანდერძს ისევ მიაკვლია პეტრე ვაჭრიძემ კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში (პ. ვაჭრიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 50).

საინტერესოა ანტონ ხონელის ცხოვრების ბოლო წლები.

1817 წელს ქუთაისში ჩამოვიდა საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი, დაიბარა იმერეთის მხცოვანი მღვდელთმთავრები: დოსითეოზ ქუთათელი, ეფთვინი გენათელი და ანტონი ხონელი, გააცნო მათ საეკლესიო რეფორმის არსი და თან შეჰპირდა, რომ მათ სიცოცხლეში კათედრებს არ გააუქმებდა.

სამწუხარრდ აღწერა მაინც დაიწყო.

ანტონ ხონელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო იმერეთის ამბოხებაში.

დაკითხვის ოქმში აღნიშნულია:

"არქიეპისკოპოსი ანტონი - ის იყო პირველი მიზეზი ხალხის შეკრებისა ვაკის ოლქში. მან უარი თქვა, უკეთ რომ ვთქვათ, ხონიდან გააგდო ეპარქიის მმართველი, არქიმანდრიტი ნიკოლოზი, იმიტომ, რომ მან შეასრულა ეგზარქოსის მინდობილობა ხონის ეპარქიის აღწერის თაობაზე" (Н. Махарадзе, назв. труд., стр. 175).

ანტონ ხონელ მთავარეპისკოპოსს სამწყსო ჩამოართვეს, ხოლო 1821

წლის ნოემბერში ხონის ეპარქია მთლად გააუქმეს, სამონასტრო 218 კომლი გლეხი სახაზინო უწყებაში გადაწერეს, ხონის მონასტერი გაჩხრიკეს და არასაიმედონი კონტროლს დაუქვემდებარეს. ხონის საყდრის დეკანოზმა მათე (იესეს ძე) ბახტაძემ მხოლოდ 1845 წელს აღადგინა 1819 წელს რუსთაგან დარბეული სკოლა. ამ სკოლამ იარსება სვიმონ კუტის გარდაცვალებამდე (1870 წ.).

ვასილი დეკანოზის გარდაცვალების შემდეგ ეს თანამდებობა იესე ბახტაძეს ეჭირა. ის ჯრუჭის მონასტერში იყო აღზრდილი დავით მიტროპოლიტის მიერ, შემდეგ დეკანოზობდა მისი შვილი მათე ბახტაძე, რომელიც ვასილი (მეორე) ქუთათელაძემ შეცვალა.

იმერეთის ბოლო მეფეები პატივს სცემდნენ მათე ბახტაძეს (დ. ნაცვალაძე, "ილია ხონელის მოღვაწეობა და ლიტ. მემკვიდრეობა", ხონის მუზეუმის ფონდი, დისერტაციის პირი, 1959 წ. გვ. 4-5).

მათი ბახტაძე 1857 წელს გარდაცვლილა და მისი ადგილი დაუკავებია ვასილ ქუთათელაძეს, რომლის სახელთან დაკავშირებულია ეკლესიის ბოლო რეკონსტრუქცია.

მათე შვილი იყო ლუკა მღვდელი, რომლის შვილმა, ცნობილმა პუბლიცისტმა ილია ბახტაძემ (ხონელმა) ამხილა რა გელათის საყდრის რელიქვიათა გაძარცვა ფოტოგრაფ საბინპუსისაგან გენერალ-გუბერნატორ ლევაშოვის ხელშეწყობით, თუმცა ირიბად, მაგრამ მაინც შეურაცყოფა მიაყენა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს. ლუკა მღვდელი მღვდელ ჩხენკელის დაბეზღების გამო გადაყენებული იქნა.

ლუკას შვილები იყვნენ ქუთაისის ცნობილი სახალხო მასწავლებელი, აკაკის მეგობარი სერგო ბახტაძე და ხონის ქალთა კერძო პროგიმნაზიის დამაარსებელი ელენე ბახტაძე. ეს სკოლა ეკლესიის წინ მდებარეობდა და მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე იარსება.

ასეთია მოკლედ ხონის სამრევლო სკოლისა და მისი მოამაგეების ისტორია.

თავი მერვე

ხონის ბაზარი, ვაჭრობა და ხელოსნობა

მოხერხებული ადგილმდებარეობა, სატრანზიტო გზების სიახლოვე, მიწის სინოყივრე და მოსავლის სიუხვე, ირგვლივ განლაგებული მჭიდროდ დასახლებული სოფლები ხელს უწყობდა ხონში ბაზრობის, ვაჭრობის და ხელოსნობის განვითარებას.

ხონს ქალაქის შესაფერისი თითქმის ყველა პირობა ჰქონდა. მოსახლეობის რიცხვი და სიმჭიდროვე, ციხე-გალავანი და მთავარი სამლოცველო, სავაჭრო მოედანი და ათობით დუქანი, სარეწი და სამჭედლო, რასაც აკონტროლებდა ხონელი მთავარეპისკოპოსის მებაჟე და ნეფის მოურავი.

ჩვეულებრივ: იმერელი, მეგრელი და ლეჩხუმელი გლეხი, თავის ნამეტ პროდუქციას ხონში ჰყიდდა.

საისტორიო ტრადიცია ხონს განიხილავს, როგორც აღებ-მიცემობის უძველესს პუნქტს, რომელსაც გვიან შუა საუკუნეებში შენარჩუნებული ჰქონდა იმერეთისა და სრულიად საქართველოს უმთავრესი სავაჭრო პუნქტის ფუნქცია.

ბაზრობა ჩვეულებრივ, პარასკეობით ეწყობოდა და ამ სახელით იყო ცნობილი, რადგან ქრისტიანი კაცისათვის, მაცხოვრის ვნების დღეს, მიწის შეძვრა ცოდვად იყო მიჩნეული. დიდი იარმარკა-ვაჭრობა ეწყობოდა გაზაფხულის გიორგობამდე (22 აპრილამდე) და შემოდგომის გიორგობამდე (22 ოქტომბრიდან 22 ნოემბრამდე). მასში ყოველდღიურად 10 ათასამდე კაცი მონაწილეობდა.

მკვლევარი ნანა ალექსიძე, ხონის ეკლესიის მხატვრობაში შემორჩენილი არაბული ტექსტების განხილვისას მივიდა დასკვნამდე, რომ ხონს შუა საუკუნეებში სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ვენეციასან (ნ. ალექსიძე, "დასახელებული სტატია").

XVII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველო ოსმალეთმა სავაჭრო იზოლაციაში მოაქცია: შეუწყვიტა მარილის, რკინის, ევროპუ-

ლი საქონლის მიწოდება, ხარკი აკისრებინა და მის ანგარიშში ტყვეები და სახალათე ტილო მოითხოვა, რადგან დასავლეთ საქართველოში მაშინ, ბამბის წარმოება მაღალ დონეზე ყოფილა.

საისტორიო ცნობებზე დაყრდნობით, პროფესორ ილია ანთელავას გამოაქვს დასკვნა, რომ ხონს საქართველოს საერთო ბაზრის მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მყიდველი და გამყიდველი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეებიდან იყრიდა თავს, ბაზარი დიდი იყო და მდიდარი ასორტიმენტით (ი. ანთელავა - "XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ვითარების საკითხისათვის", 1977 წ. გვ. 57-58).

XVII საუკუნის შუა წლებში, როცა სრულებით არ სუფევდა კეთილდღეობა, რუსმა დიპლომატმა ტოლოჩანოვმა, იმერეთის სამეფო კარზე იხილა მრავალი ფუფუნების საგანი: იმპორტული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სიასამურის ბეწვი, სტავრის, აბრეშუმის, ხავერდის ქსოვილები, რაც უდავო ცნობაა ევროპასთან ვაჭრობისა (ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-52 წლები, იასე ცინცაძის რედაქციის, 1970 წ. გვ. 70, 95, 152).

ამას ადასტურებს მარიამ დედოფლის "მზითვის წიგნი", გამოქვეყნებული სარგის კაკაბაძისაგან.

იმერეთის ელჩი - მაქსიმე ქუთათელი, უმაღლეს კარს მოახსენებდა, რომ იმერეთში ბევრია ბეწვეული, ბამბა, აბრეშუმი. ყოველივე იაფია და საზღვარგარეთ კი ძვირად იყიდებაო ("საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. 4, 1973 წ. გვ. 583).

XVII -XVIII საუკუნეთა საქართველოს მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქთა შორის ხონიც მოიხსენიება, როგორც გვიანი ეპოქის იმერეთის მნიშვნელოვანი პუნქტი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს სხვა პუნქტები ხონს სავაჭრო მასშტაბით დიდად ჩამორჩებოდნენ.

პროფესორი შოთა მესხია აღნიშნავს, რომ ხონი, იმ მცირე ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც საეპისკოპოსო რეზიდენციებთან აღმოცენდნენ.

ამ აზრს დაეთანხმა პროფესორი ვალერიან გაბაშვილიც.

ხონში უძველესი დროიდან კომპაქტურად ცხოვრობდნენ ებრაელები.

ჩვეულებრივ, ისინი მეწვრილმანეობას და საშუამავლო-სადალალო საქმიანობას ეწეოდნენ და ამ ხელობით მნიშვნელოვან ქონებას აგრო-

ვებდნენ, თუმცა შინაომების გამო ზარალდებოდნენ, ხოლო ადგილობრივ ფეოდალთა და ყაჩაღთა მხრივ, მუდმივ ზეწოლას განიცდიდნენ.

როგორც ავღნიშნეთ, 1771 წელს, ქუთაისის ციხესიმაგრის თურქთაგან განთავისუფლების შემდეგ, სოლომონ პირველმა ხონელი ებრაელები ქუთაისში გადაასახლა, იქ საქალაქო ცხოვრების აღორძინების მიზნით.

ამ დროს , ხონელი ვაჭრები ისე ყოფილან გაწაფულნი, რომ არც დასტყობიათ ებრაელთა გადასახლება.

ხონის ბაზრიდან მიღებული შემოსავალი ცილობის საგანი იყო ძლიერთა ამა ქვეყნისათა შორის. 1568 წელს, ხოსრო ბატონიშვილის აჯანყებისას, ალბათ ის ითვისებდა შემოსავლებს, 1760 წელს, ხონი მამუკა ბატონიშვილმა დაიჭირა, 1766-69 წლებში ბესარიონ კათალიკოსმა, რომელსაც მარილის, ხორცის, თევზის და მატყლის ბაჟი დაედვა ხონის ბაზარზე.

ამ უკანონო გადასახადისგან ხონელები გაათავისუფლა მეფედედოფალმა.

ხონის ბაზარში საბაჟო სისტემა არასოდეს ყოფილა საბოლოოდ მოწესრიგებული.

სამეფოში ვინც პოლიტიკურ პოზიციას განიმტკიცებდა: მეფე, კათალიკოსი, ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი თუ ხონელი მთავარეპისკოპოსი, ბაჟსაც ის კრეფდა.

ეს დგინდება ცნობილი მღვდელთმთავრის, ანტონ ჩიჯავაძის თხოვნით მეფისადმი - მოაცილოს ხონს მოურავი და მებაჟე.

მეფემ და დედოფალმა ეს თხოვნა შეიწყნარეს.

ხონის მოურავები ძველ დროს აბულაძეები ყოფილან.

სოლომონ მეორის მმართველობისას, ეს სახელო თავად სეხნია წულუკიძეს უჭირავს.

აღნუსხულია ისეთი შემთხვევა, როცა საბაჟო შემოსავალი ხონის საყდარს რჩებოდა. მაგალითად, იოსებ ხონელს (XVIII საუკუნის შუა წლები) თავისი კუთვნილი ბაჟის ერთი ნაწილი ეკლესიისათვის გადაუცია.

მეტად საინტერესოა აკადემიკოს გიულდენშტედტის მიერ 1772 წლის ხონის ბაზრის აღწერილობა, რომლის თანახმადაც ის დიდი და მდიდარი სავაჭრო პუნქტია.

მას ხონის ბაზარშიც უნახავს რუხი და შავი მაუდის ჩოხები,

შემოტანილი ბასიანიდან და დიგორიდან ონის გზით. ბამბის წითელი და ცისფერი უხეში ქსოვილები, აბრეშუმის და ბამბის ქსოვილთა ნაჭრები პერანგისათვის, ქალის ზედატანის დასამზადებლად. ვიწროგანიანი ქსოვილები ბამბის და ერთი წყრთა რვა კაპიკად.

ალისარჩულით შეღებილი თავთა სამი მეოთხედი წყრთის სიგრძისა 25 კაპიკად.

10 ლიტრიანი სპილენძის ქვაბი 3 მანეთად.

სპილენძის საყვირები (ბუკი ა.ფ.) თითო 4 მანეთად.

ყირიმული მარილი ფუთი 2 კაპიკად.

დამარილებული ზურგიელი ფოროჯისა (სალიანიდან და თბილისიდან) ცალი 40 კაპიკად.

უდუმო და უკუდო ცხვრები 1 ცალი 2 მანეთად.

გასაყიდად გამოტანილი კანაფის ნაწარმი და ხის ჯამები.

მან ხონის ბაზარში მრავალი მეგრელი მოვაჭრე ნახა, ხოლო ბაზრის მდიდარი ასორტიმენტით და დოვლათის სიუხვით მოხიბლული დარჩა ("გიულდენშტენდის მოგზაურობა საქართველოში", 1962 წ. გვ. 141-151).

1808 წელს, ხონს ეწვია რუსეთის იმპერიის მოხელე რომმელი.

ის მოიხიბლა ასნლოვანი ჭადრებისა და ცაცხვების ჩრდილში შეყუჟული ათასობით მოვაჭრის ცქერით და იმერეთის მთავარ სავაჭრო პუნქტებად მიიჩნია ხონი და ონი, თუმცა აღნიშნა, რომ ებრაელთა ქუთაისში გადასახლებამ ერთგვარად დააკნინა ვაჭრობა ხონში.

რომმელმა ხონის ბაზარში იხილა შალისა და აბრეშუმის ნაწარმი, შინაური ფრინველი და ცხოველი, სპილენძის, რკინის და ხის იარაღები, ხელსაწყოები და ჭურჭლები, ევროპული ტილო, ყირიმის თევზი და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ გლეხი იხდიდა სამეფო, საბატონო და საეკლესიო გადასახადებს, მას მაინც რჩებოდა ნამეტი პროდუქცია ბაზარში გასაყიდად და საჭირო საქონლის შესაძენად. ამრიგად, ნატურალური მეურნეობიდან ქვეყანა ფულად-სასაქონლო ურთიერთობაზე გადადიოდა.

დგინდება ისიც, რომ ხონის ბაზარში ვაჭრობდნენ: შირვანელი, ნუხელი, აზერბაიჯანელი, ყარაბახელი თათრები და სომხები, იმერელი, რაჭველი, მეგრელი და ლეჩხუმელი გლეხები.

ხონის ბაზარში იყიდებოდა: მეგრული, აფხაზური, ყარაბაღული, თუშური ცხენები, აზერბაიჯანული მატყლი, იმერული და სამეგრელოს

პარკი, ლეჩხუმის ღვინო და ხილი, ევროპული საქონელი - მაუდი, სტავრა, ბროლი, ვერცხლის დანა-ჩანგალი.

ევროპის და რუსეთის ქალაქებში დიდი მოწონებით სარგებლობდა იმერული შინნაქსოვი შალი და აბრეშუმის ქსოვილები. ამ სამოცდაათი წლის წინათ თითქმის ყველა ოჯახში იდგა განთქმული დგიმ-სავარცხალი, რომლის რამდენიმე ნიმუში დაცულია ხონის მუზეუმში.

ხონის სახელოსნოების ნაწარმი რომ მოწონებით სარგებლობდა, ამას ადასტურებს XIX საუკუნის დასაწყისის ერთი წერილი, მიწერილი სამეგრელოს მთავრის ლევან V დადიანის მიერ ხონის ეკლესიის აზნაურის, სვიმონ ბერიძისადმი. მთავარი, თავის ყოფილ აზნაურს თხოვს ხონში დაამზადებინოს რამდენიმე დიდი ზომის სპილენძის ქვაბი სამთავრო სამზარეულოსათვის.

ლეჩხუმელი, გურული და მეგრელი გლეხების ლტოლვა ხონის ბაზრისაკენ, რასაკვირველია, მათივე სენიორების განრისხებას იწვევდა, რადგან ბაჟიც ეკარგებოდათ და ძვირფასი მუშახელიც ცდებოდა. ლევან V და ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა სცადეს ამ მხრივ გლეხთა შეზღუდვა, თუმცა უშედეგოდ.

XIX საუკუნის ათიან წლებში, ხონში საქმიანობდნენ მჭედლები, მკერავები, მეჩექმეები, ხარაზი, ხაბაზი, სირაჯი, ყასაბი, მღებავი, დურგალი, მეავეჯე და სხვა.

კ. ბოროზდინი, რ. ერისთავი და ჟ. მურიე სამეგრელოსა და ხონის ბაზრებს შორის უპირატესობას ხონს აძლევენ და მის მასშტაბსაც აღნიშნავენ.

ამას ადასტურებს 1870 წლის გაზეთი "დროებაც".

XIX საუკუნის დასაწყისში, ხონის მკვიდრი გლეხობისაგან გამოიყო ორი ახალი ფენა: ა. ყრმა-ვაჭრები, ბ. ყრმა-ხელოსნები.

მოგვყავს 1807 წლის მონაცემები:

თავად კაცია წულუკიძეს, ხონში 13 კომლი ვაჭარი და ამდენივე ხელოსანი ჰყავდა.

თავადმა ბეჟან წულუკიძემ, ხონის საყდარს შესწირა 3 კომლი ვაჭარი.

ხონის ეპარქიას ყავდა 15 კომლი ვაჭარი.

იმერეთის მეფეს 13 კომლი ვაჭარი.

თავად იოანე აგიაშვილს 25 კომლი ვაჭარი და 10 კომლი ხელოსანი.

ე.ი. მაშინ ხონში 92 კომლი ყმა-ვაჭარი და ხელოსანი ყოფილა.

1822 წელს ხონს ეწვია ფრანგთა სავაჭრო კონსული - კავალერი გამბა. მან აღნიშნა, რომ ხონი, სამაზრო ცენტრია, ზის ბოქაული, მაზრის უფროსი ჩაფრებით, მომრიგებელი მოსამართლე, არსებობს საფოსტო სადგური.

მოიხიბლა რა ხონის "პარასკეობა - ბაზრობით", განსაკუთრებით მოეწონა "ბრწყინვალე აბრეშუმის ქსოვილები", რომლებიც ადგილობრივ ოსტატებს შესანიშნავი საღებავებით დაეფერათ. შეამჩნია რა თვინიერება ხალხის გამოხედვასა და ქცევაში, ეს გულუბრყვილოდ ახსნა რუსეთის იმპერიის "კეთილისმყოფელი გავლენით", მონის კეთილდღეობა კი არ გაგონილა არასოდეს.

1814 წელს ახალციზის ბაზრიდან იმერეთში შემოჰქონდათ: ჩითი, აბრეშუმი, შალი, ფარჩა, ბამბაზია, წითელი ტორსიკონი, თურქული საპონი, თამბაქო, ქვამარილი, დამარილებული ხორცი.

ხონის ბაზარში "ჩეტვერტაკი" სიმინდი 7-8 ფრანკი ღირდა, ხორბალი 12-15 ფრანკი, გირვანქა ხორცი 8-10 კაპიკი, 100-120 გირვანქიანი ღორი 10-12 ფრანკი, ერთი ბოთლი ღვინო ერთი სუც არ ღირდა.

1830 წელს ხონში მცხოვრები 1800 სულიდან 53 კომლი ვაჭრობას ეწეოდა.

1845 წელს ხონში 85 ხელოსანი საქმიანობდა.

ხონში უძველესი დროიდან დღემდე შემოჰქონდათ ორიგინალური ჩუნეშური თოხი, მარჯვე იარაღი მთაგორიანი ნიადაგის დასამუშავებლად.

ადგილობრივ ხელოსნებთან ერთად ხონში სახლდებოდნენ ჩამოსული სპეციალისტები. XIX საუკუნის 30 -იან წლებში ხონში დედისერთა თამარ მებუკის ოჯახში, ზედსიძედ შევიდა გურული (ბუკისციხელი) ახალგაზრდა მჭედელი სვიმონ შარაშიძე (ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივანე შარაშიძის მამა). ოციოდე წელიწადში ბეჯით მჭედელს სახელოსნო და რამდენიმე სავაჭრო დუქანი გააჩნდა ხონი-სამტრედიის გზის გასწვრივ.

1856 წელს ხონში თამბაქოს ყოველწლიური იარმარკა დაარსებულა.

ვაკე-იმერეთში დიდი რაოდენობით ბამბას ამზადებდნენ, რის გამოც დაარსდა ბამბის საპენტი სახელოსნოები. 1000 ფუთი ბამბა ყოველწლიურად იყიდებოდა ხონის ბაზარზე, 4000 ფუთს (42 ტონა) ადგილზე მოიხმარდნენ შინნაქსოვი ტილოსა და ფლანელის დასამზადებლად. ერთი კილოგრამი ყურძენი ერთი კაპიკი ღირდა. 10

კილოგრამი კაკალი 50 კაპიკი. ერთი კილოგრამი ატამი 5 კაპიკი.

ხონის "პარასკეობა", აპრილსა და ოქტომბერ-ნოემბერში, 50 ათას მანეთს აბრუნებდა, 1856 წელს 100 ათასს, თუმცა შემდეგ წლებში დაეცა.

1851 წელს, ხონის ბაზარზე გამოტანილი საქონლის საერთო ღირებულება, მკვლევარ პეტრე ვაჭრიძის ცნობით, სამასი ათას მანეთს აღემატებოდა.

1846 წელს, კულაშელმა ებრაელებმა წერილი მისწერეს სტამბოლელ დიდვაჭარ ნეგოციანტ მოშე მონტეფიორეს და სთხოვეს დაცვა როგორც ხელისუფლებისაგან, ისე ადგილობრივი თავადაზნაურებისაგან.

ამ პერიოდში ხონში 10 კომლი ებრაელი ვაჭარი ცხოვრობდა და ცხადია, ისინიც ისეთსავე პირობებში იქნებოდნენ, როგორც კულაშელები.

მარი ბროსეს ცნობით, ამდროინდელი ხონი, მთელს საქართველოში განთქმული დასახლებაა, ამავე დროს მოსახლეობის დიდი თავშეყრის ადგილია, ხოლო ხონის ბაზარი ეს არის დიდი და ლამაზი მოედანი, რომელიც საფოსტო სადგურის წინ მდებარეობს, ყოველი ოთხშაბათი აქ ვაჭრობის დღეა.

ხონს მოაშურა: მეგრელმა, ლეჩხუმელმა, გორდელმა და კინჩხელმა გლეხკაცებმა. ბევრი მათგანი საბოლოოდ დამპკვიდრდა დაბაში, ზოგიც სამუშაოს თვეობით ეძებდა და რადგან ღამის გასათევი არ ჰქონდა, ღია ცის ქვეშ, პირდაპირ მოედანზე, ხის ძირში ათენებდა, რასაც გულისტკივილით აღნიშნავდა იმდროინდელი პრესა. ზოგიერთი დიდი თანამდებობის პირის აზრით, ხონის, საჩხერის, ონისა და ჩხარის ზრდა დამღუპველად მოქმედებდა ქუთაისზე.

ცუდ პირობებში მუშაობდნენ ხონელი ნოქრები. მათთვის კვირაუქმე და სამუშაო დღე გასწორებული იყო, რასაც აღნიშნავდა გაზეთი "კვალი".

ხონის სამკერვალო სახელოსნოებში ჯოჯოხეთურ პირობებში საქმიანობდა 50 შეგირდი.

XIX საუკუნის 70-იან წლებში, დიმიტრი ბაქრაძე ხონს ახასიათებს, როგორც მჭიდროდ დასახლებული სოფლებით გარშემორტყმულ, ვრცელ დაბას, რომელიც სავაჭრო დღეებში თავს უყრიდა იმერეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ათასობით გლეხს.

ამ ცნობის სისწორეს ადასტურებს იმდროინდელი პრესაც.

საგლეხო რეფორმის შემდეგ (1865 წელი), საქართველოში, ყველაზე მცირემიწიანი გლეხობა სწორედ ქვემო იმერეთში იყო. აქ კომლზე მოდიოდა 1,9 დესეტინა სახნავი და 3,36 დესეტინა საერთო მინა, რაც მოსახლეობას აიძულებდა დამატებით ეძებნა შემოსავლის წყარო.

საშოვარზე წასული გლეხების ერთი ნაწილი გამდიდრდა და თვით ჩაება კაპიტალისტურ წარმოებაში. ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროების აქციების მფლობელები გადნენ ხონელები: ნესტორ, ლევან, იაკობ, ესტატე კაკაბაძეები, ბესარიონ აბაშიძე (ირაკლის მამა), ნიკოლოზ ქუთათელაძე, მიხეილ მებუკე, ნიკოლოზ მოსეშვილი, ბერიძე, რატიანი, ჯიმშელეიშვილი და სხვები.

6. მოსეშვილმა შესანიშნავად მოაწყო კარმიდამო გუბში, ხოლო ხონში დიდძალი მამული შეიძინა.

კაპიტალისტურმა ელემენტებმა დამკვიდრება იწყეს თვით ხონში.

1870 წელს ერთმა ფრანგმა ვაჭარმა, მოზრდილი ძაფსაღები მანუფაქტურა გამართა ხონში, ხოლო მეორემ საკმაოდ მძლავრი ორთქლისძრავიანი ფაბრიკა ააგო ხონის ცენტრში.

90-იან წლებში, სოფელ კუხში, პირველი, დიდი ძაფსაღები ფაბრიკა ააგო სოფლის ორკლასიანი სკოლის მასწავლებელმა, ცნობილმა ხალხოსანმა "დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეობის პირველი ამხანაგობის" დამაარსებელმა ნესტორ წერეთელმა.

1895 წელს, ხონში საკუთარ კარმიდამოში ფაბრიკა გახსნა ცნობილმა მრეწველმა მიხეილ პეტრეს ძე სანოძემ, რომელშიც 17 ცხენისძალიანი ორთქლის ძრავა ამუშავებდა დანადგარებს. ისინი დიუპონის სისტემისა იყო და ხონელები ამ ფაბრიკას ბოლო დრომდე "დუპიონს" ეძახდნენ. თავდაპირველად მასში 40 მუშა ქალი იყო დასაქმებული და წელიწადში 1500 ფუთ ნედლ პარკს ამუშავებდა (24 ტ.). 1903 წელს ფაბრიკაში მუშათა რიცხვმა 120-ს მიაღწია.

1906 წელს, "გმირმა" სოციალ-დემოკრატებმა მიხეილ სამოძე სიკვდილით დასაჯეს, მისმა დებმა ფაბრიკა იჯარით გადასცეს მრეწველ ტერ-გეურქოვს.

ამ საუკუნის დასაწყისში, ხონში 12 პარკის საშრობი ფარდული იყო, თვითეულში 10-20 ქალი იყო დასაქმებული.

დასახელებულმა "მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ" ძაფის ამოსაღები რამდენიმე მექანიკური დაზგა დაურიგა კუხის, გუბის, ჯიხაიშის და ხონის ხელოსნებს. ამ დროს კუხის ფაბრიკა საუკეთესო ძაფს ართავდა.

1900 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე კუხის ნაწარმმა ბრინჯაოს მედალი, ხოლო 1901 წელს კავკასიის "საიუბილეო" გამოფენაზე, "მცირე ოქროს მედალი" დაიმსახურა (პეტრე ვაჭრიძე - "დაბა ხონი XIX საუკუნის მეორე ნახევარში", 1966 წ. ხონის მუზეუმის ფონდი, გვ. 46- 49).

პარალელურად ვითარდებოდა კუსტალური ხელოსნობაც. ერთმა ფრანგულმა ფირმამ, რომელსაც ფილიალი თბილისში ჰქონდა, შეკვეთა მისცა კერძო ფეიქარს - დაემზადებინა აბრეშუმის წამოსასხამი. როცა შეკვეთა შესრულდა, ფირმას მოეწონა შესანიშნავი ნახელავი და შემსრულებელს ძვირიც გადაუხადა.

გავარკვიეთ, რომ ეს იყო ლიზა ჩხეიძე - აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის დედა.

მოწონებით სარგებლობდა ხონური შინნაქსოვი შალი და მაუდი. დიდი მოთხოვნა იყო ხონურ ჩოხებზე და საჩოხე შალზე. ბიჭია ებრაელი (ქუთაისიდან), განსაკუთრებით დიდ პარტიებს შეიძენდა, ოღონდ აარჩევდა ფაქიზი ხელით დამზადებულ, ნაზ ქსოვილებს, - გადმოგვცა 1980 წელს 96 წლის მინადორა გელენიძემ.

პეტრე ვაჭრიძემ გაარკვია, რომ ხონში ყოველწლიურად 16 ტონა მატყლი იყიდებოდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში, ხონში მუშაობდა პატარა ძაფსაღები ფაბრიკა და 55 სახელოსნო. მათ შორის 18 სამჭედლო იყო, 20 აზიური ფეხსაცმელების სამკერვალო, 3 სახარაზო, 2 სამღებრო, 4 უნაგირის სახელოსნო, 4 საიუველირო, 2 საპარიკმახერო. მათგან 40 სახელოსნოში სამ-სამი დაქირავებული მუშა საქმიანობდა, სულ კი 188 ხელოსანი და მუშა იყო დასაქმებული.

1887 წელს, 128 სავაჭრო და 66 სახელოსნოდან ჩამოსულ ვაჭრებს ეკუთვნოდათ: 7 კონტუათელს, 9 ივანდიდელს, 2 ქუთვისელს, 2 სენაკელს, 2 აბაშელს, ე.ი. პრაქტიკულად 78 სახელოსნო ხონელებისა იყო.

იმ პერიოდში ხონში მსახურობდნენ შესანიშნავი მღებავები: სვიმონ ბახტაძე, ანდრია სანოძე, სამსონ მელაძე, მელიტონ ბუაძე და სხვები.

ხონის მუზეუმმა შემოინახა ადგილობრივი იუველირების: ასლანის, "შეიხის", ავერიონ ჯანგველაძის, გიორგი ბადირეიშვილის, დომენტი ჯურუხაძის, ვანიჩკა მანაგაძის და დავით მიქაძის მიერ 1872-1915 წლებში დამზადებული ქამარ-ხანჯლები, ხმლები, საფულეები,

გულსაკიდები და სხვა სამკაულები. ზოგიერთი ნივთის ავტორი კი უცნობია, სპეციალური ხონური დამლით.

მათი ნახელავი ადასტურებს, რომ ჩამოთვლილი ოსტატები ზედმიწევნით ფლობდნენ მოვერცხლის, მომცვარვის, ზარნიშისა და სევადის ურთულესი ხელობის საიდუმლოებებს, რადგან მათი ნახელავი ქართული ოქროსაქადლობის საუკეთესო ქმნილებებია.

ამ იუველირთა ეპიგონი იყო იაკობ ჩოგოვაძე, რომელიც ხონში მოღვაწეობდა ამ საუკუნის 30-60-იან წლებში.

გაზეთი "ფონი" წერდა (1909 წ.), რომ 1882 წელს ხონში 109 სავაჭრო დუქანი ყოფილა. 679 კომლიდან 56 ვაჭრობას ეწეოდა, 209 კომლი ხელოსნობას. ხონში მუდმივად ცხოვრობდა 88 ვაჭარი, მათგან 16 დაქირავებული ნოქრები ჰყავდა.

10 სავაჭრო ებრაელებს ეკუთვნოდათ, მეორე გილდიის ვაჭართა რიცხვმა 21-ს მიაღწია.

გაზეთი "შრომა" წერდა, რომ 90-იან წლებში, ხონში 177 სავაჭრო იყო, ამ საუკუნის დასაწყისში მათმა რიცხვმა 232 შეადგინა.

ხონი სიმინდის მარცვლის, ქათმის ხორცის და კვერცხის დიდი ექსპორტიორი გახდა, რასაც ერთხმად აღიარებს იმდროინდელი პრესა.

ხონში სიიაფე იყო. ამიტომაც ქუთაისსა და ხონს შორის სამასნავლებლო სემინარიის დასასაკუთრებლად გამართულ დავაში, აკაკიმ, ნიკო ნიკოლაძემ და კონსტანტინე მამაცაშვილმა ხონელებს დაუჭირეს მხარი.

გასული საუკუნის ბოლოს, ი. ბახტაძის და გ. მაჭარაძის ბაკალეია უნივერმაღის ტიპის სავაჭრო იყო, მასში რკინა-კავეული, იარაღ-მოწყობილობა და პროდუქტები იყიდებოდა. წლიური კაპიტალბრუნვა სამასი ათას მანეთსს აღწევდა, - აღნიშნავს პეტრე ვაჭრიძე.

გასული საუკუნის 80-იან წლებში, ძმებმა ვიქტორ და ბიკენტი ქუთათელაძეებმა ააგეს (მდინარე კუხას პირას) შესანიშნავი აგურ-კრამიტის ქარხანა, რომლის ძრავა მდინარის წყლის ენერგიით მოქმედებდა. მოიწვიეს სპეციალისტები იტალიიდან: ანტონ ბალმუჩი და ლუი რივერტი. ქარხანაში 40-50 მუშა დასაქმდა.

XIX საუკუნის ბოლოს, დაიწყო ცხენისწყლის საშუალებით ხე-ტყის დაცურება სვანეთ-ლეჩხუმიდან. ხე-ტყე ევროპის ქვეყნებსაც გაჰქოდა. განსაკუთრებით ავეჯისათვის საჭირო ძვირფასი კაკალი, ცაცხვი, წაბლი, მუხა და სხვა.

დასავლეთ საქართველოში ხე-ტყის 6 ქარხანა იყო - 2 ხონში, 2 მათხოჯში.

პირველი ეკუთვნოდა ცნობილ ხონელ მემამულეს, პოლკოვნიკს, ქველმოქმედ აზნაურ დიმიტრი ჩხიკვიშვილს, ნ.ყლის ძრავაზე მუშაობდა და ძირითადად ლეჩხუმის და გორდი-კინჩხის ძვირფას საავეჯე მასალას ამზადებდა.

დიმიტრი ჩხიკვიშვილს ქუთაისში საკუთარი სასტუმრო ჰქონდა, ხონში კეთილმოწყობილიკარ-მიდამო (დღევანდელ ავტოსადგურთან), მან პირველმა დაიწყო ხონში ქარხნული წესით ღვინის დამზადება, თუმცა იმ დროის პრესა ამ სასიკეთო ცვლილებას უარყოფითად შეხვდა.

1923 წელს, როგორც ბურჟუას, დიმიტრის სახლ-კარი და სარეწები ჩამოართვეს, 1924 წელს კი გაუფრთხილებლობით დაწვეს კიდეც.

მათხოჯში მეორე ხე-ტყის დასამუშავებელი წყლის ძრავიანი ქარხანა ააგო გორდელმა თავადმა დიმიტრი ჩიქოვანმა. ის ძირითადად სვანეთის ხე-ტყის ბაზაზე მუშაობდა.

ხონში ხე-ტყის სარეწები გააჩნდა: სერებრიაკოვს, ნადარეიშვილს, ჩხენკელს, ვ. და კ. ჩიხლაძეებს, მ. და ბ. ჩიქოვანებს, ივ. ბარქაიას, ძმებს კახაძეებს.

ხონში საკუთარი სტამბა გამართა პუბლიცისტმა ალექსანდრე მაჭარაძემ.

აქაური ხელოსნები და ვაჭრები მთელს ამიერკავკასიაში იყვნენ ცნობილი. რუსეთში მოწონებით სარგებლობდა იმერეთიდან გატანილი აბრეშუმის ნაწარმი.

ვაჭარმა სერგო ფანცულაიამ შეიძინა სამი გემი: "ხონი", "სონკა", "ქსენია", რომლებიც ევპატორიიდან ბათუმსა და ფოთში მარილს, თევზს და პურისფქვილს ეზიდებოდა (პ. ვაჭრიძე - "ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან", გვ. 61, 64-66).

გემები შეიძინა ივანდიდელმა მაჭარაძემ, რომლის მიერ 1888 წელს დადგმული სახლი და კეთილმოწყობილი კარ-მიდამო ახლაც ხიბლავს გამვლელსა და სტუმარს.

კუხელმა მალხაზ კაკაბაძემ (მწერალ პოლიკარპე კაკაბაძის მამა), ბათუმში ხე-ტყის სარეწები და მრავალი დუქანი შეიძინა.

გაზეთ "კვალის" კორესპოდენტი აღტაცებული იყო ხონელ ვაჭართა სიყოჩაღით და წერდა: "ფული და ხონელი საარაკო მეგობრებია, ასე გასინჯეთ, უერთმანეთოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ, ხონელი

ფულისაკენ მიილტვის და ფულიც ხონელისაკენ... მეკვერცხეები, მეხილეები, მებატეები, მექათმეები, დღეს რომ უბრალო მუშად ხედავთ კურტანმოკიდებულს, ხვალ ფულიან კაცად ინათლება".

ფასები აწევის მიზნით, ხონელი ვაჭრები საბოტაჟსაც არ ერიდებოდნენ. ე. ,თი გვიანდელი ცნობით მათ ნავთი გადამალეს, რომ ხელოვნურად შე¿ `ნათ დეფიციტი.

გაზეთ "ახალი ივერიის" ცნობით სიძუნწითა და თავხედობით ყველაზე უფრო ხონელი ყასბები გამოირჩეოდნენ.

გასული საუკუნის ბოლოს, იმერეთში უკვე დაიწყო სიმინდის მწკრივში თესვა.

პირველად სამგუთნა კავით მიმართავდნენ რიგთაშორს ნიადაგის დამუშავებას (რომლის ერთი ნიმუში დაცულია ხონის მუზეუმში), შემდეგ დაიწყეს რკინის კულტივატორების დამზადება.

"საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" აღნიშნულია, რომ პირველი რკინის კულტივატორი, საქართველოში ხონელ ხელოსნებს, ვლადიმერ ბახტაძეს და სიკო ჭელიძეს დაუმზადებიათ.

1900 წლებში ასეთი იარაღი კუხში, ხონში და ჯიხაიშში 5-6 ცალი იყო.

აღტაცებას იწვევდა ხონში დამზადებული ავეჯი, რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, რაც ერთთავად განაპირობა ივანე შარაშიძის მიერ, ხონში, 1898 წლის 1 იანვარს სახელოსნო სასწავლებლის დაარსებამ. მასში მჭედლობას ასწავლიდა მატჩინი, დურგლობას - ე. ბახტაძე და კოვალენკო, ზეინკლობას - ბუგარევი, ტექნიკას - სოგლობოვი, საერთო საგნებს - ანდრო ბახტაძე.

1910 წედს სახელოსნო სასწავლებლის ნაწარმა, კავკასიის გამოფენის ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებისათვის ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა.

ხონი ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის ნაწარმით ვაჭრობის ცენტრი გახდა, და ეს ფუნქცია განუხრელად ეჭირა ამ საუკუნის სამოციან წლებამდე, ვიდრე დაავადება - წერილფოთოლა სიხუჭუჭემ არ მოსპო ბუოლის პლანტაციების უმრავლესობა.

XIX საუკუნის 50-იან წლებში, ფუთი პარკი მანეთი ღირდა, ამის შემდეგ კი მასზე მოთხოვნილება გაიზარდა და ფასმა აიწია. ამიტომ მეაბრეშუმეობას ხელი მოჰკიდა თითქმის ყველა წოდებამ. არ იყო ოჯახი ხონში, აბრეშუმი რომ არ აეყვანოს მოსავლელად ყველა

სეზონზე. ამ საქმიანობაში ორივე სქესი მონაწილეობდა, განურჩევლად ასაკისა.

ასევე თითქმის ყველა ვაჭრობდა... ზოგიერთი ქალი ისე გაიწაფა, რომ თვითონ არჩენდა ოჯახს. ისინი პირზე ჩადრმოხვეული გამოდიოდნენ, რათა სხვებს არ ეცნოთ და მუქთად არ დაეთმოთ ქორ-ვაჭრებისათვის თავისი ნაოფლარი.

ხონის მეაბრეშუმეობის შესახებ მოვიყვანთ ერთ დოკუმენტს: "კვალი" 1898 წელს წერდა: მეაბრეშუმეობის სეზონი უკვე დაიწყო, ამჟამად ხონის ბაზარზე დიდძალი პარკი შემოაქვთ ლეჩხუმიდან, სამტრედიიდან, ხშირად ქუთაისიდან. არც ერთ პუნქტში იმდენი პარკი არ გროვდება, რამდენიც ხონში. ხონი დას. საქართველოს მეაბრეშუმეობის ცენტრია, ბაზარში ურემს გვერდს ვერ შეუვლი, ბაზარი პარკით გაივსო... სამტრედიელს, ბანძელს, მაღლაკელს, ნაოღალეველს, მარტვილელს, კულაშელს, ჭაგანელს - ყველას ხონის ბაზარზე გამოაქვს პარკი.

იმ დროისათვის, "კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა" 2600 კომლ მეპაიეს აერთიანებდა და საუკუნის ბოლოს 30-40 ტონა პარკს უკეთებდა რეალიზაციას. მაშინ ფუთი პარკის ფასი 6-დან 11 მანეთამდე გაიზარდა.

პუბლიცისტი ილია ბახტაძე იგონებს: მეაბრეშუმეობის სეზონზე ხონში ჩამოდიოდნენ აზერბაიჯანელი კომერსანტები: აღა-ნური მამედოვი, ახმედოვი, კარიმოვი, მურადოვი და ტონობით პარკს იძენდნენ.

ბაზარში გამართული იყო "ყაფანი", რომელზედაც მთელი დღე პარკს წონიდნენ. ხონის ბაზარში ინტელიგენციამ "ყაფანზე" მორიგეობა დაანესა, რათა გაქნილ ვაჭრებს წონასა და ფასში გაუნათლებელი გლეხკაცობა არ მოეტყუებინა.

პარკის ექსპორტი დაიწყო ადგილობრივმა, მეგრელმა და ებრაელმა ვაჭრებმა. შეიძენდნენ რა პარკის დიდ პარტიებს, ის დაუბრკოლებლად გაჰქონდათ იტალიისა და საფრანგეთის სამხრეთ ქალაქებში. წერა-კითხვის უცოდინარ ვაჭრებს წონის აღსანიშნავად, ტომრებზე ხშირად ჯვარი ჰქონდათ დასმული. ევროპაში მათ ქომაგობდა "მეაბრეშუმეთა ამხანაგობის" წარმომადგენელი, ცნობილი სპეციალისტი იოსებ ქუთათელაძე.

1900-იან წლებში "ამხანაგობა" სეზონზე 50-100 ტონა პარკს

აგზავნიდა საზღვარგარეთ და ამ პროდუქციას უსაღებდა არამარტო თავის მეპაიეებს, არამედ საკომისიო წესით შეიძენდა.

ვაჭრობამ და ხელოსნობამ ააღორძინა ხონი. ამ საუკუნის ათიან წლებში მასში 20-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის სასწავლებელი იყო და ბევრი მათგანი მხოლოდ შეწირულობებით არსებობდა. მათ შორის 3 პროგიმნაზია, 2 გიმნაზია, სამასწავლებლო სემინარია, საქალაქო სასწავლებელი, ქალთა სასწავლებლები და საკვირაო სკოლა.

ხონში 1901 წელს დაარსდა "ქ. შ. ნ. კ. გ. ს. ხონის განყოფილება", რომელსაც განყოფილებები ჰქონდა მარტვილსა და ბანძაში. შეიქმნა ქალთა ნრე, ხონი დაისერა სარწყავი არხებით, აიგო უზარმაზარი შენობები, 1901 წელს შეიქმნა თეატრის მუდმივმოქმედი დასი, სასულე ორკესტრი, საკრედიტო-საურთიერთო ბანკი, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, გაშენდა ბულვარი, გაიხსნა ბიბლიოთეკა.

ხის ნაწარმისგან ხონის ბაზარში იყიდებოდა ავეჯი: კიდობანი, კარადა, სკივრი, სკამი, მაგიდა, ხონი (ხონჩა-ტაბაკი), აკვანი, ტახტი, საწოლი, ბუჯერი, განჯინა და სხვა.

ხის ჭურჭელი და ხელსაწყოები: გობი, კოთხო, ჯამი, ბათმანი, ნიგა, კოდი, რძის საწური, საცერი, გოდორი, კალათი, კალანჩხა, გიდელი, კასრი, საწნახელი, ხარხინი და სხვა.

ხელსაწყო იარაღები: კავი, კევრი, ფარცხი, კულტივატორი, კავის ქუსლი.

ხონის სახელოსნოებში მზადდებოდა ეტლის თვლები, ეტლები, ფაიტონი, დილიჟანსი.

ქვის ნაკეთობებისგან ჩუნეშელ და ბესიაურელ ხელოსნებს ხონის ბაზარზე გამოჰქონდათ: საცეხველი, კიბის ქვები, სვეტის ძირები და სვეტები, წისქვილის ქვები და ჭის გვიმები, საყვავილეები და წყაროს თავები, ხარხინის მერატაფები და კვირისთავები, საფლავის ქვები, ქვაჯვარები და ძეგლები, ჭიშკრის ბოძები და ჩუნეშური კეცები.

სპილენძის ნაწარმიდან მზადდებოდა: ბუკი, სხვადასხვა ზომის ქვაბი, ემბაზი, ჩაფი, თუნგი, თასი, ჯამი, არყის სახდელი მოწყობილობა.

უძველეს დროს თვით ხონში, მეოთხე უბანში - საქოთნიაზე, თიხის ჭურჭლის დიდი სახელოსნო ყოფილა. მაგრამ ის XVIII საუკუნეში არ მოქმედება. ამიტომ სენაკელ და ზესტაფონელ მეთუნეებს ხონის ბაზარზე გამოქონდათ: თონე, ჭური, დოქი, თასი, კოკა, ხალამი, ფიალა, ჭის გვიმი და სხვა.

განთქმული იყო ხონელი მჭედლების ნაკეთები: წალდი, ნაჯახი, ნაჭა, მარწუხი, ჩაქუჩი, ნამგალი, ცელი, ხერხი, აქანდაზი, ლურსმანი, შადაშინის პირი, დანა, საბრძოლო ხმალ-ხანჯალი, ნალები, ლაგამ-უზანგი.

ხონში აკეთებდნენ ტყავის და ბეწვის ნაწარმს: ჩექმებს, ქალისა და მამაკაცის დაბალყელიან ფეხსაცმელს, ქილებს, ქამრებს, ლაგამ-მოსართავს, უნაგირებს და იარაღის ქარქაშებს.

ხონის ბაზარში დიდი რაოდენობით საღებოდა ევროპული და ადგილობრივი მაუდი, შინნაქსოვი შალი, აბრეშუმის ქსოვილები, ატლასი, სტავრა, ხავერდი.

დიდი რაოდენობით მზადდებოდა: ტილო, საპერანგეები, სახალათეები და სხვა.

ხონში განთქმული მჭედლები მუშაობდნენ. მათივე ნახელავის მადლმა და ხალხის ხსოვნამ შემოგვინახა ზოგიერთი შესანიშნავი ხელოსნის სახელი. მათ შორის ძმების: ბესარიონ და აკაკი ნოწონავების, ანტონ მაისურაძის, გიორგი ქაჯაიას, ნიკოლოზ და პორიკარპე წვერავების, მიხეილ ფანცულაიას, დავით მაჭარაძის, ილიკო კეთილაძის, იოსებ ჩიმაკაძის ოა სხვათა სახელები.

ამჟამად მათ საქმეს აგრძელებენ: ალექსანდრე (გარდაიცვალა 2000 წლის დეკემბერში), მურმან და ბექა ბახტაძეები დეკორაციულ-გამოყენებით ჭედვით დარგში, მათი ნახელავი ჭიშკრები მთელ იმერეთშია განთქმული და ბევრ შეკვეთასაც იღებენ.

ომის შემდგომ წლებში ალექსანდრე ბახტაძე და რომანოზ ფირცხალავა ბევრ რაიონს ამარაგებდნენ კულტივატორებით.

XX საუკუნის დასაწყისში სპილენძის ნაკეთობათა შესანიშნავი ოსტატები ყოფილან მამა-შვილი: პავლე და სერგო კუპრეიშვილები, მარტვილიდან გადმოსული ხელაია და სხვა.

XX საუკუნის 20-იან წლებში ღვედიდან ხონში ჩამოსახლდნენ შესანიშნავი მჭედლები: ვარდენ და სოლომონ სულაბერიძეები.

XX საუკუნის 70-იან წლებამდე მათხოჯში მუშაობდნენ: სლეისარი - პავლე ფირცხალავა, მჭედლები - იოსებ ჩიმაკაძე, ივანე ბარბაძე, ალეონტი ფირცხალავა, ნალბანდი სევერიონ კირთაძე. მათ ტრადიციებს ამჟამად აგრძელებენ გიგლა ჩიმაკაძე და კოსტა ფირცხალავა.

XX საუკუნის შუა წლებამდე, ქუტირში, მჭედლებად მუშაობდნენ ტორონჯაძეები - გერმანე და ხარიტონი, შემდეგ ხონელი კლიმენტი

ქაროსანიძე, ამჟამად ბუაძე.

პატარა ჯიხაიშში წინაპართა ტრადიციებს აგრძელებენ ბენო და შალვა კუჭავები.

ხსოვნას შემორჩა მეჩექმეების: სერგო ჯალაღანიას, შველიძის, ჩიხლაძის სახელები.

გორდის მჭედელი ამჟამად დავით ჩხეიძეა, კინჩხისა - გალაქტიონ ჯიშკარიანი და კოლია ქაროსანიძე. ამ უკანასკნელის ნახელავი მთელს რაიონშია სანიმუშო.

ხსოვნას შემორჩა მეკასრე (ბონდერი) პოლიკარპე ბარაბაძის სახელი.

აღტაცებას იწვევს ხონელ ხელოსანთა ხის კვეთილობა, დაცული ხონის მუზეუმში.

დურგალმა ექვთიმე წვერავამ XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში ააგო ქარჩხაბის ეკლესია და თავად მიქელაძის ვეებერთელა სასახლე, რომელიც XX საუკუნის 80-იან წლებშიც იდგა.

XX საუკუნის დასაწყისში, ხონში მოღვაწეობდნენ მეავეჯეხელოსნები: მათე ბახტაძე, ევგენი მელაძე, დავით, ივანე, შალვა ჭელიძეები, უფრო გვიან გიორგაძე. 20-იან წლებში ჭელიძეებს ავეჯის საამქრო ჰქონდათ და ნახევრად რბილ სკამებს ამზადებდნენ. ასეთივე მცირე მოცულობის ფაბრიკა ჰქონდათ კახაძეებსაც.

დღევანდელი პირველი საშუალო სკოლის აღმოსავლეთ გაგრძელებაზე მუშაობდნენ შესანიშნავი "კარეტნიკები", მათ რამდენიმე სახელოსნო ჰქონდათ, რუხაძეებს: გრიგოლს, ილიას, ლავრენტის, პავლეს, ვლადიმერს, პარმენს, მელიტონს. მათი ნაკეთები სატრანსპორტო საშუალებები საუკეთესოდ ითვლებოდა.

მართალია ხონის ბაზარი დიდად დაკნინდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მაგრამ ის მაინც ერთი საუკეთესო და შედარებით იაფია მთელ საქართველოში. ამიტომ მეზობელი ქალაქების მცხოვრებნი, განსაკუთრებით კი გადამყიდველები, ჩვეულებრივ, ხონში ამჯობინებენ პროდუქტების შეძენას. სამრეწველო საქონლით ხონი ქუთაისიდან, თბილისიდან და ბათუმიდან მარაგდება. დასახელებულ ქალაქებში ხონიდან დიდი რაოდენობით იგზავნები ფქვილი, ქათმის ხორცი, კვერცხი, ყველი, სულგუნი, ღორის და ძროხის ხორცი.

თავი მეცხრე

მოსახლეობა და გვარები

ხონის მოსახლეობის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები იყო: ბუნებრივი ნამატი, მეფე-მთავართა შემოწირული გლეხების ხონში ჩამოსახლება, თვით ქალაქის მოხერხებული ადგილმდებარეობა, რაც სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობას ანიჭებდა ხონს და ამის გამო, მთიანი, თუ ვაკე-იმერეთის სოფლებიდან ათობით ადამიანი ესახლებოდა იქ.

მოსახლეობის შესახებ გარკვეული მასალები გაგვაჩნია მხოლოდ XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან.

საისტორიო საბუთების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ მოსახლეობის ზრდის შემაფერხებელი გარემოებები ყოფილა: შიმშილიანგვალვიანი წლები (სიყმილი), მოარული სენი, ძირითადად "შავი ჭირი", ტყვის სყიდვა, თურქთა პერმამენტული თარეში და შინაომები, რასაც ალაგ-ალაგ ბატონისაგან აკლებაც ემატებოდა.

ამ გარეგოებათა გამო, მოსახლეობა ნელი ტემპით იზრდებოდა, ზოგჯერ კი კლების ტენდენციაც შეინიშნება.

უკვე აღვნიშნეთ, რომ 1525-50 წლებში, უფლისწულმა თეიმურაზ ბაგრატის ძემ ბიჭვინთის საკათალიკოსო საყდარს შეწირა 20 კომლი ხონელი და კუხელი გლეხი.

თვით ხონელ ეპისკოპოსს, ბაგრატ მესამემ გადასცა 50 კომლი გლეხი, თუმცა იმავე საუკუნის ბოლოს, ეპარქიას უკვე 60 კომლი გლეხი ჰყავდა. მათგან 50 კომლი ხონში ცხოვრობდა, 2 კომლი ზედა ხუნნში, 6 ვაკის - უბანში, 1 ღანირში, 1 ჭაგანში (ს. კაკაბაძე - "ხონი და ხონელის ყმები XVI-XIX სს-ში", "საისტორიო კრებული", 1928 წ. წიგნი 1, გვ. 22).

XV საუკუნეში, დას. საქართველოში 1,1 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 1640-50 წლებში 60 ათასი კომლი. სოლომონ პირველმა რომ თურქთა აგრესია ალაგმა, 1760-იან წლებში, იმერეთის მოსახლეობამ 12500 კომლი შეადგინა, სამეგრელოში 10000, გურიაში 6000, აფხაზეთში კი 8000, რაც მთლიანად შეადგენდა 36500 კომლს, ანუ 270000 სულს (ს. კაკაბაძე - "საქართველოს მოკლე ისტორია - ახალი საუკუნეების ეპოქა", 1921 წ. გვ. 41).

1570 წლის ერთი სიგელით, რომელიც გიორგი მეორეს იმერეთის

მეფემ უბოძა თავად დავით წულუკიძეს, დღევანდელი საწულუკიძოს მცხოვრებლებად დასახელებულია: სულათაძე, ჯალაღანია, ყირყიზელაშვილი, ბალავაძე, სვიანიძე, თედორაშვილი, ჭავჭანიძე, ჭანტურიშვილი, ჩირგაძე, ფირცხალავა, ყვინჩია, კიკალიშვილი.

1578 წლის ერთი საბუთით, ხონელი გლეხი გოტია ყრონტაძე ქუთათლის საკუთრებაა.

ამრიგად, XVI საუკუნის შუა წლებში, მეფეს საკუთარ მამულში - ხონში, უნდა ჰყოლოდა არანაკლებ 20 კომლი, ამდენიმე ბატონიშვილებსა და თავად-აზნაურებს. ამავე დროს სავარაუდოა, რომ თვით აზნაურის ოჯახი 10 კომლზე ნაკლები არ იქნებოდა და 10 ყმა მაინც უნდა ჰ ყოლოდათ... 16 კომლი ხონელი გლეხი, ამ დროს ილორის ნმიდა გიორგის საყდრის საკუთრებაა, 10 კომლი საკათალიკოსო საყდრისა, ხონის ეპარქიას კი 50 კომლი ჰყავს.

ამრიგად, გლეხთა კომლების ასეთი დანვრილებითი ჩამონათვალი და ვარაუდი, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იმ დროს ხონში ცხოვრობად 170-მდე კომლი და თუ თვითეულ კომლზე 10 სულს ვიანგარიშებთ (რაც იმ დროისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო), მივიღებთ, რომ დაბაში XVI საუკუნის შუა წლებში ცხოვრობდა 1700 სულამდე.

ახლა გავარკვიოთ მოსახლეობის რიცხვი XVII საუკუნის პირველი ნახევრისათვის.

ამ პერიოდისათვის საკათალიკოსო საყდარს ხონში ეკუთვნოდა 8 კომლი სრულფუძიანი და 6 გაპარტახებული კომლი. ცხადია, ესენი თეიმურაზ ბატონიშვილისგან შეწირული გლეხებია, რომლებიც შინაომებს დაუზარალებია.

ამავე პერიოდისათვის, ილორის საყდარს ხონში ჰყავს 5 კომლი ჭავჭანიძე, 1660 წლის საბუთითაც მათი რიცხვი ისევ ხუთია.

შემდგომი ხანის შეწირულებები ნათელს ჰფენენ გარემოებას, რომ ხონში მამულს და გლეხებს ფლობდნენ: სამეფო ოჯახი, მეფის მოხელეები, ადგილობრივი თავად-აზნაურობა, საეპისკოპოსოები, შეწირულობას გზავნის ოდიშის მთავარიც.

ლევან მეორე დადიანმა 1628-39 წლებში, ხონის საყდრის მძარცველები და მკრეხელები რომ დასაჯა, 6 კომლი გლეხი უბოძა ხონელის ეპარქიას, მათგან პაპავები და ფანცულაიები ხონში დაასახლა.

მანვე, 1636 წელს ხონის მონასტერს შესწირა მამიკაცი სანაძე.

მთავარეპისკოპოსმა სვიმონ ჩიჯავაძემ, ხონის მონასტერს შესწირა ივანდიდელი გლეხი ბიჭუკა ტაბიძე.

თუ ადრე არა, იმავე საუკუნის დასაწყისშია, ხონის ეპარქიისადმი მთავარ ლიპარტიანისაგან 2 კომლი ზედა ხუნწელები: მამფორია და ჯაველი (ალბათ ჯანელიძე ა.ფ.).

მთავარეპისკოპოსმა, სვიმონ ჩხეიძემ დიდი დავის შემდეგ თავად ნიუარაძეს ჩამოართვა და ტაძარს დაუურვა გლეხები - შავლაყაძეები.

იმერეთის მეფემ, ალექსანდრე მესამემ (პროფესორ დარეჯან მეგრელაძის აზრით, ალექსანდრე მეოთხემ ა.ფ.), ხონის ტაძარს მიუძღვნა გლეხი - დათვია ჩხენკელი.

იმერეთის მეფე-პოეტმა არჩილმა, გაითვალისწინა, რომ შინაომებში ხონელის ეპარქია დიდად დაზარალდა და თავისი ეპიზოდებით დამძიმებულ მეფობაში, ხონის საყდარს შესწირა "კიკანაის სვანიძის შვილები: გიორგი და ხუჭუკაი".

რადგან ხონის სიახლოვეს იმერეთის მეფეს საკუთარი სასახლე ჰქონდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამეფო ოჯახს მსახური, ფარეში და მოჯალაბე 20 კომლი მაინც უნდა ჰყოლოდა.

ამას ისევ ემატება მოხელეთა კუთვნილი 20 კომლი გლეხი, ხონელი აზნაურები: ქუთათელაძეები, ჩხეიძეები, მდივნები, მესხები, რატიანები, ქორქაშვილები, ღაღანიძეები - მათი დაახლოებით 10 კომლი გლეხით. მათი საერთო რიცხვი 30 კომლზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

ხონში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ებრაელი ვაჭრები და ხელოსნები. მათი რიცხვი 10 კომლზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

ხონის საყდრის გლეხებიდან 51 კომლი თვით ხონში ცხოვრობდა. კათალიკოსის საყდარს კი 9 კომლი და 6 პარტახტი ჰყავდა. ამ ვარაუდით და ზემოთჩამოთვლილი ციფრების შეკრებით მივიღებთ ყველაზე ნაკლებ 150 კომლს. ამრიგად, კომლთა რაოდენობა შემცირებულა, შემადგენლობა კი გაზრდილა.

პროფესორი სარგის კაკაბაძის დაკვირვებით 1640 წლისათვის კომლზე იანგარიშება 6,4 მამაკაცი და 5,5 ქალი, სულ 11,9 სული. ასეთი ანგარიშით, XVII საუკუნის პირველ ნახევარში მოსახლეობის რაოდენობა ყოფილა (150 X 11,9) № 1785 სული.

ამით, ვფიქრობ, გარკვეულია მოსახლეობის რიცხვი XVII - საუკუნის

პირველი ნახევრისათვის.

მთლიანად იმერეთის სამეფოს მოსახლეობა ამ დროს 60 ათას კომლს შეადგენს, რაც შესაბამისად 700 ათასი სულია, მაგრამ ს. კაკაბაძე 1,1 მილიონს ვარაუდობს.

XVII საუკუნის ბოლოსათვის ხონის მოსახლეობის შესახებ კიდევ უფრო მწირი ცნობები გაგვაჩნია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლევან დადიანის მაოხარი ლაშქრობები და ტყვის სყიდვა, მოსახლეობის რიცხოვნებას შეამცირებდა, მითუმეტეს, მეფეზე ჩამტერებული სასტიკი მთავარი, მის დომენს განსაკუთრებით აოხრებდა.

1673-96 წლებში ხონში, 11 კომლი სრულფუძიანი და 2 პარტახტი კათალიკოსს ჰყავდა.

საბუთების შესწავლით დგინდება, რომ ხონელის ეპარქია მინიმუმ 12 კომლით გაზრდილა, მათგან 7 კომლი ხონში დასახლებულა. ამრიგად, 60 კომლს დაემატა 12, მათგან ხონში ცხოვრობს 52, ასე რომ ამ პერიოდისათვის ხონში 157 მოსახლეა.

მოსახლეობის რიცხვი კი 1600-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

ახლა განვიხილოთ მოსახლეობის რიცხვი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში.

ჩამოვთვალოთ ნასყიდი და შეწირული გლეხების რიცხვი.

თავადმა ნიკოლოზ იაშვილმა ხონელ აზნაურს, ნიკოლოზ ქუთათელაძეს მიჰყიდა გლეხი შაქარა კუბლაშვილი.

აზნაურმა ჭუბაბრიამ საყდარს დაუბრუნა გამოწირული გლეხი კაცია ჭანტურიშვილი.

1755 წელს, სოლომონ პირველის ბიძამ, მამუკა ბატონიშვილმა, ხონის საყდარს დაუბრუნა დავითელა ჭანტურიშვილი და გიორგი ხუცესი მისი ცოლშვილით (ს. კაკაბაძე - "მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ XVII საუკუნეში", "საისტორიო მოამბე", 1925 წელი, ნაწილი 1, გვ. 199).

ქუთათელს ხონში ორი კომლი ჰყავდა.

1730-40 წლებში, ხონელის სამწყსოში 134 კომლი გლეხია. მათი უმეტესობა მებატონეთაგან სააღაპედ შეწირული გლეხებია.

1746-50 წლებში ხონის მონასტერს ჰყავს 147 კომლი, რომელთაგან ხონში ცხოვრობს 109 კომლი, კუხში - 22, ივანდიდში - 9, ვაკისუბანში - 8.

ამრიგად, ხონელის ეპარქიის 109 კომლს თუ დავუმატებთ ილორის

საყდრის კუთვნილ 13 კომლს, 2 საქუთათლოს, 2 საკათალიკოსოს, 10 კომლ სამეფო ოჯახის საკუთრებას, 10 კომლ ებრაელს და 30 კომლ თავადაზნაურს მათივე ყმებით, მოსახლეობის რიცხვი გამოვა 190 კომლი, ხოლო ოჯახზე 8 ადამიანის ვარაუდით, მოსახლეობის რიცხვი ყოფილა 1580 სული, ე. ი. კომლთა რაოდენობა თითქო გაზრდილია, მოსახლეობის რიცხვი კი კლებულობს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სარგის კაკაბაძე 1730-40-იან წლებში ხონში 166 კომლს ვარაუდობდა, ხოლო 1750-იან წლებში - 182 კომლს (ს. კაკაბაძე, "ხონი და ხონელის ყმები", გვ. 160-164).

მისგან განსხვავებით მკვლევარი პეტრე ვაჭრიძე ამ პერიოდის მოსახლეობას 160 კომლით განსაზღვრავს.

მოსახლეობის რიცხვის შემცირება გამოწვეული იყო შავი ჭირით, შინაომებით და ტყვის სყიდვით.

ამიტომ, ვფიქრობთ, გამოთვლის ჩვენეული მექანიზმი მისაღებია, რადგან იმერეთში "ნაჟამევსაც", კომლზე 7 სული იანგარიშებოდა.

ისევ XVIII საუკუნის ბოლოს მივადევნოთ ყურადღება.

1760 წელს კაცია წულუკიძემ მონასტერს გლეხი - ჭანტურიშვილი დაუურვა.

1763 წელს თავადმა მ. ჩხეიძემ მონასტრეს შესწირა 2 კომლი ბალანჩივაძე.

1764 წელს მეფემ ჩხეიძეს ჩამოართვა და ტაძარს უძღვნა გლეხი კვიცარიძე.

1769 წელს კობეშავიძეებმა თავი აღიარეს საყდრის ყმებად.

1771 წელს თავადმა ღოღობერიძემ მონასტერს დაუბრუნა გაბრიელა ქუთათელაძე. ამავე წელს სოლომონ პირველმა ებრაელები ხონიდან ქუთაისში გადაასახლა.

გიულდენშტედტის ცნობით, ხონის მოსახლეობა მისი მოგზაურობისას (1772 წ.) 200 კომლი ყოფილა, ხოლო გენერალ ტოტლებენის ოფიცრის იაზიკოვის დაკვირვებით 1771 წელს, დაახლოებით 200 კომლი ცხოვრობდა. თუ კომლზე ვიანგარიშებთ 9 სულს, მოსახლეობას 1800 შეუდგენია.

1782 წელს, სოლომონ მეფემ და გულქან დედოფალმა, ხონის მონასტერს უბოძეს ვაკის სოფლების 25 კომლი გლეხი, ხოლო ჯიხაიშის მებატონეებმა საყდარს 2 კომლი ბალანჩივაძე უბოძეს.

1782 წლის აღწერით, იმერეთის სამეფოში 133070 სული ცხოვრობდა.

ამავე პერიოდში ილორის საყდარს ხონში 13 კომლი ჭავჭანიძე და 6 კომლი კაკაბაძე ჰყავდა. 1793 წელს ჭავჭანიძეები 16 კომლია. ამრიგად, XVIII საუკუნის ბოლოს ხონის მოსახლეობა 220-230 კომლი უნდა ყოფილიყო. თუ კომლზე ისევ 8 სულს ვივარაუდებთ, მაშინ მოსახლეობის რიცხვი 1800-1840 მაინც იქნებოდა.

მთავარეპისკოპოსმა სწორედ XVIII საუკუნის ბოლოს გაიჩინა ახალი აზნაურები: ბერიძეები და რატიანები.

წარმოშობით ხონელი, აკადემიკოსი (ხელოვნებათმცოდნე) ვახტანგ ვუკოლის ძე ბერიძე აღნიშნავს, რომ სამეგრელოს მთავარს, კაცია დადიანს, XVIII საუკუნის 80-იან წლებში ხონის ეკლესიისათვის შეუწირავს ლეჩხუმელი აზნაური კაცია ბერიძე, მის ნამრავლს კი გვარი ხონში თუთბერიძედ შეცვლიათ.

1824 წელს მთავარმა, ლევან V დადიანმა, განუახლა სიგელი ბერიძეებს (ვ. ბერიძე, "მოგონებები", 1987 წელი, გვ. 136), რადგან იმერეთის აჯანყების აქტიური მონაწილის, სვიმონ თუთბერიძის ოჯახი ხონში რუსებს დაუწიოკებიათ და საბუთიც მაშინ დაკარგულა.

ასევე XVIII საუკუნის ბოლოს, ქარჩხაბელ ბერიძეებს დასიძებია კაცხელი აზნაური - ვახუშტი აბაშიძე, ამაყი, ხაფი ხმის, მრისხანე მებატონე. ცოლოურებს ძალზე შინებიათ მისი, ცხენისწყალზე საბანაოდ გაუტყუებიათ და ჩაუხჩიათ.

მისი შთამომავალი გახლდათ პოეტი - აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე.

სამეფო აზნაურები ჩხეიძეები, ობჩიდან ჩამოსახლებულან ხონში, თუმცა შუა საუკუნეებში მათ დიდი მამულები გააჩნდათ ხონსა, კონტუათსა და ჯიხაიშში.

1790-1803 წელს გადაწერილ-განახლებულ ხონის მებეგრე გლეხთა ნუსხაში დასახელებულია შემდეგი გვარები: ბახტაძე, ჭანტურიშვილი, მებუკე, სანოძე, საღარაძე, ჭავჭანიძე, ჩხენკელი, ყუფარაძე, ფანცულაია, სვანიძე, ქუთათელაძე, სვიმონიძე, გოფოძე, ლაითაძე, ტაბიძე, მაჭარაძე, ჯიმშელეიშვილი, კაკაბაძე, ბუბუთეიშვილი, რუხაძე, კიკალიშვილი, ფინთურია, წიქვაძე, მატილეიშვილი, კვიცარიძე, ხუხულიშვილი, მაღლაკელიძე, მამფორია, კობეშავიძე, ფარცხალაძე, ძიძიგური, თარგამაძე, მაცაცია, მანაველიძე, კვიკაბიშვილი, ირემაძე, კოსტავა, ბალანჩივაძე, ქაცარავა, კეთილაძე, ხარაზი.

XIX საუკუნის ოციანი წლებისათვის ბატონი პეტრე ვაჭრიძე ხონში 250 კომლს და 1500 ადამიანს ვარაუდობს, რაც შავი ჭირის გამო ალბათ ასეც იყო.

აზნაურებიდან ხონში ცხოვრობდნენ: 1 იოსელიანი, 2 ჩხეიძე, 1 ჯაფარიძე, 1ბერიძე, 1 ღაღანიძე, 1 აბაშიძე, 2 მიქაბერიძე, 1 ჩიქოვანი, 1 ღოღობერიძე, აზნაურ ქუთათელაძეთა რიცხვი 12 კომლზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

XIX საუკუნის დასაწყისში ხონში უკვე დამკვიდრებული იყვნენ სამეფო აზნაურები ქორქაშვილები. ცნობილი დეკანოზის, სახალხო მასწავლებლის ლუკა ბახტაძის მეუღლე და ამრიგად, ილია ხონელის დედა, ქორქაშვილის ქალი იყო.

აგრეთვე აზნაურების ძველი გვარია რატიანი. მათი ბოლო საფლავი ხონის საყდარში 1807 წლით თარიღდება.

XIX საუკუნის დასაწყისში, ხონში გურიიდან ჩამოსახლდა აზნაური შარაშიძე - გამოჩენილი მოღვაწის, ივანე შარაშიძის მამა. ასევე გაგუა და ლორთქიფანიძე (ახალბედისეულ-უძლოურიდან). ამავე პერიოდში სამეგრელოდან ხონში ჩამოსახლდნენ აზნაურები: შავდია, კარტოზია, ხაინდრავა, ღანირიდან XVI I I საუკუნის ბოლოს ბერი წულუკიძეს ქარჩხაბში უნდა დაესახლებინა აზნაური ქაჯაია.

იმერეთის სოფლებიდან ჩამოსახლდნენ იოსელიანი, შალიკაშვილი, ჟორჟოლიანი, ქავთარაძე, გეგელაშვილი, მარჯანიშვილი, ავალიანი.

სოლომონ მეორის დროს, ხონელის საყდარი უჭირავს დიდად განათლებულ მღვდელმთავარს ანტონ ჩიჯავაძეს. მის დროს, მეფის მხარდაჭერით, საეპარქიო გლეხები ისევ მონასტერს დაუბრუნდა, ხოლო გადასახლებულ, უმიწაწყლო კომლებს ნადელი და საიჯარო სახნავ-სათესიც მიეცა, მაგრამ მთავარეპისკოპოსი იძულებული გახდა ვალის ანნგარიშში ოკრიბელი თავადის - აგიაშვილისთვის დაეთმო რამდენიმე კომლი გლეხი. ბანძის ომის შემდეგ, მათ ვაკეში 50 კომლი გლეხი ჰყავდა და ამის შემდეგ ისინი ხონელი სენიორებიც გახდნენ.

1797 წლიდან ხონის მამულებს განაგებს სოლომონ პირველის ერთგული კარისკაცი, იოანე აგიაშვილი. განსაკუთრებული ერთგულებისათვის მეფის მიმართ, რუსის ჯარმა და ნიკო დადიანმა საგანგებოდ ააოხრა მისი მამული, მაგრამ აგიაშვილმა არც მეფე მიატოვა და არც სამშობლოს უღალატა.

იოანე აგიაშვილის, შვილიშვილზე ზედსიძედ იყო შესული

კულაშელი თავადი, პოლკოვნიკი ბარნაბა მიქელაძე. მის ვეებერთელა მამულებში ერთხანს ზედამხედველად მსახურობდა მისივე დისწული, შემდეგში სახელოვანი რეჟისორი და მსახიობი - ვალერიან შალიკაშვილი.

ბარნაბას მეუღლეს ოჯახში ჰქონია 24 ვერცხლის თასი წარწერით "ციხისთავი აგიაშვილი", ერთი ამჟამად თბილისში მისი შთამომავლების - კუჭუხიძეების ოჯარში ინახება.

იმ ადგილას, სადაც აგიაშვილები და მიქელაძეები ცხოვრობდნენ, ამჟამად თამაზ ჯიშკარიანის ოჯახია.

რაც შეეხება გლეხთა გვარებს, XVI საუკუნიდან ხონში ცხოვრობდნენ: ბახტაძე, სანოძე, გოფოძე, ლაითაძე, ჭავჭანიძე, წივწივაძე, ყუფარაძე, კოტიშაძე, ღვინცაძე, ქაცარავა, ხოხობაძე, აბრალეიშვილი, კობეშავიძე, ხურციძე, გოგავა, ფენჩაიშვილი, გალდავაძე, თარგამაძე, მემშვილდიშვილი. ესენი ახლო სოფლების მკვიდრებია: გალდავაძე - ივანდიდიდან, მემშვილდისშვილი - ღანირიდან, კობეშავიძე - ნახახულევიდან, გოგავა - ჯიხაიშიდან, მამფორია - ზედა ხუნწიდან.

ჩიტისგულაიშვილი იგივე ლაიშვილია.

XVII საუკუნეში, ხონის მონასტრის ყმები ხდებიან: ქუთათელაძე, ჭავჭანიძე, ბალავაძე, თედორაშვილი, სულათაძე და ჯალაღანია (საწულუკიძოდან).

XIX საუკუნის დასაწყისში ხონის მონასტერს ჰყავს 218 კომლი გლეხი და აზნაური, მათგან ხონში ცხოვრობს 157 კომლი.

ამ პერიოდში, მთავარეპისკოპოსი და იმერეთის მეფე ისევ იბრძვიან გაქცეული გლეხების ხონში დასაბრუნებლად. არქიელი იღებს სათავდებო წიგნებს შესაბამისი სოფლის მოურავთაგან, რათა იქ დამკვიდრებული გლეხი ისევ ეკლესიას დარჩეს. ხშირად მეფე თავის მამულებზე ასახლებს გლეხებს და ეკლესიის მიმართაც ავალდებულებს.

ამ დროს ხონში ცხოვრობს 15 კომლი ილორის ყმა (ჭავჭანიძე), მეფეს ჰყავს 13 კომლი ვაჭარი, ალბათ ამდენივე მსახური და აზნაური, იოანე აგიაშვილს 25 კომლი ვაჭარი და 10 კომლი ხელოსანი, თავად კაცია წულუკიძეს - 26 კომლი ვაჭარი და ხელოსანი, ბეჟან წულუკიძეს - 3 კომლი ვაჭარი (გ. იობაშვილი - "დასავლეთ საქართველოს ქალაქები", 1983 წ. გვ. 115 - 133).

ამ დროს ხონის მცხოვრები 232 კომლია, მაგრამ ამაში არ შედის

ჩამოთვლილის გარდა სხვა მოხელეთა ყმები. აგრეთვე საკათალიკოსო 10 კომლი. ასე რომ მოსახლეობას 250 კომლისათვის მიუღწევია. ეს ციფრი არ არის აბსოლუტურად სწორი, რადგან ყველა მესაკუთრეს შესახებ მონაცემები არ გაგვაჩნია.

თუ კომლზე 8 სულს ვიანგარიშებთ, მაშინ მოსახლეობა 2200-2300 სული გამოვა.

აღრიცხული იყო მონასტრის კუთვნილი 11 კომლი აზნაური, მათში არ შედიოდნენ ბერიძეები და რატიანები. ამ 11 კომლს 13 კომლი ყმა ჰყავდა. ის შედგებოდა 42 სულისაგან, 9 კომლი აზნაური 33 სულს მოითვლიდა, 2 აზნაური მთავარეპისკოპოსს ქარჩხაბშიც ჰყავდა.

მკვლევარი მ. გინიკაშვილი აღნიშნავს, რომ 1808 წელს იმერეთში 25 ათასი კომლი ცხოვრობდა 175 ათასი სულით. 1811-12 წლების შავ ჭირს მოსახლეობა 12730 კომლამდე შეუმცირებია, დაღუპულა 11 ათასი, ვაკის ოლქიდან აყრილა და გაქცეულა 7450 სული (მ. გონიკაშვილი, "იმერეთი XVIII - XIX საუკუნეთა მიჯნაზე", 18, გვ, 15-16).

ამრიგად, თუ ხონში ნაჟამევს 220 კომლი მაინც დარჩა, მოსახლეობა 1600-1700 მაინც იქნებოდა. ამ გამოთვლით შავ ჭირს მხოლოდ ხონში 400-500 ქრისტიანის სიცოცხლე მაინც უმსხვერპლია.

1819 წელს ხონელის კუთვნილი მხოლოდ 75 კომლია ნაჩვენები თვით ხონში, რადგან 63 კომლი სახაზინო უწყებაში გადაუწერიათ. ამ დროს ხონში ეპარქიას ჰყოლია 129 კომლი გლეხი და აზნაური, მთლიანად კი ეპარქიას 158 კომლი ჰყოლია.

XIX საუკუნის 20-იან წლებში, ს. კაკაბაძის ანგარიშით, ხონში ცხოვრობდა 210 კომლი.

1822 წელს ვაკის ოლქი აღწერა ფრანგმა კავალერმა გამბამ. ის აღნიშნავს, რომ ვაკის ოლქში 55 სოფელია, 3743 კომლით და 23319 სულით, ხოლო ხონში 250 ოჯახია.

ეს რვა სულის ანგარიშით, კომლზე შეადგენს 2000 სულს. ამრიგად, ნაჟამევს, ისევ შეიმჩნევა დემოგრაფიული აღმასვლა.

ხონში იყო ფოსტა, იჯდა მაზრის უფროსი, ბოქაული და მოსამართლე.

გ. იობაშვილის გამოანგარიშებით ხონში 1828 წელს 1800 სული, 1853 წელს 2253, ხოლო 1860 წელს 3000 კაცი ცხოვრობდა (გ. იობაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 199).

ვფიქრობთ, პირველი ციფრი უნდა გასწორდეს.

1825 წლის აღნერით, ხონში ცხოვრობდა 119 კომლი საეკლესიო გლეხი და აზნაური, ხოლო მოსახლეობის რიცხვით მან გაუსწრო: ზუგდიდს, სამტ ̇ ̇ედიას, ოზურგეთს.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ხონში ცხოვრობდა თავადის და აზნაურის ̇. სასულიერო წოდების 11 და გლეხის 744 ოჯახი, მათგან 88 კომლი ვაჭრობას ეწეოდა, 66 კომლი მესაკუთრე იყო, 565 სახაზინო უწყებაში ირიცხებოდა (პ. ვაჭრიძე - "ხონის ისტორიიდან", 1998 წ. გვ. 75).

ამრიგად, სულ ცხოვრობდა 891 კომლი.

1900 წელს ხონში 4963 მცხოვრები იყო.

1913 წელს - 8759.

1991 წელს ქალაქ ხონში 11 ათასი ადამიანი იყო აღრიცხული.

მოსახლეობის მატება ბოლო საუკუნეებში განაპირობა ჩამოსახლებულებმა.

ჟურნალ "კვალში", ილია ბახტაძე წერდა: "მცხოვრებთა რიცხვი ამ უკანასკნელი 5 წლის მიმდინარეობაში დაბა ხონში შესამჩნევად გაიზარდა. სოფლებს: ივანდიდს, კუხს, მათხოჯს, დღითიდღე სტოვებდნენ მკვიდრნი და სამუდამოდ დაბა ხონში ესახლებიან. ხონში მოსახლეობის მსურველთა რიცხვის გადიდებამ შესამჩნევად მოუმატა მიწებს ფასი"-ო (ჟურნალი "კვალი", 1902 წლის №46).

ვაკე იმერეთის სოფლებიდან ხონში ჩამოსახლდნენ: აბზიანიძე, ბარაბაძე, ბოლქვაძე, გალდავაძე, გოგავა, გორდაძე, დოლაბერიძე, ვაშაკიძე, ვაჭარაძე, კაკაბაძე, კაკაურიძე, კარტოზია, კენჟერაძე, კობეშავიძე, კოხრეიძე, ლომიძე, ლომინაძე, ლორთქიფანიძე, მაისურაძე, მარჯანიშვილი, მატარაძე, მაღლაკელიძე, მელაძე, ოკუჯავა, რუხაძე, საღარაძე, საღარეიშვილი, სვანიძე, სებუა, სოსელია, ტაბიძე, ტერელაძე, ტყაბლაძე, ქვათელაძე, შველიძე, ჩერქეზია, ჩირგაძე, ძიძიგური, ხობუა, ხითარიშვილი, ხუროძე, ჯაფარიძე, ჯალაღანია, ჯიქია და სხვები.

ცხენისწყლის ხეობის მთიანი სოფლებიდან ჩამოსახლდნენ: ბენიძე, ბობოხიძე, გელენიძე, გედენიძე, გორდულაძე, ზერაგია, კირთაძე, კიკაბიძე, კიკალიშვილი, კვაბზირიძე, კინწურაშვილი, კუხალაშვილი, ფარულავა, ქაროსანიძე, ქობალია, ქომეთიანი, ჩიქოვანი, ჭოლოკავა,

ჯანელიძე.

სამეგრელოს აღმოსავლეთი ოლქებიდან ჩამოსახლდა: აფხაზავა, ბართაია, ბართია, ბოკუჩავა, გაგუა, გეგია, გვახარია, გოროზია, ესებუა, ელიავა, იზორია, კარტოზია, კვარაცხელია, ლოჩოშვილი (ლოჩია), ლაგვილავა, ინჯია, ლორია, მოწერელია, ნადარეიშვილი (ნადარაია), ოდიშარია, რევია, სულავა, სურმავა, შავდია, ფეტველავა, ჩაგუნავა, ჩალიგავა, ცანავა, ძაძამია, ძიძავა, წონონავა, წულაია, ჭაია, ჭანტურაია, ჭიჭაღუა, ხელაია, ხუჭუა, ჯოჯუა, ჯღამაძე, ჯღარკავა და სხვა.

XX საუკუნის მანძილზე, ხონში ლეჩხუმიდან ჩამოსახლდა: ასათიანი, არჯევანიძე, ასლანიკაშვილი, ახვლედიანი, ბენიძე, ბენდელიანი, გიორბელიძე, გიორგბერიძე, გოდერიძე, გოლეთიანი, თუთისანი, ირემაძე, დავითულიანი, ჭაბუკიანი, სიმსივე, კოპალიანი, ლეთოდიანი, ლიპარიძე, ლიპარტელიანი, მამარდაშვილი, მანაგაძე, მანდარია, მეშველიანი, მუშკუდიანი, ომანაძე, საღინაძე, ცინარიძე, ყურაშვილი, ჩაკვეტაძე, ხეცურიანი.

XX საუკუნის მეორე ნახევარში, სვანეთიდან ჩამოსახლდნენ: დაშნიანი, გორდეზიანი, მეშველიანი, მუსელიანი, ლიპარტელიანი, ჩანქსელიანი, ქურასპედიანი, შკუბულიანი, ხაბულიანი, გურჩიანი.

XX საუკუნის შუა წლებში შეიქმნა სამხედრო დასახლება. მის გამო ბევრი რუსი მანდილოსანი და მაწანწალა ხონის ძირითად მცხოვრებად იქცა. ესენი მარტოხელებია.

ასევე დამკვიდრდნენ მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლები: არუთინოვი, ავეტისიანი, ელტაროვი, მურადოვი, კარმანოვი, კოსოვი, გოლუევი, კულუმბეკოვი, გრიგორიანი, ცხოვრებოვი და ისინი თითქმის გაქართველდნენ.

ხონში ბევრია სადაურობის აღმნიშვნელი გვარები: ამაშუკელი, გორდაძე, გორდელაძე, დარსაველიძე, კალმახელიძე, მაღლაკელიძე, მინდელი, მინდელაია, ლეთოდიანი, ცაგარეიშვტლი, ჩხენკელი, ქუთათელაძე, წერეთელი, ხონელიძე, ხუნწელია.

ბევრი გვარი ნაწარმოებია ცხოველთა, მცენარეთა სახელებისგან და მოსაქმეობისგან: ბოლქვაძე, ბუაძე, მებუკე, მელაძე, მენაბდე, მენაბდიშვილი, მღებრიშვილი, კაკაბაძე, კალატოზი, კალმახელიძე, კანჯარაძე, შველიძე, ქაცარავა, ჩხიკვაძე, ჩხიკვიშვილი, ხუროძე, ღვინცაძე, ხუციშვილი, ჯინჭველაძე.

საერთოდ, ხონის უძველესი გვარების ფუძეები მეგრულ-ზანურია და მერე ქართიზებული.

1969 წელს, ცაგერის მუზეუმის დირექტორმა, ბატონმა ჯუმბერ სადინაძემ შეისწავლა ხონური გვარები. რაიონის 11 საბჭოში და 39 სოფელში აღრიცხა 32 ათასი კაცი, 578 გვარის წარმომადგენელი.

ჩვენ დღეს ზუსტეთ მხოლოდ ქალაქ ხონში გავრცელებული გვარები, რიცხოვნების მიხედვით. სამწუხაროდ საგვარეულოთა შიგა რიცხოვნების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა არ ხერხდება, რადგან 600-მდე ოჯახი გამოკეტილია და აწერია"იყიდება სახლი".

ხონის უძველესი გვარებია:

1. ბახტაძე - ნაწარმოებია ბახიას - ძე-დან. მისი ფუძე კოლხურ-ქართულია (ქართიზებულია). ამაზე მიანიშნებს ის, რომ სენაკელი ბახიები თავიანთ სალოცავად ხონის წმიდა გიორგის მიიჩნევენ და შესაწირავსაც სძღვნიან (522 სული), (მოგვყავს მცხოვრებთა დღევანდელი რაოდენობა). ეს უძველესი გვარი გადმოსული უნდა იყოს ხაშურის სოფელ ნაბახტევიდან.

2. სანოძე - სანაია, სანია - ჭანია, სანის ანუ ჭანის ტომობრიობას აღნიშნავს და ამრიგად, ჭანურ-მეგრულია, სანოძეები და სანაძეები ცხოვრობენ პირველნი ხონში, მეორენი გალსა და ოჩამჩირეში. მათი უმრავლესობა ხონისა და ილორის საყდრების საყმრო იყო, სულ ქალაქ ხონში ცხოვრობს 460 კაცი.

3. ჭავჭანიძე - წყაროებში XVI საუკუნეებიდან იხსენიებიან "ჭამჭიანიძის" ფორმით. ისინი ილორის და ხონის მონასტრის გლეხები იყვნენ (480 კაცი).

4. ლაითაძე - ხონის ძველი მკვიდრია. გვარის ფუძე მეგრულ-ქართულია. "ლუტუ" "ლაიტი" მეგრულად ჭყინტს, უმწიფარს აღნიშნავს. ჭყინტ სიმინდს იმერეთში "ლუტუს", ზუგდიდში "ლაიტს" ეძახიან (85 კაცი).

5. გენძეხაძე - მეგრულ-ჭანური ფუძითაა ნაწარმოები (გინძე ჭანურად გრძელია) და იგივეა, რაც "გრძელიძე" (58 კაცი).

6. გოფოძე - იმერულია სახელ "გოფო"-სგან ნაწარმოები (82 კაცი).

7. კეთილაძე - ხონის ერთი ძველი, იმერული გვარია (115 კაცი).

8. მამფორია - კოლხური გვარია, ჩამოსახლდა ხონში XVII საუკუნის ბოლოს, ხონის მონასტრისადმი შეწირული გლეხები იყვნენ (28 კაცი).

9. მებუკე - ერთი გადმოცემით სამცხელი თავადის - ღაღანიძის

დაკნინებული განაყარია. მეფის მსახურნი "მებუკეები" იყვნენ, შემდეგ ხონის მონასტრისათვის შეწირულნი გლეხებია (98 კაცი).

10. კოტიშაძე - მეგრული ფუძით გამოირჩევა, ნიშნავს "კოდისა"-ს, ხონის ერთი ძველი გვართაგანია (კოდი მარცვლეულის საწყაო იყო ძველად) (65 კაცი).

11. მაჭარაძე - ივანდიდსა და ხონში სახლობენ (98 კაცი).

12. პაპავა - წმიდა მეგრული გვარია, ჩამოასახლა ხონში ლევან II დადიანმა 1626-28 წლებში (58 კაცი).

13. ფანცულაიაც - ლევან დადიანმა იმავე წლებში ჩამოასახლა (60 კაცი).

14. ტაბიძე - ცხოვრობენ ივანდიდსა და ხონში, ხონის წმიდა გიორგის და თავად ღოღობერიძეების საყმო იყო (100 კაცი).

15. დარსაველიძე - იგივეა, რაც მეგრული დარსაველია (60 კაცი).

16. ფარცხალაძე - ფირცხალავა ერთი ფუძისაგან შედგება, კოლხურ-მეგრული გვარია. ცხოვრობენ ხონსა და მათხოჯში. იყვნენ იმერეთის მეფეთა მსახურნი, ზოგს საკუთარი ყმა-გლეხიც გააჩნდა (284 კაცი).

17. შველიძე - ცხროვრობს ქარჩხაბას უბანში, წულუკიძეთა და აგიაშვილთა გლეხები იყვნენ (85 სული).

18. ქაცარავა - წმიდა კოლხური გვარია, ქართულად იგივეა რაც "თიკანაძე". ჩამოასახლა ხონელმა მთავარეპისკოპოსმა XVII საუკუნის ბოლოს ნაოღალევიდან ხონში არის 30 კაცამდე.

19. ქვათელაძე - ცხოვრობს ქარჩხაბის უბანში, ჰგავს გვარ ქუთათელაძეს. ძველი გვარია, ხონში მისი წარმომადგენელი 105-ია.

20. ქუთათელაძე - სადაურობის აღმნიშვნელი გვარია, მისი მსგავსია მეგრული ქუთელია, ხონში ცხოვრობს 370 კაცამდე.

21. ღვინცაძე - ერთი ძველი გვარია, ფუძეში "ღვინ"-ო იკითხება (83 კაცი).

22. ყუფარაძე - იგივეა, რაც სამეგრელოში გავრცელებული გვარია ყუფარია (182 კაცი).

23. ჩხენკელი - სადაურობის აღმნიშვნელი გვარია. ჩვენი აზრით ის უნდა ნიშნავდეს "ჩხენიშულს" - ე. ი. ჩხენიშიდან მოსულს (240 კაცი). დაესახლა ხონში XVII ს. ბოლოს.

24. წვერავა - XVII საუკუნეში რაჭიდან ჩამოასახლა წულუკიძემ (425 კაცი), ასევე ჩამოსახლდნენ ჭელიძეები (48), ჯიხაძე (5).

25. წივწივაძე - წმიდა იმერული გვარია, წივილას-წივწივის

აღმნიშვნელი საკუთარი სახელიდან ნაწარმოები, ხონში ცხოვრობს 282 კაცი. ქართლში არის სოფელი ნივნივა.

პუბლიცისტმა ვარლამ შავდიამ 1899 წლის "აკაკის კრებულის" მესამე განყოფილებაში გამოაქვეყნა ხონში მცხოვრები გვარების ჩამონათვალი: აბაშიძე, აბზიანიძე, არძიანი, ბაკურაძე, ბარქაია, გეგელაშვილი, გეგეჭკორი, გელენიძე, გორდაძე, გვახარია, თავართქილაძე, კარტოზია, კენჟერაძე, კაკაურიძე, კლდიაშვილი, კირთაძე, ლომინაძე, ლორთქიფანიძე, ლეჟავა, ლოჩოშვილი, საღარეიშვილი, სურმავა, სულავა, ფარაძე, ფაღავა, ფურცელაძე, ქავთარაძე, ქავზინაძე, შავდია, ჩერქეზია, ჩიქოვანი, ჩხიკვაძე, ცაგარეიშვილი, ძაძამია, წოწონავა, ჭიჭაღუა, ჭანიშვილი, ხიტკირია, ხმელიძე, ჯღარკავა.

ვ. შავდიას გამორჩენია ზოგი ხალხმრავალი გვარი, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მაგრამ შეუყვანია დროებით მცხოვრებნი: ბარქაია, ბაკურაძე, ფაღავა, კლდიაშვილი, გეგეჭკორი, ფარაძე, ფურცელაძე.

ამჟამად ხონში არ ცხოვრობენ XVII საუკუნის დავთარში ჩამოთვლილნი: აბრალეიშვილი, ყლარტიაშვილი, ბრელიძე, სადრაძე, მშაშვიაშვილი, ხურციძე კი ხურცია - ხურცილავად ქცეულა, მემშვილდიშვილი - მშვილდაძედ, ჩიტისგულაიშვილი - ლაიშვილად, ზოგიც გადასახლებულა, ბევრიც ალბათ 1811-12 წლების ჟამიანობამ იმსხვერპლა.

მარტო კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში ამ ჟამიანობის დროს ათობით ბახტაძე გადასახლებულა.

ამჟამად ხონში ცხოვრობს:

ა

1. აბაშიძე - 7
2. აბაზაძე - 20
3. აბზიანიძე - 20
4. აბესაძე - 1
5. ადამია - 30
6. ავალიშვილი - 3
7. ავალიანი - 3
8. ავეტისიანი - 3
9. აკობიძე - 30
10. ამაშუკელი - 2
11. ანდრიაძე - 13
12. არაბიძე - 2
13. არაზაშვილი - 3
14. არუთინოვი - 5
15. არჯევანიძე - 41
16. ასათიანი - 3
17. ასლანიკაშვილი - 16
18. ახვლედიანი - 10

ბ

19. ბაბუნაშვილი - 16.
20. ბასილაია - 3
21. ბახტაძე - 522
22. ბალავაძე - 33
23. ბართაია - 20
24. ბარათელია - 2
25. ბაკურია - 4
26. ბარაბაძე - 42
27. ბარამიძე - 9
28. ბალანჩივაძე - 4
29. ბარდაველიძე - 3
30. ბაქრაძე - 4
31. ბაშალეიშვილი - 3
32. ბაჩილავა - 1
33. ბენდელიანი - 46
34. ბენიძე - 40
35. ბერიძე - 8
36. ბერიშვილი - 9
37. ბერძენაძე - 3
38. ბერძენიშვილი - 4
39. ბზიკაძე - 18
40. ბიჭიაშვილი - 6
41. ბობოხიძე - 22
42. ბოლქვაძე - 8
43. ბოკუჩავა - 8
44. ბოჭორიშვილი - 4
45. ბრეგვაძე - 6
46. ბუაძე - 20
47. ბულეიშვილი - 11
48. ბურჭულაძე - 3
49. ბურჯალიანი - 1
50. ბულაშვილი - 2
51. ბუხაიძე - 1
52. ბუხრაშვილი - 3

გ

53. გაბრიჭიძე - 2
54. გაგიშვილი - 1
55. გაბისონია - 7
56. გაგუა - 6
57. გაგილაძე - 2
58. გაიაშვილი - 1
59. გალდავაძე - 42
60. გასიტაშვილი - 3
61. გებუაძე - 3
62. გედენიძე - 171
63. გელენიძე - 16
64. გეგუჩაძე - 4
65. გეგენავა - 2
66. გენძეხაძე - 58
67. გვალია - 8
68. გვათუა - 4
69. გვახარია - 5
70. გვენცაძე - 5
71. გველესიანი - 3
72. გვილავა - 14
73. გიგაშვილი - 8
74. გიორგაძე - 22
75. გოგავა - 20
76. გოგიავა - 21
77. გოლუევი - 4
78. გიორბელიძე - 4
79. გიორგბერიძე - 32
80. გიორხელიძე - 40
81. გვიდიანი 5
82. გოგოლაური - 3
83. გოლეთიანი - 3
84. გორდულაძე - 70
85. გორდაძე - 51
86. გოდერიძე - 58

87. გოროზია - 8
88. გოფოძე - 82
89. გუგავა - 20
90. გრიგორიანი - 4
91. გუგუტიშვილი - 2
92. გუგეშაშვილი - 1
93. გურჩიანი - 6
94. გურგენიძე - 24
95. გურაბანიძე - 2
96. გურჯიძე - 4

დ

97. დადუნაშვილი - 6
98. დავითაშვილი - 10
99. დავითულიანი - 4
100. დანელია - 50
101. დანგაძე - 20
102. დარსაველიძე - 60
103. დეისაძე - 40
104. დიდიძე - 10
105. დოლაბერიძე - 8
106. დოლაკიძე - 4
107. დოლიძე - 2

ე

108. ელიავა - 20
109. ეგრისელაშვილი - 4
110. ეზიაშვილი - 14
111. ესებუა - 8
112. ესაძე - 3
113. ეფრემიძე - 30
114. ეძგვერაძე - 8

ვ

115. ვადაჭკორია - 6
116. ვაშაკიძე - 51
117. ვაჩიბერიძე - 2
118. ვაჩნაძე - 10
119. ვაჭარაძე - 16

ზ

120. ზარქუა - 4
121. ზაუტაშვილი - 6
122. ზედგინიძე - 8
123. ზერაგია - 54
124. ზვიადაძე - 10
125. ზურაბიანი - 3

თ.

126. თეგთუმანაშვილი - 2
127. თედორაძე - 4
128. თანდილაშვილი - 3
129. თედორაშვილი - 8
130. თევზაძე - 2
131. თვალთვაძე - 8
132. თვალოძე - 14
133. თაფლაძე - 4
134. თოდუა - 5
135. თუთისანი - 16

ი.

136. იზორია - 4
137. იმედაძე - 21
138. ინჯია - 2
139. ინანეიშვილი - 4

140. იობიძე - 60
141. ირემაძე - 2

კ.

142. კაკაბაძე - 322
143. კაკაურიძე - 160
144. კალატოზი - 4
145. კალანდაძე - 4
146. კალმახელიძე - 8
147. კალანდარიშვილი - 2
148. კაპანაძე - 3
149. კარტოზია - 8
150. კარმანოვი - 18
151. კაშია - 4
152. კაჭარავა - 3
153. კახიძე - 2
154. კახნიაშვილი - 4
155. კანჯარაძე - 7
156. კარსანიძე - 3
157. კაჭარავა - 3
158. კეთილაძე - 115
159. კელენჯერიძე - 4
160. კენჭაძე - 4
161. კევლიშვილი - 3
162. კენჭოშვილი - 9
163. კვაბზირიძე - 6
164. კვატაშიძე - 2
165. კვერნაძე - 8
166. კილაძე - 22
167. კილტავა - 6
168. კვიცარიძე - 8
169. კვაჭანტირაძე - 3
170. კვირიკაშვილი - 3
171. კვანტალიანი - 16
172. კვარაცხელია - 8
173. კიკალიშვილი - 5
174. კინწურაშვილი - 50
175. კირთაძე - 241
176. კიტოვანი - 5
177. კობიაშვილი - 3
178. კოპალიანი - 100
179. კოპალეიშვილი - 30
180. კობეშავიძე - 15
181. კორძაძე - 2
182. კოსტავა - 6
183. კოტოშაძე - 65
184. კოხრეიძე - 20
185. კუპრეიშვილი - 6
186. კუჭავა - 30
187. კუხალაშვილი - 62

ლ.

188. ლაგვილავა - 31
189. ლაითაძე - 85
190. ლეჟავა - 26
191. ლეთოდიანი - 65
192. ლილუაშვილი - 5
193. ლაიშვილი - 1
194. ლიპარიძე - 50
195. ლიპარტელიანი - 60
196. ლეჟავა - 26
197. ლობიაძე - 4
198. ლორია - 10
199. ლორთქიფანიძე - 11
200. ლომიძე - 30
201. ლოჩოშვილი - 6

მ.

202. მაისაია - 21
203. მაისურაძე - 4
204. მამარდაშვილი - 88
205. მამისაშვილი - 4
206. მამფორია - 28
207. მანაგაძე - 201
208. მანდარია - 58
209. მანჯგალაძე - 1
210. მარგიანი - 3
211. მარჯანიშვილი - 6
212. მატარაძე - 9
213. მაღლაკელიძე - 11
214. მაღლაფერიძე - 5
215. მაჭარაძე - 98
216. მაჭარაშვილი - 2
217. მაჩიტაძე - 3
218. მებუკე - 98
219. მელაძე - 59
220. მელქაძე - 52
221. მენაბდე - 10
222. მენაბდიშვილი - 2
223. მესხი - 95
224. მეფარიშვილი - 10
225. მეძველია - 21
226. მონიავა - 25
227. მუმლაძე - 2
228. მუსელიანი - 5
229. მუშკუდიანი - 99
230. მისკარიანი - 4
231. მინდელი - 8
232. მინდელაია - 1
233. მინაძე - 4
234. მიქაძე - 25
235. მიქაბერიძე - 30
236. მიქიაშვილი - 10
237. მოგელაძე - 4
238. მოსეშვილი - 11
239. მოსიძე - 8
240. მოწერელია - 4
241. მუკუტაძე - 5
242. მურადოვი - 2
243. მღებრიშვილი - 3

ნ

244. ნადარეიშვილი - 5
245. ნამიჩეიშვილი - 2
246. ნემსაძე - 3
247. ნიჟარაძე - 5

ო

248. ოდიშარია - 4
249. ოკუჯავა - 31
250. ომანაძე - 31

პ

251. პაპავა - 58
252. პაპასკირი - 5

ჟ

253. ჟამუტაშვილი - 3
254. ჟორჟოლიანი - 4
255. ჟღენტი - 6

რ

256. რატიანი - 68
257. რევია - 9
258. როგავა - 4
259. რუხაძე - 793

ს

260. სანოძე - 469
261. სართანია - 8
262. საღარაძე - 36
263. საღარეიშვილი - 8
264. საღინაძე - 31
265. საღირაშვილი - 2
266. სახელაშვილი - 2
267. სებუა - 117
268. სიბაშვილი - 2
269. სიხარულიძე - 5
270. სვანიძე - 57
271. სიმსივე - 3
272. სოსელია - 21
273. სურმავა - 6
274. სტურუა - 7
275. სულაბერიძე - 204
276. სულუხია - 10

ტ

277. ტაბიძე - 212
278. ტერელაძე - 17
279. ტერტერაშვილი - 1
280. ტყაბლაძე - 14
281. ტყეშელაშვილი - 1

უ

282. უბირია - 3
283. უგულავა - 240
284. უგრეხელიძე - 26

ფ

285. ფაილოძე - 24
286. ფანცულაია - 60
287. ფალავანდიშვილი - 12
288. ფარულავა - 21
289. ფარცხალაძე - 264
290. ფარცვანია - 4
291. ფარქოსაძე - 2
292. ფაჩუაშვილი - 21
293. ფესტვენიძე - 5
294. ფეტველავა - 6
295. ფილია - 2
296. ფიოლია - 3
297. ფირცხალავა - 9
298. ფირცხალაიშვილი - 2
299. ფიჩხაია - 18
300. ფულარია - 4
301. ფრანგიშვილი - 14
302. ფოცხვერაია - 5
303. ფოჩხუა - 3
304. ფუტკარაძე - 4
305. ფხაკაძე - 4

ქ

306. ქავზინაძე - 36
307. ქავთარაძე - 4
308. ქაროსანიძე - 24
309. ქათამაძე - 6

310. ქაცარავა - 50
311. ქაშიბაძე - 43
312. ქაჯაია - 20
313. ქებულაძე - 2
314. ქელბაქიანი - 12
315. ქემოკლიძე - 8
316. ქიშმარაია - 3
317. ქლიბაძე - 3
318. ქვაჭრელიშვილი - 4
319. ქობალია - 20
320. ქობულაძე - 8
321. ქორქოსაძე - 12
322. ქოიავა - 6
323. ქომეთიანი - 15
324. ქვათელაძე - 105
325. ქურდაძე - 1
326. ქუთათელაძე - 300

ღ

327. ღაღანიძე - 7
328. ღაჭავა - 40
329. ღვაბერიძე - 4
330. ღვინცაძე - 83
331. ღვინიანიძე - 4
332. ღოღობერიძე - 1

ყ

333. ყუფარაძე - 188
334. ყურაშვილი - 182

შ

335. შავდია - 12
336. შავლაძე - 8
337. შავლაშვილი - 4
338. შამათავა - 1
339. შავიძე - 5
340. შალამბერიძე - 12
341. შათირიშვილი - 4
342. შამხალაშვილი - 2
343. შერმადინი - 4
344. შენგელია - 6
345. შეროზია - 3
346. შვანგირაძე - 30
347. შველიძე - 86
348. შკუბლიანი - 10
349. შოთაძე - 3
350. შუბითიძე - 3
351. შუბლაძე - 14

ჩ

352. ჩაგუნავა - 2
353. ჩალიგავა - 6
354. ჩანკსელიანი - 15
355. ჩარგეიშვილი - 102
356. ჩარკვიანი - 12
357. ჩაკვეტაძე - 132
358. ჩერქეზია - 30
359. ჩიმაკაძე - 37
360. ჩინჩალაძე - 20
361. ჩირგაძე - 6
362. ჩიქოვანი - 68
363. ჩიხლაძე - 308
364. ჩოგოვაძე - 4
365. ჩომახიძე - 4
366. ჩხეიძე - 38
367. ჩხენკელი - 240

368. ჩხეტიანი - 4
369. ჩხიკვიშვილი - 4

ცـ

370. ცაავა - 4
371. ცანავა - 10
372. ცაცუა - 4
373. ცაგურია - 4
374. ცაგარეიშვილი - 70
375. ცერცვაძე - 12
376. ციბაძე - 4
377. ცინარიძე - 31
378. ციცხვაია - 12
379. ცხადაძე - 10
380. ცხელიშვილი - 1
381. ცხოვრებოვი - 8

ძ

382. ძარია - 6
383. ძაძამია - 10
384. ძიძავა - 8
385. ძიძიგური - 144

წ

386. წერეთელი - 5
387. წვერავა - 325
388. წივწივაძე - 281
388. წიქვაძე - 6
390. წოწონავა - 62
391. წულაია - 80

ჭ

392. ჭაბუკიანი - 5
393. ჭაია - 1
394. ჭანტურია - 2
395. ჭანტურაია - 4
396. ჭანტურიშვილი - 6
397. ჭავჭანიძე - 294
398. ჭანჭალეიშვილი - 8
399. ჭაფოძე - 5
400. ჭელიძე - 45
401. ჭუბაბრია - 8
402. ჭვაბრია - 6
403. ჭიჭაღუა - 1
404. ჭოლაძე - 5
405. ჭურაძე - 1
406. ჭრელაშვილი - 2

ხ

407. ხაბეიშვილი - 10
408. ხარაბაძე - 2
409. ხაბულიანი - 30
410. ხალიჩავა - 3
411. ხაზარაძე - 20
412. ხარებაშვილი - 10
413. ხაჭაპურიძე - 64
414. ხესელია - 3
415. ხელაშვილი - 1
416. ხელიძე - 11
417. ხელაია - 28
418. ხეცურიანი - 30
419. ხვიჩია - 15
420. ხითარიშვილი - 5
421. ხიმშიაშვილი - 3
422. ხობუა - 75

423. ხმელიძე - 4
424. ხონელიძე - 4
425. ხომერიკი - 8
426. ხოჯავა - 8
427. ხუბლაშვილი - 8
428. ხუროძე - 2
429. ხურცილავა - 56
430. ხურცია - 20
431. ხუციშვილი - 8
432. ხუჭუა - 16

ჯ

433. ჯაიანი - 3
434. ჯანგავაძე - 10
435. ჯანხოთელი - 2
436. ჯალაღანია - 140
437. ჯანელიძე - 80
438. ჯანჯღავა - 40
439. ჯაფარიძე - 5
440. ჯაჯაია - 10
441. ჯეჯელავა - 14
442. ჯინჯიხაძე - 3
443. ჯიხაძე - 4
444. ჯიბლაძე - 1
445. ჯიმშელეიშვილი - 30
446. ჯიჯელავა - 4
447. ჯიბუხაია - 8
448. ჯიქია - 30
449. ჯიქიძე - 4
450. ჯიშკარიანი -244
451.ჯოხიძე - 6
452. ჯოჯუა - 2
453. ჯურუხაძე - 50
454. ჯურხაძე - 11
455. ჯღამაძე - 1

ამრიგად, ხონში დღეისათვის სულ არის 455 გვარი. ზოგი ალბათ, თითო მოქალაქით წარმოდგენილი გამოგვრჩა კიდეც, მაგრამ 1969 წლის აღწერიდან დღეისათვის ხონში არ არიან გვარები: ალუჩავა, ელისაშვილი, ბელელაძე, ლანდიშვილი, გუგუტიშვილი, მორჩილაშვილი, ვარდუკაძე, მომესწრაშვილი, მარაძე, სათაშვილი, საჩალაძე, სიბაშვილი, ბეთხოშვილი, ზვერიშვილი, ქებაძე, ქველიძე, ხელისუფალი.

სამაგიეროდ, გაჩნდა ახალი გვარები: ბოჭორიშვილი, გურჯიძე, გაგიშვილი, ასლანიკაშვილი, არაბიძე, თაფლაძე, ინანეიშვილი, კვირიკაშვილი, ლილუაშვილი, მატარაძე, ფხალაძე, არაზაშვილი, ღვაბერიძე, ზედგინიძე, კაპანაძე, ხომერიკი, ჟამუტაშვილი და სხვა.

გასაგები მიზეზების გამო, გვართა რიცხოვნება ყოველწლიურად იცვლება.

ახლა თვალი გადავავლოთ ხონში ყველაზე უფრო გავრცელებულ 50 გვარს:

1. რუხაძე - 793
2. ჩიხლაძე - 750
3. კუხალაშვილი - 703
4. უგულავა - 596
5. კაკაბაძე - 575
6. ბარაბაძე - 542
7. ჯიშკარიანი - 535
8. გედენიძე - 535
9. კირთაძე - 532
10. ბახტაძე - 501
11. კინნურაშვილი - 426
12. კოპალიანი - 424
13. ლიპარტელიანი - 424
14. სანოძე - 409
15. სულაბერიძე - 381
16. ჩხეიძე - 376
17. ბენიძე - 374
18. ბობოხიძე - 337
19. ყურაშვილი - 317
20. კაკაურიძე - 316
21. ქუთათელაძე - 313
22. ჩარგეიშვილი - 310
23. გულენიძე - 303
24. მაჭარაძე - 294
25. ჭავჭანიძე - 294
26. ფანცულაია - 272
27. ბენდელიანი - 257
28. ჩაკვეტაძე - 256
29. ცაგარეიშვილი - 255
30. ჯანელიძე - 254
31. ხურცილავა - 247
32. გორდაძე - 246
33. ფირცხალავა - 245
34. წივნივაძე - 243
35. აბზიანიძე - 238
36. მუშკუდიანი - 234
37. ხაჭაპურიძე - 233
38. ჩანქსელიანი - 228
39. გიორხელიძე - 221
40. ტაბიძე - 212
41. უგრეხელიძე - 203
42. მელქაძე - 201
43. ღაჭავა - 189
44. მამრლაშვილი - 186
45. გოდერიძე - 177
46. წულაია - 173
47. ჩიქოვანი - 171
48. ჯალაღანია - 171
49. მანაგაძე - 169
50. ჩომახიძე - 166

ჩამოთვლილი გვარებიდან ქართლიდან უნდა იყოს გადმოსული ბახტაძე, ბარაბაძე, კირთაძე, მაჭარაძე, წივნივაძე, მელქაძე, გოდერიძე, მანაგაძე, სხვა ყველა წარმოშობით მეგრელ-ჭანებია.

თავი მეათე

ტყვეთა სყიდვა ქვემო იმერეთში

ტყვეთა სყიდვის შინაგანი ფაქტორები იყო ქვეყნის ეკონომიკის დაცემა, ფულად-სასაქონლო ურთიერთობის შესუსტება, ნატურალური მეურნეობის გაბატონება, ეკონომიკის ტრადიციული დარგების მოშლა და ამ ნიადაგზე ხალხის კულტურის, ზნეობის დონის სრული დაქვეითება-დეგრადაცია და ეროვნული თვითშეგნების დაცემა.

საგარეო ფაქტორები იყო აღმოსავლეთის მბრძანებელთა არმიების უმამაცესი, კავკასიელი მეომრებით და ამ დიდკაცთა სასახლეების ჰარამხანების მზეთუნახავებით შევსების სატანური სურვილი, საქართველოს პოლიტიკური და გეოგრაფიული იზოლაცია აგრესორი ისლამური სახელმწიფოების მიერ.

ტყვეებით ვაჭრობა აზიასა და ევროპაში უძველესი დროიდან სნარმოებდა, ოღონდ, შედარებით მცირე მასშტაბებით. ეს სენი გვიანი ხანის ევროპასაც ღრღნიდა. გავიხსენოთ ვიქტორ ჰიუგოს კომპრაჩიკოსები ("კაცი, რომელიც იცინის"), ალექსანდრე დიუმას ჰაიდე ("გრაფი მონტე კრისტო"), ან და სერუ გოლონების კუასი-ბა ("ანჟელიკა"). ამ ლიტერატურულ პერსონაჟებს, ცხადია ისტორიული პროტოტიპები ჰყავდა.

და მაინც, ტყვის სყიდვას, არსად ისეთი მასშტაბებისათვის და ისეთი ამაზრზენი ფორმებისათვის არ მიუღწევია, როგორც კავკასიაში, კერძოდ საქართველოში.

ამ მხრივ თანაბრადაა მასალები გაბნეული, როგორც ქართული სამართლის ძეგლებში, ისე უცხოელთა ნაშრომებში. საინტერესო ფაქტებს გვაწვდიან: ტურნეფორი, ქრისტეფორ დე კასტელი, არქანჯელო ლამბერტი, პიეტრო ავიტაბილე, ჯუზეპე ჯუდიჩე, ჟან შარდენი, ჰამერი და სხვები. მათ მიერ აღწერილი ტყვეთა სყიდვის საშინელებები, სრული ჭეშმარიტებაა, და როგორც მიხეილ თამარაშვილი აღნიშნავდა, არავითარი საფუძველი არ გვაქვს მათ ცნობებში დასაეჭვებლად.

მისიონერთა ცნობებში, ბევრი კონკრეტული გვარი და სახელია

გაცხადებული იმ ქართველებისა, ვინც ყოველდღიური სახმარი ჭურჭ-ლისა თუ ტანსაცმლის შესაძენად, თათარზე გასაყიდად იმეტებდა თანა-მოძმეს, მეტიც საკუთარი ოჯახის წევრს.

ქართულ სამართლის ძეგლებში ხშირია გამოთქმა, ამდენ ტყვედ ღირებული კარავი, ქამარ-ხანჯალი, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი. აღმოსავლეთის დიდებულთა სერალებში და არმიებში იღუპებოდნენ ვაჟკაცები და მანდილოსნები, ვისაც ღვთისგან და ერისგან სამშობლოს დაცვა და მეომართა გამრავლება ევალებოდა, უნებლიეთ კი, საკუთარ სამშობლოს მტრებს უმრავლებდნენ.

ყოველგვარი უწესობა, XVI საუკუნეში ისე თვალსაჩინო გამხდარა, რომ იმერეთის მეფეს, გიორგი II -ს (1548-83 წწ.) მთელი დასავლეთ საქართველოს სასულიერო და საერო ფეოდალთა მონაწილეობით, დიდი საეკლესიო კრება მოუწვევია. მასზე დაუგმიათ ტყვეთა სყიდვა, ეკლსიის კრეხუა (ძარცვა-წაბილწვა), ცოლის წაგვრა, გზებზე ხდომა, ქალის დაგდება და სხვა.

ვახუშტი ბაგრატიონი, ამ კრებას XVII საუკუნით ათარიღებს.

სარგის კაკაბაძემ გაარკვია, რომ სცდება სახელოვანი მემატიანე. ის XVI საუკუნეში მოიწვიეს. მონაწილე ისტორიული პირები იმ საუკუნის მოღვაწენი იყვნენ. კრება მოწვეული ყოფილა 1544-სა და 1563 წლებს შორის. კრებაზე შემუშავებული ძეგლი "სამართალი კათალიკოზისა" XVI საუკუნის შუა ნლებით დაათარიღა.

კრების მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიუღია ზაქარია ხონელ მთავარეპისკოპოსს. ეს ის მღვდელთმთავარია, რომლის შეკვეთითაც მამნე ოქრომჭედლის მიერ დამზადდა ხონის საყდრის სანინამძღვრო ჯვარი. მისი მოღვაწეობა ემთხვევა გიორგი მეორის მეფობის ხანას და ხონელის საყდარი ეჭირა მანოველ ჩხეიძის შემდეგ.

"სამართალში" აღნიშნულია:

"რამან კაცმან კაცი გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ გლეხმან: წმიდათა კრებულთაგან შეჩუენებულ იყოს და განხდილ. თუ ის კაცი დაიხსნას და მოიყვანოს მისსა საყდარსა და ეპისკოპოსს დაუურვოს, რა ერთიც ძალედვას, დამკლებს უფალსაც დაუურვოს და თუ ვერ მოიყვანოს, ვინ გინდა ვინ იყოს, თავადიშვილი, ანდა აზნაურიშვილი, ანდა გლეხი, მაშინ ვერამ საქმემ ვერ იხსნას. უკანონოდცა არს ძელსა მიეცეს: და ვინც ქრთამი

აიღოს და არ ჩამოარჩოს, შეჩუენებულ იყოს, წმიდათ კრებათაგან და კანონსამცა ქუეშე არს წმიდათა მოციქულთასა".

ე.ი. ტყვის მსყიდველებს სიკვდილი გადაეწყვიტათ.

განჩინე[illegible]ოდან ირკვევა, რომ ტყვეს თითქმის ყველა წოდება ჰყიდდა რასაც შეძ[illegible]ეგად მოჰყვა მოსახლეობის ყველაზე ჯანსაღი ნაწილის საზღვარგ[illegible]ეთ გადაქაჩვა და ხალხის რიცხობრივი შემცირება.

ამჯერად შევჩერდებით მხოლოდ იმ ფაქტორებზე, რაც ხონელი მთავარეპისკოპოსის სამწყსოს და "ხონის ქვეყანას" შეეხება. რამდენადაც XVII საუკუნის დასაწყისში გურიის მთავარს, მალაქიას, კათალიკოსის საყდარი და ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი მთავარეპისკოპოსის სახელოები ერთდროულად ეჭირა (1616-39 წწ.), ორიოდე აბზაცით მიმოვიხილავთ საერთო მდგომარეობას.

პიეტრო ავიტაბილე, XVII საუკუნის დასაწყისში, თავის "რელაციუმებში" აღნიშნავდა, რომ ქართველები ყოველწლიურად 4 ათას ტყვეს ყიდიან და აგზავნიან ხარკის ანგარიშში, რის გამოც ერთი ადამიანის ფასი 5 პიასტრამდე დავიდაო.

არქანჯელო ლამბერტი დამატებით ადასტურებს, რომ დასავლეთ საქართველოდან გაჰყავდათ 4 ათასი ტყვე. მას საკუთარი თვალით უნახავს, რომ ქმარი ცოლს თათრებზე ჰყიდდა, ხოლო შიმშილით განამებული დედა თავის შვილს ცოცხლად მარხავდა.

ერთმა მებატონემ, ორი წლის ვაჟი აჩუქა ჯუზეპე ჯუდიჩეს. ერთი მანდილოსანი მიუძღვნა პატრებს მალაქია კათალიკოსმა (და ხონის მთავარეპისკოპოსმა).

თეიმურაზ პირველის ელჩი რუსეთის კარზე, ცნობილი მოღვაწე, ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, რუსეთის მინისტრებს მოახსენებდა: რომ ლევან დადიანი ყოველწლიურად 10-15 ათას ტყვეს ჰყიდდა, ხოლო მალაქია გურიელი (კათალიკოსი და ხონელი მთავარეპისკოპოსი) 10-12 ათასს. ის აღნიშნავდა, რომ ყველა ყველას ჰყიდდა: ძმა - ძმას, მამა - შვილს, ქმარი - ცოლს, რძალი - მაზლს და ა.შ. (ს. კაკაბაძე, "მასალები იმერეთის სახ. მდგ. შესახებ XVII საუკუნეში", "საისტორიო მოამბე", 1925 წელი, 1, გვ. 186-187).

ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება, თუმცა ციფრები ძალზე გაზვიადებულია.

პროფესორ სარგის კაკაბაძის ნაშრომში აღნიშნულია, რომ მალაქია კათალიკოსი და ხონელი მთავარეპისკოპოსი ენერგიული მოღვაწე იყო,

ებრძოდა საეკლესიო კანონთა დამრღვევებს, მაგრამ "როგორც მისი პირადი ენერგია, ისე გავლენა უძლური იყო იმ უდიდესი ბოროტების, ტყვეთა სყიდვის წინაშე" (ს. კაკაბაძე, "საქართველოს მოკლე ისტორია - ახალი საუკუნეების ეპოქა", 1920 წ. გვ. 59).

თუმცა წყაროებში, მალაქია კათალიკოსს "ანგელოზის მსგავსს" უწოდებენ, ეს მთლად ასე არ ყოფილა.

გავარკვიეთ, რომ სწორია ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მოხსენება, რომლითაც ის ტყვეთა მსყიდველად არის წარმოდგენილი. მისიონერები გადმოგვცემენ, რომ მისი სამთავროდან და სამწყსოებიდან ყოველ წელიწადს ათასობით ტყვე გაჰყავდათ.

კასტელი აღნიშნავდა, რომ მალაქია კათალიკოსმა პატრებს აჩუქა არაჩვეულებრივი სილამაზის ტყვე, მიქელა აზნაურიშვილი, მაგრამ როცა გურიის მთავარი ვახტანგი გახდა (1939 წ ა.ფ.), მან ეს მონა პატრებს ჩამოართვა და ხონთქარს გაუგზავნა.

მეტიც: კათალიკოს მალაქიას, რაღაც დანაშაულისათვის დაუსჯია აზნაური ბერია, მისი ლამაზი ქრივი ელუკა მრუშობისათვის შეურისხავს და თურქებზე გასასყიდად გაუმზადებია, მაგრამ პატრებს დაუხსნიათ, შემდეგ კი გაუთხოვებიათ კიდეც (კასტელი - "ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ", 1977 წ. გვ. 135, 115).

თუ მალაქია კათალიკოსი (გურიელი) და სამი კათედრის მღვდელთმთავარი, გურული და მეგრელი ტყვეების თურქებზე გაყიდვას არ ერიდებოდა, ცხადია თავის საწმყსოებში ხონში და მათხოჯში "ანგელოზი" ვერ იქნებოდა. აქედან დასკვნა: ის ტყვეებს ქვემო იმერეთიდან, ხონიდანაც გაჰყიდდა.

ტყვეთა სყიდვის ძირითადი წყარო, ფეოდალური შინაომები იყო. 1623 წელს გოჭორაულთან, 1634 წელს ბაღდადთან (კაკას ხიდი), 1645 და 47 წლებში იმერეთზე გამუდმებული თავდასხმებისას, ლევან მეორე დადიანს ხელში ჩაუვარდა ათასობით იმერელი ტყვე. ზოგს თავი ვერცხლით დაახსნევინა, ზოგსაც "ყიდდნენ ნაშოვართა ტყვეთა და წარჩინებულთა კაცთა" - წერს მემატიანე (ს. კაკაბაძე - "საქართველოს მოკლე ისტორია", გვ. 60).

სისასტიკითა და ეროვნული თვითშეგნების დაცემით მეგრელებს არც იმერლები ჩამორჩებოდნენ. ნიკო დადიანი აღნიშნავს:

"მას ჟამსა იყვნენ იმერნი გარყვნილნი, ფიცის გამტეხნი, ტყვის მსყიდველნი, მხდომნი და უკეთურნი, არათუ წარჩინებულნი, არამედ

მდაბიონიცა" (ნიკო დადიანი - "ქართველთა ცხოვრება", გვ. 168).

იმერეთის მეფე, ალექსანდრე მესამე რუსეთის მეფეს სწერდა, რომ დადიანი იმერეთში ლაშქრობისას, ხან სამას, ხან ოთხას ქრისტიან ბავშვს თურქეთის სულთანს უგზავნისო.

ხონის მიდამოები ყველაზე უფრო დაზარალდა, როგორც საზღვრის-პირა ოლქი.

ერთმანეთს დანასისხლად ჩამტერებული მეფე-მთავრები აოხრებდნენ ერთმანეთის მამულებს, ანგრევდნენ ციხე-კოშკებს, დატყვევებულ ხალხს კი თურქებზე ჰყიდდნენ.

1640 და 1680 წლებში, კვლავ გამოიცა ბრძანებები ტყვეთა სყიდვის აკრძალვის თაობაზე, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

შარდენის ცნობით ტყვეთა ფასი ისე დაეცა, რომ თურქი ვაჭრები თავში 300-400 ცეხინს იხდიდნენ, 25 40 წლის მამაკაცი 15 ეკიუდ ფასობდა, ხანდაზმული - 8-10 ეკიუ, 13-18 წლის ლამაზი გოგონები - 20, ქალები - 12, ბავშვები - 3-4 ეკიუ ღირდა.

დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა, გრიგოლ ლორთქიფანიძემ, დიდი და ენერგიული მუშაობა ჩაატარა ტყვის სყიდვის წინააღმდეგ. პირობა დაადებინა მთავრებს და თავადებს, რომ ტყვეს არ გაჰყიდდნენ და იმერეთის ასაოხრებლად შემოჭრილ თურქებს არ მიემხრობოდნენ.

მიუხედავად ამისა, ტყვეთა სყიდვა გრძელდებოდა, იყო გამაჰმადიანების შემთხვევები. განსაკუთრებით დაზარალდა ქუთაისის, ხინოსა (ქვემო გურია) და ხონის ეპარქიები.

ჰამერის ცნობით, იმერეთის სამეკო, თურქეთის სულთანს ხარკის ანგარიშში ტყვეებს უგზავნიდა.

ზოგიერთი წყაროთი, ეს გამოსაღები წელიწადში 60-70 ახალგაზრდას შეადგენდა.

თვით ოსმალეთის პორტა, დაინტერესებული ჯანსაღი მოსახლეობის იმპერიაში გადატუმბვით, ხელს უწყობდა ამ სენის დამკვიდრებას შემდეგი ხერხებით: აწყობდა დამსჯელ ლაშქრობებს, არ შემოჰქონდა რკინა, მარილი, ევროპული მაუდი, აბრეშუმი და სხვა.

რუსი დიპლომატი, 1639 წელს სამეგრელოს შესახებ წერდა, რომ აქ ტყვეებს "ჰყიდის ყველა, და რაც მთავარია, ამაში თავიანთ შეცოდებას ვერ ხედავენ"-ო.

ლევან დადიანი თურქებს, ხარკის ანგარიშში 30-40 ტყვეს და 800 არშინ სახალათე ტილოს უგზავნიდა, თუმცა ხარბი სულთანი 100 ტყვეს

ითხოვდა.

დადიანი, თავს ჰანიბალსა და ფაბიუსს უტოლებდა. ტყვეს ან ტყვეში სცვლიდა, ან ვერცხლით გამოსასყიდს სჯერდებოდა. თუ ეს საქმეც არ გვარდებოდა, მაშინვე ანაკლიის ან ყულევის ბაზარში გაასყიდვინებდა. დადიანის შესახებ იმიტომ აღვნიშნავთ შედარებით ვრცლად, რომ იმერეთისა და ოდიშის ომების მთავარი ასპარეზი სწორედ ხონი და ქვემო იმერეთი იყო. გარდა ამისა, ხონელ მთავარეპისკოპოსს, მამული და საყმო გააჩნდა ცხენისწყლის დასავლეთითაც. თურქთა თარეშისას, დადიანის მაოხარი ლაშქრობისას, ხონი და ვაკის სოფლები სავსებით დაუცველი იყო. სიახლოვეს არცერთი ციხესიმაგრე, ტყე ან სამალავი არ იყო. ეს აადვილებდა ხონიდან ტყვის გატაცებას. (ინფორმატორი ა. ჯიშკარიანი, ხონის მუზეუმის ფონდი, 1978 წ. ფ. 1).

ერთი ზეპირი გადმოცემა მოგვითხრობს, თუ როგორ შერისხა დიდმა მოურავმა ხონში ყოფნისას, თავადი წულუკიძე ტყვის სყიდვისათვის. მან კი უტიფრად უპასუხა: "რა ვქნა მოურავო, ვერცხლი მჭირდება". გამოჩენილმა სარდალმა სავსე ქისა გადაუგდო და ტყვენი დაიხსნა.

ალექსანდრე მესამის გარდაცვალების შემდეგ (1660 წ), ქვეყანა საშინელმა ანარქიამ მოიცვა, რასაც დაემატა მეფე-მთავართა გაწამაწია თამარ მშვენიერის (ცბიერის) დასაუფლებლად. ყველა მეომარი მხარე, არბიტრად ჩილდირის ფაშებს იწვევდა, რასაც შედეგად ტყვეთა გატაცება მოსდევდა. 1668 წელს, ახალციხის ფაშამ იმერეთი მოაოხრა და ტყვეები თურქეთში გადარეკა. ანაკლიისა და ყულევის ბაზრებში მონა-ტყვე, რუსულ ფულზე, 13 მანეთზე ცოტა მეტი ღირებულა. თუ ოფიციალურად იმერეთი 70-80, გურია 46 და სამეგრელო 50 ტყვეს გზავნიდა, ორი ამდენი არაოფიციალური გზით იგზავნებოდა.

ე. ი. ოფიციალურად გადიოდა 180... ორი ამდენი კი - 360-ს შეადგენდა.

ერთი ზეპირი გადმოცემა მოგვითხრობს, თუ როგორ გამოექცა თურქებს და სამშობლოში დაბრუნდა გორდელი თავადის, ჩიქოვანის მიერ გაყიდული გლეხი - უგულავა (ინფორმატორი გია უგულავა, ხონის მუზეუმის ფონდი, ჩანაწერი 1980 წლის მასალა, ფ. 2).

1685 წელს იმერეთის მეფემ, ალექსანდრე მეოთხემ, როკითის ომში რომ გაიმარჯვა, დატყვევებული იმერელი, მეგრელი და გურული მეომრები ყველანი თურქებს მიჰყიდა.

ასეთ მაგალითს იძლეოდნენ ქვეყნის თავკაცები.

გახშირებულა დავალიანებულის მევალისაგან გაყიდვის შემთხვევე-

ბი. ასე ყოფილან გაყიდულნი ხონის საყდრის ყმები, რომელთა შესახებ 1762 წლის "წყალობის წიგნში" მეფე ბრძანებს:

"ხონელები ჭანტურიშვილი ნატრია და დავითელა გაყიდულები ყოფილიყვნენ, დედულია პაპავა კი ხუტუნია გაბუნიას ჰყავდა, ამოვიყვანეთ და ხონის საყდარს შევწირეთ"-ო (ს. კაკაბაძე - "საეკლესიო საბუთები", 1921 წ. 2. გვ. 17-18).

გაბუნია დადიანის ერთგული აზნაური იყო და ტყვეც მას გაუტაცია.

1759 წლის 5 დეკემბერს, სოლომონ პირველმა მოინვია დიდი საეკლესიო კრება, რომელზედაც დამსწრე საერო და სასულიერო ფეოდალებმა ტყვის სყიდვის აკრძალვისა და მეფის ერთგულების ფიცი დასდეს. ძეგლში აღნიშნულია:

"ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვითვალა, ტყვეს თუ არ გაჰყიდით არ იქნებაო. ახლა ამაზეც ასე ერთპიროობით დაგვიმტკიცებია ღვთის შუამდგომლობით, რომ სანამდის სული გვიდგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს, არც მაშინ ერთმანეთს ვუსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მოვუდგეთ, კიდევ მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმსრულებელნი ვიქნეთ. ამ საქმეზედ, ჩვენი თავი არ დავიშუროთ" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. 4, გვ. 641).

როცა პორტამ იმერეთში სამხედრო ექსპედიცია გაგზავნა, ერეკლეს ელჩმა ხონთქრის კარს მოახსენა, რომ სოლომონი მზადაა, ხარკის ანგარიშში, სულთანს გაუგზავნოს 60 ქალი წლიურად (ს. კაკაბაძე - "საქართველოს მოკლე ისტორია", გვ. 112. მიხეილ რეხვიაშვილი, "იმერეთის სამეფო XVIII საუკუნეში,, გვ. 76).

იმერეთის მეფეს "აღთქმულის" შესრულება არც უფიქრია. ადამიანით მოვაჭრენი სასტიკად დასაჯა (ქაჯაიები, კიკნაძეები), რამაც ოსმალეთი ისევ სამტროდ აამხედრა. პორტამ მეფეს 300 ქისა ვერცხლი და ტყვის სყიდვის დაკანონება მოსთხოვა. პირველ მოთხოვნას სოლომონი დაეთანხმა, მეორე გადაჭრით უარყო. ამის გამო ოსმალეთის ჯარებმა იმერეთი საშინლად ააოხრეს.

სტამბოლს გამგზავრებული მარიამ დედოფალი, სულთნის მინისტრებს არწმუნებდა: "ვიდრე ჩემი ქმარი ცოცხალია, თავისი საბრძანებლიდან ის სულთანს ტყვე ქალებს აღარ მისყიდს" (მ. რეხვიაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 69, მისივე", იმერეთის სამეფო, 1962-1810 წლებში", გვ. 256. 1989 წ).

იმერეთის მეფისა და დედოფლის მძაფრ პროტესტს, თურქეთის

მიმართ, აღტაცებაში მოუყვანია ფრანგი ვოლტერი, რის გამოც რუსეთის იმპერატრიცას სწერდა:

"მუსტაფა იძულებული იქნება ხელი აიღოს ქართველ მზეთუნახავთა მფლობელობაზეო".

სამწუხაროდ, სოლომონ პირველის ღონისძიებებმა, სავსებით ვერ მოსპო ტყვეთა სყიდვა, რასაც ადასტურებს შემდეგი საბუთები:

1777 წელს, ხონის ეპარქიის ერთმა თავადმა, მერაბ ლორთქიფანიძემ, "პირობის წიგნი" მისცა მაქსიმე კათალიკოსს, რომელშიც ეკითხულობთ: "ტყვის გაყიდვისათვის გამიწყერით და კიდეც შემაჩვენეთ, მერე ის ტყვე თქვენი კაციშვილი იყო თეკლანელი, ამოვიყვანე და თქვენ მოგართვით და თქვენ კიდეე ტყვის გაუყიდაობის პირობა გვთხოვეთ... ჩემს სიცოცხლეში ქრისტიანი კაცისშვილი არ მივყიდო თათარს, არც სხვა ურჯულო კაცს" (ს. კაკაბაძე - "საეკლესიო საბუთები", წიგნი 2, გვ. 66-67).

ცხადია, ხარბ თავადს, კათალიკოსის საყდრის საკუთრება გაუყიდია და როგორ მოექცეოდა თავის, ან სახლიკაცის ყმებს გასაგებია.

ისევ ლორთქიფანიძეები, სვიმონი და ბუჭუა წაიკიდნენ. ბუჭუას სვიმონის 3 კომლი გლეხი ქაშიბაძე (ახალბედისეულიდან) გაეყიდა და უსირცხვილოდ ფიცულობდა არ გამიყიდიაო.

იგივე სვიმონი, ბუჭუას უჩიოდა: შენმა კაცმაო (ალბათ აზნაურმა ა.ფ.) გერბენელიძემ ორი ტყვე გამიყიდაო (გერბენელიძეები ძეძილეთ-გვაშტიბში სახლობდნენ ა.ფ.) ბუჭუა უსირცხვილოდ იფიცებდა, წილში მხვდა სახლიკაცისგან და ის გავეციო (ქართული სამართლის ძეგლები - ის. დოლიძის რედაქციით, ტ.4, გვ. 415-416 (1972 წ).

თავად იაშვილს, ახალბედისეულელი აზნაური მესხი უჩიოდა, ტყვეები გამიყიდეო, ფიცისკაცნი: ავალიანები კი ერთმანეთს აბრალებდნენ ტყვის გაყიდვას.

ფიცის კაცთა ნაწილი თვით ხონში ცხოვრობდა, ნაწილი კი მის ახლომახლო სოფლებში - სალორთქიფანიძოში (გვიშტიბი, ძეძილეთი, ცხენკური, ნყალტუბო).

ქართული სამართლით, ტყვის გაყიდვა თათრებზე იყო აკრძალული, თორემ ქრისტიან თავადზე ტყვის მიყიდვა არ ისჯებოდა. ვახტანგ VI "სამართალი" იმერეთში შეძენილ ტყვეებზე მეფის სასარგებლო გადასახადს აწესებდა, ე. ი. ხაზინის შემოსავლის წყარო იყო.

და ამიტომაც, ტყვეთა სყიდვა არც მოშლილა XIX საუკუნის შუა

წლებამდე.

სულხან-საბა ორბელიანს, ევროპაში მოგზაურობისას, უნახავს იმერეთიდან წამოყვანილი ტყვეები, რომლებიც ხოფას გავლით კონსტანტინეპოლის ბაზარში მიჰყავდათ გასაყიდად, მალტაზე კი იხილა თურქთაგან დახსნილი იმერელი, მეგრელი და აფხაზი ტყვეები.

1771 წლის ერთი საბუთით დგინდება, რომ ხონელი გაბრიელა ქუთათელაძე, თავის ბატონს, ჩიქოვანს გამოქცევია, რადგან მისთვის გაყიდვა დაუპირებიათ. ხონელი მთავარეპისკოპოსის მოთხოვნით, გამოქცეულ გლეხს, თავდებად დაუდგა თავადი ბეჟან ღოღობერიძე და გაბრიელა ძველ ბატონს დაუბრუნეს პირობით: "რომ არც გაყიდვით, არც გაღარიბებით რამე ზარალი არ მოსვლოდა".

საპროტესტო აქციით, გაბრიელა ქუთათელაძემ, თავის ოჯახს ხელშეხლებლობა მოუპოვა.

ამ პერიოდს ეკუთვნის ზეპირი გადმოცემა, ჩაწერილი ნიკოლოზ აბზიანიძის მიერ პატარა ჯიხაიშში. თურქებს რამდენიმე ტყვე გაუტაცნია სოფლიდან, როცა მდევარი წაწევია, ერთი ბავშვი დაუგდიათ. ეს იყო იოანე ჩომახიძე, მთელს იმერეთში განთქმული მღვდლის, განმანათლებლის, ჯიხაიშის სასოფლო ბანკის და უფასო სკოლის (1848 წ.) დამაარსებლის ლუკა ჩომახიძის მამა.

ამავე სოფლის მკვიდრნი: ახალაძეები სოლომონ მეორემ და დედოფალმა მარიამმა დაიხსნეს თათრის ხელიდან და ხონის საყდარს გადასცეს.

1789-95 წლებში, როცა იმერეთის ტახტის ორი პრეტენდენტი ერთმანეთს ებრძოდა, დავით ნამეფარის მომხრე თურქებმა იმერეთიდან 17 ათასი ტყვე გაიტაცეს.

იოანე ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ იმერეთსა და სამეგრელოში ტყვეებს ჰყიდდნენ პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად.

1811-12 წლის ჟამიანობისას ბევრი ოჯახი გაპარტახდა. შიმშილისაგან დაუძლურებული მშობლები თავიანთ ერთ შვილს გასაყიდად იმეტეტბდნენ, რათა ანაღები ფულით სხვები დაეხსნათ სიკვდილისაგან. იმერეთში ამ ორ წელიწადში, ტყვედ გაყიდულა 2000 სული.

ტყვეთა სყიდვა საბოლოოდ გადავარდა, როცა რუსეთის ჯარებმა სოხუმი, ყულევი, ანაკლია და ფოთი გაანთავისუფლა თურქებისაგან. ამ მხრივ რუსეთის ღვაწლი მართლაც უდავოა.

თავი მეთერთმეტე

იმერეთის მეფეთა და ხონელ მთავარეპისკოპოსთა ბრძოლა სამონასტრო გლეხების და ქონების შესანარჩუნებლად

როგორც აღნიშნული გვაქვს, ხონი უძველეს დროს მცხეთელი მთავარეპისკოპოსის სახელოში, შემდგომში იმერეთის მეფეთა დომენში შედიოდა. 1529 წელს იმერეთის მეფემ და ბიჭვინთის კათალიკოსმა ხონელ მთავარეპისკოპოსად მანოელ ჩხეიძე აკურთხეს.

1570 წელს ხონის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი დავით წულუკიძეს ებოძა.

1619-39 წლებში დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის, ცაიშელი, ჯუმათელი და ხონელი მთავარეპისკოპოსის სახელოები ერთდროულად ეჭირა მალაქია გურიელს.

XVII საუკუნის შუა წლებში, იმერეთის მეფის შეჭირვებული მდგომარეობით უსარგებლია თავად მერაბ წულუკიძეს და თავისი ისედაც ვრცელი მამულებისათვის ხონიც მიუმატებია...

ხონელი მთავარეპისკოპოსები, იმერეთის მეფეთა დახმარებით პრინციპულ და ხანგრძლივ ბრძოლებს ეწევიან საერო ფეოდალებთან სამონასტრო გლეხების და ქონების შესანარჩუნებლად. ეს დავა მთავარეპისკოპოსთა გარკვეული წარმატებით მიმდინარეობს რუსეთის მიერ იმერეთის დაპყრობამდე.

XVII საუკუნის შუა წლებში, მთავარეპისკოპოსმა სვიმონ ჩიჯავაძემ სანავარდოელი თავადაზნაურობა და გლეხობა დაავალდებულა ეხადათ "სამწყსო" გადასახადი.

მის შემდგომ მთავარეპისკოპოსს, სვიმონ ჩხეიძეს გამწვავებია ურთიერთობა ნამაშევ-მაღლაკ-ფარცხანაყანევის ბატონ ნიუარაძესთან, ამ უკანასკნელს ეპისკოპოსის მოხელე უცემია, სამონასტრო გლეხები შავლაყაძეები კი მიუთვისებია. საკითხი ფეოდალურ "საღმრთო სამართალს", ანუ ორთაბრძოლას

გადაუწყვეტია. ეპისკოპოსის ფალავანი ხახუტა გოგავა შებმია თავადის წარმომადგენელს და დაუმარცხებია.

შავლაყაძეები: ხატისა და ხონა თავიანთი ოჯახებით მონასტერს დარჩენია (ს. კაკაბაძე, "ხონის საყდრის დავთარი", 1913 წ. გვ. 17-20).

იმერეთის მეფის ალექსანდრე მესამის (1639-1660 წწ.) ერთი "წყალობის წიგნიდან" ირკვევა, რომ ამ პერიოდში პატარა ხონის მოსახლეობის უმრავლესობა საეკლესიო გლეხობა ყოფილა. უთხოვიათ მეფისათვის "სახონთქრო ხარაჯისაგან" გათავისუფლება, და მბრძანებელს მათი თხოვნა დაუკმაყოფილებია.

XVI I I საუკუნის შუა წლებში ხონში დიდი აურზაური გამოიწვია დავამ, სამონასტრო გლეხების ჭანტურიშვილების გამო.

როგორც ირკვევა, ისინი თავდაპირველად სამონასტრო საკუთრება ყოფილან. მათგან წულუკიძეების ყმა - აზნაურებს ჭუბაბრიებს მისვლოდნენ (ე.ი. შეხიზნოდნენ). მაქსიმე მთავარეპისკოპოსს წინ ვეღარ აღუდგნენ ჭუბაბრიები და დაუბრუნეს საყდარს ყმები, მაგრამ ყმა-გლეხებზე ახლა პრეტენზია თავადებმა: ხოსია და მერაბ წულუკიძეებმა განაცხადეს. როცა დავამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, მასში ჩაერია ბესარიონ კათალიკოსი და მამუკა ბატონიშვილი.

1755 წლის "შეწირულების წიგნში" მამუკა ბატონიშვილი აღნიშნავს:

დავით ჭანტურიშვილი და ხუცესი გიორგი ძველადაც ხონის საყდრის მედროშე ყოფილა. უდროობაში სხვას ეჭირა და ახლა ისევ მონასტერს დავუბრუნეო.

1760 წელს უკვე ხოსია წულუკიძის ნათესავმა, ქარჩხაბის ბატონმა კაცია წულუკიძემ და მისმა ვაჟებმა "საფიცარი წიგნი" მიართვეს მაქსიმე ხონელ მთავარეპისკოპოსს, რომ ჭანტურიშვილი მათ სახლიკაცს და მის ყმას ჭუბაბრიას ჰყოლოდა, საიდანაც წამოსულა და ისევ მონასტერს მინდობია. მაშინ ხონი მამუკა ბატონიშვილს სჭერია, რადგან მეფე სოლომონი თურქთაგან გაძევებული ყოფილა. თავადს ბატონიშვილისათვის 140 მარჩილი მიუცია, გლეხი კი მონასტრისათვის დაუბრუნებია მთელი მისი მრავალრიცხოვანი ოჯახით (ს. კაკაბაძე, "დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები", 2, 1921 წ. გვ. 173, 157-168, 38, 12-13).

ხანგრძლივი განამაწია ჭანტურიშვილთა დასასაკუთრებლად დამთავრდა. ეს გლეხები შემდგომშიც მედროშედ ემსახურებოდნენ საეპარქიო ტაძარს, რაზედაც მიუთითებს ქუთაისის სახელმწიფო

მუზეუმში დაცული ამ საყდრის ბაირაღი წარწერიანი ლენტით - "შემონირული ჭანტურიშვილი".

ხონელ მეფის მსახურს, დათუნა ბახტაძეს, ,ქმად ჰყოლია კვიცარიძე. 1764 წელს სოლომონ მეფეს და მარიამ დედოფალს ეს გლეხი მონასტრისთვის დაუბრუნებიათ. XVIII საუკუნის შუა წლებში, ხონის "ანჩისხატის სარგო" ხარბ ბესარიონ კათალიკოსს მიუთვისებია, მაგრამ იოსებ გაენათელის და მაქსიმე ხონელი მთავარეპსკოპოსის ენერგიული ჩარევით ეს შემოსავალი ისევ ეკლესიას გადასცემია.

1760-69 წლებში შედგენილი ერთი სიგელით, რომელიც სოლომონ პირველს ეკუთვნის, ხონის სამონასტრო გლეხები: რუხაძეები და კობეშავიძე, რომლებიც სხვებს ჰქონდათ მისაკუთრებული, ისევ მონასტერს დაბრუნებია. თავიანთ "პირობის წიგნში" გლეხები თავად განმარტავენ, რომ "წმიდის გიორგის ხონის შეწირული ვიყავით თქვენის მამა-პაპათაგან და თქვენის უდროობით და ჟამთა ვითარებისაგან გამოხმული ვიყავითო".

1762 წელს ყოფილი სამონასტრო გლეხები ბანძელ აზნაურებს გაბუნიებს მიეთვისებინათ. მთავარეპისკოპოსის თხოვნით, მეფე სოლომონმა ისინი მონასტერს დაუბრუნა.

ხონელი მთავარეპისკოპოსის მაქსიმეს თხოვნით, დიმისა და ჯიხაიშის ნაწილის ბატონმა მამუკა ჩხეიძემ ხონის მონასტერს დაუბრუნა მითვისებული კუხელი გლეხები: ძაღლუა და ქირშობელა ბალანჩივაძეები.

1761 წელს მეფე სოლომონ პირველმა დაათვალიერა ხონის მონასტერი, მოიკითხა საგადასახადო ნუსხები და უკმაყოფილო დარჩა, რადგანაც საბუთები წესრიგში არ იყო. ზოგიერთს დეკანოზმა ვერც მიაგნო. მაშინ მეფემ დიდი საეკლესიო კრება მოიწვია და ისევ აღადგინა ადათით დაწესებული ნუსხები, ისე , როგორც ეს ჭყონდიდელის და გაენათელის სამწყსოში იყო. ისევ დააწესა "საეპისკოპოსო", "სახუცო", "საწირავი" და სხვა.

1764 წლის "შეწირულების წიგნით" სოლომონ მეფემ, ზემოთ დასახელებული გლეხი კვიცარიძე ისევ მონასტერს შეწირა და ახლა კი საბოლოოდ.

1767 წელს ხუტუნია გაბუნიას ჩამოართვა (1626-28 წწ.) ლევან დადიანისაგან შემონირული გლეხის დედულია პაპავა შთამომავალი და ისევ

მონასტერს გადასცა.

1769 წელს მეფისა და მთავარეპისკოპოსის მოთხოვნით ზემოთ დასახელებულმა თავადმა მამუკა ჩხეიძემ ხელი აიღო ხონის სამონასტრო გლეხზე, მამისთვალა ბალანჩივაძეზე.

ძველ დროში, დადიანთა გვერდითი შტოს თავადს, ლიპარტიანს ხონის მონასტრისთვის შეუწირავს ხუნნში მდებარე მამული "ნაკვარნახუ" და მასზე მსხდომი გლეხები დაუვალდებულებია ეხადათ საიჯარო გადასახადები მთავარეპისკოპოსისათვის. შემდეგ ეს მამულები რატომღაც (შესაძლებელია ჩიქოვანთა გადადიანების გამო) ლეხაინდრაოელ აზნაურებს, ხაინდრავებს, მიუსაკუთრებიათ.

1770 წელს მაქსიმე ხონელი მთავარეპისკოპოსი იწყებს დავას ამ მიწების კვლავ მონასტრისათვის დასაბრუნებლად.

"ნაკვარნახუს" პროფესორი ოლია სოსელია განმარტავს, როგორც "კვარნახიასეულს".

1763-69 წლებში სოლომონ პირველმა ხონელი გლეხები საბაზრო ბაჟისაგან გაათავისუფლა და ბაჟის აკრეფის პრეროგატივა მხოლოდ მთავარეპისკოპოსს დაუტოვა. შემდეგ ისევ დაუნიშნავს მეფეს მოურავი და მებაჟე, მაგრამ უკვე 1778 წელს უკვე საბოლოოდ მოუშორებია თავისი მოხელეები ხონისათვის.

1773 წელს სოლომონ მეფემ მსახურ ივანა ფარცხალაძეს ჩამოართვა ყმა-გლეხი, ბახტაძე ივანიკა და ის ხონის მონასტერს დაუბრუნა.

თუ ადრე ხონელი საეკლესიო გლეხები ალექსანდრე III "სახონთქრო გადასახადისაგან" გაანთავისუფლა, სოლომონ პირველმა ისინი "საუდიეროსგან" ანუ "საძალოდ სათხოვარისგანაც" შეუვალი გახადა და ამგვარად გაანთავისუფლა მთავარი სახელმწიფო გადასახადისაგან.

ხანდახან არა მარტო თავადიშვილები, თვით მონასტრის აზნაურებიც, უგულვებელჰყოფდნენ მთავარეპისკოპოსის უფლებას გადასახადზე.

აზნაური მახობა ქუთათელაძე ისე გაკადნიერებულა, რომ თავისი ყმები თვითნებურად გაუთავისუფლებია სამონასტრო გადასახადებისაგან.

ამის გამო მთავარეპისკოპოსმა ანტონმა უჩივლა მახობას. ეს უკანასკნელი გამტყუვნდა და როგორც ზევით დავინახეთ, მიეცა მთავარეპისკოპოსს "ხელადმქნელად" ე.ი. უფლებაშეზღუდულ აზნაურად

(ი. დოლიძე, - "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. 5, გვ, 669).

1790 წელს არქიეპისკოპოსმა ანტონმა, თავად ბეჟან წულუკიძეს ჩამოართვა და ისევ მონასტერს დაუბრუნა გლეხი გიორგელა ირემაძე.

1794 წელს მეფე სოლომონ მეორემ სიმონიკა, გიორგი და კიკოლა სანოძეები სახელმწიფო გადასახადებისაგან გაანთავისუფლა და მონასტერს დაუთმო.

ივანე სანოძე ამ დროს თავად წულუკიძეს გამოუწირავს ეკლესიიდან.

სოლომონ მეორეს ჩამოურთმევია გლეხი თავადისათვის და ისევ მონასტრისთვის გადაუცია, რადგან ამის გამო მისთვის თხოვნით მიუმართავს ანტონ მთავარეპისკოპოსს.

1799 წელს ისევ მთავარეპისკოპოს ანტონის მოთხოვნით, ზურაბ მაჩაბელს ხელი აუღია სამონასტრო გლეხის, მახარობელ კვიცარიძეზე და ის მონასტრისათვის დაუთმია.

სოლომონ პირველის ბრძნული და მამაცური მმართველობის გამო, მოსახლეობამ ხონში მომრავლება იწყო. ახალ ფაზაში შევიდა დავა და ბრძოლა სახნავ-სათესი სავარგულების გამო.

"ადგილის იწროებისა" და "სხუათა შეწუხების" გამო აყრილი გლეხობა ხონიდან მიდის ძირითადად საპაიჭაოში, საჭილაოში, შუამთასა და ჭყვიშში. რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა შექმნილი მძიმე პოლიტიკური გარემოება, ხონის მთავარეპისკოპოსი ანტონი არ ჰკარგავს სამონასტრო გლეხებს.

ამ პერიოდის ერთი საბუთი ამბობს: "თქვენი ეკლესიის ყმანი განიბნენ, ზოგი ადგილის იწროებისათვის, ზოგი სხვადასხვა შეწუხებისათვის. ეს საქმე თქვენ ბატონ მეფეს მოახსენეთ. მეფემ ბოქაულები წარმოგზავნა აყრილი ყმების დასაბრუნებლადო".

ასე დაუბრუნებიათ ხონიდან გაქცეული მახარობელ ჯიმშელეიშვილი.

ეს საბუთი 1802 წლით თარიღდება.

1803-11 წლებში ახალ ფაზაში შევიდა დავა ზემოთ დასახელებული მამულის "ნაკვარნახუს" გამო, მთავარეპისკოპოს ანტონსა და აზნაურ ხაინდრავებს შორის, რაც საბოლოოდ მთავარეპისკოპოსის გამარჯვებით დასრულდა.

1803 წელს სოლომონ მეორემ ხუცესი ტაბიძე და მისი სახლიკაცები

ჭყვიშში ჩაასახლა, იქ, სადაც ყუმურის ღელე რიონს ერთვის, მაგრამ როგორც საეკლესიო გლეხები მონასტრის მიმართაც დაავალდებულა.

ისინი გალაქტიონ და ტიციან ტაბიძეების წინაპრებია.

ასე დასახლდნენ სანოძეები, რუხაძეები, ბახტაძეები და სხვები რიონის ქვემო წელზე მახლობელს სოფლებში.

დიდი ენერგია შეალია ანტონ მთავარეპისკოპოსმა ბანძელ თავადებთან, ფაღავებთან დავას, სამონასტრო გლეხების წიქვაძეების გამო. ეს პროცესი მიჰყავდა მთავარეპისკოპოსის წარმომადგენელს, საეკლესიო აზნაურს მახობა ქუთათელაძეს. დადასტურდა, რომ კუხში მცხოვრები ყველა წიქვაძე სამონასტრო გლეხი იყო, მათგან მხოლოდ ერთ კომლზე დასაბუთდა თავადის მფლობელობა.

1808 წელს თათრებზე გაყიდული ახალაძეები იმერეთის დედოფალს, მარიამს გამოუხსნია და ისევ მონასტრისათვის დაუმკვიდრებია.

1811 წელს თავადმა ვახუშტი ჩიჯავაძემ ვალდებულება აიღო, მის მამულში ჩასახლებული გლეხები ისევ ეკლესიის საკუთრება ყოფილიყო.

საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, ხონის მთავარეპისკოპოსი თავგამოდებით იბრძოდა სამონასტრო გლეხების და ქონების შესანარჩუნებლად.

თავი მეთორმეტე

სოფლის მეურნეობა

ხონი და მისი მიმდებარე სოფლები, კლიმატურ-ნიადაგობრივი და რელიეფური თავისებურებებით, ძირითადად 5 მიკროზონად იყოფა.1.სუხჩა-ძეძილეთის, 2.ხარაბოულ-დედალაურის, 3.მთა-ტყის, 4.მათხოჯი-პატარა ჯიხაიშის, 5.ხონის. ეს უკანასკნელი, ზღვის დონიდან 60-170 მეტრზე მდებარეობს.

ხონის მიკრორაიონი, ცხენისწყლის მარცხენა ვაკე დაბლობია. მასში შედის: კონტუათი, ივანდიდი, ქუტირი, გვაზაური და ხონი. ის ხასიათდება ალუვიური, მდელოს უკარბონატო ნიადაგით. ზოლად გასდევს მსუბუქი თიხნარი, ქვიშიანი კარბონატული ნიადაგები და ძალზე ხელსაყრელია ერთწლიანი კულტურებისათვის. ამ ზღვიურ დანალექებზე, გადაფარებულია მდინარეთა ღორღიანი დანაფენები (მ.ნადირაძე - "წულუკიძის რაიონის სოფლის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები"-სადისერტაციო ნაშრომის პირი, დაცული ხონის მუზეუმებში, ნომერი 130, გვ.8-9).

ნიადაგი ნოყიერია. სწორედ ამიტომ, ვაკე-იმერეთის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება და მეცხოველეობა წარმოადგენდა.

ძველი ბერძენი ისტორიკოსის ცნობით, რიონსა და ცხენისწყალს შორის მოქცეული ტერიტორია "მოხირისი," კოლხეთის საუკეთესო და უხმოსავლიანი მხარე იყო. განსაკუთრებით საინტერესოა სტრაბონის ცნობები, რომ კოლხიდაში ყოველგვარი ნაყოფი კარგი იცის, მხოლოდ თაფლია მწარე. ბევრი ტყეა, რასაც მდინარეებით ეზიდებიან და იყენებენ გემთმშენებლობისათვის. აქვთ სელი, კანაფი, და სხვა (ს. ყაუხჩიშვილი - "საქართველოს ისტორიის ბერძნული წყაროები", 1976 წ, გვ.143).

პროკოფი კესარიელის ცნობით, მოხირისში "ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ..." (ს.ყაუხჩიშვილი - "გეორგიკა," 1965 წელი, ტომი 2, გვ.194).

ასეთსავე ცნობებს გვაწვდის აგათია სქოლასტიკოსიც.

მეექვსე საუკუნეში ბიზანტიისა და სპარსეთის ომის დრო, ეგრისის

სამეფო ძალზე დაზარალებულა. მერვე საუკუნეში არაბთა, ხოლო შემდგომში თურქეთის ლაშქრობამ ქვეყანა განადგურების პირას მიიყვანა.

კონკრეტული, ფაქტობრივი საბუთები, მხარის სოფლის მეურნეობის შესახებ, მე-13-ე საუკუნის დასაწყისიდან გაგვაჩნია. ეს არის გელათის ტაძრის დეკანოზის, იაკობის 1202 წლის "შეწირულების წიგნი," რომლითაც ხახულის ღვთისმშობლის ხატს სწირავს მაღლაკელ, ფარცხანაყანეველ გლეხებს და უწესებს: ზეთის, იფქლის, ფეტვის და ღომის გადასახადს.

საბუთში დასახელებული თავთავიანი კულტურები, დამახასიათებელია ვაკის ზონისათვის და ბუნებრივია, ხონშიც იქნებოდა გავრცელებული მაღლაკთან მისი სიახლოვისა და ბუნებრივი პირობების იგივეობის გამო.

მეთექვსმეტე საუკუნის საბუთების მიხედვით, იმერეთის სოფლის მეურნეობაში, პირველი ადგილი უჭირავს ღომს.

ღომის მოყვანა მეტად შრომატევადი იყო. მიწას ოთხჯერ-ხუთჯერ ხნავდნენ.

რბილი ნიადაგისა და ხშირი წვიმების გამო, არცთუ იშვიათად, მოსავალი იღუპებოდა. ღომს, სექტემბრის ბოლოს იღებდნენ. შრომატევადი იყო თავთავიდან მარცვლის გამორჩევა.

საბუთების გაცნობით დგინდება, რომ ხონში სხვა ფეტვეულიც ითესებოდა.

არქანჯელო ლამბერტი გადმოგვცემს, რომ სამეგრელოში დიდ პატივს სცემდნენ მინათმოქმედებას. ძირითადი მარცვლეული ღომი იყო. გავრცელება დაუწყია სიმინდსაც. უცხოური პური იშვიათად შემოდიოდა, ამიტომ ყურადღება გადატანილი იყო ღომის ექსტენსიურ მოყვანაზე. კაფავდნენ ტყეებს, აცლიდნენ ტოტებს, რომ ღომი არ დაჩრდილულიყო. პირველ წელიწადს ახოში ღომს თესდნენ, მეორე წელიწადს სხვა ფეტვეულს, შემდეგ პურს.

მარცვლეულის ჯიშთა სიმრავლეს ადასტურებს რუსი დიპლომატი ტოლოჩანოვი. (1650-1652 წწ). ის აღნიშნავდა, რომ იმერლებს მოჰყავთ: ხორბალი, მუხუდო, ჭვავი, ფეტვი, დიკის პური და ღომი.

ვახუშტი ბაგრატიონი წერს, რომ იმერეთში სთესენ: ხორბალს, ქრთილს და ღომს ფრიად მრავლად და გამოიზრდებიანცა მით (ვახუშტი

ბაგრატიონი - "აღწერა სამეფოსა საქართველოსი," "ქართლის ცხოვრება", ტომი 4, 1973 წელი, გვ.743-744).

გიულდენშტედტი, 1772 წელს, კარგად გაეცნო ხონს და ამიტომ მისი ცნობები საინტერესო და ზუსტია. ის აღნიშნავს, რომ ხონში თესენ: სიმინდს, შვრიას, ფეტვს, ჯიქურას, პატარა ქვრიმას, დიდ ღომს, რომელიც მოჰყავთ დაბალ ადგილებში ("გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში," 1962 წელი, გვ.152-153, 156-157, 295).

ივანე ჯავახიშვილის აზრით, სიმინდი, სამეგრელოში მე-17-ე საუკუნეში შემოსულა შავი ზღვის გზით და გაბატონებული მდგომარეობა დაუჭირავს მე-18-ე საუკუნის ბოლომდე.

წყაროების გაცნობით დგინდება, რომ მართლაც ღომი ყოფილა იმერეთის ვაკეში მთავარი მარცვლეული.

მკვლევარ ჯ.რუხაძეს, თავის ნაშრომში მოაქვს ლიტვინოვის (1804 წ.), მედიჩის (1819 წ.) და ჰაქსტჰაუზენის (1840 წ.) მონაცემები, რომლის მიხედვით იმერეთის მთავარ მარცვლეულ კულტურებად სიმინდი და ღომია დასახელებული.

იმერეთში ღომის 13 ჯიში არსებულა. უფრო გავრცელებული ყოფილა შემდეგი სახეობები: ნაჟღვალი, თეთრი, უსახელო წითელი, ბოჟღა თეთრი, ჩაქურა, ხიტრი თეთრი.

ღომმა განსაკუთრებული როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს დაბლობი სოფლების მემარცვლეულობაში და საუკუნეთა გამოცდას გაუძლო, რადგან ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში 1 კოდი სათესლე მარცვალი 40-ჯერ მეტ მოსავალს იძლეოდა.

ამასთან ღომი სოფლის მეურნეობიდან განიდევნა არა თავისი "უვარგისობის," არამედ შრომატევადობის, სიმინდის მოსავლის ბარაქიანობისა და სიცხე-წვიმების მიმართ შედარებით გამძლეობის გამო.

საქართველოში, კერძოდ იმერეთში, ღომი და ფეტვისნაირები უდებენ საფუძველს მარცვლეულ კულტურებს, ურწყავი მიწათმოქმედების პირობებში, რადგან იმერეთში პირველი საირიგაციო სისტემა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გაიყვანა ივანე შარაშიძემ და ნიკო ნიკოლაძემ.

მაგრამ იმერეთის ნოტიო პირობებში, ურწყავი მიწათმოქმედება, სარწყავ მიწებზე ნაკლებ მოსავალს არ იძლეოდა.

ფეტვისნაირთა სიუხვე და საერთოდ, დაბალი ფასები მარცვლეულზე, განაპირობებდა მეცხოველეობის და მეფრინველეობის განვითარებას.

რაც შეეხება პურეულ კულტურებს, ხონში და მიმდებარე სოფლებში ის ნაკლებად ითესებოდა, სამაგიეროდ მისგან 4-8 კილომეტრზე: მათხოჯში, დალაურში, ნახახულევში, ახალბედისეულში, ტყაურში, ძეძილეთში, გვაშტიბში, ქუტირში, ჯიხაიშში, კუხში, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ითესებოდა: მახა, კენტეხილა, ალაგ-ალაგ ხულუნგო და დიკი, უფრო იშვიათად ინქლი და ზანდური.

აღნიშნულზე ცნობები დაცულია ხონის მუზეუმშიც.

პურის სალენი კევრის რამდენიმე სახეობა არსებულა, ორი მათგანი ხონის მუზეუმშია დაცული, ერთი ქუტირში, ბატონ რაულ ჩხაიძის ოჯახში.

ხონის საბუთებში ბევრგანაა აღნიშნული მარცვლეული "ურიში." ის სწრაფად მზარდი, თავთავიანი კულტურა ყოფილა. შემოსულა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. სიმაღლეში სწრაფვით, ბალახს ჯაბნიდა. ხარობდა ჭაობიან-შმორიან ადგილებში. იკეთებდა 5-10 ღეროს. მისგან მომლაშო გემოს საჭმელი კეთდებოდა, ამიტომ ძირითადად ცხოველთა და ფრინველთა საკვებად იყენებდნენ. (ჯ.რუხაძე - დასახელებული წიგნი, გვ.59-60).

ხონში არსებულა განვითარებული მეხილეობა-მებაღეობა. იმერეთის ბაღებში ტოლოჩანოვს (XVII ს.) უხილავს: ლობიო, კიტრი, კვახი, ხახვი, ნიორი და ცერცვი. ხილეულიდან: ყურძენი, კომში, ნარინჯი, ატამი, უნაბი, ბალი, ნიგოზი, ბჟოლა, ვაშლი, გულაბი, ჩვეულებრივი მსხალი, ქლიავი, შვინდი, ალუბალი, მოცხარი, ხენდრო, მაყვალი. (ნ.კიკვიძე - "მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი," 1976 წელი, გვ.18-20).

ვახუშტის ცნობების თანახმად, იმერეთში "ხილნი მრავალნი არიან," რამეთუ ტყეთა შინა მრავლობს, ყოველნი. აქა არს ხურმა, წაბლი, ვაშლ-ატამი ქართლზედ მეტი - აღნიშნავს "მტილოვანთა" სიუხვესაც.

1772 წელს აკადემიკოსმა გიულდენშტედტიმ ხონის ბაღებში ნახა: ლობიო, თამბაქო, ბოლოკი, კვახი, ჭიაფერა, ალისარჩული (აბრეშუმის შესაღები), ინა, (ფრჩხილებისა და თმა-წვერის შესაღები), კომბოსტო და ბოთლისებრი კვახი.

ტექნიკური კულტურებისაგან, ტოლოჩანოვის ელჩობისას ბამბა ცოტა მოჰყავდათ. შემდეგ მისი პლანტაციები გაზრდილა, რასაც ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონი და გიულდენშტედტი.

XVIII საუკუნის ბოლოს, ხონის საყდრის ყმები: გოფოძე, ლაითაძე, წივნივაძე, ქიშმარელა, კოტიშაძე, ბახუტელა სალდაძე გადასახადებს 3-3 წყრთა ტილოთი იხდიან. (ი.დოლიძე - "ქართული სამართლის ძეგლები," ტომი 3, 1970 წ. გვ.1073).

იმერეთის ელჩი, მაქსიმე ქუთათელი, რუსეთის მთავრობას უმტკიცებდა, რომ იმერეთში ბევრია ბამბა.

იმერეთი ხომ თურქებს ხარკის სახით ტილოსაც უგზავნიდა.

მე-18-ე საუკუნის ხონში, ბამბის დიდი პლანტაციები არსებულა, ხოლო მე-19-ე საუკუნის დასაწყისში ხონში ათასობით ფუთი ბამბა მზადდებოდა. ამას ადასტურებს დღემდე შემორჩენილი ტოპონიმები ხონში: "ნაბამბარი," "საბამბია," "ბომბები."

საკმაოდ ყოფილა განვითარებული მეცხოველეობა.

"საკათალიკოსო საყდრის დავთრით," მათხოჯელ გლეხებს აკისრია "ორი საკლავი საპურობო." რამდენიმეს ყოველ ორ წელიწადში თითო ძროხა, ხონელ საკათალიკოსო ათ კომლს, "ათის თეთრის საკლავი."

ხონის ეკლესიის საყმოს თითო საკლავი მართებთ, ხოლო ლიმონა ყლარტიშვილს, ფარცხალაძეს, მამისთვალა და ბასილა ბახტაძეებს, ნადეკანოზარს, ჯაველსა და მამფორიას (ზედა-ხუნწელებს) ორ-ორი.

ერთი საბუთის თანახმად, მათხოჯელ ბარაბაძეს, საყდრის ოთხი დიდი ღორი ემართა.

ტოლოჩანოვი წერს, რომ იმერეთში ბევრი ჰყავდათ: ძროხები, კამეჩი, ღორი, ცხვრები, ქათამი, იხვი, ბატი.

იმერეთის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: "პირუტყვნი მძოვარ არიან ზამთარს-ზაფხულს, ფრინველნი ურიცხვნი."

გიულდენშტედტის ცნობით, იმერეთში მეცხოველეობა სუსტად არის განვითარებული ცოტა ჰყავდათ ცხენი, ცხვარი უჯიშო და უდუმო, სამაგიეროდ ღორი და ქათამი ბევრი, არ იცოდნენ კარაქი, ყველი უხარისხო იყო.

პირუტყვის სიმრავლეზე მიუთითებს ილორის წმიდა გიორგის ხონელი და კუხელი გლეხების ვალდებულება, რომლითაც, თითო კომლს, ერთი ძროხა და ორი ცხვარი ადევს გადასახადად.

მე-17-ე საუკუნის დასაწყისში, ხონის საყდარს შემოსდიოდა 98 ღო-

რი. 273 ქათამი და ათობით ცხვარი, რაც თავისთავად მეცხოველეობის მაღალ დონეზე მიუთითებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მევენახეობის მაღალი დონე, თუმცა ამ დარგის შე' ახებაც მნირი ცნობები გაგვაჩნია. სანდო წყაროები მხოლოდ მეთ[illegible]ევსმეტე საუკუნიდან გვაქვს. მაგალითად, ზემოთ დასახელებულ გოტ[illegible]'რონტაძეს აკისრია 15 ლიტრიანი 13 კოკა ღვინო. მამუა ჭოლაძეს კი, რომელიც ნამაშევში ცხოვრობს 40 კოკა.

მე-17-ე, მე-18-ე საუკუნეებში, მათხოჯელ, კუხელ და ხონელ გლეხებს თითო კომლზე 10-15-20 კოკა ღვინო ადევთ ბეგარად.

"ხონის საყდრის დავთრის" მიხედვით, ნმიდა გიორგის ყმებს, კომლზე 15-30 კოკა ღვინო აკისრიათ.

დიპლომატმა ტოლოჩანოვმა, იმერეთის ბაღებში ბევრი ვენახი იხილა.

შარდენის ცნობითაც, ვაკის ოლქში საუკეთესო ღვინოს აყენებდნენ.

ამას ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონიც.

გიულდენშტედტი წერს, რომ ხონის ბაზარზე ყურძენი ძალზე იაფი იყო.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოს მევენახეობის ერთ-ერთი ცენტრი ქვემო იმერეთი იყო. ხონსა და მის სიახლოვეს ასახელებს ვაზის შემდეგ ჯიშებს და სახეობებს: აკიდოს, რკოს, საფერავს, ბუდეშურს, ადანასურს, მაღლარს, რცხილათუბანს, ჩხავერს, უფრო იშვიათი ყოფილა: კუნძა, მუშავაზი, ხარისთვალა, თეთრი ბუდეშური, ყურნითელა, მწვანე, არაბოული, შანთი, წულუკიძის თეთრი, სამაჭრე, სამჭაჭა, ცოლიკოური, ციცკო, დონდღლაბი. (ივ.ჯავახიშვილი - "საქართველოს ეკონომიური ისტორია," 1934 წელი, გვ.426-428, 432, 434, 435-437).

დონდღლაბიდან ცუდი ხარისხის ღვინო დგებოდა, რაც დიდხანს არ დუღდებოდა.

ამჟამად, ეს ჯიში ხონში არ არსებობს, მაგრამ ტერმინი დარჩა ცუდი ღვინის სინონიმად: "დონდღლაბია," "დონდღლაბივითაა," იტყვიან ხოლმე.

"სამაჭრესაგან" ძალზე ტკბილი ღვინო დგებოდა და დიდხანს არ დუღდებოდა. მისი ტკბილის სენიორისათვის მიკითხვით განისაზღვრებოდა ძღვენის სახე-"სამაჭრობო."

"წულუკიძის თეთრი," რაჭული ვენახის, ჯიშია და მისი გავრცელება

ქვემო იმერეთში უნდა უკავშირებოდეს თავად ნულუკიძეთა დასახლებას 1570 ნლის შემდგომ პერიოდს.

ქვემო იმერეთში, ვაზის ექვსი ძირითადი ჯიში არსებობდა. ავადმყოფობა არ იყო და მოუვლელი, უბრალოდ, ხეზე აშვებული მცენარე, დიდ მოსავალს იძლეოდა. დაბლარ ვაზს კი ნელიწადში სამჯერ თოხნიდნენ: მარტში, მაისში და ივლისში. ხონის მეღვინეობის მასშტაბის შესახებ, ნათელ წარმოდგენას იძლევა დღემდე შემორჩენილი სამონასტრო მარნის ნაშთი.

ისტორიული კოლხეთის მეფუტკრეობის ყველაზე განვითარებული ნაწილი, ცხენისწყლის ხეობა ყოფილა. კოლხეთის მეფუტკრეობაზე ბევრს წერდნენ ანტიკური ხანის ავტორები. თუმცა აგათიას თქმით, კოლხური თაფლი მწარეა. I ალბათ ცაცხვის ყვავილობის ან იელის თაფლი აქვს მხედველობაში ავტორსl.

არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ კოლხური თაფლი საუკეთესოა მთელს დედამიწაზე (არქანჯელო ლამბერტი - "სამეგრელოს აღწერა," გვ.170, 194).

კ.ბოროზდინი, რ.ერისთავი, ჟ.მურიე საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ენგურის, ტეხურის და ცხენისწყლის ხეობებში მისდევენ მეფუტკრეობას. სკები ხეებზეა მიკრული, თაფლის ფიჭს ნელიწადში ერთხელ იღებენ. ზოგიერთ გლეხს 100-150 სკა აქვს. ფუთი თაფლი 4-5 მანეთია, ხოლო ფუთი სანთელი 15 მანეთი (კ.ბოროზდინი, რ.ერისთავი, ჟ.მურიე - "ბატონყმობა სამეგრელოში," 1927 წელი, გვ.23).

ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე, ხონის რაიონის ცხენისწყლისპირა სოფლებში ათობით ტონა თაფლი მზადდებოდა ყველა სეზონზე.

ცხენისწყლისა და გუბისწყლის ხეობების მოსახლეობა უხსოვარი დროიდან ეწეოდა მეთევზეობა-თევზჭერას, თუმცა ამის საბუთები, მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნიდან გაგვაჩნია. "ხონის საყდრის დავთრით," დედულისა ცოტაძეს, ტაბიძეებს, მაჭარაძეებს და კაკაბაძეებს, გადასახადად თევზი აკისრიათ.

ამავე დროს, აფხაზეთის კათალიკოსს, მათხოჯის, გვაზაურის და სხვა სასახლეების პერსონალში ჰყავთ მსახური - მეთევზე.

გვიან საუკუნეებში იმერეთში დიდ განვითარებას მიაღწია მეაბრეშუმეობამ, რაც ძველისძველი დარგი ყოფილა კოლხეთისათვის. ზემოთდასახელებული გელათის საყდრის დეკანოზის, იაკობის "შეწირულების წიგნში," ცალკე გამოსაღებია "საყაჭობო."

ამას გარდა, 1578 წლის ერთ საბუთში მოხსენებულია ხონელი - "ერთი პარტახტი, მეაბრეშუმე მახარა".

ამავე პერიოდში მათხოჯელ გლეხებს: სანდალა და ღვთისავარა ბარაბაძეებს, ანანია და ივანა მელაძეებს და სხვებს მართებს - "თითო თეთრის საყაჭობო."

ნიკიფორე ტოლოჩანოვი საგანგებოდ აღნიშნავს, აბრეშუმი ყველა ოჯახში მოჰყავთ, მოსახლეობა იცვამს აბრეშუმის საცვლებს, ქსოვილს კი ყანაოზს უწოდებენო.

ვახუშტი ბაგრატიონი წერს, რომ იმერეთში მეაბრეშუმეობის განვითარებას ხელს უშლის ხშირი ჭექა-ქუხილი, რაც ჟღეტს ჭიასო.

დიდ მეცნიერს მხედველობაში ჰქონდა ქართლისა და იმერეთის შედარებითი უპირატესობა, ეს რასაკვირველია ქართლის მხარეზე იყო.

იმერეთში რომ აბრეშუმის მოვლა და ძაფის დამზადება მაღალ დონეზე იყო, ამას ადასტურებს მე-17-ე საუკუნის მისიონერი, პიეტრო დელა ვალე, რომელიც წერს: "იმერეთის სამეფოს დიდი ვაჭრობა აქვს თურქეთთან აბრეშუმითა და სხვა საქონლით." (მ,ანთაძე - "საქართველოს და თურქეთის ურთიერთობა მე-15-ე, მე-18-ე საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით," 1982 წელი, გვ.57).

მსგავს ცნობებს გვაწვდიან სხვა საზღვარგარეთელი მოგზაურები და სწავლულები. მაგალითად, აკადემიკოსი გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ვაკის ოლქში მძლავრად არის განვითარებული მეაბრეშუმეობა, თუმცა სცდება, როცა წერს, რომ აბრეშუმის ქსოვილები მზადდება მხოლოდ ადგილობრივი საჭიროებისათვის. მან ხონის ბაზარში ბამბის ქსოვილები და აბრეშუმის ბუნებრივი საღებავებიც მოიხილა.

ეს საკითხი, ჩვენ სხვა ნაშრომში დეტალურად გვაქვს შესწავლილი, ამიტომ აქ მეტად არ შევჩერდებით, მოვიყვანთ, მხოლოდ მე-19-ე საუკუნის პირველი მეოთხედის მოგზაურის, კავალერ გამბას ცნობას, რომლის მიხედვითაც იმერეთში "საუცხოო და ბრწყინვალე" აბრეშუმს აკეთებენ.

მეცხრამეტე საუკუნეში კი ხონი საქართველოს მეაბრეშუმეობის ცენტრად გადაიქცა.

თავი Მეცამეტე

საგადასახადო სისტემა

ა) სამეფო (სახელმწიფო) გადასახადები

გადასახადთა სიდიდე განისაზღვრებოდა: სახნავ-სათესი და საევნახე ნაკვეთის სიდიდით, შრომისუნარიან მამაკაცთა რიცხვით, გამწევი ძალის სიმრავლით და ა.შ.

ფეოდალურ საქართველოში, გადასახადთა სამი სახე არსებობდა:

ა) ნატურალური რენტა,

ბ) ფულადი რენტა,

გ) შრომითი რენტა.

თავიდან, ერთი წამყვანი ადგილი ფულად გადასახადს ეჭირა. გვიან საუკუნეებში კი ნატურალური მეურნეობის განმტკიცებამ, ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების გაუარესებამ, ჩაკლა ფულად-სასაქონლო ურთიერთობა. ფული იშვიათი, ძვირი გახდა და მისი ადგილი, თანდათან ნატურალურმა რენტამ დაიჭირა.

მთავარი ადგილი, გადასახადებში დაიჭირა აგრესორი ქვეყნების მიერ დაწესებულმა ხარკმა, რაც "საურის" სახელწოდებით იყო ცნობილი. ამ მხრივ, ის ხარაჯისაგან არაფრით განსხვავდებოდა და ჩვენში სათათრო ანუ საყაენო საური ერქვა (ვ.გაბაშვილი - "ქართული ფეოდალური წყობილება მე-16-ე მე-17-ე სს." 1958 წელი, გვ.252. იხილეთ მისივე "მახლობელი აღმ. ქალაქების ისტორიიდან," 1966 წელი, გვ.246).

მონღოლთა ბატონობის წლებიდან, საურს მეფე ჰკრეფდა და იხდიდა მშრომელი ქვედაფენები, საბატონო და საეკლესიო გლეხობა. იმერეთში ამ გადასახადს "სახვანთქროსაც" ეძახდნენ.

სოლომონ პირველის გამეფებამდე, იმერეთის სამეფო, თურქეთს ხარკად უხდიდა 300 ქისა ვერცხლს (ერთ ქისაში 30 თუმანი ან სამასი მანეთი იანგარიშებოდა). თვით საური, კომლზე 20 კაპიკს შეადგენდა. მასში, დამატებით შედიოდა კომლიდან თითო სახალათე ტილო და ტყვე ქალ-ვაჟთა გარკვეული ოდენობა, რასაც სახელმწიფო ფულის სამაგიე-

როდ იხდიდა.

შარდენის ცნობით, იმერეთის სამეფო თურქეთს, ხარკის ანგარიშში აძლევდა ყოველწლიურად 10-20 წლის 80 ქალ-ვაჟს.

ხონის საბუთებში დაცულია იმერეთის მეფის, ალექსანდრე III "წყალობის წიგნი," რაც ადასტურებს ხონელი მთავარეპისკოპოსის სამწყოსის ნაწილობრივ შეუვალობას.

დოკუმენტში აღნიშნულია:

"ხვანთქრის ხარაჯას იმერეთში მოკრებდიან, მოკითხული ვქენით და არ გარდახდებოდა ხონის ეკლესიის ყმას და (კიდევ) ხუთს კვამლს კაცს ილორის წმიდის გიორგის ყმას."

საბუთიდან დგინდება, რომ ხონის ეკლესიას, ჯერ კიდევ ალექსანდრე III გამეფებამდე მოუპოვებია გარკვეული შეუვალობა, რასაც ადასტურებს სიტყვები: "მოკითხული ვქენით და არ გადახდებოდა." მეფემ ძველი საბუთი დაამტკიცა, მაგრამ ხონელები მთლიანად არ გაუთავისუფლებია, რადგან სულტანი შემცირებულ ხარკს არ მიიღებდა, დანაკლისი მეფის ხაზინას უნდა აენაზღაურებინა...

სოლომონ პირველმა 1754-68 წლებში, ხელმეორედ მიანიჭა ხონელებს საურისაგან ნაწილობრივი შეუვალობა.

სიგელში აღნიშნულია:

"ქ.მეფე სოლომონ გიბრძანებთ სულ ერთობით ხონელებო, ღმერთი მომიცემია თქვენთვის თავდებად, თუ დიდი თათრის ძალი და გადასახადები არ მომდგეს, წლეულს იქეთ, ჩემთვის საური თითო მარჩილის მეტი არ გადაგახდევინოთ." (ს.კაკაბაძე - "საეკლესიო საბუთები..." II. გვ.36).

როგორც ვხედავთ, მეფე ვერც მთლიანად ათავისუფლებს ხონელებს საურისაგან, ვერც ამ გადასახადის საბოლოო ამოკვეთის გარანტიას აძლევს.

მეფე სოლომონ მეორემ (1790-1810 წწ), 1800 წლის "შეწირულების წიგნით", ხონელებს დააკისრა საური მონასტრის ხარჯებისათვის.

გვიანდელი ცნობით, საური კომლზე10 შაურს შეადგენდა და მას ყველა კატეგორიის გლეხობა იხდიდა. რუსეთისგან საქართველოს დაპყრობამდე კომლზე ის 2 მარჩილს უდრიდა.

მე-16-ე საუკუნის ბოლომდე იმერეთში დაწესებულა გადასახადი "საუდიერო."

ის სამეფო გადასახადის ძირითადი სახე გახლდათ და კომლზე 2

ღორს, 2 ცხვარს, ან მათს ღირებულებას შეადგენდა. მე-19-ე საუკუნის დამდეგის ფასებით 2-3 ვერცხლის მანეთს შეადგენდა.

ნ.მახარაძის ცნობათა თანახმად, მე-19-ე საუკუნის დასაწყისამდე, საუდიეროს კრეფდნენ პროდუქტებით. თითო კომლზე 15 ბათმან ღომს, 40 კოკა ღვინოს, 20-25 კომლიდან ერთ მსხვილფეხა პირუტყვს (ნ.მახარაძე - "იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება." გვ.40).

ხონელმა მთავარეპისკოპოსმა მეფეს სთხოვა ამ გამოსაღების ამოკვეთა. 1764 წლის სიგელში მეფე ბრძანებს:

"ქვეყნის ამის განსაცდელითა და შფოთთაგან უდროობით, ეკლესიისა შენისა შემომავალთა ერთა საუდიერო დასდებოდათ, ვინებეთ განთავისუფლება ყმისა თქვენისა... ამოგვიკეთია საუდიერო საძალოდ სათხოვარი ხონის წმიდა გიორგის ყმისათვის, რომ ჩვენგან არ ეთხოვებოდეს რა, თვინიერ დაჭირვება თუ რამე იქნეს მეპატრონისა"... (ს.კაკაბაძე - "საეკლესიო რეფორმისათვის სოლომონ I დროს," 1914 წელი, გვ.10-11).

ხელმწიფე, არც ამ "წყალობის წიგნით" ჰპირდება ხონელებს საუდიეროს სავსებით ამოკვეთას. დასახელებული "დაჭირვება" კი არ აკლდა არც სოლომონს, არც შემდგომ მეფეებს.

ირკვევა, რომ საუდიეროს "საძალოდ სათხოვარსაც" უწოდებდნენ. ამისაგან იმერეთის მეფეს შემოსდიოდა 2902, 5 ფუთი ღომი, 1161 ფუთი ხორბალი და1290 თუნგი ღვინო. რადგან ძლიერი თავადების მამული, საგადასახადო შეუვალობით სარგებლობდა, საურს ე.ი. სათათროს იხდიდა 1685 კომლი, ხოლო საუდიეროს ანუ სამეფოს მხოლოდ 430 (დ.ნაცვალაძე - "ილია ხონელის მოღვაწეობა და ლიტერატურული მემკვიდრეობა", დისერტაცია, ასლი ინახება ხმმ 1966 წელი, გვ.59-60.)

1792 წლის ერთი "წყალობის წიგნით" ცხადი ხდება, რომ მეფე სოლომონ მეორეს საურისა და საუდიეროსაგან გაუთავისუფლებია თავად ღოღობერიძის ივანდიდელი და ჯიხაიშელი ყმები. მათგან მხოლოდ 20 კომლი იხდიდა საუდიეროს და 10 კომლი საურს.

1798 წელს, ამავე გადასახადისაგან მეფემ გაანთავისუფლა ილორის საყდრის კუთვნილი ხონელი, 16 კომლი ჭავჭანიძე და 5 კომლი კუხელი კაკაბაძე.

არსებობდა სამეფო გადასახადი "საციხო." ის განკუთვნილი იყო იმერეთის გარნიზონებად მდგარი თურქული ციხიონების შესანახად, 1770 წლის შემდგომ კი ქართველ მეციხოვნეთათვის და კომლზე ორ

მარჩილს შეადგენდა.

"დრამის ფულს" მეფის მოურავები კრეფდნენ (ხონში აბულაძეები), როგორც გლეხობისგან, ისე აზნაურებისგან, სათავადოებში კი თავადები.

"მოდს და სამსახურს" იხდიდნენ სამეფო მიწებზე დასახლებული უმინაწყლო გლეხები, როგორც საიჯარო გამოსაღებს, მიწით სარგებლობისათვის. თუმცა ისინი ვალდებულნი იყვნენ ყოფილი მებატონის წინაშეც.

1802 წელს, მთავარეპისკოპოს ანტონ ჩიჯავაძის თხოვნით, იმერეთის მეფემ, ხონის ეპარქიის უმინაწყლო გლეხებს, მამულები უბოძა, "წულუკიძის საჩხეიძო ძინაზე, კონტუათის საზღვრიდან მეფის ნასასახლევამდის," აქედან შემოსავალი "მოდი," მან ეკლესიას შესწირა.

საიჯარო თანხა შემოდიოდა პროდუქტებით: ღომით, მჭადით, ხორცით, ღვინით.

ჭვიშში ჩასახლებული ივანდიდელი ტაბიძეები, მეფემ დაავალდებულა, რომ ყოველ "ამაღლება" დღეს, მის სადღეგრძელოდ ცხვარი დაეკლათ, გარდაცვალების შემდეგ კი მისი სულისთვის მღვდლებისთვის წირვა ეთხოვათ...

"სამოურავო" მეფის მოურავისათვის განკუთვნილი სარგოა. მე-19-ე საუკუნის დასაწყისში, თვითეული ხონელი, ქალაქის მოურავს, თავად სეხნია წულუკიძეს მიართმევდა ყოველწლიურად: კომლზე 4 ქათამს, 1 ბათმან ღომს, 2 თუნგ ღვინოს.

"ბაჟი" დაწესებული იყო სამეფო ქალაქში გასაყიდად შემოტანილ საქონელზე და მას მეფის მოურავი კრეფდა.

თურქთა მძლავრობისა და სოლომონ I შევიწროვების გამო, ბესარიონ კათალიკოსი (როსტომ რაჭის ერსთავის ძმა), გათამამებულა და ხონი მიუსაკუთრებია (1763-1769 წწ) მეტიც, ზოგიერთი გადასახადი გაუდიდებია კიდეც.

ხონელებს დახმარებისათვის სამეფო კარისათვის მიუმართავთ, რის გამოც მარიამ დედოფალს მათთვის "წყალობის წიგნი" უბოძებია:

"უამთა ვითარებისაგან გაგვიჭირდა და ხონი კათალიკოზმან დაიჭირა და ჩვენს ხელში რომ პირველთაგან ბაჟი იყო მიეთვისებინა, მარილის, ხორცის, თევზისა და მატყლის ბაჟი დაედვა თქვენთვის. შემოგვეხვეწეთ და ვისმინეთ თქვენი შეხვეწნა... სახასო ამ ეკლესიის ყმას მარილის, ხორცის, თევზის და მატყლის ბაჟი არ ეთხოვებოდეს."

(ს. კაკაბაძე - "საეკლესიო საბუთები.." II. გვ.39).

ჩვენამდე მოაღწია სოლომონ I 1778 წლის ერთმა სიგელმა, რომლითაც დგინდება, რომ სამეფო ხელისუფლებას ისევ დაუყენებია მებაჟე ხონის ბაზარში. შემდეგ ისევ მოუცილებია და ეს პრეროგატივა მთავარეპისკოპოსს გადასცემია.

ასე რომ, ხონი და ხონელები გარკვეულწილად საგადასახადო შეუვალობით სარგებლობდნენ.

ბ) საკათალიკოსო გადასახადები

დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი, დიდი საჭეთმპყრობელი იყო და როგორც ქრისტეს მოსაყდრე, დიდძალ ყმასა და მამულს ფლობდა.

იურიდიულად ის საესებით ხელშეუხებელი მღვდელთმთავარი იყო.

"აფხაზეთის საკათალიკოსო იადგარი," მეფის მიერ დამტკიცებული განჩინებით, განსაზღვრავს საკათალიკოსო გლეხების აბსოლუტური შეუვალობის უფლებას.

"მათ არც ბაჟი, არც გამოსაღები არას შეცოდებისათვის არ გარდახდებოდეს, კიდეგან კათალიკოსისა."

მე-16-ე საუკუნის დასაწყისში, საკათალიკოსო საყდარს ხონში და კუხში 20 კომლი გლეხი ჰყავდა.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში, "ბიჭვინთის იადგარის" მიხედვით საკათალიკოსო საყდარს მათხოჯში ჰყავს 40 კომლი ყმა, ხონს და კუხს 20 , ჯიგთუბანს 12, ჩუნეშში 10, გვიშტიბში 12, ივანდიდში სულ უკანასკნელი 5 კომლი მაინც, გვაზაურში 5 კომლი მაინც თუ იყო, სულ ჰყოლია 104 კომლი.

გრიგოლ კათალიკოსმა, თავად მიქელაძისაგან გვაზაურში რამდენიმე კომლი შეიძინა და მათი რიცხვი 16 გახდა. "ბიჭვინთის იადგარის" ცნობით, მე-17-ე საუკუნის ბოლოს და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, იმავე კათალიკოსს, ხონის ეპარქიაში, ზემოთ დასახელებულთა გარდა, მათხოჯში ჰყავდა 50 კომლი გლეხი და 2 აზნაური რატიანი. ხონში II კომლი და 2 პარტახტი, ჯიგთუბანში და ჭაგანში 10, ივანდიდში 10, ჩუნეშში 10, პონტუათში 2, გვიშტიბში 12 (2 კომლი ნიუარაძეს

ამიუსაკუთრებია), ნამაშევში 4, ბაკისუბანში გიორგაძეები, მაგრამ რამდენი კომლი წყარო არ მიუთითებს.

ასე რომ ვაკის ოლქში, ხონში და მის ახლო სოფლებში სულ კათალიკოსს 127-130კომლი ყმა და აზნაური ჰყოლია.

კათალიკოსის წინაშე, ვალდებული იყო მთელი დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა და საყდრის კუთვნილი გლეხობა.

გარდაცვლილი თავადის ოჯახიდან, კათალიკოსს მიერთმეოდა "თავი ნიშანი," ანუ რჩეული ნივთები მისი ქონებიდან. თუ გაღარიბებულ ოჯახს ძვირფასი ნივთები არ გააჩნდა, სამაგიეროდ საკათალიკოსო საყდარს მიართმევდნენ რამდენიმე კომლ გლეხს.

ამირეჯიბის ოჯახმა 1616-20 წლებში, ანიკა ჩიჯავაძემ 1731 წელს, დადიანებმა (სოფ. ეშაფათში) 1733 წელს, საკათალიკოსო საყდარს, ნიშნის მაგივრად, რამდენიმე კომლი გლეხი მიუძღვნეს.

კათალიკოსის დასტურის გარეშე არ შეიძლებოდა ეპისკოპოსის ხელთდასმა. მას ისევე მიართმევდნენ გადასახადებს, როგორც ეპისკოპოსს.

გრიგოლ კათალიკოსმა, 1712 წელს, მათხოჯელ გლეხებს ფულადი გადასახადი სანთლის გამოსაღებით შეუცვალა, ასევე კონტუათელ რუხაძეებს.

რამდენიმე მათხოჯელ კომლს, საკათალიკოსო საყდრის სასარგებლოდ აკისრია გადასახადი "საყაჭობო," ხონში ეს გადასახადი არ აღნიშნულა.

9 კომლი ხონელი გლეხი, კათალიკოსს უხდიდა თითო ურემ ღომს, თითო კოდ გაცეხილ ღომს, 90 მთელ (ალბათ ათლიტრიანს ა.ფ.) კოკა ღვინოს, 290 თეთრს, დამატებით 7,5 ურემ ღომს და 9 ნასუქ ქათამს.

ხონელთაგან 8 კომლს აკისრია "ხეში," ერთჯერადი, ხელით ნასაღები ძღვენი (ო.სოსელიას განმარტება).

გ) საეპისკოპოსო გადასახადები

ხონელის კათედრის დაარსებიდან (1529 წ), ხონის მოსახლეობის უმრავლესობა მთავარეპისკოპოსის საყმო გახდა და მთავარი საბეგრო

გადასახადებიც მასთან შედიოდა.

სოფლის მეურნეობის განხილვისას, აღნიშნული გვქონდა, რომ 1202 წლის გელათის წინამძღვრის იაკობის "შეწირულობის წიგნის" მიხედვით სახეზე გვაქვს რამდენიმე სახის გადასახადი: "მოდი, იფქლი, ღომი, ფეტვი, და საყაჭობო." (ნ.ბერძენიშვილი - "საქართველოს ისტორიის საკითხები," 1964 წ, I, გვ.195-196).

მე-17-ე საუკუნის დასაწყისის ნუსხით, ხონელ მთავარეპისკოპოსს, მე-16-ე საუკუნის ბოლოს შემოსდის: 840 კოკა ღვინო და 2 ჭური, 501 კოდი ცეხვილი ღომი, 98 საკლავი (ღორი), 273 ქათამი, 25 ურემი ღომი, 429 თეთრის თევზი, ყველი და საბატკობო, 42 ურემი თივა და შეშა, 25 კალათი სამეჯინიბო ურიში ან მჭადი.

პროფესორ სარგის კაკაბაძის გამოანგარიშებით, მე-16-ე საუკუნის ბოლოს, კომლზე მოდის 6,64 საკლავის ღირებულება. 50 კომლი ხონელი იხდის 649 კოკა ღვინოს, 25 ურემ და 480 კოდ ღომს, 246 ქათამს, ფულად-339 თეთრს და 1 ბისტს (ს.კაკაბაძე - "აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხები..," გვ.45, "ქართული სამართლის ძეგლები," ტომი III, 1970 წელი, გვ.480, ს.კაკაბაძე - "ხონი და ხონელის ყმები..," "საისტორიო კრებული," 1928 წელი, I, გვ.22).

ფულზე გადაყვანით, 25 ურემი ღომი უდრის 500 თეთრს, 480 კოდი ღომი 1584 თეთრს, 649 კოკა ღვინო, ამდენსავე თეთრს, 68 საკლავი 840 თეთრს, 246 ქათამი 172 თეთრს. სულ მთავარეპისკოპოსს შემოსდის 332 საკლავის ღირებულება, ანუ 4085 თეთრი.

ხონელთაგან 9 კომლს ხადილი (სადილი) ევალება, 2 კომლს სამასპინძლო. თითო სადილზე მოდიოდა 2 საკლავი, 1 კოდი ღომი, 4 კოკა ღვინო და შეიძლება 2 თეთრიც.

მთავარეპისკოპოსის ხონს გარეთ მცხოვრები გლეხები იხდიდნენ 98 თეთრს, 2 ჭურ, 5 მთელ, 12 მენახევრე და 139 კოკა ღვინოს, 12 კოდ ღომს, 5 საკლავს და 25 ქათამს.

მე-17-ე საუკუნის მეორე ნახევრისათვის, მწირი ცნობები მოგვეპოვება. ეს ძირითადად "შეწირულობის წიგნებია." მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ხონელ მთავარეპისკოპოსებს რამდენჯერმე გადაუწერიათ და გაუახლებიათ საგადასახადო ნუსხები.

მათ შორის:

1. "ხონის სანთლის ბეგარის განწესება, ძუელთა გუჯართაგან გადმოწერილი."

2. "ძუელთა გუჯართაგან დიდად შემცირებული და მოკლებული ღომის და ღვინის ბეგრები, ხონის წმინდის გიორგის შეწირულთა გლეხთა, ახლად განწესებული მოხელეთაგან და შეკრებილი."

3. "ძუელთა გუჯართაგან დიდად შემცირებული და მოკლებული ღორის, ქათმის, ყუელის, კვერცხის და თეუზის ბეგრები, ხონის წმიდის გიორგის შეწირულთა გლეხთა, ახლად განწესებული მოხელეთაგან და შეკრებილი" ("ქართული სამართლის ძეგლები," 3, 1970 წელი, გვ. 1072, 1074, 1082).

ამ საგადასახადო ნუსხების გადაწერის მიზანი იყო ფულადი რენტის (რომელიც იკარგებოდა) ნატურალური გამოსაღებით შეცვლა.

სანთლის ბეგარა შემოიღო დიდმა მღვდელმთავარმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ 1696-1706 წლებში.

ნუსხების მიხედვით, ღვინის და ღომის ბეგრის გადამხდელია: ხონში 109 კომლი. ივანდიდში 9, კუხში 22, ვაკისუბანში 7, ღორის, ყველის, კვერცხის გადამხდელია ხონში 103 კომლი, ივანდიდში 9, კუხში 22 (ს.კაკაბაძე - "ხონი და ხონელის ყმები...," გვ.23).

მარტო საკლავი და ქათამი აკისრია 38 კომლს, 23 ხონელს, 9 კუხელს და 6 ვაკისუბნელს.

ღომის და ღვინის გადამხდელთა ნუსხა, ს.კაკაბაძის დაკვირვებით შედგენილია 1746-1750 წლებში, სანთლის გამოსაღების ნუსხა 1756-1760 წლებში, საკლავისა და ქათმის გადამხდელთა ნუსხა 1730-1740 წლებში.

1730-40 წლებში, ხონელს 134 კომლი ჰყოლია, 1746-50-იან წლებში 147, რომელთაგან ხონში ცხოვრობდა 109. სნორედ ესენი, ჩვენი გამოანგარიშებით მთავარეპისკოპოსს უხდიან 455,5 კვახ (გინა კოდ) ღომს. 636 კოკა ღვინოს, 80,6 მარჩილის და 25 შაურის ღორს, 125 ქათამს.

ხონის გარეთ მცხოვრები გლეხები, სარგის კაკაბაძის გამოანგარიშებით, არქიელს უხდიან 70 კვახ ღომს, 32 კოკა და 75 ცალ ღვინოს, 233,4 მარჩილის და 10 შაურის საკლავს, 32 ქათამს.

სულ სამონასტრო საწყობში შემოდის: 591 კოდი ღომი, 795 კოკა ღვინო და 75 ცალი, 104,3 მარჩილის და 34 შაურის საკლავი, 157 ქათამი, 8 შამახური და 1 მარჩილის სანთელი. ფარცხალაძეები იხდიან 2-2 ფარას.

დასახელებული რაოდენობის ღომი ღირდა 91 მარჩილი, ღვინო 47,8

მარჩილი, I კოკა ღვინო იმ დროისათვის 2,25 ბისტი ღირდა, ქათამი 64,6 მარჩილი, საკლავი 82,8 მარჩილი, 1 სანთელი 1 მარჩილი. რამდენიმე კომლი იხდიდა 14-15 მარჩილის სანთელს. სულ სამონასტრო გლეხკაცობა 301 მარჩილის ანუ 400 საკლავის ღირებულებას იხდიდა.

მე-16-ე საუკუნის ბოლოს, ფულადი გადასახადი, კომლზე შეადგენდა საკმაოდ სოლიდურ თანხას. ახლა კი ამოდის ხმარებიდან. იმ პერიოდისათვის თუ ფული საერთო გადასახადის 8,3% იყო და კომლზე 6,64 ღორის ღირებულებას უდრიდა, მე-18-ე საუკუნის პირველ ნახევარში 3,7 საკლავის ღირებულებამდე დასულა.

კომლთა რიცხვი იზრდება, გადასახადები კი კლებულობს. ე.ი. ადგილი აქვს ხალხის გაღატაკებას.

საეპისკოპოსო გადასახადებში ერთი მთავარი ადგილი ეჭირა ბაჟს.

ბაჟის აკრეფის პრეროგატივა, მე-17-ე საუკუნიდან, ხონელ მთავარეპისკოპოსთა ხელში გადავიდა. 1750 წლის სიგელში, იოსებ მთავარეპისკოპოსი აღნიშნავდა:

"რაც ხონელ ეპისკოპოსად გვაკურთხა მეფე სოლომონმა და მარიამ დედოფალმა, ნახევარი ბაჟი მიბოძა და მე მის მეტი საძღვნო და ეკლესიის საკადრი ვერაფერი ვიგულე და ამის გამო, თვინიერ მარილისა, მატყლისა, სუფრის იარაღის მეტი რაც მოვიდეს, წმინდის გიორგის ხონისას და შენს ეკლესიას შემოგწირეთ"-ო." (ს.კაკაბაძე - "წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის," 1914 წელი, I, გვ. 96-97).

ხონის ბაზრის საბაჟო შემოსავალი, მე-19-ე საუკუნის დასაწყისში წლიურად 50 ვერცხლის მანეთს შეადგენდა, რომლისგანაც 47 მანეთი მთავარეპისკოპოსს რჩებოდა, 3 მანეთი მებაჟე აზნაურებს.

"მოდს" გარკვეული ადგილი ეჭირა შემოსავლებში, ის საიჯარო გადასახადია.

1803-11 წლებში მთავარეპისკოპოსმა საიჯარო მამულებზე მოსახლე გლეხებს, ხუნწში, "მჭადის გადასახადი" დაუწესა.

1802 წელს, სოლომონ მეორემ, ხონელი გლეხები სამეფო მიწაზე დაასახლა და სათანადო გადასახადიც დაუდგინა. ეს გლეხები ძველებურად უხდიდნენ გამოსაღებს ყოფილ მებატონეს, რასაც ადასტურებს სოფელ საჭილაოს მოურავის, ბაბუშია კორძაიას "პირობის წიგნი" ანტონ ხონელისადმი, შედგენილი 1810 წელსა.

ა. "თავი ბეგარა" მთავარეპისკოპოსის ყველაზე დიდი შემოსავალია. მასში შედის კომლიდან 5, 10, 20 კოკა ღვინო, 1-2 საკლავი, 2-4 კოდი

ღომი, 2 ქათამი, ურიში, შეშა, თივა."

ბ. "სამსახური" - გლეხი კვირაში 1-2 დღე მუშაობდა მონასტრის მამულში, ერთი დღე მოსავლის გალეწვაში ეხმარებოდა ცალი ხარით. ზოგჯერ ერთი პირი მუდამ მონასტრის მამულში, ან სახლკარში მსახურობდა. ახლდა მთავარეპისკოპოსს ლაშქრობისას, მგზავრობისას, უზიდავდა ტვირთს. მე-17-ე საუკუნის დასაწყისში, ლაშქრობა და სამსახური ევალა ხონელის ეპარქიის 30 გლეხს. XIX საუკუნის დასაწყისში, არქიელს ორი შინაყმა ჰყავდა სახლში.

XVIII საუკუნის ბოლოს, სხვადასხვა ძღვენის გარდა, მთავარეპისკოპოსს სამონასტრო გლეხებისაგან მიერთმეოდა: 938 კოკა ღვინო, 596 კოდი ღომი, 195 რუბის, 48 მარჩილის, 20 შაურის და 31 აბაზის ხორცი, 160 ფრთა ქათამი, 34 ჩარექი და 6 მარჩილის სანთლის გული და ათობით წყრთა ტილო.

ასეთი მდგომარეობა იყო მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში.

გ. "ნიშანს" იხდიდნენ თავადები და აზნაურები ეპისკოპოსის მიმართ, გარდაცვლილის სულის სახსენებლად. მას იხდიდნენ მკვდარის რჩეული ტანცამლით, შეკაზმული ცხენით, თოფ-იარაღით, ძვირფასი ჭურჭლით და სხვა. ე.ი. ისეთი ნივთებით, რაც დაკავშირებულია მიცვალებულის ხსოვნასთან.

ეს გადასახადი იმ ეპოქის გამოძახილია, როცა მიცვალებულს რაიმე ძვირფასს ატანდნენ "საიქიოდ."

1761 წლის საეკლესიო რეფორმით, მეფემ დაადგინა "ნიშანი," "სახუცო" და "სამრევლო" გამოსაღები იმავე წესით და ოდენობით შეკრებილიყო, როგორც ეს იყო ჭყონდიდლის და ქუთათლის სამწყსოებში;. ლორთქიფანიძეები, მიქელაძეები, ღოღობერიძეები და ხონელი ჩხეიძეები, ხოლო 1761 წ. წულუკიძეები ნიშანს მიართმევდნენ ხონელს (თავი ნიშანი კი კათალიკოსს ეკუთვნოდა).

1809 წელს, დიმის და ჯიხაიშის ნაწილის მეპატრონეებმა ჩხეიძეებმა, "პირობის წიგნი" მიართვეს ხონელ მთავარეპისკოპოსს, მასში აღნიშნულია:

"უკეთუ მამაკაცი მიიცვალოს, ნიშნად მივართმევდით პირველს ტანისამოსს სრულებით და ლეკურსა და ცხენსა შეკაზმულსა, და უკეთუ დედაკაცი მიიცვალოს, მოვართმევდეთ ერთსა ხელს ტანისამოსს პირველსა, თავისითა მოსასხამითა და ერთსა თასს და უკეთუ აქვნდეს აზარფეშაც და თუნგიც და ტაშტიც." (ს.კაკაბაძე - "საკლესიო საბუთე-

ბი").

საჩხეიძო ხონელის ეპარქიაში არ შედიოდა, მაგრამ XVI-XVIII საუკუნეში ქარჩხაბი, ჯიხაიშის ნაწილი და საწულუკიძო მათი ყოფილა.

1760 წლის სიგელში აღნიშნულია, რომ ქარჩხაბის ყოფილი ბატონი, ჩხეიძე მთავარეპისკოპოსს "ნიშანს" უკარგავს, ახლა სოფელი წულუკიძეს უჭირავს და "ნიშანიც" მან უნდა ბისცეს.

დ. "სამწყსო" - საეპისკოპოსო გადასახადია. იკრიბება ეპარქიაში შემავალ სოფლებში მცხოვრები თავადაზნაურებისგან და გლეხობისგან. მას იხდიდა ყველა სოციალური ფენა. 1819 წლის არასრული მასალებით მრევლი, 1224 კომლს შეადგენდა.

ე. "სახუცო გადასახადი," უნდა გადაეხადათ ეპარქიაში მცხოვრებ· მღვდლებს. (თითოს ორი რუბი, წმიდა გიორგის ხუცებს, თითოს ორი თეთრი). ისინი ვალდებულნი იყვნენ ყოველ 2-3 წელში ერთხელ ემასპინძლათ მთავარეპისკოპოსისთვის. მიართმევდნენ აგრეთვე: 5 თეთრს ან კოკა ღვინოს, კოდ ღომს, თითო ქათამს, "თითო შექმნილ მჭადს."

მთავარეპისკოპოსი ან დეკანოზი ჩამოივლიდა საეპარქიო სოფლებს და კრებდა.

ვ. საწირავს, თითო შაურის პურს ან ღომს.

ყოველ მესამე წელიწადს, საეპარქიო გლეხები იხდიდნენ შაურს მთავარეპისკოპოსისათვის და შაურს ჯვარისმტვირთველისათვის.

ზ. ანჩისხატის სარგო ფულადი შესაწირავი იყო და ნაწილი ხატის გამომსვენებელს, ნაწილი საყდარს ეკუთვნოდა. ამ წილიდან 200 თეთრი მთავარეპისკოპოსის იყო. გამომსვენებელს ევალა, რამდენჯერმე გამასპინძლებოდა არქიელს.

მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებში, ეს გამოსაღები ბესარიონ კათალიკოსმა მიითვისა. მისი იმერეთიდან განდევნის შემდეგ, ანჩისხატის სარგო ისევ ეპისკოპოსს დარჩა.

თ. "საბატკობოს" იხდიდნენ ნაადგომევს, ერთი ან ორი ციკნით, ან 2-3 თეთრით. ჩვეულებრივ, ხონელს დაწესებული ჰქონდა გლეხებზე 3 თეთრი.

"აფხაზეთის საკათალიკოსო დავთრით," ხონელის საყმოს, მე-17-ე საუკუნის დასაწყისში "საყველიერო" და "საბატკობო" 429 თეთრს შეადგენს.

ი. საყველიერო, ეპისკოპოსისათვის დიდმარხვის ყველიერში

მისართმევი ძღვენია. "ხონის საყდრის დავთრის" მიხედვით, ის კომლზე განისაზღვრებოდა 30-40 კვერცხით, 30 იმერული ყველით და თევზით.

კ. "საპურობო" იგივე სამასპინძლოა. გლეხი მასპინძლობს, ეპისკოპოსს მისი ‹ალით. ვალდებულნი არიან მრევლის ხუცებიც. "დავთრის" მიხედვით ‹ ‹ ‹

"მეაბრეშუმე მახარას" აკისრია 1578 წლის საბუთით.

უ. "სამეჯინიბო" ეპისკოპოსის მეჯინიბეებისათვის განკუთვნილი სარგოა. მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს, ხონელის 17 კომლს აკისრია. ის ერთ კომლზე 1 ურემი თივაა, დანარჩენებს ევალებათ 1 კალათი, ან 1 გოდორი სამეჯინიბო მჭადი. მთლიანად ეს გამოსაღები ეპარქიაში შეადგენს 25 კალათ მჭადს ან ურიშს, 42 ურემ თივას.

რ. "გიორგობა დღის შემოსავალი" - წელიწადში ორჯერ 22 აპრილს და 23 ნოემბერს იკრიბებოდნენ, რაც კი მეფისგან შემოვიდოდა - ხარი, ცხვარი, ფული და სხვა, სულ მთავარეპისკოპოსს რჩებოდა.

ს. "შმაგის შესაწირავი." წმიდა გიორგის სასწაულმოქმედ ხატს, მლოცველები თხოვდნენ გიჟის განკურნებას და სათანადო შესაწირს მიუძღვნიდნენ, რომლისაგან 80 თეთრი წელიწადში მთავარეპისკოპოსს რჩებოდა.

ტ. "სახელოსნო", საეპარქიო მოხელე-მოურავის და მებაჟისთვის განკუთვნილი სარგოა. მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში, ხოჟინო კეთილაძე და გიორგი ხუცესი ვალდებულნი იყვნენ ძღვენის მოტანისას ხელოსანიც მოეწვიათ.

უ. "სააღაპო" - გლეხი შემომწირველისაგან დავალებულია, აღაპი გადაუხადოს და სანთელიც აანთოს მისი სულის საოხად, აღაპი მთავარეპისკოპოსს და დეკანოზს რჩებოდა.

მე-17-ე საუკუნის მთავარეპისკოპოსებმა ბასილ ჩხეიძემ და სვიმონ ჩიჯავაძემ მათ მიერ შემოწირული გლეხები აღაპით დაავალდებულეს.

"საბაზიარო ქათმით" მარტო საქუთათლო გლეხი, გოტია ყრონტაძე ყოფილა დავალებული.

დ) სახუცო გადასახადები

1761 წლის საეკლესიო რეფორმით, როცა ხონის შემოსავალ-გასავალი, ქუთათლისა და ჭყონდიდლის ეპარქიების მსგავსად განწესრიგდა, მრევლს დაევალა ყოველ მესამე წელიწადს, მღვდლის სასარგებლოდ, კომლისაგან მარჩილის გადახდა. მასვე მოსდიოდა საჩუქრები ქორწილის, ზიარების, აღსარების, წესის აგებისას.

მღვდელს გლეხთაგან მიერთმეოდა ძღვენი, ყველა საღვთო დღესასწაულზე.

მე-18-ე საუკუნის ცნობით, მრევლი მღვდელს მიართმევდა "სანირავს" კომლზე 1 შაურს.

"საქვრივ ის" მღვდლის სასარგებლოდ იხდიდა ქვრივის ოჯახი, მისი მეორედ გათ ვების შემთხვევაში. ეს გადასახადი რუსეთის მთავრობამ გააუქმა 1818 ელს.

"საჩექმეს" იხდიდა ყველა ნოდება ქალიშვილის გათხოვებისას.

"გასამყრელო"-მიერთმეოდა მღვდელს ოჯახის გაყოფის შემთხვევაში.

"სალაშქრო"-უხდიდნენ ომში მიმავალ მღვდელს ან ეპისკოპოსს.

გლეხები იხდიდნენ სადეკანოზო სადილს. მაგალითად, ეპისკოპოსის აზნაური, მახარობელ ქუთათელაძე, დეკანოზს მოართმევს - ორ საკლავს, 2 თეთრის თევზს, ყველს, კვერცხს, ღომს და ღვინოს".

ხონის მონასტერში შემოსული ძღვენის უმრავლესობა მთავარეპისკოპოსის იყო, მაგრამ ყველა სადილზე მის გვერდით იყო მეორე პირი - საყდრის დეკანოზი.

ე) საბატონო გადასახადები

სათავადაზნაურო გლეხობის მდგომარეობა, გაცილებით მძიმე ყოფილა.

მათ საეკლესიო გლეხებზე მეტად ემუქრებოდა სოციალური ბოროტება: ტყვედ გაყიდვა თურქებზე, გაჩუქება, მზითვად მიცემა, მოვალისათვის დათმობა, გაუპატიურება, აკლება და სხვა.

ბატონს შეეძლო ურჩი გლეხი გაეროზგა, დაეპანღურებინა და ასე შემდეგ.

საბატონო გლეხები, სამოურავო გადასახადსაც იხდიდნენ. მათი ერთი ნაწილი თავისუფალი არ იყო "საურისა" და "საუდიეროსაგან," ასევე საეპისკოპოსო და სახუცო გადასახადისაგან.

ეს დასტურდება, თავად კაცია წულუკიძის "წყალობის წიგნით" მამუკა რუხაძისადმი, რომელსაც "სადანაო" გადასახადი აკისრია

ბატონის მზარეულის სასარგებლოდ (იქვე, გვ.649, იხილეთ ნ. ბერძენიშ-ვილი-"დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის," II, 1953 წელი, გვ. 286-287).

ჩვეულებრივ, გლეხი ბატონს უხდიდა 20-30 კოკა ღვინოს, თითოს რვადოქიანს, 10 კოდ პურს (320 კილოგრამი) ხორცის საფასურად, 2 მანეთს საშობაოდ და 2 მანეთს სააღდგომოდ, წელიწადში 8 ქათამს, ქორწილისას 1 ძროხას, შობას 9 პურს და 1 ქათამს. მასპინძლობდა თავადის სტუმრებს, კვირაში 2 დღე ხარ-ურმით ეხმარებოდა, პურის გალეწვისას ცალი ხარით ნადობდა.

მე-19-ე საუკუნის დასაწყისში საწულუკიძოელი გლეხი, ჯალალანია, თავად წულუკიძეს უხდიდა 15,4 მანეთის სამსახურს. მასში შედის 1 ცხვარი, 8 ქათამი, 24 ჩაფი ღვინო, 16 ბათმანი ღომი, 3 ღორი და 1 მანეთი ფულად.

მარკოზ უგულავას ოჯახი, რომელიც 7 სულისაგან შედგებოდა (10 ქცევა სახნავი და 1 ქცევა ვენახი ჰქონდა), ფულზე გადაყვანით ბატონს უხდიდა 25,4 მანეთის გადასახადს. წულუკიძის კუთვნილი კომლი, სულ იხდიდა 291,65 მანეთის გადასახადს.

გლეხი ვალდებული იყო, დღესასწაულებზე და ლხინში თავადისათვის ეძლია-ძღვენი.

მიწათმოქმედი იხდიდა "საბაზიარო ქათამს." ჩვეულებრივ, თავადი, მოცალეობისას ნადირობდა მეძებრებით და ქორ-შევარდნებით. ამ ფრინველისათვის იყო განკუთვნილი დასახელებული გადასახადი. საქორე ქათმის მაგივრად, ხანდახან ბატონები ნასუქ ქათამს ("უდებს") ითხოვდნენ. ამ ნიადაგზე კონფლიქტი მომხდარა ხონში ბერი წულუკიძის შთამომავალს, გიგო წულუკიძესა და მის ყმას, ექვთიმე წვერავას შორის, რადგანაც საქორეს მაგივრად, თავადმა ნასუქი ქათამი მოითხოვა. როცა უარი შეჰკადრეს, მათრახი უთავაზა გლეხს, ამან კიდევ ხელი შეუბრუნა, ექვთიმე მკაცრად დასაჯეს, მაგრამ მან უკანონო ანუ "უდები" არ იკისრა (ჩანაწერია ფაილოძისა - ინფორმატორი თომა წვერავა (1985 წ).

თავი მეთოთხმეტე

ზომა-წონის საწყაოები

საქართველოში მარცვლეულისა და ღვინის მრავალგვარი საწყაო არსებობდა და სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა სახეობა იყო გავრცელებული.

ხონსა და მის ახლო-მახლო სოფლებში, საეფო (სახელმწიფო) , საბატონო და საეკლესიო გლეხებისათვის ზომა-წონის ერთეულები ერთნაირი იყო.

"ხონის საყდრის დავთარში," ღვინის საწყაოებიდან დასახელებულია: კოკა და "მრთელი კოკა." (გვ.5,7, 12).

"აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში," კოკის ტევადობის სინონიმად ყველგან ნახმარია ტერმინი - "მრთელი." მაგალითად: "მართებს ტოხვაშვილს 10 მრთელი ღვინო," "ქავზინაძეს 20 მრთელი ღვინო," "მაჭარაძეს 7 მრთელი ღვინო" (გვ.15). ამავე ძეგლის მიხედვით, ხონის სიახლოვეს, მათხოჯში, საკათალიკოსო საყდრის გლეხებს მართებთ "მრთელი კოკა ღვინო" (გვ. 12-13).

ხონელი გლეხების გამოსავლის ჯუმალში, საწყაოდ დასახელებულია "ჭური." თუ რამდენს იტევდა იგი გაუგებარია, რადგან სხვადასხვა ზომისა მზადდებოდა.

მე-18-ე საუკუნის პირველ ნახევარში შესწორებულ და შევსებულ ხონის საყდრის გამოსავლის ნუსხებში, ღვინის საწყაოდ, ჩვეულებრივ "კოკაა" დასახელებული.

იმერული კოკა იყო 6 ლიტრიანი, ათიანი, 11, 12, 14, 16, 20, 24 ლიტრიანი.

მაგალითად, ხონელ საქუთათლო საყდრის ყმას, გოტია ყრონტაძეს მართებს "ღვინო კოკა თხუთმეტიანი ცამეტი." ("ქართული სამართლის ძეგლები," ტომი III, 1970 წელი, გვ.317).

ტერმინი "მთელი კოკა" სრულ, დიდ კოკას უნდა ნიშნავდეს და მასში 15-16 ლიტრაზე ნაკლები არ უნდა ვიანგარიშოთ, შეიძლება 20 ლიტრაც.

პროფესორ სარგის კაკაბაძის დაკვირვებით, ჩვეულებრივი კოკა 9

ლიტრიანი ყოფილა, ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით 4 დოქიანი, გიულ-დენშტედტის ცნობით 6 დოქიანი (ს.კაკაბაძე, "ქართული მეტროლოგია"-"საისტორიო მოამბე," 1925 წელი, I, გვ.65).

დოქში 2-3 ლიტრზე ნაკლები არ იანგარიშებოდა.

კოკის მაგივრად, ხანდახან "ფოხალსაც" იყენებენ. თუმცა მარცვლეულის და აბრეშუმის პარკის საწყაოდ უფრო იყო მიღებული. მეგრელები წყლის სათავსოდ იყენებდნენ და კოდის ნახევარს იტევდა.

პროფესორ დარეჯან მეგრელაძის დაკვირვებით, ჩვეულებრივ, კოკა 10 ლიტრიანი ყოფილა, ლიტრაში კი 20-24 სტილს ანგარიშობდნენ (დ.მეგრელიძე - "გლეხთა კლასობრივი ბრძოლა...," 1979 წელი, გვ.77-79).

მე-18-ე საუკუნის საბუთებში დასახელებულია "75 ცალი ღვინო." სარგის კაკაბაძის აზრით, ტერმინ "ცალში" 6 კოკა იგულისხმება.

მე-19-ე საუკუნის დასაწყისში, ხონში და მის სიახლოვეს, ღვინის საწყაოდ "ჩაფიც" გამოიყენებოდა. მაგალითად, საწულუკიძოელ გლეხს, გოგია ჯალაღანიას, ბატონის სასარგებლოდ მართებს "24 ჩაფი ღვინო."

იმავე პერიოდში, ხონის მოურავს, თითოეული კომლი უხდიდა 2 თუნგ ღვინოს, თუნგში 1 ლიტრა იანგარიშებოდა.სარგის კაკაბაძე წერს, რომ ტერმინი "ჩაფი" სომხურია და "ზომას" ნიშნავს. გიულდენშტედტი განმარტავდა, რომ იმერეთში ოთხი ზომის დოქი იყო ხმარებაში. ჩვეულებრივ ის ნახევარ ვედროს უდრიდა, კოკა კი, დოქს ანუ სამ ვედროს შეადგენდა.

მე-19-ე საუკუნის დასაწყისის ცნობით, დოქში 2,5 ლიტრი ჩადიოდა.

"ხონის საყდრის დავთარში," მარცვლეულის საწყაოდ მიღებულია "კოდი" და "ურემი." ასე მაგალითად: "მართებს მამსალა მებუკეს 6 კოდი ცეხვილი," (გვ.7) მიქელა გოგავას "5 კოდი ცეხვილი, " დათვია სანოძეს "ერთი ურემი ღომი," ხუცეს ქაცარავას - "სამი კოდი ღომი," და ცალკე "ერთი ურემი ღომი." (გვ.13).

ურემი, ზომის ერთეულად დასახელებულია - "აფხაზეთის საკათალიკოსო დავთარში."

მართებს ნასყიდა ტაბიძეს "ერთი ურემი ღომი," ნასყიდა კაკაბაძეს "ერთი ურემი ღომი," მათხოჯელ გლეხთაგან, ზოგს აკისრია "ნახევარი ურემი ღომი" (გვ.12-16).

"ხონის საყდრის დავთარზე" დართულ ერთ საბუთში, მარცვლეულის

საწყაოდ დასახელებულია "კვახი" (გვ.20). ეს ტერმინი იხსენიება მე-18-ე საუკუნით დათარიღებულ წულუკიძეთა ერთ სიგელში და ამავე საუკუნეში გადამუშავებულ ხონის გამოსავლის ნუსხებში. მათში ყველგან "კვახია" მარცვლეულის საწყაოდ გამოყენებული. ამ საწყაოთი იხდიან გადასახადს მეთვრამეტე საუკუნის 146 საეპარქიო გლეხი ("ქართული სამართლის ძეგლები," ტომი III, გვ.1074-1082).

განიხილავდა რა ქართულ მეტროლოგიას, პროფესორ სარგის კაკაბაძეს "კვახი" მიაჩნდა უძველეს საწყაოდ. ჩვენგან მიულიათ სპარსელებს და "კოდი" შეურქმეყიათ.

აქედან ახალი ტერმინი ჩვენში დამკვიდრებულაო.

საწულუკიძოელი გლეხები: ჯალაღანიები, უგულავები და ჩირგაძეები, თავიანთ ბატონს, წულუკიძეს მარცვლეულს "კოდის" სამწყაოთი მიართმევენ. იქვე განმარტებულია, რომ "კოდი" 4 ბათმანს შეიცავს.

მთიანი სოფლები, თავიანთ სენიორს, წელინადში კომლზე 15 კოდ ხორბალს მიართმევდნენ, ეს კოდი ხშირად 4, ზოგჯერ კი სამბათმანიანი იყო. ე.ი. ფუთნახევარს იტევდა.

როგორც აღინიშნა, კოდში 2 ფუთი, 4 ბათმანი, ბათმანში 8 კილოგრამი, ფუთში 16 კილოგრამი ჩადიოდა.

1760 წლის ნუსხაში, მარცვლეულის საწყაოდ დასახელებულია "კვახი."

1782 წლის საბუთებშიც "კვახია" დასახელებულია საწყაოდ და მასში ჩვეულებრივ კოდი, ანუ 2 ფუთი მარცვალი იანგარიშება.

მე-16-ე საუკუნის ერთ საბუთში, საწყაოდ დასახელებულია - "ღომი ურემი ერთი, საწყავი ხუთი, თორმეტ ჯამ შემავალი."

როცა ლაპარაკია ურემ ღომზე, ვფიქრობ მასში მხოლოდ გაუცეხვავი მარცვლეული იგულისხმება და ურემში 4 ფუთი, ანუ გაცეხვილი 2-3 ფუთი მარცვალი იანგარიშება.

"ჯამი" სპარსულად ტერმინია და სითხის ჩასასხამს აღნიშნავს. თავდაპირველად ღვინის საზომი ყოფილა. მისი შესატყვისია ქართული ტერმინი - "ჭიქა."

გამოყენებული ყოფილა საზომად "ქილა," მაგრამ ხონის საბუთებში ის არ გვხვდება - 1800 წელს ხონში შედგენილ ერთ საბუთში, მარცვლეულის საწყავად დასახელებულია "კოთხო." კოთხომ მეოცე საუკუნის სამოციან წლებამდე მოაღწია. მასში 2 კილოგრამი მარცვალი

ჩადიოდა, 4 კოთხო - ბათმანს, 2 ბათმანი - ფუთს ანუ ნახევარ კოდს, გინდაც ნახევარ კვახს შეადგენდა.

რაფიელ ერისთავის ცნობით, XIX-ცხრამეტე საუკუნის შუა წლებში სამეგრელოში მარცვლეულის საწყაოდ გამოყენებული ყოფილა "ქილა," მასში ორი ბათმანი, ნახევარი კოდი, ანუ ფუთი ჩანავალა. ბათმანის ტევადობას 4 კოთხოთი, 6 ოყათ, 4 ლიტრად განმარტავს პოეტი. ასე იქნებოდა: სუხჩაში, ნოღაში, დიდღვაბუნაში, ჟუშკში, გორდსა და კინჩხაში.

მარცვლეულის საწყაოდ გამოყენებული ყოფილა "გოდორი," რაც დგინდება ხონის საყდრის დავთრითაც (გვ.9-11).

ჩვენის აზრით, ეს საწყაო, გაუცეხვავი მარცვლეულის საზომად გამოიყენებოდა.

"ხონის საყდრის დავთრის" მიხედვით, მთავარეპისკოპოსის ყმებს, თითო გოდორი სამეჯინიბო მჭადი მართებთ (17 კომლს). ჩვენ ვერ გავარკვიეთ, რამდენი მარცვალი ჩადიოდა გოდორში, რადგან ეს საწყაო დღემდე სხვადასხვა ზომის მზადდება: 1 ფუთიანი, 2 ფუთიანი, 2,5 ფუთიანი. ᲮᲔᲚᲨᲘ 2-3 კალათა ჩადიოდა. კალათაც სხვადასხვა ზომისა იყო. საშუალო ზომის გოდორში 30 კილოგრამდე მარცვალი ჩადის. სამწუხაროდ, სადაც ტერმინი "გოდორია" ნახმარი, მითითებული არ არის, მარცვალი გაცეხვილი მიერთმეოდა სენიორს თუ გაუცეხვავი.

როგორც ვნახეთ, ტერმინი "გოდორი," დასავლეთ საქართველოშიც იხმარებოდა. ამიტომ, ვფიქრობთ, სცდება განსვენებული მეცნიერი სარგის კაკაბაძე, როცა აღნიშნავს, რომ გოდორი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთვის არის დამახასიათებელი (ს.კაკაბაძე - "ქართული მეტროლოგია," გვ.80 "საეკლესიო მოამბე," 1925 წ.I).

მე-18-ე საუკუნის ხონის ნუსხებში, სანთლის გამოსაღების ოდენობად დასახელებულია "ჩარექი" და "შამახური." ჩარექში 5 სტილი იყო, სტილში 36 მისხალი, ლიტრაში ოთხი ჩარექი იანგარიშებოდა, "შამახურში" შამოხოელი უნდა იგულისხმებოდეს.

გიულდენშტედტის (1772წ.) ცნობით, ჩარექი უდრის 4 ქსანს, 2 ფუნტს (ფუნტი ერთი გირვანქაა ა.ფ.) ანუ 1 ლიტრს, ის 4 ჩარექს, ანუ 8 ფუნტს. ე.ი. 3,2 კილოგრამია, 4 ჩარექიც იმავე წონისაა. ე.ი. ჩარექი 800 გრამია.

ხორცის ოდენობის განსაზღვრისათვის, მიღებული იყო "ტერმინი

საკლავი" და მასში 1 წლის ღორი იგულისხმებოდა. მათხოჯის ნუსხაში გადასახადის სახით გვხვდება ტერმინი "ნახევარი ძროხა," თუმცა ხონში ასეთი ტერმინი არ აღნიშნულა.

ხონის საბუთებში, ქსოვილის საზომ ერთეულად დასახელებულია ტერმინი - "მწყრთა" მასში 2 ადლზე (არშინია ა.ფ.) ნაკლები არ იქნებოდა... (ი.დოლიძე - "ქართული სამართლის ძეგლები," III, გვ.1073-1074).

მინის საზომ ერთეულად, მე-19-ე საუკუნეში, გამოყენებული ყოფილა ტერმინი "ქცევა." ხონში თვითეულ კომლს ხუთიდან ოც ქცევამდე მინა გააჩნდა.

1819 წლის აღწერით, 74 კომლი ხონელი გლეხიდან 16 სხვის მინაზე ცხოვრობდა, 6 კომლი, სხვის მინას იჯარით ამუშავებდა, 64 კომლს 105 ქცევა ვენახი ჰქონდა, და 1352 ქცევა სახნავი. ქცევაში 900 კვ. საჟენი ყოფილა, დღიურ სახნავში მისი ნახევარი ე.ი. 1800 კვ. მეტრი.

ასეთი იყო ძირითადი ზომა-წონის საწყაროები ქვემო იმერეთში.

თავი მეთხუთმეტე

გლეხთა კატეგორიები

საქართველოს არისტოკრატია, ჩვეულებრივ, ქვეყნის მართვას, თავდაცვას, განათლებას, კულტურას, სამართალს, საამშენებლო საქმიანობას ხელმძღვანელობდა.

გლეხთა წოდებას, არანაკლებ რთული ამოცანა - ქვეყნის მაღალი წოდებების და თავისი ოჯახის გამოკვება, არისტოკრატიის და სამღვდელოების სამსახური და აგრესორი ქვეყნისადმი ხარკის გადახდა ეკისრებოდა.

გლეხთა კატეგორიები განიცდიდნენ მუდმივ ცვალებადობას. მეფის გლეხი, ზოგჯერ ეკლესიის ან თავადის საკუთრება ხდებოდა, ან თავადის კუთვნილი, საეკლესიო უწყებაში გადადიოდა. აქედან გამომდინარე, ყმა-გლეხობის სენიორთან დამოკიდებულების ფორმა იცვლებოდა და ის სხვა კატეგორიაში გადადიოდა.

ხონის გლეხთა კატეგორიების შესახებ, კონკრეტული საისტორიო საბუთები მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან გაგვაჩნია.

ამ მხრივ, პირველხარისხოვანი ძეგლებია: "ხონის საყდრის დავთარი," "აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი," "დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთების" პირველი და მეორე წიგნი, ისიდორე დოლიძის მიერ გამოცემული "ქართული სამართლის ძეგლები" და შალვა ბურჯანაძის "ისტორიული საბუთები..."

ხონელი მთავარეპისკოპოსის კუთვნილი 60 კომლი გლეხიდან, 35 კომლი მოინალეა (ნინალა სამსახურია, მეგრულად-მოინალე მსახურს ნიშნავს), მათგან ბეგარის გარდა სამსახურიც მართებთ. 15 კომლი მარტო მსახურია (6 კომლს ბეგარა და ხადილი მართებს, 9 კომლს ბეგარის გარდა სამსახური და ხადილი აკისრიათ). 2 კომლი მოინალეა და გადარიცხული არიან მსახურთა რიცხვში, თუმცა მთავარეპისკოპოსის და მისი ამალის მასპინძლობა აკისრიათ (ს.კაკაბაძე - "ხონი და ხონელის ყმები მე-16-ე, მე-17-ე ს.," "საისტორიო მოამბე," 1928 წელი, I, გვ. 20-22.).

ხონელ მთავარეპისკოპოსს, ამ დროს, აზნაურები არ ჰყავს, სამაგიეროდ 30 კომლს სამსახური და ლაშქრობა აკისრია.

სარგის კაკაბაძეს, სამართლიანად მიაჩნდა მოინალე გლეხები მსახურებად.

ამ პერიოდში ერთი მოინალე ქუთათელსაც ჰყავდა ხონში.

პროფესორმა ლევან მუსხელიშვილმა, უარყო სარგის კაკაბაძისეული კატეგორიების კლასიფიკაცია და წამოაყენა საკუთარი სქემა, თუმცა მასში, გლეხთა მთავარ ვალდებულად მიჩნეულია ბეგარა.

ამის მიხედვით, ხონელთაგან 30 კომლი მოინალეა, 1 სრული მებეგრე, 2 სამაჭრობოსა და საბატკობოსაგან თავისუფალი, 3 სამეჯინიბოსა და საბატკობოსაგან თავისუფალი, 4 თავისუფალი საბატკობოსაგან, სამაჭრობოსა და სამეჯინიბოსაგან, 2 დაბეგრილი მსახური, 2 საბატკობოს, საპურობოს და სამეჯინიბოსაგან თავისუფალი, 1 ბეგარა შეკვეცილი, 3 დაბეგრილი მსახური და 7 მეხადილე (ლევან მუსხელიშვილი - "დას.საქართველოს გლეხობის სოც. ეკ-რი კატეგორიები," ენიმკის მოამბე, ტომი 4-6, 1940 წელი, გვ.311).

აქ, შენიშვნის სახით დავსძენთ, რომ ხადილი, არა შვიდს, არამედ 9 კომლს აკისრია.

ამრიგად, ორივე მკვლევარს მოცემული აქვს მებეგრე გლეხების შემდეგი კატეგორიები: მსახური, მოინალე, მებეგრე, მეხადილე.

ლევან მუსხელიშვილი გვთავაზობს შემდეგ სქემას:

1.გლეხი-1 მეტვირთე, 2.მომუშავე, 3.მონადე.

2. მსახური, ა) დაბეგრილი, 1.მეტვირთე, 2.მომუშავე, 3.მონადე, 4.მოსამსახურე, 5.მოლაშქრე ("ენიმკის მოამბე" ტომი 5-6, 1940 წელი, გვ.312). ბ) დაუბეგრავი, 1. მოსამსახურე, 2. მოლაშქრე.

მისგან განსხვავებით, სარგის კაკაბაძემ გაიზიარა რუსი მკვლევარის, ბოროზდინის კლასიფიკაცია და გლეხობა დაჰყო შემდეგ კატეგორიებად: აზატები, მსახურები, გლეხები, მოჯალაბეები (ს. კაკაბაძე, - "მასალები დას.საქართველოს სოც. და ეკ-რი ისტორიისათვის", "საისტორიო კრებული," 1928 წელი, გვ.312,I).

მკვლევარი მანანა სანაძე მეჩვიდმეტე საუკუნისათვის გამოჰყობს:

1.მოინალეს, მეტვირთეს, მონადეს, მომუშავეს.

2. დაბეგრილ მსახურს, მეტვირთეს, მომუშავეს, მონადეს, მოსამსახურეს, მოლაშქრეს.

3.დაუბეგრავ მოსამსახურეს და მოლაშქრეს.

მკვლევარი ამჩნევს, რომ დაუბეგრავი მსახური და მოლაშქრე, შედარებით პრივილეგიური წოდებებია (მანანა სანაძე - "გლეხობა დას. საქართველოში მე-15-ე მე-18-ე საუკუნეებში," 1979 წელი, გვ.14-19).

"ხონის საყდრის დავთარის" თანადროული, "აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი"-ს მიხედვით, დასავლეთ საქართველოს კათალიკოს მალაქიას (ის ხონის მთავარეპისკოპოსიცაა) მოლაშქრე კაცთა სიაში შეყვანილია ხონელის კუთვნილი 30 კომლი გლეხი. მათ, მთავარეპისკოპოსის მხლებლობა და ლაშქრობა აკისრიათ. ამავე ძეგლის მიხედვით, კათალიკოსის კუთვნილ მათხოჯელ გლეხებში, 19 კომლი მსახური და 2 აზნაური რატიანია. თვით ხონში, კათალიკოსის კუთვნილი 11 კომლიდან, 6 კომლი (ჯიგთუბნელებთან ერთად) მსახურია. ივანდიდის 10 კომლიდან არ ვიცით რამდენს აკისრია სამსახური, ვაკისუბნელი გლეხებიდან - გიორგაძეებიდან ზოგი მსახური უნდა იყოს, ხოლო გვაზაურში მსახურებთან ერთად კათალიკოსის საყდარს ჰყავს ორი აზნაური-ხამაშურიძე და ბოლქვაძე - თავიანთი გლეხებით.

დასავლეთ საქართველოს კათალიკოს მალაქიას, ამ პერიოდში 503 მოლაშქრე ჰყავს (ს.კაკაბაძე - "აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი," 1914 წელი, გვ. 45-46).

"ბიჭვინთის იადგარში" კათალიკოსი ბრძანებს: "მათხოჯს სასახლე გამიკეთებია და შემიმკია... მეთევზეც დამიყენებიაო."

როცა ლევან დადიანმა, საკათალიკოსო საყდარს გადასცა ღალიძგას სასახლე და გლეხები, მათში 6 კაცი მეზროხეა, ორი კი მეთევზე.

მათხოჯელი და ღალიძგელი "მეზროხეები" და "მეთევზეები" აზატი გლეხებია.

მათხოჯის საკათალიკოსო გლეხთა ბეგარის ნუსხებზე დაკვირვებით, პროფესორმა სარგის კაკაბაძემ, "მესეფე," "მეზროხე," "მეურმე" და "ხატის კაცი," აზატ გლეხთა კატეგორიებად მიიჩნია და აღნიშნა, რომ მათხოჯლებიდან 21 კომლი მესეფეა, 3 მეზროხე, 2 კომლი მოჯალაბე, მათი უმეტესობა, ეკლესიისათვის საალაპედ შეწირული გლეხებია.

მრავალია დასახელებული "ხონის საყდრის დავთარში საალაპედ შეწირული გლეხები." მაგალითად: ბიჭუკა ტაბიძე, ხოჟინო კეთილაძე, ხატისა შავლაყაძე, რომლებიც სენიორებს ეკლესიისათვის მიუძღვნიათ,

"მათი სულის მოსახსენებლად."

სააღაპედ შეწირული გლეხების: ჭანტურიშვილის და გიორგი ხუცუსის სახელებს ვხვდებით 1755 წლის ერთ შეწირულების წიგნში.

1805-1807 წლების სიგელებით შემოწირულ გლეხებს, სამეფო საიჯარო მიწებზე დასახლებულ ხონელის ყმებს, მეფე და დედოფალი აკისრებს "აღაპს" და " უსისხლო აღაპს" (ე.ი. სამარხვოს).

უსისხლო აღაპი, ცხადია სამარხვო მოსახსენებელია.

სააღაპედ შეწირული გლეხები, ვალდებული არიან ყოფილი მებატონის წინაშეც, საიჯარო (სამოდო) მიწაზე დასახლებისათვის მეფესაც აღაპს ჰპირდებიან. ამ კატეგორიის ხონის ეკლესიის ყმები აზატებია. მათ, მათხოჯელი გლეხებივით ლაშქრობაც აკისრიათ.

მანანა სანაძე, მათში გამოჰყოფს სამ კატეგორიას: მოსასახლე გლეხს, მოჯალაბეს და მოინალეს. ო.სოსელიას განმარტებით "ნინალა" მეგრულად "სამსახურია," აქედან მოინალე იმერეთის სინამდვილეში, ტერმინმა "მესეფემ" დაიჭირა.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაკვირვებით, ტერმინი "მესეფე" ძველი წარმოშობისაა. თავდაპირველად გლეხები ჰყოლია სამეფო ოჯახს, რაც მჟღავნდება ტერმინ "მესეფე"-ში. ეს უცხოური წარმოშობისაა და "მუშაობავალდებულს" აღნიშნავს (სიმონ ჯანაშია - "შრომები," 1949 წელი, გვ.162).

მასში ერთიანდებოდნენ სამეფო სასახლის (სეფე) კუთვნილი გლეხები.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში აზატები მხოლოდ მათხოჯის ნუსხებში ჩანს ("მეზროხე," "მესეფე"). თუმცა თავი ბეგარას, ძროხის ნაცვლად ღორის ხორცით იხდიან. ისინი მსახურებია. გააზატების მთავარ პირობად მიჩნეულია "ღორის ბეგრის," ე.ი. ხორცის გადასახადის ამოკვეთა.

ფეოდალურ საქართველოში მცირედ, მაგრამ მაინც იყვნენ აზატები. გააჩნდათ საამისო სიგელი, ნაბოძები სენიორისაგან, რომლითაც განისაზღვრებოდა მათი შემდგომი ბეგარა და მოვალეობა. ამის შემდეგ ისინი თავისუფლდებოდნენ ძირითადი სახელმწიფო გადასახადისაგან.

გვიანდელი ცნობით, აღნიშნულის მიზეზი შესაძლებელია ყოფილიყო მეფისადმი თავგამოდება, მასთან დარაჯად (ქეშიკში) დგომა, ფარეშად ხლება, მეციხოვნეობა, თავგამოდება ბატონის სიცოცხლისა და ქონების

დასაცავად, რასაც ადასტურებენ იმერეთის სამეფოს ბოლო მდივანბეგები.

ასე გააზატა მთავარეპისკოპოსმა, ბასილი ჩხეიძემ ხოჟინო კეთილაძე.

1807 წლის წყალობის წიგნით, იმერეთის დედოფალმა მარიამმა, გააზატა თავისი ფარეშები-ხონელი მამფორიები.

ასევე გააუზატებია დედოფალს ჯიხაიშელი ახალაძეები.

ეს გლეხები აზატებად - ანუ ბეგარაშეკვეცილ მეურნეობად იქცნენ. ერთ საბუთში დასახელებულია უფლებაშეკვეცილი აზნაური "ხელადმქმნელი".

საერთოდ, მსახურთა რიცხვი საეპარქიო გლეხებში 15-20 % არ სცილდება. ეს გლეხობის პრივილეგირებული ფენაა, აზნაურზე დაბლა და გლეხზე მაღლა დგას. მისი საბატონო მოვალეობაა ლაშქრობა და მასპინძლობა, აგრეთვე შინაყმობა, სამსახური სენიორის კარზე, მისი გამასპინძლება 2-3 წელიწადში ერთხელ. იხდის საკლავს, ღომს, ღვინოს, ქათამს, ფულს, მაგრამ მაინც შეღავათიანი გლეხია და იწყებს აზნაურთან მიახლოებას ("საისტორიო მოამბე," 1950 წელი, ნან.4, გვ.358).

გლეხს არ ჰყავდა ყმა, ხოლო ხონელ ზოგიერთ მსახურს ყმები ჰყოლია (ფარცხალაძეს და ბახტაძეს).

გლეხობის ყველაზე დაბალი კატეგორია იყო მოჯალაბე. მოჯალაბე იყო ბატონის ოჯახში დაბადებული შინაყმა, არც სახლი ჰქონდა, არც ნადელი, არც პირუტყვი ჰყავდა. მისი მოვალეობა იყო სამძიმო და სათაკილო საქმეების შესრულება, სენიორის სასახლეში: შეშის დაჩეხვა, პირუტყვის მოვლა, ეზოს დასუფთავება, მზარეულობა.

საბატონო გლეხები აძლევდნენ სენიორს ფარეშს, ჩვეულებრივ 14-15 წლის ვაჟს ან ქალს და ისინი ბატონის ხელზე მოსამსახურენი ხდებოდნენ (რ.ერისთავი, კ.ბოროზდინი, ჟ.მურიე .- "ბატონყმობა სამეგრელოში," 1927 წ, გვ.56-68. ჟურნალი "მოამბე," 1900 წ. №4, გვ.19).

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ხონელ მთავარეპისკოპოსს, თავის სასახლესთან ორი მოჯალაბე ჰყავდა ("ჯალაბი" უცხოური ტერმინია და მეოჯახეს ნიშნავს) ფარეში ჩვეულებრივ, ყველა თავადს და შეძლებულ აზნაურსაც ჰყავდა. მარტო ეპისკოპოსთან მათ ვერ ვხედავთ. ალბათ ამ ფუნქციებს მორჩილნი ან ბერები ასრულებდნენ.

ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა გლეხები ყველაზე დაბალი კატეგორიიდან-მოჯალაბეობიდან, "ამაღლებულა" და მებეგრე გლეხის ფუნქცია დაჰკისრებიათ.

ამას ადასტურებს ჯიხაიშის ბატონის, სვიმონ ღოღობერიძის 1823 წლის "წყალობის წიგნი" კიკაჩეიშვილების მოჯალაბეობიდან განთავისუფლებისა და ჯამბურიას გაპარტახებულ ნადელზე დამკვიდრების შესახებ. ეს არის არაფრისმქონე გლეხის წვრილ მეურნედ გადაქცევის შემთხვევა (ნ.ბერძენიშვილი - "დოკ.საქართველოს სოც.ისტორიიდან," 1953 წელი, ტომი II, გვ. 297-298).

გარკვეული სამსახურის საზღაურად, მებატონე გლეხს ბეგარას უმცირებდა, როგორც გააკეთა კაცია წულუკიძემ მამუკა რუხაძისადმი. გაუნახევრა ბეგარა და გახადა მსახურად.

ასე ეცვლებოდა შინაარსი და ფორმა საუკუნეთა განმავლობაში დამოკიდებულ გლეხთა კატეგორიებს, რაც მათს სხვა კატეგორიებში გადარიცხვას მოასწავებდა.

აბატი, თუმცა პირადად თავისუფალს ნიშნავს, მაგრამ ეს კატეგორია სავსებით დამოუკიდებელი არასოდეს ყოფილა. ხონის სინამდვილეში, ისინი ნაწილობრივ თავისუფალნი არიან, ოღონ სხვა სახის სამსახური აკისრიათ.

მეთვრამეტე საუკუნის ერთ სიგელში, რომელიც ალექსანდრე მეხუთემ გასცა, დასახელებულია ტერმინი "კარგი გლეხი."

პროფესორი როინ მეტრეველი აღნიშნავს, რომ "კარგი გლეხი," "დიდ გლეხს," პირველ კაცს აღნიშნავს. შინაარსობრივად ის სრულფუძიან, სრულნაკვეთიან მეურნეს ნიშნავს, რომელსაც სახნავიც საკმაოდ აქვს, ვენახიც, გამწევი ძალაც და ფრინველი.

"კარგი გლეხის" კატეგორია ხონსა და მის სიახლოვეს მრავალი დასტურდება, განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, მანამ საგრძნობი გახდებოდა მცირემიწიანობა. 1730 წლის სიგელით, როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, პატარა კუხელები 6 კარგი გლეხი კაკაბაძე ალექსანდრე V - ილორის წმიდა გიორგის საყდარს შესწირა. ისევ მეთვრამე-მეცხრამეტე საუკუნეთა მიჯნაზე, უკვე ცალკე წოდებად ყალიბდება ვაჭრები და ხელოსნები. პრინციპში, ისინი ყმა-ვაჭრები და ხელოსნები არიან, რომლებსაც სენიორთა ნებართვით, უფრო ხელსაყ-

რელი სამსახური უშოვიათ და ახალი შემოსავლით უხდიან ბატონს გადასახადს.

ამას ადასტურებს ხონელი აზნაურის ვახტანგ ჯაფარიძის სიგელი, რომლითაც ნებას რთავს თავის ყმას, ივანე ბურდელაძეს - გაერთიანდეს ხონის ვაჭართა საზოგადოებაში.

მეცხრამეტ საუკუნის დასაწყისში, ხონის ვაჭართა და ხელოსანთა რაოდენობა უკვე 80-ს აღწევს (დ.იობაშვილი - "დას.საქართველოს ქალაქები მე-19 ს. რეფორმამდელ პერიოდში," 1983 წელი, გვ.115-129).

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის პრივილეგირებულ წოდებას ხონში და მის შემოგარენში, ისე როგორც მთელს იმერეთში შეადგენს თავადაზნაურობა და სამღვდელოება. მათ, სამეფო კართან ერთად გააჩნიათ გლეხთა შემდეგი კატეგორიები:

საეკლესიო უწყებას:

ა. აზნაური-მსახური და აზნაური "ხელადმქნელი," ანუ უფლებაშეზღუდული აზნაური.

ბ. მოინალე (მსახური და მოლაშქრე) მეხადილე, ბეგარაშეკვეცილი გლეხი და "კარგი გლეხი" (ილორის საყდრის საკუთრება).

გ. სრული ბეგრის გადამხდელი და მოჯალაბე (ფარეშთან ერთად).

მეფესა და მის მოხელეებს ხონში ჰყავთ:

ა.მსახურნი (აზნაურიც და გლეხიც).

ბ.შინაყმა (ფარეში და მოჯალაბე).

გ.მებეგრე (მონადე, მომუშავე, მეტვირთე).

დ.აზატი-ბეგარაშეკვეცილი და ბეგარაამოკვეთილი.

სამივე უწყებას, მართალია ჰყავს ხონში გადამხდელი გლეხები, მაგრამ მეფის საკუთრება შედარებით მცირეა. მეტია საეკლესიო და მოხელეთა გლეხები.



ხონის ტაძრის დასავლეთი ფასადი და სამრეკლო.

ხონის წმიდა გიორგის საყდარი. აღმოსავლეთი ფასადი, წარწერებიანი.

ხონი. მაცხოვრის ხატი (ანჩისხატი).

წმიდა გიორგის ხატი. 1636 წ.

ღვთისმშობლის მიძინება. ანჩისხატის მაცხოვრის ხატის
კარედის მოჭედილობის დეტალი. XVII ს.

ხონის ეკლესიის წმიდა გიორგის ხატი. XIV ს.

თამარ მეფის წარწერა ხონის ეკლესიიდან:

"“წმიდაო გიორგი მეოხ ეყავეს ცოდვილსა თამარს შვილსა და ძესა მასსა, მის ქალს".



გიორგი II. (912-957) წარწერა ხონის ეკლესიიდან:
"წმიდაო გიორგი შეინყალე გიორგი კურაპალატი და იოვანე"

იოანე ნათლისმცემლის და გაბრიელ მთავარანგელოზის ფრესკა
(ვედრების დეტალი) ხონის საყდრიდან. XVII ს.

უძველესი კლდეში ნაკვეთი სამარხები სოფელ კინჩხაში.



სოფელ ღვედის ციხე-კოშკი.



გორდი დადიანთა სასახლე. 1918 წლის ფოტო.

ნოლის ციხე (უქიმერიონი). VI ს.

სოფელ ქუტირის ეკლესია.

სოფელ პატარა ჯიხაიმის ეკლესია.

უძლოურის (ახალბედისეულთან) მაცხოვრის ამაღლების ეკლესია. XIX ს.

შინაარსი

1 რედაქტორთაგან 3

2 ავტორისაგან 5

3 ავთანდილ ფაილოძე 7

4 თავი პირველი - ხონის მიდამოთა ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა 11

5 თავი მეორე - ხონის სახელწოდების შესახებ 23

6 თავი მესამე- ხონისა და ჰონოგურისის სხვადასხვაობის შესახებ 27

7 თავი მეოთხე - ხონი ფეოდალურ ხანაში 33

8 თავი მეხუთე - იმერეთის სამეფოს გაუქმება და ხონი 58

9 თავი მეექვსე - ხონის მონაწილეობა იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყებაში 65

10 თავი მეშვიდე - არქიეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე სამონასტრო და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელი 71

11 თავი მერვე - ხონის ბაზარი, ვაჭრობა და ხელოსნობა 88

12 თავი მეცხრე - მოსახლეობა და გვარები 104

13 თავი მეათე - ტყვეთა სყიდვა ქვემო იმერეთში 127

14 თავი მეთერთმეტე - იმერეთის მეფეთა და ხონელ მთავარ-ეპისკოპოსთა ბრძოლა სამონასტრო გლეხების და ქონების შესანარჩუნებლად 136

15 თავი მეთორმეტე - სოფლის მეურნეობა 142

16 თავი მეცამეტე - საგადასახადო სისტემა 150

17 თავი მეთოთხმეტე - ზომა-წონის საწყაოები 165

18 თავი მეთხუთმეტე - გლეხთა კატეგორიები 170

გამომცემლობის რედაქტორი	ომარ მეგრელიშვილი
რედაქტორები	გივი ელიავა
	პეტრე ვაჭრიძე
კორექტორი	მანანა ბერიძე
დამკაბადონებელი	გიორგი გოჩიტიძე
ოპერატორი	მარინე ზამულაძე

გადაეცა წარმოებას 24.X.03.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.X. 03.
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 12,125
შეკვეთის № 428
ტირაჟი 800

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ალიონი", მარჯანიშვილის № 2

წიგნი დაიბეჭდა ს.ს. „პოლიგრაფისტის" სტამბაში, ქ. ბათუმი, ერას